

ქუთაისის აკაკი შრეთლის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ურთმეები

ტომი 2 (36)

ისტორიულ და ფილოლოგიურ
მეცნიერებათა სერია

68
31



ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
 სახელმწიფო უნივერსიტეტი
 KUTAISI AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

ურობები

ტომი 2 (36)

ისტორიულ და ფილოლოგიურ
 მეცნიერებათა სერია, 1

WORKS

VOLUME 2 (36)

SERIES OF HISTORICAL AND PHYLOLOGICAL
 SCIENCES, 1

გამოდის 1939 წლიდან
 რეცენზირებადი პერიოდული სამეცნიერო გამოცემა

ISSN 1512-09-53

მთავარი სარედაქციო საბჭო: ავთანდილ ნიკოლეიშვილი
(თავმჯდომარე), ომარ ლანჩავა, თორნიკე უფრაშვილი, ლევან სვანაძე,
ვალერიან ქვლიაშვილი, მარინე ქაცარავა (თავმჯდომარის მოადგილე),
შალვა კირთაძე, ნატო წულუისპირი (მდივანი)

სერიის რედაქტორი - ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ზურაბ არჩვაძე

დავით ბატონიშვილი - მონეტაჰემი „კანონთა გონის“
კომენტატორი

მონტესკიეს (1689-1755) კაპიტალური ნაშრომი „კანონთა გონი“ (1748) 1813-1815 წლებში ქართულად თარგმნა და საკუთარი კომენტარები დაურთო პეტერბურგს გადასახლებაში მყოფმა ქართლ-კახეთის ტახტის უკანასკნელმა მემკვიდრემ დავით ბატონიშვილმა (1767-1919).

F10506 მონტესკიეს „კანონთა გონი“ შედგება 31 წიგნისაგან, აქედან ჩვენამდე მოღწეულია დ. ბატონიშვილის მიერ შესრულებული მხოლოდ 17 წიგნის თარგმანი.

დ. ბატონიშვილმა მონტესკიეს „კანონთა გონი“ თარგმნა სათაურით „გულისხმის ყოფისათვის სჯულთასა“. აღნიშნული თარგმანის ორი რედაქცია არსებობს:

1) A რედაქცია (ორ ტომად), რომელიც წარმოადგენს აღნიშნული თარგმანის შავ, სამუშაო პირს. იგი ინახება პეტერბურგის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტში, ნომრით H 26 (G105;H18).

2) B რედაქცია (ორ ტომად), რომელიც წარმოადგენს აღნიშნული თარგმანის დასრულებულ, საბოლოო ვარიანტს. იგი ინახება თბილისის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ნომრებით S370, S371.

ორივე რედაქცია შესრულებულია დავით ბატონიშვილის ხელით.

დ. ბატონიშვილმა A რედაქციის X-XII წიგნები თარგმნა მონტესკიეს „კანონთა გონის“ კრამარენკოვისეული რუსული თარგმანიდან, ხოლო XIII-XVII წიგნები კი მონტესკიეს „კანონთა გონის“ იაზოკივისეული რუსული თარგმანიდან.

დ. ბატონიშვილმა B რედაქციის I-XVII წიგნები თარგმნა მონტესკიეს „კანონთა გონის“ იაზოკივისეული რუსული თარგმანიდან.

როგორც A, ისევე B რედაქციების შესრულების მომენტში დ. ბატონიშვილი მონტესკიეს „კანონთა გონის“ შესაბამისი რუსული თარგმანების

საქართველოს
პარლამენტი
მედიის ცენტრი



პარალელურად იყენებს თვით ფრანგულენოვან ტექსტს, ოღონდ ფრანგული ტექსტიდან კი არ თარგმნის, არამედ კრამარენკოვისა და იაზიკოვის რუსული თარგმანების ძნელად მისახვედრ პასაჟებს, „ბრჯგუ“ ადგილებს მონტესკიეს ორიგინალის ტექსტის მომარჯვებით „შიფრავს“.


მონტესკიეს „კანონთა გონის“ ფრანგულენოვან ტექსტს თან ახლავს ავტორისეული, ასევე გამომცემლების მრავალი შენიშვნა თუ კომენტარი. თავის მხრივ დ. ბატონიშვილმაც დაურთო საკუთარი კომენტარები აღნიშნულ თარგმანს. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, დ. ბატონიშვილი ტექსტის იმ ადგილზე, რომელსაც კომენტარი უნდა გაუკეთოს, სვამს ვარსკვლავის აღმნიშვნელ ნიშანს, შემდეგ ეს „ვარსკვლავი“ ჩამოაქვს ტექსტის ქვემოთ, აკეთებს კომენტარს და კომენტარის ბოლოს მიაწერს - „დავით“. „ვარსკვლავს“ დ. ბატონიშვილი ყოველთვის სვამს, ხოლო „დავითს“ დაწერა ზოგჯერ ავიწდება ხოლმე.

დ. ბატონიშვილი საკუთარ თარგმანში აკეთებს შენიშვნებს, განმარტავს სიტყვებს, იძლევა ამა თუ იმ სახის ტექსტობრივ ინტერპრეტაციებს და ა.შ. კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ დ. ბატონიშვილის მიერ შესრულებულ მონეტესკიეს „კანონთა გონის“ თარგმანზე დართული მისეული კომენტარებით შემოვიფარგლებით.

იმის გამო, რომ აღნიშნული თარგმანის A და B რედაქციების დ. ბატონიშვილისეული კომენტარები არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ B რედაქციის ფაქტობრივ მასალას (S370; S371).

დ. ბატონიშვილმა მონტესკიეს „კანონთა გონის“ საკუთარ თარგმანს სულ 46 კომენტარი დაურთო (ამ კომენტარებს თარგმანში წარმოდგენილი რიგის მიხედვით დაფიქსირა). როგორც კვლევამ გვიჩვენა, ეს კომენტარები თავიანთი შინაარსის მიხედვით, პირობითად შეიძლება სამ ქვეჯგუფად დავყოთ:

- 1 ქვეჯგუფში შევა ის კომენტარები, რომლებშიც დ. ბატონიშვილი განმარტავს უცხო სიტყვებს. ეს სიტყვებია: „ათეისტი“ (1) „იროკეზები“ (3) „სატირა“ (4) „სოფისტი“ (5) „ორდენი“ (6) „არეპაგი“ (7) „ეფორი“ (8) „ლოვისტი“ (9) „პრეტორი“ (10) „ედილი“ (11) „პატრიცი“ (13) „ეფორი“ (15) (მეორდება) „სეიმი“ (16) „ტრიბუნი“ (17) „კოსმი“ (18) „კვესტორი“ (19) „ედილი“ (20) (მეორდება) „კაპიტოლიუმი“ (21) „ტრიუმფი“ (22) „ლეგიონი“





(23) "ეშაფოტი" (24) "როლი" (26) "ილოტი" (27) "მინა" (30) "სტერლინგი" (31) "აქციზი" (32) "მანდარინი" (36) "პოლუსი" (37) "აუსპიციები" (44).

მკითხველი ერთი თვალის გადავლებითაც ადვილად დარწმუნდება, რომ აქ წარმოდგენილ უცხო სიტყვათა აბსოლუტური უმრავლესობა მართლაც საჭიროებდა მთარგმნელის განმარტებას.

II ქვეჯგუფში შევა ის კომენტარები, რომელთა საშუალებითაც დ. ბატონიშვილი მკითხველს აწვდის ინფორმაციული ხასიათის რაიმე შინაარსს: მე-2 კომენტარში დ. ბატონიშვილი მკითხველს აცნობებს, რომ "გულისხმიერ სოფელში" მონტესკიე ადამიანს გულისხმობს.

მე-12 კომენტარში დ. ბატონიშვილი მკითხველს აცნობებს, თუ ვინ იყვნენ ტიბერიუს და გაიუს გრაკქუსები:

"კანონთა გონის" IX წიგნის IV თავში ავტორი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ უზრუნველყოფენ თავიანთ უშიშროებას დესპოტური სახელმწიფოები: "ფ-ა რესპუბლიკათა მმართველობაში უშიშროებათათვის თვისთასა შევლენ ურთიერთობისა შეერთებულებასა მსგავსადვე თვითხელმწიფებითნი მმართველობანი ეძიებენ განყოფასა ურთიერთისაგან და გაცალკეებითა გებასა. ხ-ო ჟამსა საჭიროებისასა უმსხვერპლებენ ერთსა კერძოსა ქვეყანისა თვისისა, ოხერ ჰყოფენ საზღვართა თვისთა და შეიქმნენ უდაბნოდ და ამის გამო შინაური სახელმწიფო მათი დაშთების მიუყარებელ". (S 370, 501).

სწორედ აღნიშნული აბზაცის ბოლოში ვაკეთებულ მე-14 კომენტარში დ. ბატონიშვილი იძლევა შემდეგ ინფორმაციას: "თუმცაღა ღონისძიება ესე იხმიეს რუსთა პირისპირ ფრანცუჯთა წელსა ჩყიბ გარნა ვერა დააყენა ამან მოწვა მოსკოვისა". (S370, 501).

25-ე კომენტარში დ. ბატონიშვილი მკითხველს ურჩევს: "სადაცა ტირანი იხილო უფროსიერთ მეფეთ გაიგონე ამაღ რ-ლ ძველნი ბერძენნი მეფეთა ტირანად (მტანჯველად) უწოდებდნენ" (S 371, 211)

29-ე კომენტარში დ. ბატონიშვილი მკითხველს განუმარტავს, რომ "ტალანტი იყო ორგვარი - დიდი და მცირე. დიდი შეადრგენდა ოთხმოცსა მნასასა და მცირე სამეოცსა. სადაცა იხსენების ტალანტი და არა დაჰყვების დიდი, მცირე ტალანტი იგულისხმების" (S 371, 249)

35-ე კომენტარში დ. ბატონიშვილი მკითხველს აცნობებს თუ რა იგულისხმება "მაგარ სასმელში": "აყროლებული სიუხა ანუ ქერის პურის



არაყი და შავი პურისა სხვადასხვა ფრად შეღებილი ბაყითა და ესენითა რითა". (S 371, 299)

„კანონთა გონის“ XIV წიგნის X თავში ავტორი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ლოთობა მთელს დედამიწაზეა გავრცელებული კლიმატის სიცივისა და ტენიანობის პროპორციულად. ფრანგი მოაზროვნის დაკვირვებით თუ კაცი ეკვატორიდან ჩრდილოეთ პოლუსამდე წამოხვალ „მაშინ იხილავ მომთვრალეობასა განმრავლებულსა გრადუსთა თანა სიგანისათა“ (S 371, 317). აქ დართული №38 კომენტარში დ. ბატონიშვილი მკითხველს აწვდის შემდეგ ინფორმაციას: „ჩრდილოეთსა შ-ა იტყვიან ესრეთ არსო სიმთვრალე განდიდებულ რ-ლ არათუ მამაკაცნი ადრეცა დედანიცა რაცრაცებენ მთვრალნი ქუჩათა შ-ა და ეგრეთ ურცვად დაათხევენ წყალთა ზედგომით. და მრავალნი იტყვიან მიხილავსო რეცა მშვენიერად მორთულნი გორვიდიან ლაფთა შ-ა“ (S 371, 317).

„კანონთა გონის“ XI თავში ავტორი ლაპარაკობს იმ კანონთა შესახებ, რომლებიც კლიმატისგან გამომდინარეობს ავადმყოფობებთან არიან მიმართებაში. მისი ცნობით ჯვაროსანთა ლაშქრობებმა კეთრი შემოიტანეს ევროპაში. №39-ე კომენტარში დ. ბატონიშვილი მკითხველს აწვდის შემდეგი შინაარსის ინფორმაციას: „პ-ლი ჯვარით ლაშქრობა იყო ია საუკუნესა წელსა ჩუგ. ხ-ო მეორედ ჩრმზ და უკანასკნელი ჩსმც. სადაცა ევროპელნი განღვიძებთა პაპისათა შეკრბენ განსადევნელად სარაცინთა (სარკინოზთა) იერუსალიმით და ბრძოლასა ამას უწოდებენ ევროპელნი ჯვარით ლაშქრობასა“. (S 371, 321).

„კანონთა გონის“ XV წიგნის XIX თავში ავტორი ლაპარაკობს გააზატებულთა და საჭურისთა შესახებ. მისი აზრით „განთავისუფლებულნი უმეტეს განდიდებიან კაცთა ზედა თავისუფალთა“ (S 371, 388). ზემოთ თქმულის გამო №40-ე კომენტარში დ. ბატონიშვილი შენიშნავს, რომ „რუსეთსა შინა გააზატებულნი მონანი და ლაქიანი (მსახურნი) და ძენი უგანთა და მდაბალთა კაცთანი ხშირად შეიქმნებიან დარბაზ ბატონად“ (S 371, 388).

„კანონთა გონის“ XVI წიგნის მეორე თავში ავტორი მკითხველს ესაუბრება სამხერთის ქვეყნებში ორი სქესის ბუნებრივი უთანასწორობის შესახებ. მისი აზრით, „ცივთა ადგილთა შ-ა მიუცილებელი ხმევაჲ მაგართა სასმელთა განიყვანს მამაკაცთა ზომიერებისაგან...“ (S 371, 395).

№41-ე კომენტარში დ. ბატონიშვილი, უკვე მეორედ, მკითხველს აცნობებს, რომ "მაგარ სასმელად უწოდებენ სადაცა აწ ჩვენ ვსცხოვრებთ პურისაგან გამონახადსა არაყსა ხ-ო ესე განუშვენებიათ რაოდენითაჲმე სახელითა რ-ლა ესე: სიუხა, გარელკა, ერაფეიჩი, რომანეიკა, ნალიგკა, ნასტოიკა და სხვანი" (S 371, 395).

"კანონთა გონის" XVI წიგნის X თავის ბოლო აბზაცში ავტორი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ საქამდე შეიძლება მიიყვანოს გარყვნილება კლიმატით გამოწვეულმა ზადმა, როდესაც მას დიდი თავისუფლება ენიჭება. მას მაგალითად მოჰყავს პატანის ქალთა ავტორცობა, სადაც "გულისთქმად დედათა აღიწვევის მუნემდის რ-ლ მამაკაცნი შეიქმნენ თავისათვის თვისისა ესრეთსა საცმელსა, რომლითაცა განერებიან ზედა დასხმასა მდედრთასა" (S 371, 418). №43-ე კომენტარში დ. ბატონიშვილი მკითხველს განუმარტავს, რომ "პატანსა შ-ა ვინათგან ურცხვინოება განდიდებულ არს ვ-ა ჩრდილოეთსა შ-ა, მდედრნი მარადის ეძიებენ კაცთა და სადაცა დაფარულთა ადგილთა იხილვენ მისწრაფიან მათდათმი. ხ-ო რომელთაცა ნებაეს განრინებაჲ ჯელთაგან მათთა შემო(ი)ცმენ საცმელთა და მით განერებიან" (S 371, 418).

№45-ე კომენტარში დ. ბატონიშვილი მკითხველს განუმარტავს, რომ "ქვეყანისა შარსა ზ-ა იპოების სარტყელი ხუთი: ერთი ცხელი ეკვატორსა ქვეშე, ორი ზომიერი აქით და იქით ეკვატორისა და ორი ცივი თავსა და ბოლოს პოლუსისა" (S 371, 446).

მონტესკიეს "კანონთა გონის" XVIII წიგნის III თავის ბოლო აბზაცში ავტორი წერს: "გარნა ძალიდების სასოებისა დადებია ჰაერსა ზ-ა რ-ლ არა საუკუნოდ მოაკლდების აზნაურება იგი თავისუფლებას. (S 371, 449). №46-ე კომენტარში დ. ბატონიშვილი მკითხველს აცნობებს, რომ "აქა იგულისხმების რუსეთისა აზნაურება ვინათგან უარეს მუჟიკთა არს დამონებულ" (S 371, 449).

ჩვენი აზრით, II ქვეჯგუფში შემავალი კომენტარები იმ აუცილებელ ინფორმაციული ხასიათის შინაარს აწვდიან მკითხველს, რომლებიც ეხმარებიან მათ ტექსტის უკეთ გაგებასა და აღქმამი.

III ქვეჯგუფში შევა ის კომენტარები, რომლებშიც დ. ბატონიშვილი არ ეთანხმება მონტესკიეს.



„კანონთა გონის“ XIII წიგნში მონტესკიე მკითხველს ესაუბრება იმის შესახებ, თუ რა მიმართებაშია გადასახადების აკრეფისა და სახელმწიფო შემოსავლის ზომა თავისუფლებასთან. ამავე წიგნის VI თავში მონტესკიე ამბობს, რომ „პეტრე პირველმა, რომელმაც მოისურვა გერმანიის მაგალითისათვის მიებადა და ფულადი გადასახადები აეკრიფა, ძალზე გონივრული განკარგულება გასცა, რომელსაც ახლაც მისდევენ რუსეთში. ამ დადგენილების თანახმად, აზნაური დადგენილ გადასახადს კრეფს გლეხებისაგან და მას მეფეს უხდის. გლეხების რაოდენობა შემცირება თუ გაიზრდება, ის მაინც ისევ დადგენილ თანხას იხდის. ამგვარად, აზნაური თვითონაა დაინტერესებული, რომ არ შეაფიწროოს გლეხები“ (I, 240).

დ. ბატონიშვილი, ვინც მშვენივრად იცნობს თავის თანამედროვე რუსეთის ცხოვრებას, რა თქმა უნდა არ ეთნახმება მონტესკიეს და მის მიერ განვითარებულ მცდარ მოსაზრებას №21-ე კონვენტარში მიაწერს იმას, რომ „უფალ მონტესკეუს არა სცოდნია თუ ვითარი ხარკი აქვსთ მუეიკთა რუსეთსა შ-ა და ანუ ვითარი შემჭირვება და ძალი ადგასთ და ამისთვის სჯის ესრეთ“.

„კანონთა გონის“ XIV წიგნის მეორე თავში მონტესკიე ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რამდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სხვადასხვა კლიმატის ადამიანები. ფრანგი მოაზროვნის ფიქრით, ცივ კლიმატებში ადამიანებს მეტი ძალა აქვთ. იქ გულის მოძრაობა და კიდურების ბოჭკოთა რეაქცია უკეთ ხდება, უკეთ არის გაწონასწორებული სითხეები, სისხლი უფრო ენერგიულად მიემართება გულისკენ და, თავის მხრივ, გულსაც მეტი ძალა აქვს სწორედ „უმეტესობასა ამა ძალისასა ძალუცს წარმოება მრავალთა მოქმედებათა. მაგალ. უმეტესი იმედოვნებაჲ თავთა თვისთა ზ-ა, უმეტეს ცნობაჲ აღმატებულებისა თვისისა, უმცირეს მიდრეკილებაჲ შურისგებისა, უმეტეს დარწმუნებულებაჲ უშიშროებასა შ-ა თვისსა, უმეტეს გულწმინდობაჲ, უმცირეს იჭვნეულობაჲ, უმცირეს მზაკვრობაჲ, და უმცირეს მცბიერებაჲ“ (S371, 290).

№39-ე კონვენტარში დ. ბატონიშვილი შენიშნავს, რომ „აქა სცთების ავტორი: არავინ არს ეგრეთ შურის მგებელ, გულმანკიერ, იჭვნეულ, მზაკვარ, მცბიერ და უყვარულ, ვ-ა ცივსა ჰაერსა შ-ა მცხოვრებნი ანუ ჩრდილოელნი“ (S371, 290).

იმავე წიგნის იმავე II თავში მონტესკიე გამოთქვამს მოსაზრებას შესახებ, რომ „მცხოვრებნი ცხელთა ადგილთანი არიან მხდალ ვ-ა მოხუცნი, ხ-ო მცხოვრებნი ცივთა ადგილთანი მამაც ვ-ა ჭაბუკნი“ (S371, 290).

დავით ბატონიშვილი აქაც არ ეთანხმება მონტესკიეს და №34-ე კომენტარში პირდაპირ მიმართავს დიდ მოაზროვნეს: „სცთები უფალო მონტესკეუ, იარანალ რტიშქევი და კნორინგი არიან მცხოვრებნი ცივისა კლიმატისანი და ბონაპარტე და მარშალ ნეი ცხელისა კლიმატისანი. ნუუმე ზემონი სჯობნენ ქვემოთა ბიჭად და ანუ სარდლად“ (S371, 291).

XVI წიგნის II თავში მონტესკიე ამბობს, რომ ცივ ქვეყნებში მაგარ სასმელთა მიღების თითქმის აუცილებელმა ჩვევამ მამაკაცთა შორის თავშეუკავებლობა გამოიწვია, მაშინ როცა ქალები ამ მხრივ უფრო თავშეკავებულნი არიან, მაგრამ დ. ბატონიშვილი მთლად არ ეთანხმება მონტესკიეს და თავის №42-ე კომენტარში აღნიშნავს: „და არა ყ-ნი მდედრნი ვინათგან მიხილავს თვალითა ჩემითა ცივთა ადგილთა შ-ა. მრავალნი მთვრალნი დედანი მგორვალენი ლაფთა შინა და ვიეთნიმე მათგანნი დადებულნი დროგთა ზ-ა დ(ა) ურემთა და მისხმულნი პოლიციასა შ-ა, ვ-დ ქუჩათა შ-ა მორაცრაცენი და ზედგომით დამთხვევლნი წყალთანი“ (S371, 433).

III ქვეჯგუფის კომენტარებში მოცემულია რუსებისა და რუსეთის ყოფის უარყოფითი კრიტიკა, რაც თავისთავად გამოწვეული იყო იმ პიროვნული წყენით, რაც რუსებმა დ. ბატონიშვილს შეამთხვიეს.

ხელნაწერები

S370 (ტ. I); S371 (ტ. II) - გულისხმის ყოფისათვის სჯულთასა. ქმნილი უფლისა მონტესკუსაგან. თარგმნილი ფრანცუცულით რუსულსა ენასა ზ-ა, ხ-ო რუსულით ქართულად მეფის ძის, მემკვიდრის, ლენერალ ლეიტენანტისა, სენატორისა და კავალერის დავითისაგან, ჟამსა სანკაპეტერბუსსა ყოფნისასა. წელსა ჩყიდ. (ეს ხელნაწერები ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში).

Zourab Artchvadzé
DAVID BATONICHVILI - COMMENTATEUR
DE "L'ESPRIT DES LOIS" DE MONTESQUIEU

R é s u m é

David Batonichvili traduit "L'esprit des lois" de Montesquieu entre 1813 et 1815.

Dans sa traduction, il fit 46 commentaires, divisés en 3 parties et classés d'après leurs contenus.

Le premier groupe contient 29 commentaires dans lesquels David Batonichvili donne la définition des mots d'origine étrangère: "Sophiste", "l'aréopage", "Les éphores", "les édiles" etc.

Le deuxième groupe contient 13 commentaires dans lesquels David Batonichvili apporte quelques explications supplémentaires pour aider à la compréhension des écrits de Montesquieu.

Le troisième groupe contient quatre commentaires dans lesquels David Batonichvili ne partage pas l'opinion de Montesquieu et montre son désaccord.

ლიტერატურა:

1. მონტესკიე შლ. კანონთა გონი. ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიძემ. თბ., 1994.

საზღვარგარეთული ლიტერატურის
ისტორიის კათედრა

ნოზალი ბართაია

ტერმინ ფისტიკაურის წარმოშობის შესახებ

ქართულ პოეზიაში არის ვინმე პოეტი ბისტიკა და მისი სახელისაგან მომდინარე სალექსო ფორმის აღმნიშვნელი ტერმინი - ფისტიკაური, იგივე ბისტიკაური. თუმცა დღემდე სადავო გამხდარა, როგორც ამ სახელის მქონე პოეტის არსებობა, ისე ამ სიტყვის ეტიმოლოგია.

მიუხედავად იმისა, რომ ბისტიკას სახელი საუკუნეთა მანძილზე გაისმის ქართულ პოეზიაში, მისი ავტორობით დღემდე არც ერთი სტრიქონი არ შემოგვრჩენია.

პირველად ბისტიკას სახელმა თეიმურაზ II-ის შემოქმედებაში გაიჟღერა: „ზედან ამღერდეს შაირებს, ნათქვამს ბისტიკას ცრუისა“. (4, 123)

როგორც ჩანს, თეიმურაზ II-ის აზრით, ბისტიკა გამოგონილი, ცრუ პოეტი ყოფილა.

თეიმურაზ II-ის მერეც ამ სახელთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. მაგალითად, პავლე ინგოროყვას მიაჩნია, რომ ტერმინი ბისტიკა წარმომდგარია ქართული სიტყვიდან ბისტი და ნიშნავს თვალბისტიანს, ბრმას (1, 12)

აკაკი შანიძის აზრით, კი ბისტიკა მომდინარეობს სომხური სიტყვიდან პსტიკ, რომელიც ნიშნავს პატარას (2, 12).

ვფიქრობთ, აქ მოტანილ მოსაზრებებს სათანადო არგუმენტაციითა უქონლობის გამო დამაჯერებლობა აკლია.

ტერმინ ბისტიკას წარმოშობასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიპყრო. სპარსულ ენაში არის რიცხვითი სახელის აღმნიშვნელი ტერმინი ბისთ, რომელიც ნიშნავს - ოცს, ხოლო ფისტიკაური ანუ ბისტიკაური არის „20-მარცვლიანი 4-ტაეპიანი ქართული ლექსი“ (3, 327).

ხომ არ მომდინარეობს ქართულში არსებული ტერმინი ბისტიკა სპარსული ბისთ -იდან, რომელიც ნიშნავს ოცს და ხომ არ არის წარმომდგარი აქედან ფისტიკაური, იგივე ბისტიკაური - ოცმარცვლიანი ლექსის სახელი?

თუ ეს ასეა, მაშინ მართალი იქნება თეიმურაზისეული შეფასება ბისტიკასი, რომ ის არის გამოგონილი პოეტი.

NOMADI BARTAIA ABOUT THE ORIGIN OF THE TERM FISTIKAURI (Summary)

Poet Bistika and poetry form Fistikauri (Bistikauri), produced from Poet Bistika, is known in Georgian poetry. But till today both are doubtful: the real existence of poet Bistika and etymology of this term.

There is a term Bist in Persian language, which means number twelve, and Fistikauri (Bistikauri) is the name of twenty syllable four line poetry. Are they connected with each other?

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ინგოროყვა პ., რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, რუსთაველის კრებული, თბილისი, 1938.
2. შანიძე ა., ლიტერატურული ძიებანი, ტ. I, თბილისი, 1945.
3. ჭილაია ა., ჭილაია რ., ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბილისი, 1984.
4. ჯაკობია გ., თეიმურაზ II, თბილისი, 1958.

ირანისტიკის კათედრა

ევენი ბლიაჰე

ალექსანდრე ამილახვრის წერილები

ალექსანდრე ამილახვარი მე-18 საუკუნის ცნობილი ქართველი მოაზროვნეა. უაღრესად რთული აღმოჩნდა მისი ცხოვრების გზა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 15 წლის ყმაწვილი, ალექსანდრე ამილახვარი, მამასთან, დიმიტრისთან ერთად შეიპყრეს და გაასამართლეს, როგორც ერეკლე მეორის საწინააღმდეგო შეთქმულების მონაწილე. ასაკის მიუხედავად, ალექსანდრემ არ დათმო პოზიცია, რისთვისაც სასტიკად დასაჯეს იგი.

ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში ალ. ამილახვარი ცნობილია ნაწარმოებებით: „ბრძენი აღმოსავლეთისა“, „გეორგიანული ისტორია“ და „მოქმედება ასტრახანში“. იგი არის აგრეთვე რამდენიმე წერილის ავტორი. წერილები საინტერესო მასალას შეიცავენ არა მარტო პოლიტიკური აზროვნების ისტორიის, არამედ მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალების დასაზუსტებლადაც. წერილებზე ყურადღების გამახვილება იმიტომაც არის საჭირო, რომ დიდი ხნის მანძილზე ალექსანდრე ამილახვარი არ იყო სათანადოდ გაგებული და დაფასებული. მის მიმართ კრიტიკა უფრო მეტი იყო, ვიდრე მოწონება. ამისი მიზეზი ერეკლე მეორისადმი მისი დამოკიდებულება და არარუსული ორიენტაცია იყო.

ამჯერად ყურადღება მხოლოდ მის წერილებზე გვინდა შევაჩეროთ. ალ. ამილახვარს ეკუთვნის ექვსი წერილი და ეპიტაფია. წერილები რუსულ ენაზეა დაწერილი. ისინი ქართული თარგმანით გამოაქვეყნა პ. გელეიშვილმა (1: 137-157; 3: 272). წერილები უპირატესად მისი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს ასახავს. მათში ვხვდებით ადგილებს,

რომლებზედაც გვერდის ავლა გაგვიძნელდება ალ. ამილახვრის პოეტურ აზროვნებაზე საუბრისას.

ერთი წერილი განკუთვნილია ეკატერინე მეორისადმი. შეუძლებელია მშვიდად წაიკითხოს ვინმემ ვიბორგის ციხეში მართლაც საშინელი განცდით დაწერილი ეს წერილი, სადაც ალ. ამილახვარი ყოველგვარი შეღამაზების გარეშე გვამცნობს თავის გულისტკივილს. «ცხრა წელიწადია, რაც მე ბნელ საკანში ვიძყოფები, სადაც ჩემს თვალებს არ უხილავთ არც მწვანე ბალახი, არც ხის ფოთლები. რისთვის? თვითონ არ ვიცი... ამ ცხრა წლიდან ხუთი უკანასკნელი წელი ჩემი ტუსალობისა გარდა პურისა და წყლისა არც ერთი გროში მე არ მიმიღია თქვენი ხაზინიდან ჩემდა გამოსაკვებად.¹ თუ თქვენი მონები, თქვენი სურვილის გარეშე მეპყრობიან მე ასე, ეს არის მათი თავხედობა და ღირსნი არიან უდიდესი სასჯელისა, თუ ეს ხდება თქვენის ბრძანებით (რაც მე არ შემძლია დავიჯერო), მაშინ გემინოდეთ, დიდებულო დედოფალო, საკუთარი გულისა, რომ მან არასოდეს არ გაგრძნობინოს, თუ რა საშინელებაა უდანაშაულო ადამიანის ტანჯვა თქვენი (უბრალო) ქვეშევრდომისაც კი და მით უმეტეს რა საშინელებაა ტანჯვა თავისი მოძმისა, უიმისოდაც საკმაოდ უბედურისა» (1:146-147).

როგორც ჩანს, ალ. ამილახვარს ეკატერინე მეორესადმი საკმაოდ დიდი პრეტენზიები ჰქონდა, ვინაიდან სხვა წერილში იგი გარკვევით მიანიშნებდა: "გაბედულად მოგახსენებ, რომ ჩემი თავისუფლება და მეგობრობა უფრო სასარგებლო იქნებოდა თქვენი სახელმწიფოსათვის, ვიდრე ჩემი ციხეში გამომწყვდევა და ასე სასტიკად მოპყრობა, მგონია, რომ ჩემს მემამულეთა შორის მხოლოდ მარტო მე დავბადებულვარ ისეთი, რომელსაც სურს და შეუძლია კიდევ ღვთის წყალობით შეუერთოს რუსეთს არა

¹ როგორც ჩანს, ალ. ამილახვარს ასეთი საყვედურისათვის საფუძველი გააჩნდა. ვინაიდან, როცა ალ. ბაქარის ძე და ალ. ამილახვარი დააპატიმრეს და მუდმივ საცხოვრებლად ერთს სმოლენსკი, ხოლო მეორეს ვიბორგი განუსაზღვრეს, წლიური ჯამაგირიც დაუნიშნეს: ალ. ბაქარის ძეს 1200 რუბლი, ხოლო ამილახვარს 300. ამასთან, მათ აეკრძალა მიმოწერები საზღვარგარეთ. პ. ბუტკოვის აღნიშნული ცნობას იმოწმებს ა. ფირცხალაიშვილი ნაშრომში "Царевич Паата Сын царя Вахтанга 6-го" (2:89).

თუ თავისი ხალხი, არამედ ძველთაგანვე ჩვენდამი კუთვნილი ხალხებიც, აქედან გამომდინარე სარგებლობა ჯერ ყველას ვერ შეუგნია, თუ თქვენი იმპერატორობით უმაღლესობა კეთილ ინებებს ჩემს მოსმენას, დაინახავს სრულიად ადვილს და ორივე მხარისათვის უფრო სასარგებლო პროექტს, ვიდრე დღემდე არსებული პროექტებია" (1:147-148). აღნიშნული წერილის ტონი ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ალ. ამილახვარის მიზნები რუსეთის ხელისუფლებისათვის უცნობი არ ყოფილა, ამიტომ პატიმრობის მძიმე დღეებში ალექსანდრე ახსენებს თავისი მდგომარეობის შესახებ: "ყველა უბედურნი როდი არიან მოკლებულნი ნიჭსა და გონიერებას. თქვენს უმაღლესობას მოეხსენება, რომ ბედნიერება და გონიერება არ დადიან ერთის გზით. მოგართმევ რა თქვენს უავგუსტოეს სახელზე დაწერილ ამ წერილს, მოგახსენებთ, რომ აქაური ჰენცელი ისე გაკადნიერდა, რომ არა თუ არ მიიღო იგი, არამედ დარაჯიც დამიყენა და მას შემდეგ კარში არ მიშვებს" (1:148). იგი თუმცა ისტორიულ სინამდვილეს ასახავს, მასში მაინც ავტორის პირადი მძიმე მდგომარეობის შესახებ მასალა სჭარბობს. რა თქმა უნდა, ამ წერილებში გადმოცემული ცნობები ჩვენ დიდად გვეხმარება ალ. ამილახვარის პოლიტიკურ შეხედულებათა მთლიანობაში წარმოსახვისათვის, მისი პოლიტიკური აზროვნების საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალების გააზრებისთვის.

მომდევნო წერილს ადრესატი არ ჰყავს. მასში საინტერესო ცნობებია მოცემული ალექსანდრე ბაქარის ძესა და ერეკლე მეორეს შორის გამართული ბრძოლის შესახებ. უფრო ზუსტად, წერილი ამ ბრძოლის ფინალს ეხება. როგორც პ. გელეიშვილი მიანიშნებს, წერილი უაღრესად საყურადღებოა, რადგანაც ახალ შუქს ჰფენს ეკატერინე მეორესა და ერეკლე მეორეს შორის 1783 წელს ქ. გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატს. წერილის ავტორი გვამცნობს, თუ როდის წამოვიდა რუსეთიდან და როგორ წავიდა იგი ქართლის ტახტის პრეტენდენტ ალ. ბაქარის ძესთან ერთად



შამხალთან.² ამ უკანასკნელმა ორივე მოატყუა. ისინი დაარწმუნა, რომ 60 ათას შეიარაღებულ ლეკს აგროვებდა ერეკლეს წინააღმდეგ. ყველაფერი დროის გაყვანის მიზნით იყო გათვალისწინებული. «შამხალი აცდევინებდა მანამდე, ვიდრე ამდენი ჯარის თავდასხმის მოლოდინით შემინებული ერეკლე ხელს არ მოაწერდა გეორგიევსკის ტრაქტატს. წერილი შემდეგ გვამცნობს, როგორ გასცა ისინი შამხალმა და როგორ წაიყვანეს ალ. ამილახვარი ვიბორგის ციხეში, სადაც მან ჩვიდმეტი-ნახევარი წელი გაატარა».³ (1:147-148). ეს წერილი დათარიღებულია 1799 წლით. ამ დროს არც ეკატერინე იყო ცოცხალი და არც ერეკლე. ერთი კი ცხადია, რუსეთის მმართველი წრეები ყველაფერს შესანიშნავად იყენებდნენ, რაც მათი პოლიტიკისათვის გამოსადეგი იყო.

„უპიტაფია“ კიდევ ერთი, უკანასკნელი ცდა არის ადამიანის დარწმუნებისა: «საყვარელო მკითხველო, თუ შენ უბრალოთაგანი ხარ, ნუ დაქარბები დიდებულთა ბედს, რადგან, ვინც უფრო დიდია წარმოშობით, მით უფრო უნდა მოელოდეს დაცემასა და უბედურებას, და თუ შენ დიდებულთაგანი

² მათი გამგზავრება რუსეთის იმპერატორის კარის მიერ წინასწარ იყო დაგეგმილი და მიზნად ისახავდა ერეკლე მეორის დაშინებას, თუმცა ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ, მათ სურდათ ერეკლეს წინააღმდეგ ჯერ კიდევ ადრე შემუშავებული გეგმა აემოქმედებინათ. როგორც მ. ნაცვალაძე მიანიშნებს, საგულისხმო მაინც ის არის, რომ კაპიტან იაზიკოვისათვის მიცემულ სამოქმედო ინსტრუქციაში გათვლილი იყო ვარიანტი იმისა, რომ ერეკლე შეიძლებოდა ტახტიდან გადაყენებინათ» (4:უ-6).

ამდენად, რუსეთის იმპერატორის კარი საჭიროებისას ყველა საშუალებას მიმართავდა. ზუნებრივია, მას არც ორი ალექსანდრეს გამოყენებაზე უთქვამს უარი.

³ კ. გელეიშვილი თვლის, რომ ეკატერინეს მითითებით ლეკების მოსალოდნელი თავდასხმის დროს უფლებას არ აძლევდნენ კავკასიის მთიელებს, რათა ისინი ერეკლეს დახმარებოდნენ. ფაქტობრივად საქმე ისე მოაწყვეს, თითქოს მთიელები უბნებოდნენ ერეკლეს უარს დახმარებაზე. გარეგნულად ყველაფერი ომის დაწყების საშუალებას ქმნიდა, სინამდვილეში კი ასეთი რამ არ ყოფილა. ამაზე მიგვანიშნებს ა. ფირცხალაიშვილის დასასტუმრო ნაშრომიც, სადაც აღნიშნულია, რომ შამხალისა და ფათალი-ხანის მოქმედებათა საწინააღმდეგო ღონისძიებები კარგად განახორციელა გენერალმა პოტიომკინმა. ამასთან, მანვე დერბენდში ფათალი-ხანთან ვაგზუნა მაიორი კომარსკი და მოთხოვა მას ალექსანდრე ბაქარის ძისა და ალ. ამილახვრის გადაცემა. ამ უკანასკნელმა მთის ჩვეულების თანახმად შეუძლებლად ჩათვალა სტუმრების გაცემა, მაგრამ როცა საჩუქრად 500 ჩერვონეცი და ოქროს სათუთუნე მიართვეს, მან თავისი სტუმრები გადასცა (2:89).

ხარ, მოიკალ გულში ყოველივე სიამაყე და წარმოიდგინე სრული რაობა ადამიანის დიდებისა" (1:155). შეუძლებელია საკუთარი ბედის უკუღმა ტრიალი არ ჰქონდეს ამ სიტყვების ავტორს მხედველობაში. იგი ხომ სწორედ პირადმა ყოფამ დაარწმუნა იმაში, რასაც სხვას თხოვს არ დაივიწყოს, არაფერში დაუშვას უნებლიე შეცდომა, თორემ უბედურება ბედნიერების საპირისპირო ფორმაა, ისე, როგორც დიდკაცობიდან არაფრის მქონებლამდე მანძილი - ერთი ნაბიჯი.

სამწუხაროდ, მკვლევარები ამ წერილებზე შედარებით ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს წერილები მნიშვნელოვანი მომენტების დაზუსტებას შეიცავენ მათ ავტორის ცხოვრებიდან, ამიტომ მათ შესახებ ყურადღების გადატანა არა მარტო სასურველი, არამედ საჭიროც არის, განსაკუთრებით ახლა, როცა აღ. ამილახვრის დაბადებიდან ორნახევარი საუკუნე სრულდება, ხოლო წერილებში აღძრული პრობლემები ინტერესმოკლებული არ არის ზოგიერთი დღევანდელი პრობლემის დაზუსტებისათვისაც.

F10506

E. Bliadze
ALEXANDR AMILAKHVARI - LETTERS
Resume

Alexander Amilakhvari is XVIII -th century well-known Georgian thinker. In spite of his non-Russian orientation and bad relation with Erekle II his life wasn't properly valued. There are some interesting details in his letters about the thinker's life and the realization of political activities of that time.


The problems given in the letters are still important nowadays.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
პ ა რ ლ ა მ ი ნ ტ ი ს
ე რ ო ვ ნ ე უ ლ ი
გ ი ჯ ლ ი ო თ ე კ ა

ლიტერატურა:

1. გელიშვილი პ., ალექსანდრე ამილახორი, თბ., 1936
2. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972.
3. სურგულაძე ივ., საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ. 1986
4. გაზ. "ახალი ქართული გაზეთი", №6, 1998 წლის 30 ივლისი

ქართული პოლიტიკური აზროვნების
ისტორიის კათედრა





შალვა გაბაშვილი

„ვეფხისტყაოსანის“ კვლევის ზოგიერთი საკითხისათვის

(პოემის ამბის, ტარიელისა და ავთანდილის პროტოტიპების, ეპილოგის ავტორობის საკითხები)

ნაშრომში გატარებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც რუსთველის პოემის ამბავს საფუძვლად უდევს ძველი აღთქმის წიგნების მონათხრობი ბიბლიური მეფე დავითის შესახებ, რომელიც ტარიელისა და ავთანდილის პროტოტიპი უნდა იყოს.

ძველ ქართულ მწერლობაში ძალზე ხშირად ვხვდებით ებრაელთა ფსალმუნთმგალობელი მეფის, „ორფეოსის“, სახელს, რომლისგანაც, გადმოცემის თანახმად, ბაგრატიონთა სამეფო გვარი მომდინარეობს.

ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინების შესწავლის თვალსაზრისით, რუსთველის პოემის მასალა მეტად საგულისხმოა. სამების აღსანიშნავად „ვეფხისტყაოსანში“ სხვადასხვა ტერმინია გამოყენებული რომელთა შორისაც არის სამი ფერი (10,4) და, შესაძლოა, სამი სახეც (505,3). „წიგნს“ პოემაში ბიბლიის მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს.

ავთანდილ უთხრა: „ნუ გემის, წიგნსაცა აგრე წერია 1207,1

„ვეფხისტყაოსანში“ რიგ ბიბლიურ საკუთარ სახელებს ვხვდებით, მათ რიგს უნდა მიეკუთვნოს ბიბლიური ანთროპონიმების მსგავსად - ელ (ძვ. ებრ. „ლემერთი“) დაბოლოებით მიღებული ტარიელი, რომელიც იგივე უნდა იყოს, რაც სპარსეთის მეფის დარიოს I-ის ბიბლიის ძველქართულ თარგმანში დადასტურებული ფორმა დარიელი.

რუსთველის რიგი მხატვრული სახეებისა, თქმებისა და ა.შ. ბიბლიით არის შთაგონებული. ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია ამ ორ ნაწარმოებში მრავალი პარალელური სიუჟეტური ხაზის არსებობა.

მეფე დავითის შესახებ ბიბლიურ თხრობასა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის, მიუხედავად მათ შორის მოვლენების ქრონოლოგიური თუ სხვა ხასიათის რიგი სხვაობებისა, შეიძლება შემდეგი საერთო სქემები გამოიყოს:

1. ვაჟი მოხვდება მეფის სასახლეში და მეფეს დაუახლოვდება.
2. ვაჟი და მეფის ქალიშვილი ერთმანეთს შეიყვარებენ.
3. ვაჟი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად დავალებას იღებს.
4. ვაჟი ბრძოლებში სახელს გაითქვამს.
5. მეფესა და ვაჟს შორის მტრობა ჩამოვარდება.
6. ვაჟი სამშობლოდან გადაიხვეწება. დავით წინასწარმეტყველის მსგავსად, ტარიელიც გამოქვაბულებს აფარებს თავს.
7. ვაჟს მშველელად მეგობარი გამოუჩნდება: დავითს იონათანი, ტარიელს - ავთანდილი.
8. შეყვარებულები კვლავ შეხვდნენ.
9. მეფის სიკვდილი.
10. ვაჟი ამარცხებს მტრებს.
11. ვაჟის გამეფება.

ვაჟის სამშობლოს გარეთ „ხეტიალი“ მისი მომავალი მეფობისათვის აუცილებელი ეტაპია. ტარიელის ვეფხის ტყავის სამოსელიც მისი მეფობის მიმანიშნებელია.

ბიბლიური არქეტიპის პიროვნული თვისებები ახასიათებთ ტარიელსა და ავთანდილს, რომლებიც, მეფე დავითის მსგავსად, არიან უებრო მეომრები, ღმერთს მინდობილები, ღვთისმსახურები და ამასთან ერთად ხანდახან სასტიკებიც, ავთანდილს სამუსიკო ნიჭი აქვს, დავითივით ჩანგზე უკრავს და ა.შ.

მოხსენებაში ეჭვი არის გამოთქმული პოემის ეპილოგის ფსევდორუსთველობის შესახებ. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიღებულია ის გარემოება, რომ ბოლოსიტყვაობაში ჩამოთვლილია „ვეფხისტყაოსნის“ შესაქმნელად გამოყენებული ნაწარმოებები და დასახელებულია მთავარი გმირის პროტოტიპი, რომელიც შეიძლება მხოლოდ ავტორს სცოდნოდა.

მოხსენებაში უპირატესობა ენიჭება ტაეპის იმ წაკითხვას, რომელიც პოემის ქართველიშვილისეულ გამოცემაშიც არის შესული:

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა“

ასეთ შემთხვევაში პოეტის სადაურობა ქალაქ რუსთავისგან ორი ნიშნით არის გამიჯნული: 1. იგი მესხეთიდან არის, 2. დაბა მესხეთის მკვიდრი ან, უფრო სავარაუდოდ, მისი მფლობელი.

სხვა მონაცემებთან ერთად (აღორძინების ხანის მწერლობის ცნობები, ზეპირგადმოცემა, „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივი მასალა, რომელშიც, დიალექტიზმების თვალსაზრისით, მესხური ელემენტი ჭარბობს და სხვა)

ამგვარი წაკითხვაც შეიძლება კიდევ ერთი საბუთი იყოს რუსთველის მესხური წარმომავლობის სასარგებლოდ.

ეპილოგში სახელი დავითი ორჯერ არის ნახსენები.

„ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს მარებლად“. მეორე მაგალითში დავითის ხსენებასთან ერთად ძველი აღთქმის წიგნები უნდა იყოს ნაგულისხმევი.

„დავითის ქნანი ვითა ვთქვენე, სიჩალხე - სიხაფეთანი ესე ამბავი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი, პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი, ვპოვე და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი“.

ტარიელის წინარესახის დადგენის თვალსაზრისით, საგულისხმოა გამოყენებულ თხზულებებს შორის „აბდულმესიანის“ დასახელებაც, ვინაიდან აქ დავით წინასწარმეტყველზეც არის საუბარი.

დავითისა და დავით ისა და აფუცა უფალს სიტყვა-მტკიცედა
„ნაშობნი შენნი, შენს მიერ შენნი“

დავსვა მსაჯულად საყდარსა ზედა“...

მოსხენებაში გამოთქმული შეხედულების თვალსაზრისით, საინტერესოა რუსთველისა და „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირების დამოკიდებულება იერუსალიმისადმი. ვადმოცემით აქ გაატარა სიცოცხლის დასასრული რუსთველმა და აქვე აღესრულა. „მეფე თამარმა იერუსალიმში ააშენა მონასტერი“. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ტარიელის სავარაუდო პროტოტიპის დარიოსის (დარიელის) ღვაწლი, რომელმაც ხელახლა ააშენა მტრის მიერ დანგრეული იერუსალიმის ტაძარი. „წელსა მას მეექუსესა დარიელ მეფისა აღესრულა ტაძარი იგი. „დავით წინასწარმეტყველმა იერუსალიმი აქცია ისრაელის დედაქალაქად“.

„ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა ძირითადად ეყრდნობა ბიბლიური მეფე დავითის „ამბავს“, ასახავს მის ბრძოლას სამშობლოს მტრებისა და მეფე საულის წინააღმდეგ, რომელშიც ქარიზმის წყალობით დავით წინასწარმეტყველი იმარჯვებს და მეფდება, კვენტენსეციურად ამასვე ამბობს ჩახრუნაძეც „თამარიანში“: „საულს მეფობა ართო, მეფობა დავით მიჰმადლა შეფიცებულად“.

აღნიშნული თვალსაზრისით, რუსთველის პოემა თავისებურად „დავით-საულიანიც“ არის. ამ ასპექტით გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ საქართველოში არსებულია თხზულება „დავით-საულიანი“.



სავარაუდოა, ძველი ალექსის წიგნებიდან "ვეფხისტყაოსნის" სათავეებზე მოიყენა, აგრეთვე, რუსთველმა დავითის მეფის ქალიშვილ მელქულთან სასიყვარულო ისტორია, რომელიც მათი ქორწინებით დამთავრდა, მისი მეგობრობა იონათანთან და სხვა, ბიბლიური ფაბულა საგმირო-სათავგადასავლო რომანის, "ამირანდარეჯანიანის", რომლისგანაც მომდინარედ მიიჩნევა "ზოგიერთი მკვლევარი "ვეფხისტყაოსნის" ამბავს, სიუჟეტურ ხაზებთან არის შენივთებული.

პოემის მთავარი გმირების წინასახეები არიან "ღვთის მამად" წოდებული მეფე დავითი, რომლის შთამომავალთა შორის იშვა მაცხოვარი და "ღვთაების მეოთხე ჰიპოსტასი" - მეფე თამარი.

იქნებ მთელი მსოფლიოს სახელოვანთა უშრეტო წყარო - ბიბლიური ამბები არის ის "ხელისუფლებასაგომანებელი ობოლი მარგალიტი"..., რომელიც აქამდე პროზის სახით არსებული, გენიალურმა პოეტმა "ლექსად თქვა"...? ამ თვალსაზრისით, არც ის ვარაუდობა უნდა იყოს ინტერესმოკლებული, რომ რუსთველის ე.წ. არმოღწეულ ნაწარმოებებს შორის ბიბლიურ თემებზე შეთხზულ რომანს იოსებ მშვენიერსა და "ქესამსაც" ასახელებენ.

Shalva Gabeskiria

TOWARDS SOME PROBLEMS OF RESEARCH OF "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN"

(Problems of Authorship of the Story, of Tariel's and Avtandil's Prototypes, of the Epilogo of the Poem)

The paper substantiates the viewpoint according to which the story of Rustaveli's poem is based on the Old Testament stories about Biblical King David, who might have be Tariel's and Avtandil's prototype.

From the standpoint of research of ancient Georgian religions terms, the material of Rustaveli's poem is very noteworthy.

Some of Rustaveli's artistic images originate from the Bible. In this case, more significant is the occurrence of numerous paralleled story lines in these two works.



გურამ გაბუნია

„მატიანე ქართლისაჲს“ ერთი ცნობის
(ბაბრატ მეფემ „დაიჭირა დინარ დედოფალი
თჳს სად“) გაბეზისათვის*

„მატიანე ქართლისაჲს“ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალი ერთ-ერთი ძირითადი თხზულებაა, რომელიც XI საუკუნის ანონიმურ ნაწარმოებად ითვლება. იგი მოიცავს საქართველოს ისტორიის საკმაოდ ვრცელ პერიოდს – ყოველი ქართლის ერისმთავრის („მეფის“) წმიდა მოწამის არჩილის გარდაცვალებიდან (VIII საუკუნის შუახანები) ვიდრე გაერთიანებული საქართველოს მეფე გიორგი მეორემდე (XI საუკუნის 70-იანი წლები). თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში „მატიანე ქართლისაჲს“ ერთ-ერთ ყველაზე სანდო ისტორიულ წყაროდაა მიჩნეული.

ზემოაღნიშნული თხზულების უცნობი ავტორი ერთგან გვაუწყებს: „კუალად გამოვიდა ყოვლითა სპითა თჳსითა ბაგრატ, აღილო მეორედ ჰერეთი. დაიჭირა დინარ დედოფალი თჳსად, იწყო ძებნად კახეთისა...“¹

იმავე ისტორიული ფაქტის გადმოცემისას, სახელოვანი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი პირველად წერს: „დაიჭირა დედოფალი დინარ“, ხოლო მეორე შემთხვევაში – „წარიყვანა დინარ დედოფალი“.²

* წაკითხულია მოხსენებად 1998 წლის 7 აპრილს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მე-5 (56-ე) სამეცნიერო კონფერენციაზე. ცალკე დაიბეჭდა მოხსენების თეზისები.

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 279^{გ,დ}

² ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. IV, თბ., 1973, გვ. 140²⁵⁻²⁶, 561³



აღნიშნული ეპიზოდი XI საუკუნის დასაწყისის საქართველოს ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს – საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენას ეხება. აქ საუბარია ჰერეთ-კახეთის შემოსაერთებლად გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის მეორე (თუ მესამე) ლაშქრობაზე, რომელიც წინა ლაშქრობის შემდეგ სულ მალე უნდა დაწყებულიყო. ივანე ჯავახიშვილის, და მის კვლადკვალ, მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ეს ორწლიანი სამხედრო კამპანია დაახლოებით 1008-1010 წლებში უნდა მომხდარიყო. ბოლო ხანს გამოითქვა ახალი, განსხვავებული თვალსაზრისი: კახეთზე ერთ-ერთ პირველ ლაშქრობას ადგილი ჰქონია გაცილებით ადრე, კერძოდ, 1003 წელს.³

ბაგრატ მეფის უკანასკნელი ლაშქრობის დროს კახეთ-ჰერეთის ფაქტობრივად გაერთიანებულ სამეფოს დავით ქორეპისკოპოსის შვილი კვირიკე III დიდი (1009-1037) განაგებდა. ბაგრატმა ხელმეორედ დაიმორჩილა ჰერეთი, „დაიჭირა დინარ დედოფალი თუსად“ და ახლა საკუთრივ კახეთს მიაღვა. „რანთა და კახთა“ მეფე კვირიკე ბოჭორმის ციხეში გამაგრდა. ბაგრატმა ციხე გარემოიკვა. ერთი წლის შემდეგ ციხე-სიმაგრე დაეცა და კვირიკე დაატყვევეს. ქართული სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის თავდაუზოგავად მებრძოლმა მეფემ ჰერეთი და კახეთი უშუალოდ დედა-სამშობლოს შემოუერთა და იქ თავისი ერთგული ერისთავები დანიშნა.

გამარჯვებული ბაგრატ მეფე საქართველოს მაშინდელ სატახტო ქალაქ ქუთაისში, „თუსსა კარსა ზედა“ საპატიო ტყვეებით (თუ ტყვით) „ხელდამშვენებული“ დაბრუნდა. მათ შორის იყო კახეთ-ჰერეთის პირველი მეფე კვირიკე დიდი, ხოლო მეორე, შესაძლებელია ყოფილიყო ჰერეთის დედოფალი დინარა. ყოველ შემთხვევაში, უაღრესად სანდო ქართული წყაროებიდან მიღებული პირველი შთაბეჭდილება თითქოს ასეთია.

³ იხ. ვ. სიღლიშვილი, ათონის ქართული სიძველეებიდან: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2000, №5, გვ. 5-7.

ზემოთ წარმოდგენილ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული „დედოფლის“ ვინაობის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სერიოზული დავის საგანი გახდა.

1.1. ზოგიერთი მკვლევარი (ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი) „მატიანე ქართლისაჲსა“ და ვახუშტის თხზულებაში მოხსენიებულ, ბაგრატ მეფის მიერ დატყვევებულ და ჰერეთიდან „წარყვანილ დინარ დედოფალს“ აიგივეებს ჰერეთის დიდ და სახელგანთქმულ დედოფალთან, რომელმაც X საუკუნის შუახანებში⁴ ჰერები მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე მოაქცია.

ცნობილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე დინარ დედოფალი იყო ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის, კერძოდ, კლარჯეთის (არტანუჯელთა) სახლის წარმომადგენელი, ადარნასე II-ის ასული, ცნობილი ერისთავთ-ერისთავისა და მაგისტროსის გურგენ IV დიდის და. მისი მეუღლე გახლდათ ჰერეთ-ალბანეთის მეფე ადარნასე პატრიკი, ხოლო შვილი - ამავე სამეფოს ცნობილი მეფე იშხანიკ II. ჰერეთის დედოფლის სახელი იმთავითვე ლეგენდებით შეიმოსა და მსოფლიო (კერძოდ, და განსაკუთრებით - ბიზანტიურ და რუსულ) ისტორიულ და სიტყვაკაზმულ მწერლობაში „მხატვრული გააზრების საგნად“, მის პოპულარულ პერსონაჟად იქცა.

1.2. მ. ბროსესა და კ. თუმანოვის განმარტებით, ბაგრატ მეფემ იმავე დინარ დედოფლის, ოლონდ, ვითარცა წმინდანის ნეშტი, ჰერეთიდან დასავლეთ საქართველოში გადაასვენებინა. ამ მოსაზრებას, კერძოდ, ქუთათისის ბაგრატის ტაძარში დინარ დედოფლის დაკრძალვის ვერსიას მხარს უჭერენ ვ. ცინცაძე, ზ. ჟვანია (მამა ზინობი), გ. გაბუნია⁵ და სხვ.

⁴ ი. პაპუაშვილის გამოანგარიშებით, 943 წელს (იხ. მისი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 205).
⁵ ბ. პაპუაშვილი, საქართველო X საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XI საუკუნის დასაწყისში, ქუთაისი, 1997, გვ. 151.



დაახლოებით ასეთ ვარაუდს გამოთქვამს გ. მაისურაძე. მაგრამ, სხვაგვარად განსხვავებით, მას მიაჩნია, რომ ბაგრატ მეფემ ჰერეთის დედოფლის ნემუჩი დასავლეთ საქართველოში გადაასვენებინა არა ჰერეთიდან, არამედ ისტორიულ სივნიეთში (მაშინდელი სომხეთი) მდებარე ვაჰანგანქის სამონასტრო კომპლექსიდან, სადაც, მისი აზრით, თავის დროზე უნდა დაეკრძალათ დინარ დედოფალი.⁶ ქართულ წყაროებში მოხსენიებული დინარ დედოფლის სივნიეთში დაკრძალვის ვერსიის ავტორია სომეხი მეცნიერი გ. გრიგორიანი.⁷

აღნიშნული ფაქტის ამგვარ ახსნას (დინარ დედოფლის ჰერეთიდან დასავლეთ საქართველოში "წარმოყვანას") ჰერეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი თ. პაპუაშვილი სიმპათიით ეკიდება და "ერთ მეტად გონებამახვილურ დაკვირვებად" თვლის. თუმცა, დედოფლის ცოცხლად მოხსენიება მეცნიერს "ძალზე საეჭვოდ" მიაჩნია. იგი ამას ჯერჯერობით მაინც აუხსნელ შემთხვევად თვლის და თავს იკავებს საკითხის საბოლოო გადაწყვეტისაგან.⁸

2. მკვლევართა ნაწილს (გ. ჩუბინაშვილი,⁹ ა. ბოგვერაძე, გ. მჭედლიძე) კი წყაროებში მოხსენიებული პიროვნება სულ "სხვა დინარ დედოფლად" მიაჩნია.

ა. ბოგვერაძის თვალსაზრისი, რომელიც ვრცლად მიმოიხილავს საკითხის ისტორიოგრაფიულ ნაწილს, ძირითადად ქრონოლოგიური შეუსაბამობის მომენტებსა (მაშინ ჰერეთის ცნობილი დედოფალი, თუ იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, "სულ ცოტა 115 წლის მაინც იქნებოდა!") და ამ აქტის მისთვის, ე.ი. ავტორისათვის "დაუჯერებელ" და "აუხსნელ" პოლიტიკური და ქრისტიანული მორალის ასპექტებზეა დაფუძნებული. იგი ერთდროულად, "გაუგონარი მკრეხელობა" და "უგუნური პოლიტიკური

⁶ ბ. მაისურაძე, დინარ დედოფლის ნემუჩის კვლზე: ჟურნ. "მნათობი", 1988, №4, გვ. 149-157.
⁷ იხ. Г. ГРИГОРЯН, Новонайденные надписи Ваанаванк, Историко-филологический журнал, №1(56), Ереван, 1972.
⁸ თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 215; მისივე, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982; გვ. 210-216, 218-220.
⁹ Г. ЧУБИНАШВИЛИ, Архитектура Кахети, Тб., 1959, стр. 23, სქ. 5.



აქტიც" იქნებოდაო, წერს მკვლევარი. ბ-ნ ა. ბოგვერადის აზრით, მატიანი-სეული "დინარ დედოფალი" იყო, ერთი მხრივ, სახელგანთქმული დინარ დედოფლის შვილიშვილი და იშხანიკ მეფის ასული, ხოლო, მეორე მხრივ, დავით ქორეპისკოპოსის ქვრივი და მეფე კვირიკე III-ის დედა. თუმცა, "საკმაოდ მყარი საფუძვლის" მქონე მთელი ეს მოსაზრება, "პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო, ჭეშმარიტებას ვერ დაიჩემებს", ფრთხილად დასკვნის თავად ავტორი...¹⁰

მართლაც, პირდაპირი და უტყუარი ცნობების უქონლობის გამო, საბოლოო ჭეშმარიტების დასადგენად, აშკარად იგრძნობა ახალი, საგანგებო კვლევა-ძიებისა და დამატებითი წყაროებისა და არგუმენტაციის მოპოვების საჭიროება.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ყურადსაღებია ძველთაგანვე არსებული ადგილობრივი გადმოცემა-ტრადიცია, რომლის თანახმად, ჰერეთის სახელგანთქმული დედოფალი დინარა დაკრძალულია ქუთათისის სიონის (ბაგრატის) საკათედრო ტაძარში...

Guram Gabunia

ZUR DEUTUNG EINER AUSKUNFT DER "CHRONIK VON KARTLI" ("MATIANE KARTLISSAI")

Resumee

In der vorliegenden Abhandlung geht es um eine Auskunft des Anonymus der "Chronik von Kartli" - eines der Werke der Sammlung "Das Leben von Kartli ("Kartlis Zchowreba"). Die Überlieferung bezieht sich auf den Feldzug

¹⁰ ა. გოგვერადი, ბაგრატ III-ის მიერ ჰერეთისა და კახეთის შემოერთების ისტორიიდან: კრებ. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბ., 1991, გვ. 189-199; შდრ. ბ. მჭედლიძე, ბაგრატ მესამის საქართველო, ქუთაისი, 1996, გვ. 485-486, სქ. 1.

des ersten georgischen Königs Bagrat III. in Kachet-Hereti (ca. 1010) und die Frage der bekanntesten Herrscherin von Hereti der Königin Dinara.

In der georgischen Geschichtsschreibung wird um dieses Problem viel gestritten.

ქუთაისის ისტორიის ინსტიტუტი

ბურაგ ბაგუნია

მეფე ბაგრატ მესამის ფრანკული გამოსახულებისა და ნებროპოლის საკითხისათვის*

გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ მესამე ბაგრატიონის (978-1014) ფრესკული გამოსახულებისა და დაკრძალვის ადგილის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული დავის საგანია.

ბაგრატ III, როგორც ბედიის საკათედრო ტაძრის მთავარი ქტიტორი, გამოსახული იყო ტაძრის (ახლანდელი ნაგებობა XIII-XIV საუკუნეებს განეკუთვნება) სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, ეკლესიის მოედელით ხელში, დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენლებთან ერთად. სამწუხაროდ, უკანასკნელ დრომდე ამ, შედარებით გვიანდელი, კედლის მსატვრობის მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები იყო შემორჩენილი. ამჟამად, ცნობილი მოვლენების გამო, ბედიის ტაძრის საერთო მდგომარეობა ჩვენთვის უცნობია.

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის აზრით, ბაგრატ მესამე უნდა იყოს გამოსახული ზარზმის მონასტრის ერთ-ერთ ფრესკაზეც...¹

1014 წლის 7 მაისს ფანასკერტის ციხეში გარდაცვლილი ბაგრატ III-ის ცხედარი, „მატიანე ქართლისაჲს“ უაღრესად სანდო ავტორის ცნობით, საქართველოს სახელოვანმა სარდალმა, ერისთავთ-ერისთავმა ზვიად მარუშიანმა ამიერტაოდან გადმოასვენა «და დამარხა ბედიას»² (აწინდელი ოჩამჩირის რაიონი, სოფ. აგუბედია).

* წაითხვლია მოხსენებად 1998 წლის 17 აპრილს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა III სამეცნიერო კონფერენციაზე ცალკე დაიბეჭდა მოხსენების თეზისები.

¹ იხ. ლ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე), ტფ., 1889, გვ. 242, 268; შტრ. ბ. მჭედლიძე, ბაგრატ მესამის საქართველო. ქუთ., 1996, გვ. 19.

² ი. ჰაპაზნიშვილი თვლის, რომ ზარზმის მონასტრის კედელზე შემონახულ პორტრეტზე გამოსახული პიროვნება ბაგრატ IV უნდა იყოს (იხ. ი. ჰაპაზნიშვილი, თსუ, ტ. II, თბ., 1983, გვ. 158).

³ ქართლის ცხოვრება (ს. ჰაპაზნიშვილის გამოც.), ტ. I, თბ., 1955, გვ. 283₂₂.

ვასუშტი ბაგრატიონი თავის სახელგანთქმულ ნაშრომში «აღწერა სამეფოსა საქართველოსა» ერთგან შეცდომით წერს, რომ მეფე-გამამართანებელი დაკრძალულია («დაფლულ არს») ქუთათისის ტაძარში. თუმცა, ამავე ვრცელი საისტორიო თხზულების სხვა ადგილას იგივე ვასუშტი, სავეებით სამართლიანად, აღნიშნავს, რომ ზვიად ერისთავმა ბაგრატ მეფის ნეშტი მიაბარა («დაფლა») ბედიის მიწას.³ რატომღაც ზოგიერთ მკვლევარს ეს უკანასკნელი გარემოება ყურადღების გარეშე რჩება.

როგორც ცნობილია, ძველი ქართული სამართლის ძეგლში «ხელმწიფის კარის გარიგება» ბედიელ ეპისკოპოსს «მოსაფლავე», ე.ი. სამეფო საფლავის მცველი და მფარველი ეწოდება.⁴ ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ კონკრეტულად ეს შემთხვევა ბედიამი ბაგრატ მეფის დაკრძალვის ფაქტით შეიძლება აიხსნას.

როგორც საისტორიო წერილობითი წყაროებითაა ცნობილი, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფეები დაკრძალულია: ბაგრატ III - ბედიის სამონასტრო კომპლექსში, გიორგი I - ქუთათისის საკათედრო ტაძარში, ბაგრატ IV - ჭყონდიდში (შემდეგდროინდელი მარტვილი). დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული კი ერთიანი საქართველოს საჭეთმპყრობელნი იკრძალებოდნენ ქუთათისის მახლობლად, მათთვის სპეციალურად დაფუძნებულ გელათის «სამეფო საძუალეში». საქართველოს «უძველეს მთაწმინდაზე», დავით მეფის მიერ აგებულ გელათის სავანეში განისვენებენ: დიდი მეფის აღმზრდელი («მამამძუძე»), ქვეყნის უპირველესი ვაზირი გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, გაერთიანებული საქართველოს მეფეები - დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, გიორგი III, დიდი თამარი, გიორგი ლაშა, რუსუდანი.

საინტერესოა, რა ფაქტორებმა განაპირობეს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ მესამე არ დაკრძალეს მისი ხელმძღვანელობით ახლად აღორძინებული ერთიანი სახელმწიფოს იმ-

³ ქართლის ცხოვრება (ს. მანუჩიშვილის გამოც.), ტ. IV, თბ., 1973, იხ. შესაბამისად, გვ. 761-²⁰ და 780-^ხ.

⁴ ხელმწიფის კარის გარიგება, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ძ. სურბაშლაძემ, თბ., 1993, გვ. 26 (იხ. ქართული ტექსტი, XXVIII); ბ. პალანდია, ბედიელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი: ჟურნ. არტანუჯი, თბ., 1995, №4, გვ. 33.



დროინდელ დედაქალაქში, კერძოდ, მისივე თაოსნობით აგებულ ქუთათის სის სიონის საკათედრო ტაძარში? ქართული წყაროების (მატიანე ქართლისაჲ, „სუმბატი“, „ხელმწიფის კარის გარიგება“) ცნობით ზომ, გაერთიანებული საქართველოს უკვე მეორე მეფემ გიორგი პირველმა, ბაგრატ III-ის ძემ, სწორედ აქ ჰპოვა თავისი სამუდამო განსასვენებელი?!⁵

ჩვენი აზრით, დიდი ბაგრატოვანი მეფე, ალბათ, სიკვდილამდე ერთგული დარჩა ქუთაისში, საქართველოს სამეფო კარზე თავიდანვე შემუშავებული ზოგადქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კურსისა, რომლის თანახმად იგი, ე.ი. ბაგრატ III, თავის მემკვიდრეობით წარმომავლობას, უპირველეს ყოვლისა, დედის ხაზით, ე.ი. „დედულეთიდან“ - დასავლეთ საქართველოს (ევრის-აფხაზეთის) მეფეებიდან იწყებდა. ეს „განაცხადი“ მან თავისებური ისტორიული „მანიფესტის“ სახით, საჯაროდ გააკეთა კიდევ თავის ცნობილ სამართლის ძეგლში „ქუთათის დივანი“ (აფხაზეთის მეფეთა ქრონიკა).⁵ როგორც ჩანს, ბრძენი მეფე სათანადო ანგარიშს უწევდა ევრის-აფხაზეთის სამეფოს „ქუთათისის ტახტზე“ არსებულ ძველისძველ, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ძლიერ ტრადიციას. იგი იქმნის თავისი მეფობის ლეგიტიმურობის იდეოლოგიურ საფუძველს. დოკუმენტურად ასაბუთებს თავისი მეფობის კანონიერებას დასავლეთ საქართველოში (მ. ლორთქიფანიძე).

შესაძლებელია, ევრის-აფხაზეთის აღრინდელი სამეფო დინასტია (ე.წ. „ლეონიანები“, „ლეონიდები“) წარმოშობით სწორედ ისტორიული ევრისის ერთ-ერთი ძირეული ქართული ქვეყნიდან „საბედიანოდან“ (გვიანდელი „სამურზაყანო“) ყოფილიყო. ეს ქვეყანა თავისი მნიშვნელობით დასავლეთ საქართველოში მხოლოდ „შიდა ევრისს“ (ქუთათისი და ციხეგოჯი) თუ ჩამოუვარდებოდა. შეიძლება ამითაც აიხსნას „მეფე-გამაერთიანებლის“ გასაოცრად მშობლიური ზრუნვა ბედიისადმი, როგორც „დედულეთისადმი“.

ბოლო დრომდე შემორჩენილი გადმოცემა-ტრადიციის თანახმად, ბედიის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში დაუკრძალავთ ბაგრატის დედა, უკანასკნელი დიდი „ლეონიანი“, ამავე ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორი - გუარანდუხტ დედოფალი.

არ არის გამორიცხული, ბაგრატ მეფის უახლოესი და ერთგული თანამებრძოლი, დიდი ქართველი მთავარსარდალი, ერისთავთ-ერისთავი ზვიად მარუშიანი ქუთათისის სამეფო კარზე არსებული მეფის წერი-

⁵ ვ. თაყაიშვილი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, „ძველი საქართველო“, ტ. II, ტფ., 1911-1913, გვ. 28-54.



ლობით თუ ზეპირ „ანდერძს“, ე.ი. ბაგრატ მესამის მეფურ ნებას
 ლებდა, როდესაც იგი გარდაცვლილი დიდი ხელმწიფის ცხედარს ბედიის
 უძველეს მიწას აბარებდა...

Guram Gabunia

**ZUR FRAGE DER FRESKODARSTELLUNG UND
 DER NEKROPOLE VOM KÖNIG BAGRAT III.**

Resümee

Die Frage nach der Freskodarstellung und der Begräbnisstätte des georgischen Königs Bagrat III. ist in der georgischen Geschichtsschreibung der Gegenstand der Kontroverse.

Der Verfasser vertritt den traditionellen Standpunkt, wonach der erste König Georgiens in der von Ihm erbauten Bedia-Kathedrale beigesetzt ist.

ქუთაისის ისტორიის ინსტიტუტი

ზოღბრძი ზაჭრძი

ილია ჭავჭავაძე საქართველოში მიწების
გამიჯვნის შესახებ

ილია ჭავჭავაძის „შინაურ მიმოსხილვებში“, რომლებიც პერიოდულად „ივერიის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა და საქართველოს საშინაო ცხოვრების საჭირობოროტო პრობლემებს ასახავდა, გარკვეული ადგილი ეჭირა მიწების გამიჯვნასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მიწების გამიჯვნას საქართველოში, ისე როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, ხანგრძლივი ისტორია აქვს.¹ საადგილმამულო მიჯნების დადგენისა და იურიდიულად განმტკიცების საჭიროება, მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენასთან ერთად წარმოიშვა. მიწათმფლობელთა მამულები ერთმანეთისაგან განცალკავებული იყო სასაზღვრო ნიშნით, რომელსაც მე-17 საუკუნიდან ქართულ წყაროებში მიჯნა ეწოდებოდა (აქედანაა წარმოებული „გამიჯვნა“). უფრო ადრე გამოიყენებოდა ტერმინები: „ხელი“, „ჯვარი“, „საზღვარი“.² მიწის მესაკუთრეთა შორის დავის უმეტესი ნაწილი მათი სამფლობელოების საზღვრების დადგენასთან იყო დაკავშირებული და, ამდენად, „სამიჯნო დავას“ წარმოადგენდა. საუკუნეების მანძილზე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის დროს, სამიჯნო დავის საკითხებსა და გამიჯვნის წესებს ქართული სამართალი აწესრიგებდა. ჩვენამდე მოღწეულია მიჯნაძორისა და ოპიზის მონასტრებს შორის სამამულო დავის სასამართლოში გარჩევის კლასიკური საბუთი - ბაგრატ მე-4-ის (1027-1072) მიერ გაცემული სიგელი (საქმე გაირჩა ქუთაისში მეფის უშუალო ხელმძღვანელობით), რომელშიც ნათლად ჩანს მოდავე მხარეების მიწებს შორის მიჯნის განსაზღვრის მნიშვნელობა.³

მე-19 საუკუნის დასაწყისში, ცარიზმის მიერ საქართველოს დაპყრობისა და ანექსიის შედეგად, ქართველმა ხალხმა დამოუკიდებელ სახელმწი-

¹ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა რატომღაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ არის.
² დ. ფურცელაძე, მიწის გამიჯვნა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბ. 1984, გვ. 37
³ საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფ., 1909, გვ. 2-3



ფოებრიობასთან ერთად, დაკარგა საკუთრების უფლება ეროვნულ-ტორიასა და ბუნებრივ რესურსებზე. ამიერიდან სახელმწიფო ან სახაზინო ქონება ნიშნავდა რუსეთის იმპერიის ქონებას, რომლის მართვისათვის შექმნილი იყო სპეციალური სამსახურის მთელი სისტემა (სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო, სახაზინო პალატა და ა.შ.), რომელიც ფხიზლად იდგა ცარიზმის ეკონომიკური ინტერესების სადარაჯოზე, მისი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად უბანს მიწების გამიჯვნა შეადგენდა.

სახელმწიფო მიწების ფონდის დასადგენად და გასაფართოებლად რუსულმა მმართველობამ საქართველოში მიზნად დაისახა გამოერკვია, ვინ და რა რაოდენობის მიწას ფლობდა საკუთრების უფლებით.⁴ ამისათვის აუცილებელი იყო მიწათმფლობელთა მამულების საზღვრების დადგენა და მათი გამიჯვნა. თანდათან მიწების გამიჯვნამ ფართო მასშტაბები მიიღო და იგი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მტკივნეულ პრობლემად გადაიქცა. თავდაპირველად, (მე-19ს. 20-30-იანი წლები) სათავადოების გაუქმების გამო, დიდი ოჯახების დაშლასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა მათი წევრების საერთო მიწების გაყოფა-გამიჯვნა და თითოეულზე იურიდიულად გაფორმება. შემდეგ (მე-19 ს. 60-70-იან წ.წ.), ბატონყმობის გაუქმებამ განთავისუფლებული გლეხების ნადელებისა და მათი ყოფილი მებატონეების მიწების გამიჯვნის აუცილებლობა გამოიწვია. ჩამოყალიბდა მთელი წყება დაწესებულებებისა (გამიჯვნის პალატა, გამიჯვნის საგუბერნიო და სამაზრო კომისიები და ა.შ.), რომლებიც ამ საქმეს ემსახურებოდნენ. ქვეყნდებოდა ახალ-ახალი კანონები და ინსტრუქციები. მმართველობის ბიუროკრატიული აპარატის ჩინოვნიკთა მრავალრიცხოვან არმიას შეემატნენ: მიწისმზომელი, გამიჯვნის დარგის ინჟინერი, გამიჯვნის სამართლის იურისტი და ა.შ.

გამიჯვნა და მიწაზე მესაკუთრის კანონიერი უფლების სამართლებრივი წესით გაფორმება აუცილებელი, გადაუდებელი და სასარგებლო ღონისძიება იყო. მას უნდა მოეწესრიგებინა მიწათმფლობელთა ურთიერთობა და სოფლად მეურნეობის განვითარებისათვის მყარი საფუძველი ჩაეყარა. მაგრამ მიწების გამიჯვნის იმ წესმა, რომელსაც რუსული მმართველობა იყენებდა, საწინააღმდეგო შედეგები გამოიღო - კიდევ უფრო გააფართოვა და გააღრმავა დავა მიწათმფლობელთა შორის მამულების გამო. მიწების

⁴ К. Долгов, Споры казны и практикуемая защита прав ее на межуемая земли в Закавказье, Межевой сборник, вып. III, СПб. 1905., ст. 1.



გამიჯვნასთან დაკავშირებით დავის აღძვრამ საყოველთაო, ყოვლისმომცველი ხასიათი მიიღო. ერთმანეთს ედავებოდნენ თავადები, აზნაურები, გლეხები, ეკლესია და საერო პირები, ხოლო ყველას მათ - სახელმწიფო-ხაზინა. სასამართლოები აივსო მამულების გამო მოდავეთა საჩივრებით, დამოკიდებულება სხვადასხვა წოდებებსა და სოციალურ ფენებს შორის უკიდურესად დაძაბული იყო, რასაც არც თუ იშვიათად, თან ახლდა მძიმე დანაშაულობანი (მკვლელობა, დასასჩირება დ ა.შ.). რადგან დავის ერთ-ერთი მთავარი წამომწყები სახელმწიფო-ხაზინა იყო, ხოლო მისი გარჩევა რუსულ სასამართლოში ხდებოდა, მიწის გამიჯვნა და „აპორი“ თანამგზავრი ტერმინები გახდა. ქართულ მეტყველებაში დამკვიდრდა გამოთქმები: „მამულები სასაბოროდ გახადეს“, „მამულები დასაბორეს“ და სხვ.

მიწების გამიჯვნა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და 900-იანი წლების საქართველოს პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა. ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ ამ პრობლემის მოგვარებაზე ბევრად იყო დამოკიდებული სოფლის ეკონომიკური კეთილდღეობა. ჯერ კიდევ „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის თებერვლის ნომერში რუბრიკით „სხვადასხვა ამბავი“ გამოქვეყნდა წერილების სერია, რომელთაგან ერთი - „საქართველოს გამიჯვნაების გამო“⁵ სწორედ ამ საკითხს ეძღვნებოდა. მასში ნაჩვენებია არამარტო მიწების გამიჯვნის დიდი მნიშვნელობა, არამედ ისიც, რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ საქართველოში. „ერთი დიდი და ფრიად სასარგებლო საქმეთაგანი არის დაწყება ჩვენის ქვეყნის გამიჯვნაებისა - წერდა ავტორი... ვინ არ იცის, რანაირად არის დახლართული ჩვენი მამულ-დედულების საქმე. მრთელ საქართველოში ოცი მამული არ იბოვება, რომ მოდავე არა ჰყვანდეს, სრულიად უდავო იყოს. ამ დავების და საქმეების დახლართვის მიზეზი მრავალია, მაგრამ იმათ შორის უპირატესი ადგილი უჭირავს იმას, რომ თვითული მამული არ არის თვითეულად გამიჯნული და განსაზღვრული ჩვენ შორის. ეს უმიჯნავოდ მამულების ყოფნა ყველას ჩაიტყუებდა ხოლმე დავაში... როგორც წვიმის

⁵ „საქართველოს მოამბე“, 1863, II, თბ., 1992, გვ. 11-16. სპეციალურ ლიტერატურაში „სხვადასხვა ამბავის“ შესახებ შემდეგი მოსაზრებაა გამოთქმული - აკ. კენჭოშვილის მიხედვით, ამ სათაურით დაბეჭდილი ყველა საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკური მიმოხილვის ავტორია ილია ჭავჭავაძე (აკ. კენჭოშვილი, ილია ჭავჭავაძე, თბ. 1962, გვ. 60). პ. გუგუშვილი თვლიდა, რომ დასახელებული სერიიდან ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის წერილი საქართველოში მამულების გამიჯვნაზე (პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, თბ. 1941, გვ. 372), ხოლო ალ. კალანდაძის აზრით, „სხვადასხვა ამბავის“ ხელმოწერილი წერილები და მათ შორის საქართველოს გამიჯვნაების გამო“ დაწერილია გამოჩენილი პუბლიცისტის, საქართველოს მოამბის ერთ-ერთი დამფუძნებელი დავით ყიფიანის მიერ (ალ. კალანდაძე, საქართველოს მოამბე, თბ. 1963, 50-51).



ნიაღვარი ისე მიეშო დავები სასამართლოებში... ამ დავებმა ისე ატყვევებინა თეს, რომ ძმა ძმის მტერია და ბიძა-შვილი ბიძა-შვილისა და ერთი მშვენიერი სიკეთე შეგვიძინეს, რომ სიმართლისადმი ნდობა აღარ გვაქვს და ჩვენს საკუთრებაზედაც არა ვართ დარწმუნებული... თვითონ მამულსაც ის ფასი აღარა ჰქონდა, რის ღირსიც იყო...⁶

„საქართველოს მოამბის“ რედაქცია ამ წერილით მიზნად ისახავდა დახმარება აღმოეჩინა თავისი მკითხველისათვის, რომლებიც მიწების გამიჯვნით იყვნენ დაინტერესებულნი. თვით ილია ჭავჭავაძე, როგორც მიწათმფლობელი და მამულების მეპატრონე, აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში. 1878 წლის ოქტომბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში ილია ყვარელში იმყოფებოდა და მონაწილეობდა ყვარლის ჭავჭავაძეების საგვარეულო მამულების, ავარაკებისა და ტყეების გადანაწილება-გამიჯვნაში, გაყოფის ოქმების შედგენაში.⁷ მე აქ იასესთან ვარ ჩამომხტარი და ყოველს დღეს დილის რვა საათიდან საღამოს ექვს საათამდე ზემულემერს უკან დავდევთ - წერდა ილია ჭავჭავაძე მიუღწეველ საგურამოში - ჩვენი საქმე ჯერ გვინა გათავდება; აბა იფიქრე, ჯერ სასახლეები დაეზომათ, მინამ მე მოვიდოდი, და ჩემის მოსვლის შემდეგ ვენახების ზომას მოჰყვენ და აქომამდე ვენახები ვერ გავგითავებია. ჯერ მინდვრებისა და ტყის ჩუჩინიც არ არის. აი ესლა გწერ წიგნს და კარზე ცხენი მიდგა, ტყეში მივდივარ გასასინჯავათ და სამშაბათს დავბრუნდებით ისევ ვენახებისაკენ... ვერ წარმოიდგენ, რამდენი დავიდარაბა გვაქვს, ჯერ კი ჩხუბი არავის მოგვსვლია და იმედია არც მოგვივა...⁸

ილია ჭავჭავაძის შეხედულება საქართველოში მიწების გამიჯვნის პრობლემაზე ნათლადაა ჩამოყალიბებული „ივერიის“ 1883 წლის ოქტომბრის „შინაურ მიმოხილვაში“. ამ წელს საქართველოში ჩამოვიდა სახელმწიფო ქონებათა მინისტრი მ.ნ. ოსტროვსკი,⁹ რომელსაც ილია ჭავჭავაძის სიტყვებით, თავად-აზნაურობამ აუწყა წერილით ჩვენი ქვეყნის დარდი.¹⁰ ამ წერილში, რომელიც დაწერილებით განიხილა ილია ჭავჭავა-

⁶ იქვე გვ. 12

⁷ ი. ვორგაძე, ნ. გურგენიძე: ილია ჭავჭავაძე - ცხოვრებისა და შემოქმედების მატანე, თბ. 1987, გვ. 97; საისტორიო მოამბე, ტ. 25-26, 1971, გვ. 271-283

⁸ ილ. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 10, თბ. 1961 გვ. 356-360

⁹ მას თან ახლდა ძმა -გამოჩენილი რუსი დრამატურგი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკი (1823-1886), რომელსაც საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებრიობამ აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყო.

¹⁰ ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 5. თბ. 1987, გვ. 405



ვაძემ, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა „დავის ატეხას სახელმწიფო მსახურის მამულების გამიჯვნის დროს.

„ერთი უდიდესი ბოროტება, რომელიც ხალხს ფეხსა და ხელს უბრკოლებს წარმატების გზაზე და ყოველ ღონეს უქმად ალევინებს დაუსრულებელ დავიდარაბაში, - ეგ განუსაზღვრელობაა მამულების კუთვნილებისა - წერდა ილია ჭავჭავაძე, გამოჩნდება თუ არა სადმე მიწის მზომავი,¹¹ უმაღვე ათასი დავიდარაბა ატყდება იქ, სადაც ათადამბაბადამ მშვიდობიანი და აუცილებელი მფლობელობა იყო მიწისა, იქ საცა მანამდე კაცის ცხოვრება მიდიოდა უჩხუბრად და მშვიდობიანად, გაჩნდება ხოლმე ჩხუბი, მტრობა, ზოგჯერ თოფ-იარაღის ტრიალი და კაცის კვლაცა“.¹²

ილია ჭავჭავაძის აზრით, ვიდრე ამისთანა მტრობა ცალკე კაცთა შორის არსებობდა, ისე საშიში არ იყო, როგორც მაშინ, როცა სოფელი სოფელს დაეჯახებოდა და ერთი წოდება მეორეს. ეს კი ხდებოდა იქ, სადაც ხაზინა თავის აგენტების საშუალებით, გასამიჯნავ მიწაზე დავას გამოაცხადებდა. სამწუხაროდ, სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივ გამგეობას თითქოს ჩვეულებად და წესად ჰქონდა მიღებული „საცა უნდა და არ უნდა“ უსათუოდ დავა გამოეცხადებინა, იქაც კი, სადაც სხვისი კუთვნილებისა და მფლობელობის უცილო, ცხადი და შეურყეველი საბუთი იყო. როგორც ამ დარგის ერთი ცნობილი სპეციალისტი აღნიშნავდა, ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ხაზინას ყველა გასამიჯნავი მიწა თავისად მიაჩნდა და ამის სათანადო საბუთები კი არ გააჩნდა.¹³

ილია ჭავჭავაძე ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ხაზინის მიერ თითქმის ყველა გასამიჯნავ მიწაზე დავის გამოცხადება სერიოზულად აბრკოლებდა გამიჯვნის პროცესს, ხელს უშლიდა საადგილმამულო ურთიერთობათა ნორმალიზაციას, სოფლის ეკონომიკურ გაძლიერებასა და დაწინაურებას. დავა - „სპორი“ წლობით გრძელდებოდა, სადავო მიწა დაუიმუშავებელი რჩებოდა, სასამართლო ხარჯები იზრდებოდა და მამულის პატრონი დიდ ზარალს ნახულობდა.¹⁴ ამის თავიდან ასაცილებლად, ილია ჭავჭავაძის აზრით, ხაზინას უფლება არ უნდა ჰქონოდა, სათანადო

¹¹ Землемер - ი. ჭავჭავაძის შენიშვნა
¹² ი. ჭავჭავაძე, რჩ. ნაწარმოებები, ტ. 5, გვ. 413
¹³ К. Долгов დასახ. ნაშრომი, გვ. 1

¹⁴ კ. ბაბილოძე, აგარარული ურთიერთობა დასავლეთ საქართველოში მე-20 სს. მიჯნავი, წიგნი I, ბათუმი, 1952, გვ. 57

საბუთის გარეშე მამულებზე დავა გამოეცხადებინა. „... ან არა და ილია ჭავჭავაძე, სახელმწიფო ქონებათა გამგეობა იძულებული იყოს თავისის მოპირდაპირის სასარგებლოდ იგივე ჯარიმა იხადოს უმართლო დაფის გამოცხადებისათვის, რომელსაც კერძო პირნი ერთმანეთის სასარგებოდ იხდიან აქაურის წესდების ძალითა“.¹⁵

მიწების გამიჯვნა, საქართველოში ცარიზმის ეკონომიკური გაბატონების ერთ-ერთი საშუალება იყო. სახელმწიფო, საზინის მეშვეობით, დაბეჯითებით და ენერგიულად ცდილობდა ქართველი მიწათმფლობელისათვის ხელიდან გამოეცალა მისი კეთილდღეობის ძირითადი წყარო - მიწა. ამ მიზანს ემსახურებოდა მამულების გამიჯვნის ის წესი, რომელსაც რუსული მმართველობა იყენებდა. ამიტომ ჩათვალა ილია ჭავჭავაძემ მიწების გამიჯვნა "ჩვენი ქვეყნის დარღის" საგნად და მისი მოწესრიგების საკითხი დააყენა.

ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება საქართველოში მიწების გამიჯვნისადმი საინტერესოა როგორც მე-19 საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, ასევე მწერლის საზოგადოებრივ-პრაქტიკული მოღვაწეობის შესწავლის თვალსაზრისითაც.

Goderdzi Vachridze

ILYA CHAVCHAVADZE ABOUT MARKING OFF LANDS IN GEORGIA

Ilya Chavchavadze in his "Domestic Surveys" which were published in "Iveria" periodically emphasized one of the painful problems in XIX century Georgia's social-economical life - marking off the lands. He thought that the country's economic welfare greatly depended on it. He posed a question before the government requesting to say no to their strivings to own as many lands as possible and promote the process of drawing boundaries.

საქართველოს ისტორიის კათედრა

¹⁵ ი. ჭავჭავაძე, დასახ. გამ., ტ. 5, გვ. 414.



მკა თხილავა

გაზეთი „იმერეთი“ და საზოგადოებრივი აზრი

XX საუკუნის 10-იანი წლების დასავლეთ საქართველოში „იმერეთი“ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. გაზეთის ფლავმანობას, პირველ რიგში, მისი ეროვნული იდეალები და მისწრაფებები განაპირობებდა; როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი საქართველოში გამომავალ 16 გაზეთს შორის პოპულარობით მეოთხე ადგილზე იდგა. თავად „იმერეთიც“ აღნიშნავდა, რომ მათი „გემი“ გაზეთი ბლომად გადიოდა¹.

„იმერეთმა“ დიდი ზეგავლენა მოახდინა XX საუკუნის 10-იანი წლების დასავლეთ საქართველოსა და, კერძოდ, ქუთაისის საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. გაზეთი, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ორგანო, ცდილობდა, „შავი ძალებისაგან შექმნილი სიბნელე ცოტათი მაინც გაეშუქებინა და ხალხისთვის ადამიანური ცხოვრების იდეალი დაესახა. ...„იმერეთის“ ჯგუფს მიზნათ დაესახა მხილება ყოველგვარი სიყალბისა ხალხის სასამსახუროთ“².

„იმერეთი“ დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი მესაჭე იყო. მართალია, მას სწორად ეკამათებოდნენ პრინციპულ თუ არაპრინციპულ საკითხებზე და ზოგჯერ ეს დებატები ძალზე მწვავე ხასიათსაც იღებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მკითხველთა დიდი ნაწილის სიმპათიასა და სიყვარულს იმსახურებდა.

„იმერეთმა“ შესძლო დასავლეთ საქართველოს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის დარწმუნება იმაში, რომ დემოკრატიული დასის პოლიტიკური მრწამსი ყველაზე უფრო ეროვნული და პატრიოტული იყო. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გაზეთის მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანიის შედეგად რუსეთის მე-4 სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატად სოციალ-ფედერალისტი ვარლამ გელოვანი გავიდა. „იმერეთი“ წერდა -

1. გაზ. „სამშობლო“, 1915, №38.
 2. გაზ. „სამშობლო“, 1915, №38.



„სოციალ-დემოკრატისაჲს რომ ძალა ჰქონოდა, ვარლამ გელოვანი, დედასა ჯერად არ იქნებოდა. მათ მთელი მათი ძალების შეკრებამ და მობილიზაციამაც კი ვერ უშველა. მერე ფულიც მეტი ჰქონდათ და ორგანიზაციაც უკეთესი, ვიდრე ნაციონალ-დემოკრატებს, და, მაშასადამე, მეტი ამრჩევლის მოპოვება შეეძლოთ. ეროვნულ პარტიას კი თითქმის არა ჰქონია ორგანიზაცია. შეგნებული ამრჩევლები თვითონ მოდიოდნენ, რომ მხარი დაეჭირათ ეროვნული პარტიის კანდიდატისათვის“ . როგორც ვხედავთ, „იმერეთის“ უდიდესი დამსახურება იყო ის, რომ XX საუკუნის 10-იან წლებში დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივი აზრი „ეროვნული დემოკრატისაჲსკენ გადაიხარა“ და რუსეთის მე-4 სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში სოციალ-დემოკრატები ზნეობრივად დამარცხდნენ.

„იმერეთმა“ დასავლეთ საქართველოში გამოძავალ პერიოდულ ორგანოთა შორის ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო დიდი საუბრები ეკონომიური თუ პოლიტიკური პრობლემების შესახებ. მან ბრძოლა გამოუცხადა სოციალ-დემოკრატისაჲს არა როგორც დემოკრატისაჲს, არამედ როგორც აბსოლუტისტურ პარტიას, რომელიც სხვა პარტიებს ვერ ითმენდა და მარტო თავის თავს აღიარებდა, ერთადერთ დემოკრატად, ხალხად და ერად“³. დემოკრატული დასის ორგანო ცდილობდა მკითხველის დარწმუნებას იმაში, რომ „ამგვარი აბსოლუტისტური მიდრეკილება ყოველთვის⁴ და ყველგან გამანადგურებელი ყოფილა კულტურისა და განათლებისა“ .

„იმერეთი“ საზოგადოებას თვალსაჩინო წარმოდგენას უქმნიდა მიმდინარე მოვლენებსა და მნიშვნელოვან ფაქტებზე, ანტიპათიითა თუ სიმპათიით განაწყობდა მკითხველს კონკრეტული საქმისა და პიროვნებებისადმი. მაშასადამე, იგი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას უწყობდა ხელს. ამის დასტურია სოციალ-დემოკრატთა და სოციალ-ფედერალისტთა პარტიების რეიტინგის დაცემა XX საუკუნის 10-იანი წლების დასავლეთ საქართველოში.

„იმერეთი“ პრინციპულად აკრიტიკებდა ესფერთა და ესდეკთა პოლიტიკურ მრწამსსა და მიმართულებას. ბრალს სდებდა მათ იმაში, რომ ისინი საზოგადოებაში თავიანთ დემაგოგიურ პოლიტიკას „პრესის საშუალებით ატარებდნენ“⁵. დემოკრატული დასის ორგანო მიიჩნევდა, რომ ეს უდიდე-

3. ვაზ. „იმერეთი“, 1914, №76.

4. ვაზ. „იმერეთი“, 1914, №76.

5. ვაზ. „იმერეთი“, 1914, №90.

6. ვაზ. „იმერეთი“, 1914, №90.



სი დანაშაული და მიუტყევებელი ცოდვა იყო. ამიტომ უპირისპირდებოდა იგი აქტიურად სხვა გამოცემებს და ხმას იმაღლებდა ჭეშმარიტების დასაცავად. «იმერეთი» განსაკუთრებით «სახალხო გაზეთის», «თემის», «ჩვენი ერისა» და სხვათა წინააღმდეგ გამოდიოდა. იგი ლოგიკურ არგუმენტებზე დაყრდნობით უჩვენებდა მკითხველს მათი პოლიტიკის არაეროვნულ ხასიათს. ამის დასტურია ვასილ წერეთლის, ია ეკალაძის, სილოვან ხუნდაძისა და სხვათა სტატიები.

გაზეთი ცდილობდა, დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივი აზრი უფრო ეროვნული და დემოკრატიული გაეხადა. გადაჭარბებული არ იქნება თუკი ვიტყვი, რომ რაც კარგი და მნიშვნელოვანი იყო XX საუკუნის 10-იანი წლების დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ აზროვნებაში, თავს იყრიდა სწორედ «იმერეთის» პროგრესულ გამოცემაში. მან სერიოზული როლი შეასრულა იმ პერიოდის საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული იდეალების ჩამოყალიბების საქმეში.

«იმერეთი» დიდად უწყობდა ხელს ლიტერატურული პროცესების სწორად წარმართვას. იგი ცდილობდა, საზოგადოების იმ ნაწილის ლიტერატურულ აღზრდას, რომელიც ჯერ ამოთვლით კითხულობდა და ყოველსავე ლიტერატურულ გემოვნებას იყო მოკლებული. ამ მიზნით იბეჭდებოდა გაზეთის ფურცლებზე ორიგინალური ხასიათის ლიტერატურული ნაწარმოებები. «იმერეთი» მკითხველს ახალი ტიპის ლიტერატურულ მიმდინარეობებთან (მოდერნიზმი, სიმბოლიზმი) შესახვედრად ამზადებდა.

გაზეთი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე და მისი ხვედრითი წონა დიდი იყო. ამის დასტურია ისიც, რომ ქართული პრესა არცთუ იშვიათად «იმერეთის» ნომერთა მიმოხილვასაც ბეჭდავდა.

როცა დემოკრატიული დასის პერიოდული ორგანოს პრაქტიციზმზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ აფუვლით იმ ფაქტსაც, რომ რედაქცია საცნობარო და სარეკლამო განყოფილებების მეშვეობით, ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს უწყევდა პოპულარიზაციას. იგი მკითხველს აცნობდა იმ წიგნთა სიას, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა დაბეჭდილიყო «იმერეთის» გამომცემლობაში. 1912 წელს გაზეთი იუწყებოდა, რომ სულ მალე გამოვიდოდა არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი. 1914 წელს კი იგი მკითხველს ია ეკალაძის ორტომეულის გამოცემას აცნობებდა.



რედაქციამ წინა პლანზე წამოსწია ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულებანი და მათი გაცნობისაკენ უბიძგა საზოგადოებას.

როგორც ვხედავთ, «იმერეთის» გავლენა მნიშვნელოვანი იყო. იგი წარმართავდა XX საუკუნის 10-იანი წლების დასაველეთ საქართველოს საზოგადოებრივ აზრს და ხელს უწყობდა უკეთესი მერმისის დამკვიდრებას.

Eka Tkhilava

THE NEWSPAPER "IMERETI" AND THE PUBLIC OPINION

Resume

In 1910s the newspaper "Imereti" enjoyed particular popularity. It succeeded in convincing of the significant part of the western Georgian community in the fact that the political standpoint of the Democratic grouping was the most nationalistic and patriotic.

The newspaper principally criticized the political standpoint and the direction of the social-democrats and the social-federalists.

ჟურნალისტიკის კათედრა



დოქტორი ბათალინ შნაიდერი

(გერმანია)

(ჰაიდელბერგის რუპრეჰტ-კარლის სახელობის უნივერსიტეტი)

შედეგები ქალაქის აზროვნება

(ქრისტიანული ფილოსოფია: „მედეა. ხმები“)

„წარმოვთქვამთ ვისივე სახელს და მაშინვე გადავდივართ მის დროში, რადგან კედლები გამჭვირვალეა... სასურველი შეხვედრა უყოყმანოდ ეპასუხება ჩვენს მზერას დროთა სიღრმეებიდან“...

ასე იწყება ქრისტიანული ფილოსოფიის ახალი რომანი „მედეა. ხმები“, რომელიც 1996 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა. იგი შეეხება ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე ამოუცნობ და წინააღმდეგობებით აღსავსე გმირს, კოლხეთის მეფის ასულ მედეას, რომელმაც მიატოვა ოჯახი და სამშობლო, რათა საყვარელ ადამიანს უცხოეთში გაჰყოლოდა მას შემდეგ, რაც მას ოქროს საწმისის მოპოვებაში დაეხმარა.

ნარკვევის მიზანია გაარკვიოს, როგორ იცვალა სახე ანტიკური ხანის გმირმა მე-20 საუკუნის დასასრულს, რა არის იდუმალი მოძიბვლელობა ამ მითოლოგიური პერსონაჟისა, რომლის ბედი, წარსული ეპოქისა და თანამედროვეობის მრავალ მწერალს სურვილს აღუძრავს, სხვადასხვა ვარიაციით, ისევე დაამუშაოს ეს მასალა და ახლებური შეფასება და ინტერპრეტაცია მისცეს მას.

ამ რომანში, ისევე, როგორც თავის მოთხრობაში „კასანდრა“ (1983 წ.), ქრისტიანული ფილოსოფია თავისი რომანის პერსონაჟს იმ საშინელი დანაშაულისაგან, რომელიც მას მითსა და ბერძნულ ტრაგედიაში მიეწერება. ქრისტიანული ფილოსოფია განმანათლებლური ფსიქოლოგიზაციის გამოყენებით ცდილობს, რომ მითი თანამედროვე კონფლიქტების, კულტურულ-საზოგადოებრივი და ადამიანური კონტრასტების მოდელად აქციოს. მწერალმა ქალმა სრულიად ახალი ინტერპრეტაცია მისცა მედეას ცნობილ ისტორიას. მისი მედეა ორგვარი სახით წარმოგვიდგება ორი დროითი სივრცის შუალედში: ერთის მხრივ, წარმავალ მატრიარქატსა და ახლად დამკვიდ-



რებულ პატრიარქატს შორის; მეორეს მხრივ კი, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ეკონომიკურ რეგრესსა და პროგრესს შორის.

რაც შეეხება ნაწარმოების ფორმას, სათაური „მედეა. ხმები“ - მიუთითებს იმაზე, რომ აქ თხრობა ერთ პლანში არ მიმდინარეობს. ნაწარმოებში არ არის ერთი მთხრობელიც კი, რომელმაც ყველაფერი იცის. აქ რამდენიმე ხმა ერთვება თხრობის პროცესში. პერსონაჟები მონაცვლეობით საუბრობენ, პერსონაჟთა შინაგანი მონოლოგებისა და ხმების მეშვეობით, მათი მოგონებებითა და განსჯით მედეას ისტორია მოზაიკის მსგავსად ყალიბდება. რომანის თერთმეტ თავში ეს შინაგანი ხმები აყალიბებენ თავიანთ შეხედულებებს მოვლენების შესახებ და ამით რომანის მოქმედებას თანადათან დაბავენ. თითოეული მონოლოგის მეშვეობით ცხადდება მედეას ჭეშმარიტი ისტორიის ფაქტები, მისი უდანაშაულობა. ცალკეულ ნაწილთა ასეთი თანდათანობითი შერწყმა ერთმანეთთან ქმნის ბრწყინვალე დრამატურგიულ ეფექტს და მკითხველიც დეტექტივისათვის დამახასიათებელი დაძაბულობით მიჰყვება თხრობის მსვლელობას.

მედეასთან ერთად, რომლის ხმაც ნაწარმოებში 4-ჯერ გაისმის, თხრობის პროცესში მონაწილეობენ სხვა გმირებიც: მედეას მეუღლე, სუსტი ნებისყოფის იაზონი (აღსანიშნავია, რომ ევრიპიდესთან და აპოლონიოს როდოსელთანაც იგი ასეთად წარმოგვიდგება). ის ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ მისი სიტყვების მიღმა არაფერი არ დგას; მედეას ყოფილი მოსწავლე - კოლხი ქალი აგამედა, სიძულვილითა და ეჭვით აღსავსე პიროვნება, მხოლოდ ერთი სურვილი რომ ამოძრავებს, - მედეა გაანადგუროს. ასევე კორინთელთაგან ძალაუფლებამინიჭებული, მეფის პირველი ასტრონომი, ინტრიგანი აკამაზი, რომელიც ყოველგვარ საშუალებას მიმართავს თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად სასახლის კარზე; სამეფოს მეორე ასტრონომი, ლოიკონი, ტიპიური ინტელექტუალი. ის ხედავს მედეას წინააღმდეგ მიმართულ ინტრიგებს, მაგრამ სუსტია, რომ რაიმე მოიმოქმედოს და შეცვალოს მოვლენათა მსვლელობა; ბოლოს კი გლაუკე, ლაბილური, დეპრესიული ბუნების მქონე პიროვნება, ეპილეპსიით შეპყრობილი კორინთოს მეფის ასული, რომელზედაც იაზონმა უნდა იქორწინოს, რათა კორინთოს მეფე გახდეს.

როგორია მედეას ბედი ქრისტა ვოლფის ინტერპრეტაციით?



მედეამ უნდა დატოვოს სამშობლო, რადგანაც შეიტყო მისი ქმის მკვლელობის შესახებ და მიხვდა, რომ ეს მამამისის მოწყობილია, რათა მისი ძალაუფლება არ შეირყეს. «მე წავყევი იაზონს, რადგან ამ დაკარგულ, საშინელ კოლხეთში დარჩენა აღარ შემეძლო» - ამბობს იგი. ის ტოვებს კოლხეთს და არ განიცდის სინდისის ქენჯნას, რომ მისი საქციელი ღალატია სამშობლოსა და დედის წინაშე, რომლის უკანასკნელმა მშერამ გამომშვიდობებისას მასზე წარუშლელი კვალი დატოვა. ის მიდის, რადგან ცხოვრება იმ ქვეყანაში, რომლის არსებობა დანაშაულზეა დაფუძნებული, მას აღარ შეუძლია. მედუა იაზონთან ერთად გარბის კორინთოში. ისინი ქორწინდებიან და სასახლის კარის საზოგადოების ნაწილი ხდებიან. მაგრამ, როცა იაზონი თანდათანობით ეგუება ამ საზოგადოებას, მედუა თავის სიამაყის, გონიერების და განსხვავებულობის გამო ამ საზოგადოებისაგან თანდათანობით ირიყება. დაპირისპირება წარმოიშობა მასსა და კორინთოს მეფეს, კრეონტს, შორის მას შემდეგ, რაც მედუა შეიტყო, რომ მისი ხელისუფლებაც დანაშაულზეა დამყარებული. კრეონტმა თავისი ასული იფინოე მოაკვლევინა, რათა მემკვიდრეობა ქალს არ მიეღო. ეს ხელს შეუშლიდა უკვე საფუძველჩაყრილი პატრიარქატის ძლავ განვითარებას. კრეონტის მიუღწეველ, მეროპე, ამის გამო დამუხჯდა და ჭკუიდან შეიშალა.

მედუა უნდა განადგურდეს. ამისათვის იყენებენ ჭორს, თითქოს მას საკუთარი ძმა მოეკლას. მედეას მეორე მონოლოგი რომანში ჭეშმარიტებას ამჟღავნებს: ფანატიკოსმა ფუნდამენტალისტებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრეონტის ბრძანებით მოკლეს მემკვიდრე. მედეას განადგურება კი ევალება აკამაზს, მას ეხმარება აგამედა და პრესბონი. ისინი ერთიანდებიან გონიერებით, სილამაზით, თავისი მოუსყიდველობით ჯერ კიდევ ძლიერი მედეას წინააღმდეგ. მზაკრული გეგმა, რომელიც მედეას განდევნასა და ბავშვების სიკვდილს ითვალისწინებს, მისივე მშობლიური ქვეყნის ადამიანებმა შეადგინა. ინტელექტუალები მას კარიერიზმისა და შურის გამო ღალატობენ. აგამედა მედეას კარიკატურული სურათია. «როცა მედუა დაბნეულია, ადამიანებთან ურთიერთობაში მათ ძლიერ მხარეს ეყრდნობა, მე კი სუსტ მხარეს» (მ3) - ამბობს იგი. რაფინირებული ურჩხულის ქმედების მთავარი მოტივი ბოროტებაა. მედუა თანდათანობით ხდება *Persona non grata*.



მიწისძვრა ანადგურებს კორინთოს ღარიბთა უბნებს, სასახლის კაპიტანო
 არ იღებს მიცვალებულთა დაკრძალვის პასუხისმგებლობას. ამ კატას-
 ტროფების გამოწვევა ბრალდება მედეას, როგორც ჯადოქარს, გრძნე-
 ულს. უბედურებას სათავე დაედო. გაუბედურებული, მიტოვებული გლა-
 უკე, რომლის განკურნებასაც მედეა ფსიქოთერაპიული მეთოდით ცდი-
 ლობდა, თავს იკლავს მას შემდეგ, რაც მედეასთან ურთიერთობა აეკრძა-
 ლა. მედეას მკურნალობის მეთოდზე მას საშინელი ამბები ჩააწვეთეს. მის
 გამოჯანმრთელებას კი თითქმის არაფერი უკლდა, მაგრამ სასახლის
 ფსიქოლოგიური ტერორი ისევ ამუშავდა, ინტრიგებმა გაიძარჯვა და
 გლაუკე უარყოფს მედეას: «მე ის უნდა დავივიწყო, ყველა, ვინც კი ამას
 მირჩევს, მართალია, განსაკუთრებით კრეონი, მამა მართალია, მე ამ
 ქალის სახელი მეხსიერებიდან უნდა ამოვშალო, თავიდან ამოვიგდო,
 გულიდან ამოვიღო, საკუთარ თავს უნდა ვკითხო, როგორ დამემართა,
 რომ მას გული გადავუშალო, მას, ვინც ყოველთვის ჩვენთვის უცხო იყო».

შემძვრელია მისი ბოლო წინადადება, იგი გრძნობს, რომ ეპილეფსიის
 შეტევა ეწყება: «ისევ იწყება, ვგრძნობ, მახრჩობს, მაკანკალებს, არავინ
 არის, რომ დამეხმაროს, მედეა». უდიდესი გაჭირვების დროს, გონის დაკარ-
 გვისას ამოტივტივდება ეს დაწყვეტილი, აკრძალული სახელი მისი სუ-
 ლის სიღრმიდან, ერთადერთი სახელი, რომელსაც შეეძლო ჭეშმარიტი
 დახმარება გაეწია მისთვის. სასამართლო პროცესზე მედეას მსჯავრს
 დადებენ: «ისინი ყველაფერზე მოლაპარაკებულნი იყვნენ, განაწილებული
 როლებით საუბრობდნენ. განაჩენი მტკიცე იყო. მე არ ვიცი, რისთვის
 სჭირდებოდათ ეს თეატრი».

საბოლოო გადაწყვეტილება კი გაძევებაა, რაც სასიკვდილო განაჩენის
 ტოლფასია. მედეა უფანჯრო საკანში ზის. იმ დროს, როცა დარბაზში
 სასამართლო მიმდინარეობს, მას თვალწინ წარმოუდგება უკანასკნელ
 დღეთა მოვლენები, კატასტროფის კულმინაციური წერტილი: მისი მონა-
 წილეობა ქალღმერთ არტემიდასადმი მიძღვნილ კორინთელთა მსხვერ-
 პლშეწირვის ცერემონიალში, ცნობა პატიმრების გაქცევის შესახებ, გაცო-
 ფებული კორინთელების სურვილი ტაძარში თავშეფარებული პატიმრების
 დახოცვისა და, როცა მედეამ მოახერხა ერთის მსხვერპლშეწირვით დანარ-
 ჩენების სიცოცხლე ეხსნა. შემდეგ კოლხებთან გაქცევა და ქალღმერთ
 დემეტრასადმი გამართული გაზაფხულის ზეიმი, ინტრიგანი კორინთელის

ტურნირის დასაჭურისება ექსტაზში მყოფი კოლხი ქალების მიერ, რადგან მან წმინდა ჭალაში ფიჭვი მოჭრა ოისტროსის სურვილის წინააღმდეგ, ოისტროსისა, რომელიც მედეას ძალიან უყვარდა. ოისტროსმა იცის, რომ კორინთელები ყველაფერში მედეას დაადანაშაულებენ. ბოლოს კი სამარისებული სიჩუმე კოლხების უბანში: ჯარისკაცები ვისაც კი შეხვდებიან, ყველას კლავენ.

ასეთია მედეას ფიქრები. შიკრიკს მოაქვს განაჩენი: განდევნა! რომანის ეპილოგში ბოლო სიტყვა მედეას ეკუთვნის: მას შემდეგ, რაც მან შვიდი წელი ლისასთან ერთად გამოქვაბულში გაატარა, ლებულობს ცნობას, რომ მისი ვაჟიშვილები მკვდრები არიან, რომელთა გადარჩენაც მას თავისი გაუჩინარებით სურდა. ბავშვები განრისხებულმა ბრბომ ჩაქოლა და ამით შური იძია გლაუკესათვის, რომლის სიკვდილში მათ მედეა დაადანაშაულეს. იგი აგრეთვე შეიტყობს, რომ კორინთოში მას შვილების მკვლელად მიიჩნევენ. მედეას ბავშვების საკულტო ტაძრის დამკვიდრებით საფუძველი შეიქმნა იმისათვის, რომ მომდევნო საუკუნეებში, პირველ რიგში ევრიპიდეს, იგი შვილების მკვლელად მიეჩნია. ალბათ, მედეას ლოცვას აღავლენს მომავალი თაობისათვის. დასასრული კი არის რწმენის დაკარგვა: «როგორადაც არ უნდა შემეხონ ღმერთები, ისინი შიშის კვალსაც კი ვერ იპოვიან ჩემში. ვერაფერს, ვერაფერს. სიყვარული დამსხვრეულია, ტკივილებიც მიყურდა. თავისუფალი ვარ. სურვილებისაგან დაცლილი ყურს ვუგდებ სიცარიელეს, რომელიც მთლიანად მავსებს».

დასასრული არა მარტო რწმენის დაკარგვა, არამედ, იმავდროულად წყევლაცაა. იგი მიმართულია აკამაზის, კრეონის, ავამედასა და პრესბონისადმი. დასასრული ბედთან შეგუებაა, კითხვები უპასუხოდ რჩება, პასუხის მოძებნა შეუძლებელია. «სად წავიდე, მოიძებნება კი სამყარო, დრო, რომელსაც მოვერგებოდი. არაფერ არის, რომ შეკითხვა დაფუსვა. ეს პასუხია». ეს მისი ბოლო წინადადებებია.

ბევრის მთქმელია ამ ნაწყვეტში სასვენი ნიშნები. აქ სასვენი ნიშნები და გრამატიკული სტრუქტურა ერთმანეთს არ ეხამება. კითხვის ნიშანთა არარსებობა ცხადყოფს ყოველგვარი შეკითხვის უსარგებლობის აღიარებას, იმას, რომ შეკითხვები ეთერში იფანტებიან, ვერც ღმერთი და ვერც ადამიანი მათ გაგონებას და, მითუმეტეს, პასუხის გაცემას ვერ შეძლებს.



ქრისტა ვოლფი თავის ნაწარმოებში მიჰყვება ბავშვების მკვლელობის იმ მოტივებს, რაც ევრიპიდეს წინადროინდელი გადმოცემებითაა ცნობილი. მისი მედეა არის თვითდაჯერებული, ამაყი, გაუტყეხელი ქალი, უცხო, უსამშობლო (კორინთელები მას "ველურს" უწოდებენ), რომელიც ავსოტყვაობის მსხვერპლი ხდება. მას ცილს სწამებენ, ჭორს მთელს ქვეყანაში ავრცელებენ. მედეა მაღალი მორალის მქონე პიროვნებაა, ქალური სისუსტეებით, სულიერი კეთილშობილებით, რაც ქრისტა ვოლფის კასანდრასაც ახასიათებდა.

მედეა იაზონის მხარდაჭერის გამო დაუპირისპირდა საკუთარ მამასა და მის პოლიტიკას კოლხეთში, იგი იძულებული შეიქმნა, რომ გაქცეულიყო. ლტოლვილები კორინთოში, ეს ის კოლხებია, რომლებიც მას გაჰყვებიან. ასე გამოიყენება მითი დღევანდელობის პრობლემისათვის. ლტოლვილთა დინება, დაწყებული ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლიდან ბალკანეთში ხალხთა გადაადგილებამდე, ნიშანდობლივია მე-20 საუკუნისათვის.

კიდევ ერთი პარალელის გავლება შეიძლება: რომანი მედეაზე შეიძლება მიუხადავით გერმანულ ურთიერთობებს 1989-90 წლების პოლიტიკური მოვლენებისა და ქვეყნის გაერთიანების შემდეგ. ადამიანები, რომლებიც ჩამორჩენილი კოლხეთიდან "არგოთი" მაღალგანვითარებულ კორინთოში მოდიან, კეთილდღეობის გარემოცვაში კი ექცევიან, მაგრამ მაინც გარიყულნი რჩებიან. აკამაზი ამბობს: "თითქოს უცხო ცხოველებს, ისე მიშტერებოდნენ კორინთელები მოსულებს... ჩვენ გვსიამოვნებდა ჩვენი სიმდიდრით განცვიფრებული კოლხების ყურება".

კორინთელთა გააზრებით კოლხები მაინც უცხოდ რჩებიან, მათ არ ძალუძთ ახალ პირობებს მოერგონ. სამშობლოზე სევდა ქმნის მიტოვებული სამშობლოს სამოთხისებურ ხატს, მიუხედავად იმისა, რომ გამოიქცნენ, რადგან ამ დაცემულ, დაკარგულ კოლხეთში ცხოვრება აღარ შეეძლოთ. რომანის კონსტრუქცია ქმნის კონფლიქტურ ველს: ესაა დაპირისპირება ბარბაროს კოლხებსა და მაღალცივილიზებულ კორინთელებს შორის. ამის საფუძველზე წარმოჩინდება პარალელები სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის დასაპირისპირებლად. კოლხეთი, აყვავებული აგრარული ქვეყანა, თავისი პოლიტიკური სულმდაბლობისა და მეურნეობის მოშლის გამო იღუპება იმ დროს, როცა ძალაუფლებაზე ორიენტირებული ქალაქი კორინთო ფულის სიყვარულით აღსავსე თავის მოქალაქეებს

განადგურებით ემუქრება. «კორინთო შემლილია ოქროს სიყვარულის გამო» - ფიქრობს მედეა თავის მონოლოგში.

ჩამორჩენილ კოლხეთში ქალები უფრო მეტად დამოუკიდებელი, თვითდაჯერებული არიან, კორინთოში კი ისინი «კარგად გაწვრთნილ ცხოველებს» გვანან. კორინთელებისათვის ქალი ველურია, თუკი იგი «თავის ინტერესებს იცავს».

ამით რომანში თავს იჩენს ფემინისტური ტენდენცია. 1982 წ. ფრანკფურტის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციებში ქრისტა ვოლფმა განაცხადა: «კასანდრაში მოცემული ქალის სახე განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა გადაეტანათ ქალებს 3000 წლის მანძილზე, რომ ისინი ობიექტად ქცეულიყვნენ».

ტანჯვით, განცდებითა და ტრაგიკული ბედით, ობიექტად ქცევის ტენდენციით ემსგავსებიან ქრისტა ვოლფის კასანდრა და მედეა ერთმანეთს.

**Ohnmächtiges weibliches Denken:
Christa Wolf: Medea. Stimmen.**

"Wir sprechen einen Namen aus und treten, da die Wände durchlässig sind, in ihre Zeit ein... erwünschte Begegnung, ohne zu zögern erwidert sie aus der Zeittiefe heraus unseren Blick..."

So lautet der erste Satz in Christa Wolfs neuestem Roman: Medea. Stimmen. Erschienen Anfang 1996.(1) Gemeint ist die Begegnung mit einer der rätselvollsten und widersprüchlichsten Frauengestalten der griechischen Mythologie: Medea, die Königstochter aus Kolchis, die ihre Familie und ihre Heimat verläßt, um dem Geliebten in die Fremde zu folgen, nachdem sie ihm zum Goldenen Vlies verholfen hat.

In meinem Beitrag will ich dieser "Begegnung" nachgehen, untersuchen, wie sich das Bild der antiken Heroin im Verständnis des ausgehenden 20.Jhs. gewandelt hat; was ist der Reiz der mythischen Gestalt, daß ihr in vielen verschiedenen Variationen überliefertes Schicksal zahlreiche Schriftsteller vergangener Epochen und heute noch dazu anspornt, sich des Stoffes anzunehmen und immer wieder unter verschiedenen Aspekten neu zu werten und zu interpretieren.

Im ersten Teil sollen die ältesten Hinweise auf die Argonauten, bzw. auf Medea in der griechischen Literatur kurz aufgeführt werden.

Der zweite Teil befaßt sich mit der Tragödie des Euripides, der den Jason-Medea-Stoff im Jahre 431 v.Chr. aufgreift, neu gestaltet und ihn für die folgenden Generationen bis in den heutigen Tag prägt. (2)

Eine Darstellung des Medea-Bildes im neu übersetzten "Argonautenepos" des Apollonios von Rhodos (3) aus dem 3.Jh.v.Chr. folgt, um dann, eine riesige Zeitspanne von etwa 2300 Jahren überspringend, im letzten Teil Christa Wolfs neuen Roman "Medea. Stimmen" vorzustellen.

I. Die Geschichte der Argonauten gehört zu den ältesten Mythen, die wir in der griechischen Literatur nachweisen können. Die Ilias erwähnt zwar nichts direkt über die Argonauten, weist aber auf Eunéos, einen Sohn Jasons und Hypsipyles hin, und damit auf die Abenteuer auf der Insel Lemnos.

"Schiffe aus Lemnos waren, mit Wein beladen, gelandet,
Viele, von Eunéos gesandt, dem Sohne des Jason,
Den Hypsipyle dem Jason gebar, dem Hirten der Völker," (4)

Konkreter ist die Beziehung des Odysseus. Im zwölften Gesang erzählt Kirke, eine durch ihren Vater Helios und Bruder Aietes mit dem Argonautenmythos eng verflochtene Gestalt, Odysseus über den weiteren Weg und warnt ihn vor den Gefahren des Meeres:

"Nur ein einziges Schiff fuhr heil auf dem Meere vorüber; (d.h. an den Planken) Argo, die allbekannte, als sie von Aietes zurückfuhr. Sie auch hätte es bald an die großen Felsen geworfen, Aber Hera gleitete sie, da Jason ihr lieb war." (5) Die Argo wird also in der ältesten schriftlichen Quelle die "allbekannte" genannt.

Die zitierten Stellen setzen nicht nur die Existenz eines voll ausgebildeten Argonautenmythos, sondern auch eine Argonautendichtung voraus und sei es auch nur in der Form mündlicher (Helden-) Dichtung. (6)

Während aber die Homerischen Epen vom Argonautenmythos als bekannt sprechen, fehlt in ihnen die Erwähnung der wichtigsten weiblichen Gestalt, deren Schicksal unlösbar mit dem Argonautenmythos verflochten ist: Medea.

Auf sie wird zuerst in der Theogonie Hesiods hingewiesen (ca. 700 v.Chr.). Zwar wird sie namentlich nicht erwähnt, ist aber als Tochter des

Aietes hinreichend gekennzeichnet.

Und des Aietes Tochter (Medea),

Des zeusgehegten Königs,

Führte des Aison Sohn (Jason)

Nach der immerdar seienden Götter Plänen

Fort von Aietes,

Nachdem er Kämpfe voll Muhsal bestanden,

Deren viele der große, überaus stolze König

Ihm anbefohlen,

Der gewaltige Pelias, der ruchlose, harte;

Die brachte er zu Ende und kehrte zurück nach Iolkos,

Nach vielen Mühen,

Und auf schnellem Schiff fuhrte mit sich

Das Mädchen mit geschwungenen Augen Aisons Sohn,

Und machte sie zur blühenden Gattin.

Und sie, bezwungen von Jason, dem Hirten der Völker,

Gebar den Sohn Medeios,

Den in den Bergen aufzog Chiron, Philyras Sohn;

Nach des großen Zeus Sinn ward dieses vollendet. (7)

Als ältester Zeuge erwähnt Mimnermos (um 600 v.Chr.) in einem überlieferten Fragment das "geographische" Ziel von Jasons Fahrt, nämlich Aia (8), während in der Odyssee und bei Hesiod nur der Herrscher des Landes genannt war:

"Und niemals hätte das große Vlies (über See) zurückgebracht aus eigener Kraft Jason aus Aia vollendend die schmerzreiche Fahrt, für den Frevler Pelias vollendend den schweren Auftrag, ja noch nicht einmal zu Okeanos schöner Strömung wären sie hingekommen." (9)

Pindar (522-446) behandelt in seiner vierten pythischen Ode die Geschichte Jasons in Iolkos, seinen Konflikt als rechtmäßiger Thronfolger, mit Pelias, dem Usurpator, dessen Auftrag, das Goldene Vlies aus dem Lande der Kolcher zu holen als listige Voraussetzung für den Thron.

Pindar berichtet über die geglückte Ausführung des Auftrages mit der Hilfe der Königstochter Medea:

1 "Zu entziehn der Felsen wildwütendem Stoß,
Beim Zusammenprall; waren beide doch lebende,
wälzten aufeinander sich heftiger zu
Als der dumpf aufheulenden Sturmwinde Scharen.

5 Doch schon schuf ein Ende ihnen

Jene -der Halbgotter- Fahrt. Und beim Phasis kamen dann sie
An, wo mit Kolchern, mit dunkelhäutigen, ihre Kräfte sie
Maßen vor Aietes selbst. Die

Herrin der schärfsten Geschosse, die band 10 Einen bunten Wendehals
vierspeichig, unlösbar aufs

Rad und brachte vom Olymp den

Raserei-Vogel, sie, die Kypris, zuerst

Zu den Menschen; flehende Beschwörungen lehrte

Aisons klugen Sohn sie von Grund aus, damit 15 Er Medea raube die
Scheu vor den Eltern,

Sehnsucht hin nach Hellas die im

Herzen Erglühende aufjage mit der Peitho Geißel.

Schnell für die Proben des Vaters wies sie ihm die Lösung, gab

Ihm mit 01 gemischten Zauber, 20 Gegengift grausamer Schmerzen,
aus daK

Er sich salbe. Sie gelobten, sich im Bund süßer Eh

Miteinander zu vereinen." (10)

Es ist heute wohl bekannt, daß Pindar -im Sinne seiner Auftraggeber-
die traditionellen Züge des Mythos radikal änderte, doch gehört seine vierte
Ode zu den populärsten Quellen des Argonauten- und Jason-Medea-Mythos.
(11)

II. Der griechische Tragödiendichter Euripides (geb. etwa 485/490 auf
Salamis, gest. 406 v.Chr.) hat durch seine Tragödie "Medea" (431 v.Chr.)
den Stoff weltbekannt gemacht. Bei Euripides erscheint Medea als sterbliche
Frau auf der Bühne. Sie mußte die größte Ungerechtigkeit und
Undankbarkeit erfahren, die einer Retterin je zuteil wurde. Die Tragödie
setzt mit dem Gespräch zwischen der Amme und dem Erzieher ein, das die
Vorgeschichte erzählt (Argonautenfahrt, Jasons Kampf um das Goldene
Vlies, Medeas zauberkundige Hilfe, Liebe, Ehe, Zerwürfnis zwischen Jason
und Medea, und die unmittelbar drohende Gefahr: König Kreon will Medea



mit ihren Kindern aus Korinth verbannen). Daneben aber beginnt schon hier mit der Beschreibung der von ihrem rasenden Schmerz gequälten Medea, die typisch euripideische Studie eines Menschen, den ungeheure Affekte völlig außer sich geraten lassen. In der Kritik der Diener an Jason äußert sich der "aufklärerische" Gedanke, daß moralische Qualität nicht von der gesellschaftlichen Position eines Menschen abhängt.

Amme: Hört ihr es, Kinder, wie gesinnt der Vater ist?

Wohl will ich ihm nicht fluchen, denn er ist mein Herr;

Doch gegen seine Lieben zeigt er böse sich. Erzieher: Wer täte wohl nicht also? Hier erkennst du jetzt,

Daß jeder sich selbst mehr als seinen Nächsten liebt;

Mil Recht die einen, andre wegen des Gewinns,

Wenn etwa Jason um die Braut die Kinder haBt." (12)

Nach dem erläuternden Prolog der Amme horen wir zu Beginn des Spieles die Wilden Schreie der Medea, die sich um der Königstochter willen verraten und dem Elend preisgegeben sieht. Gleich aber tritt sie gefaßt vor den Chor korinthischer Frauen, um zu ihnen vom allgemeinen Los des Weibes und ihrem persönlichen Schicksal zu sprechen. Sie ist zur Rache entschlossen, Schritt für Schritt dringt sie vor. Zuerst muß der Chor zum Schweigen verpflichtet werden. Die korinthischen Frauen gewähren ihr die Bitte, die als eine Art Solidaritätsbekundung verstanden werden kann. Immerhin, Solidarität einer Fremden, einer Emigrantin gegenüber.

Medea: Doch nur von mir gilt solche Rede, nicht von dir:

Denn du hast eine Heimat hier, ein Vaterhaus, Genuß des Lebens, einen Kreis von Freundinnen;

Ich bin verlassen, ohne Heimat, bin verhöhnt Vom Manne, der aus fremden Lande mich geraubt;

Nicht Mutter hab ich, Brüder, Anverwandte nicht, Zu denen ich mich flüchten könnt aus dieser Not. Drum werde mir von euch dies eine nur gewährt;

Ersinne ich mir einen Weg und eine List,

An meinen Gatten mich zu rächen für dies Leid,

Dann Schweigt!..

Chorführerin: Ich schweige, denn du rächst am Gatten dich mit Recht, Medea daß du traurig bist, erstaunt mich nicht. (13)



Medea bittet nun den König um einen Tag Aufschub der Verbannung, der entscheidende Tag, der für ihre Rache ausreichen soll (und geschickt die Einheit der Zeit garantiert). Erst jetzt begegnet sich das Ehepaar; Jason versucht den Verrat an seiner Frau, die einst sein Leben rettete, mit schonfarberischen Worten als einen Akt der Fürsorge für sie und die Kinder zu deuten.

"Dies darfst du glauben: nicht aus Lieb erkor ich mir Die Königstochter, die sich nun die meine nennt, Nein, wie ich vorhin schon gesagt, ich wollte nur Dich retten, wünschte königliche Brüder einst Des Hauses stütze, meinen Kindern zugestellt" (14)

Medea aber entlarvt den scheinheiligen Versuch des Gatten, das schwache Argument zu einem überzeugenden zu machen. Nach dem Auftreten des Königs von Athen, der Medea Zuflucht für die Zukunft verspricht, beschleunigt sich der Gang der Tragödie zur Katastrophe. In einem zweiten Gespräch mit Jason heuchelt sie selbst Versöhnung und schwört auf die Vernunft, doch nicht so, wie Jason dies geraten, nämlich durch die "vernünftige Ergebung ins Unvermeidliche", sondern auf ihre Weise. In ihrem großen Monolog, zwischen Leidenschaft und Vernunft hin und her geworfen, entschließt sie sich zur Ausführung ihrer Rache: sie wird der jungen Braut Jasons, Glauke, durch ihre Knaben Geschenke in den Palast senden, an denen die Braut elend zugrunde gehen muß und sie entschließt sich, -so will es ihr Dichter Euripides, -zur Tötung ihrer Kinder. Medea, gewiß, verdammt ihren Plan, auch weiß sie, daß dies ihr selbst den größten Schmerz bereiten muß, ist andererseits fest überzeugt, daß der Mord an den Kindern das einzige Mittel ist, Jason endgültig zu vernichten. Dieses -ihre eigenen Kinder-mordende Mutterbild prägte den Medea-Mythos für die weiteren Jahrhunderte. Alle späteren Bearbeitungen des Stoffes -von Seneca über Grillparzer und Anouilh- hielten daran fest, auch die bildende Kunst, zunächst übernahmen die griechischen Vasenmalereien der nacheuripideischen Zeit das Motiv: die Mutter, die aus Rache an den Vater ihre Kinder tötet. (15)

Es ist nicht übertrieben zu sagen, daß keine andere griechische Tragödie in solchem Maße jene Mächte aus dem Tiefsten der Seele aufsteigen läßt, die zur dämonischen Wirkung und Vernichtung gelangen. Dieser Feststellung entspricht es, daß Euripides eine dichterische Form wählt, die es möglich



macht, die Seele als den Schauplatz widerstrebender Kräfte im Selbstgespräch sichtbar zu machen. Diese Form ist der Monolog, eine Form die bisher im Drama unbekannt war. Im Zentrum der Tragödie stehen drei Reden, in denen sich Medea zur Rache durchkämpft. Ihre Entscheidung fällt nicht im Gegenüber mit einem Partner, sondern allein im Gegenüber mit sich selbst. (16) Der erste Monolog enthält die allgemeine Entscheidung zur Rache durch List. Der mittlere Monolog ist von stärkster Bewegung erfüllt und ohne Beispiele in der griechischen Tragödie: zwischen wildem Wunsch zur Rache und mütterlichen Gefühlen hin und her schwankend, ringt sich Medea zur Rache durch. Sie weiß das Furchtbare ihres Tuns und tut es trotzdem. Ihre Leidenschaft triumphiert. Kurz vor der Tat, im dritten Monolog, schwankt sie noch einmal, bleibt aber fest. In freier Entscheidung tötet sie ihre Kinder und vollendet damit ihre Rache.

Am Ende der Tragödie erscheint Medea als Deus ex Machina mit ihren toten Kindern auf dem Drachenwagen, den ihr Helios, der Sonnengott, schickt und entflieht. (Im Mythos ist Medea die Enkelin des Sonnengottes). Jason kann sie nicht daran hindern, er kann seine Kinder nicht einmal bestatten. Mit dämonischem Triumph scheidet Medea aus unseren irdischen Bereichen. Vom Drachenwagen noch verkündet sie die Stiftung eines Kultes für ihre Kinder, der in Korinth tatsächlich noch zur Zeit von Euripides gepflegt wurde. Euripides kehrt also am Schluß seines Dramas zu bestehenden Kulten zurück, knüpft - allen aufklärerischen Tendenzen zum Trotz - wieder an vorgegebene Traditionen an. Er erklärt also nicht nur den kultischen Brauch in Korinth, sondern er bestätigt die zuvor tief "psychologisierte", "vermenschlichte" Medea als jenseitige Figur.

III. Apollonios von Rhodes' Argonautenepos (ca. 300 v. Chr.) schafft ein neues Medea-Bild. Bereits der Anfang des dritten Buches verrät dem Leser, daß die kolchische Königstochter - im Verständnis seines Autors - ein von Leidenschaften gequältes, liebendes Mädchen und keine "Zauberin" oder "Hexe" ist, auch wenn im Vorspiel, im Gespräch der drei Göttinnen - Hera, Athene und Aphrodite - Medea als "die zauberkundige Tochter des Aietes" genannt wird. (17)

"Wohlan nun, Erato, tritt mir zur Seite und erzähle mir, wie Jason das Vlies

*

dank Medeas Liebe von dort zurück nach Jolkos brachte" (18)

Das dritte Buch des Argonautenepos ist der Medea-Jason-Geschichte gewidmet. Die erste Begegnung, die aufflammende, leidenschaftliche Liebe, die Angst um den Fremden, ihre Zweifel und Verzweiflung, ihr Entschluß, ihm das Leben zu retten, ihr Konflikt zwischen Pflicht und Gehorsam der Heimat, dem Vater gegenüber und ihrer Liebe werden im wesentlichen aus ihrer Sicht erzählt. "Mit psychologischem Einfühlungsvermögen beschreibt der Dichter das Phänomen der Liebe auf den ersten Blick ... und hat damit die traditionelle Vorstellung von der Hexe, Zauberin Medea durch das Bild eines Mädchens ersetzt, das zwischen die Fronten egoistischer männlicher Ansprüche - des Abenteuers Jason und des grausamen Vaters Aietes - gerät und für seine Liebe gesellschaftliche Achtung, Exil, Lebensgefahr in Kauf nimmt." (19)

"Das Phänomen der Liebe auf den ersten Blick" zeigt anschaulich die folgende Textstelle:

„Jene [Augias, Jason, Telamon Argos] gingen aber aus der Halle, und unter allen ragte der Sohn des Aison an Schönheit und Anmut wunderbar hervor. Auf ihn heftete sich das Mädchen, verstohlen hinter ihrem schimmernden Schleier hervorblinzelnd, die Augen und sah ihn bewundern an; in ihrem Herzen schmolz sie vor Kummer dahin. Ihre Gedanken flogen wie ein schwerfälliges Traumbild seinen Spuren nach, als er entschwand ... Sie jammerte, als wenn er schon wirklich gestorben sei, und zarte Tränen flossen ihr über die Wangen in übergroßem Mitleid und Kummer. Leise weinehd schluchzte sie <plötzlich> laut auf und sagte:

Was ist das für ein Schmerz, der mich Elende überwältigt? Ob er nun als bester von allen Helden oder als schlechterer zugrunde geht, soll er doch! Doch nein er soll unversehrt entkommen! Ja so soll sein, ehrwürdige Göttin Hekate, möge er nach Hause zurückkehren, dem Schicksal entronnen! Wenn es ihm aber bestimmt ist, von den Stieren bezwungen zu werden, dann soll er doch vorher erfahren, daß wenigstens ich keine Schadenfreude empfinde über sein elendes Urteil.

So also war das Mädchen im Herzen von Kummer bedrängt." (24)

IV. Ich komme zum vierten Teil meines Vortrages, zu jener "erwünschten Begegnung" aus der Tiefe der Zeit heraus: Zur Begegnung der Schriftstellerin



Christa Wolf mit der antiken Mythenfigur Medea. Gleich vorab: Christa Wolf -wie schon in ihrer Erzählung *Kassandra* (1983)- befreit in ihrem Roman eine weibliche Gestalt von den Greuelthaten, die ihr der Mythos und die griechische Tragödie andichtete. Wieder ist Christa Wolf um aufklärende Psychologisierung bemüht, und wieder wird der Mythos zum Modell gegenwärtiger Konflikte und kultureller, gesellschaftlicher, menschlicher Kontraste. Christa Wolf hat die gesamte Leidensgeschichte Medea vollständig neu interpretiert. Ihre Medea lebt zweifacherweise in einer Zwischenzeit: einerseits zwischen dem ausgehenden Matriarchat und dem sich neu etablierenden Patriarchat. Andererseits zwischen Ost und West, zwischen Unterentwicklung und Fortschritt (zumindest, was die wirtschaftliche Lage angeht.)

Zunächst zur Form: Der Titel "Medea. Stimmen" deutet an, daß hier nicht aus einer Perspektive erzählt wird. Es gibt also keinen auktorialen einzigen Erzähler, der über alles Bescheid weiß, sondern mehrere Stimmen kommen zu Wort. Beteiligte und Betroffene des Geschehens erzählen im Wechsel aus der Rückschau: eine Perspektive, aus der sich trefflich analysieren läßt. Die Ereignisse fügen sich aus einer Abfolge innerer Monologe, die Stimmen, zusammen, durch die sich Medeas Geschichte aus Erinnerungen und Reflexionen als Mosaikbild zusammensetzt. In elf Kapiteln werden die inneren Stimmen laut, die ihre Sicht der Dinge darlegen und die zunehmend unheimlich und spannend werdende Romanhandlung fortschreiben. Monolog für Monolog sammelt die Erzählung Indizien für die wahre Geschichte Medeas, d. h. für ihre Unschuld. Diese langsame Annäherung der Teile zum Ganzen ist dramaturgisch brilliant, man folgt der Erzählung mit detektivischer Spannung.

Neben Medea, deren Stimme viermal zu vernehmen ist, berichten noch der charakterschwache Gatte, Jason, (in diesem Punkt sind sich die Quellen einig, auch bei Euripides und bei Apollonios wird Jason als Schwächling geschildert), unentschieden, der große Worte macht, hinter denen nichts steht. Dann Agameda, die Kolcherin, eine ehemalige Schülerin Medeas, haßerfüllt, eifersüchtig, eine Denunziantin, die nur einen Wunsch kennt, Medea zu vernichten. Von den Korinthern zunächst der machtbesessene, intrigante erste Astronom des Königs, Akamas, dem jedes Mittel recht ist, wenn es nur seine Machtposition am Hofe sichern kann. Auch der zweite



Astronom des Reiches, Leukon, berichtet zweimal, (ein typischer Intellektueller) anständig, skrupelhaft, die Intrige gegen Medea durchschauend, doch zu schwach, um zu handeln, oder gar dem Lauf der Dinge eine Richtung geben zu können. Schließlich Glauke, die epileptische, psychisch labile, depressive Königstochter von Korinth, die Jason heiraten soll, damit er König von Korinth werden kann und die sich schließlich im Brunnen des Hofes im königlichen Palast das Leben nimmt.

• Nun zum Schicksal der Medea in der Umdeutung von Christa Wolf:

Medea muß ihre Heimat verlassen, weil sie den Mord an ihrem Bruder Absyrtos entdeckt, oder vielmehr durchschaut, daß dieser Mord vom eigenen Vater geduldet, ja sogar angeordnet wurde, da sonst seine Machstellung ins Wanken gekommen wäre.

"Ich bin mit Jason gegangen, weil ich in diesem verlorenen, verdorbenen Kolchis nicht bleiben konnte." (S.104.) (21)

Sie verläßt Kolchis nicht ohne Gewissensbisse und das Wissen, daß es ein Verrat ist ihrer Heimat, ihrer Mutter gegenüber, deren letzter Blick beim Abschied in ihr tiefe Spuren hinterlassen hat; doch muß sie gehen, denn in einem Land, dessen Fortbestehen auf ein Verbrechen gegründet sei, könne sie nicht mehr leben. Sie flieht mit Jason nach Korinth. Jason und Medea heiraten, sind dort Teil der höfischen Gesellschaft; aber während Jason sich zunehmend assimiliert und anpaßt wird Medea wegen ihres Stolzes, ihrer Klugheit und Andersartigkeit ausgegrenzt. Vollständig kommt es zum Bruch zwischen ihr und König Kreon, als sie entdeckt, daß auch seine Macht in Korinth ein Menschenleben gekostet hat, daß auch seine Macht auf ein Verbrechen gegründet worden war. Kreon ließ seine kleine Tochter, Iphinoe ermorden, um keine weibliche Thronerben zu haben. Dies hätte nämlich die sich gerade etablierten patriarchalischen Machtverhältnisse erheblich gestört, ja sie in ihrer glorreichen Entwicklung weit zurückgeworfen. Kreons Frau, Merope, wurde über diesem Trauma stumm und halb verrückt.

Medea soll vernichtet werden. Hierzu verwendet man das Gerücht, daß sie ihren Bruder ermordet haben soll. Doch Medeas zweiter Monolog erzählt die Wahrheit:

fanatisierte Fundamentalisten brachten den Thronfolger um -wie schon erwähnt- auf Geheiß des Königs, des eigenen Vaters. Medeas Vernichtung



obliegt Akamas, seine Gehilfen sind weitere Personen, die aus Kolchis stammen: Agameda (Bedeutung des Namen: der Dreimalkluge) und Presbon (der Ehrwürdige). Beide paktieren mit der Macht gegen die durch Wissen, Unbestechlichkeit und Schönheit noch immer mächtige Medea. Der böse Plan, der Medeas Vertreibung und den Tod der Kinder besiegelt, stammt von ihren eigenen Landsleuten. Intellektuelle, die sie aus Karrierismus, Neid und Rachsucht ans Messer liefern. Agameda ist das Zerrbild der Medea. Schlau, wo diese klug ist, unauffällig, wo sie außergewöhnlich, vorsichtig, wo die andere sorglos war:

"Medea in ihrer Verblendung setzt ja auf die Stärken der Menschen, ich setze auf ihre Schwächen." (83)

Ein raffiniertes Biest, dessen Handlungsmotiv unter anderem Lust am Boshafte ist. Medea wird Schritt für Schritt zur Persona non grata gemacht.

Ein Erdbeben vernichtet Korinths Armenviertel, der Palast entzieht sich der Verantwortung, die Toten können nicht begraben werden. Als Folge hält die Pest Einzug in Korinth. Katastrophen, die Medea, der Zauberin, der Hexe angelastet werden. Das Räderwerk ist in Gang gesetzt, das Unglück nimmt seinen Lauf. Die unglückliche, verlassene Glauke, die Medea mit einer Art psychotherapeutischen Behandlung mit Erfolg zu heilen und aufzumuntern versuchte, nimmt sich das Leben, nachdem ihr der Umgang mit Medea verboten und ihr über ihre Heilerin die gräßlichsten Geschichten zugerannt werden. Beinahe wäre sie ein gesunder Mensch geworden, da holt sie der Psycho-Terror des Palastes wieder ein; die Intrigen haben gewirkt, sie lehnt Medea ab:

"....ich soil sie vergessen, ich muß sie vergessen, die mir das anempfehlen, haben alle recht, besonders Kreon, der Vater hat recht; ich muß den Namen dieser Frau aus meiner Erinnerung tilgen, ich muß mir diese ganze Person aus dem Kopfschlagen, sie mir aus dem Herzen reißen, ich muß mich fragen lassen oder mich selbst fragen, wie es mir passieren konnte, daß ich ihr mein Herz öffnete, ihr, die uns immerfremd bleiben wird,..." (140)

Rührend hilflos ihr letzter Satz, sie spürt, daß der epileptische Anfall sich ihrer bemächtigt:

"Es kommt wieder, ich spüre es, schon würgt es mich, schon schüttelt es mich, ist denn keiner da, hilft mir denn keiner, fängt mich denn keiner auf, Medea." (160)



Im Augenblick der höchsten Not, des Verlustes des Bewußtseins: der verleumdete, verbotene Namen aus den Tiefen der Seele auf: der einzige Name, der ihrwahre Hilfe hätte zukommen lassen können.

In einem Schauprozeß wird sie verurteilt:

"Es war ja alles abgesprochen. Sie redeten mit verteilten Rollen. Das Urteil stand fest. Ich weiß nicht, wozu sie dieses Theater noch brauchten. Sie stellten sich, als nähmen sie es ernst." (215)

Das Ende ist Verbannung, die einem Todesurteil gleich kommt. Medea sitzt in einer fensterlosen Kammer. Während in der Halle über sie Gericht gehalten wird, ziehen vor ihren Augen die Ereignisse der letzten Tage vorbei, der letzte grausige Höhepunkt der Katastrophe: ihre Teilnahme am Opferfest der Korinther für die Göttin Artemis -gemeint als Versöhnung, verstanden als Anmaßung-, die Nachricht von ausgebrochenen Gefangenen, worauf die rasenden Korinther alle in den Tempel geflüchteten Gefangenen töten wollen und es Medea gelingt, den Mord an vielen durch das Opfer eines Einzigen zu verhindern. Dann ihre Flucht zu den Kolcherinnen und deren Frühlingsfeier für die Göttin Demeter; dann die Entmannung Turons, des intriganten Korinthers, durch die ekstatischen kolchischen Frauen, weil er im heiligen Hain eine Pinie gefällt hat, seine Versorgung mit blutstillenden Medikamenten gegen den Willen Oistros, des Geliebten Medeas, der sie endlich gefunden hat und der weiß: die Korinther werden ihr die Tat, nicht aber die Rettung zuschreiben. Schließlich die Grabesstille im Viertel der Kolcher: alle, die die Soldaten finden, werden niedergemacht.

Soweit ihre Gedanken. Der Bote bringt das Urteil: Verbannung! Im Epilog des Romans hat Medea das letzte Wort: nach sieben Jahren gemeinsamen Lebens mit Lyssa in der Höhle, erreicht sie die Nachricht, daß ihre Söhne, die sie mit ihrem Verschwinden retten wollte, tot sind, gesteinigt von der rasenden Menge aus Rache für Glauke, für deren Tod sie angeblich verantwortlich war. Auch muß sie noch erfahren, daß in Korinth sie für die Morderin ihrer Kinder gehalten wird, und die Korinther mit der Begründung des Kultes für die Medea-Kinder auch noch dafür Sorge tragen, daß in späteren Jahrhunderten -mit Euripides an der ersten Stelle- sie als Kindesmörderin abgestempelt wird. Vielleicht ist dies das Furchtbarste: die Medea-Fama für die Nachwelt. Das Ende ist Verlust des Glaubens:

"Wo sie die Götter mich auch abtasten mit ihren grausamen Organen,



sie finden keine Spur von Furcht an mir. Nichts nichts. Die Liebe zerschlagen, auch der Schmerz hört auf. Ich bin frei. Wunschlos horch ich auf die Leere, die mich ganz erfüllt." (235)

Das Ende ist aber auch Fluch. Fluch über alle, vor allem über Akamas, Kreon, Agameda, Presbon. Aber vor allem: Das Ende ist Resignation, Fragen die unbeantwortet bleiben müssen, weil keine Antwort möglich ist.

"Wohin mit mir. Ist eine Welt zu denken, eine Zeit, in die ich passen würde. Niemand da, den ich fragen könnte. Das ist die Antwort." (236)

Das sind ihre letzten Sätze.

Vielsagend ist in diesem Abschnitt die Interpunktion. Interpunktion und grammatische Struktur entsprechen einander nämlich nicht. Die fehlenden Fragezeichen vermitteln die Erkenntnis der Nutzlosigkeit alien Fragens und das Wissen darum, daß die Fragen im Ather verhallen und weder Götter noch Menschen sie hören, geschweige denn, sie beantworten.

Christa Wolf folgt in ihrem Werk -zumindest was den Kindermord angeht-voreuripideischen Überlieferungen. Ihre Medea ist eine selbstbewußte, stolze ungebrochene Frau, die zwischen den Konventionen steht, zeit- und heimatlos, eine Unangepaßte, eine Fremde (von den Korinthern wird sie die "Wilde" genannt), die an den Verleumdungen scheitert, die ihr nachgesagt werden und die in der Welt überliefert sind. Diese Medea ist ausgestattet mit einer Art höherer Moralität, mit der geistigen Erhabenheit ohnmächtigen weiblichen Nachdenkens, die auch Christa Wolfs Cassandra auszeichneten.

Ich habe zu zeigen versucht, daß im Medea-Roman kein mythologischer Ansatz vorhanden ist, der die Perspektive der Autorin bestimmt. War es in der "Kassandra" die Furcht vor dem Atomkrieg in der Zeit des Wettrüstens, kann man hier die Erfahrung der Ausgrenzung als Hintergrund entdecken.

Medea hatte sich mit ihrer Unterstützung für Jason gegen den eigenen Vater und dessen Politik in Kolchis gestellt und deshalb fliehen müssen. Exilanten in Korinth sind auch die mit ihr gegangenen Kolcher. So wird der Mythos dienstbar gemacht für die Gegenwart. Flüchtlingsströme gehören -vom Exodus der Juden bis zur Völkerwanderung auf dem Balkan- zu den Grunderfahrungen des 20.Jhs.

Und noch eine Parallele läßt sich ziehen: man kann den Medea-Roman auch als "Gleichnis" auf die deutschen Verhältnisse nach der politischen



Wende der Jahre 1989/90 und der Herstellung der deutschen Einheit. Die Menschen, die mit der "Argo" aus dem rückständigen Kolchis ("Kolchis [ist] an der östlichsten Rand [der] Welt") (37) ins hochentwickelte Korinth kommen, stießen auf eine Welt des Wohlstandes, in der ihnen nur am Rande Platz gewährt wird. Akamas sagt:

"Natürlich haben meine Korinther das Trüppchen der Einwanderer wie fremde Tiere bestaunt, nicht direkt unfreundlich, nicht direkt freundlich. Wir hatten damals ein paar gute Jahre, das merkt man ja immer erst später, wir sonnten uns in dem Staunen der Kolcher über unserern Wohlstand." (125)

Aus der Perspektive der Korinther sind die Kolcher fremdartig und vermögen nicht, sich an die neue Umgebung anzupassen. Das Heimweh und das Gefühl der Unterlegenheit der Kolcher schafft ein Bild des Paradieses von der verlassenen Heimat, obwohl sie von dort geflüchtet sind, weil sie im verdorbenen, verlogenen Kolchis nicht leben wollten. Aus der Konstellation des Romans erwächst das Konfliktfeld: der Gegensatz zwischen dem vermeintlich barbarischen Kolchis und dem hochzivilisierten Korinth. daraus erwachsen unübersehbar aktuelle Parallelen zum Gegeneinander verschiedener Gesellschaftssysteme. Denn Kolchis, das blühende Agrarland, richtet sich durch politischen Kleingeist und Mißwirtschaft selbst zugrunde, während die machtorientierte Stadt Korinth an der Geldgier und Konsumhörigkeit seiner Bürger zu ersticken droht. "Korinth ist besessen von der Gier nach Gold." (38) denkt Medea in ihrem ersten Monolog.

Im rückständigen Kolchis haben die Frauen mehr Eigenständigkeit, Selbstbewußtsein, in Korinth sehen sie aus wie "sorgfältig gezähmte Haustiere (18). Für die Korinther ist eine Frau wild, "wenn sie auf ihrem Kopf besteht." (18)

Damit ist auch der Aspekt der feministischen Tendenz im Roman angesprochen. Aus den Poetik-Vorlesungen von Christa Wolf an der Frankfurter Universität im Jahre 1982 zitiere ich den folgenden Satz: "In Cassandra ist eine der ersten Frauengestalten überliefert, deren Schicksal vorformt, was dann, dreitausend Jahre lang, den Frauen geschehen soll: daß sie zum Objekt gemacht werden." (22)



In diesem Sinne, daß sie zum Objekt gemacht werden, sind sie sich auch gleich:

Kassandra, die Seherin und Medea, die Wissende, auch gleich im Leiden, gleich in ihrem tragischen Schicksal.

LITERATURVERZEICHNIS

1. WOLF, Christa: Medea. Stimmen. Luchterhand Verlag. 1996.
2. EURIPIDES: Sämtliche Tragödien. Bd II. Nach der übers. von J. J. Donner, bearb. von R. Anichit, Anm. von Botho Hagen, Einl. von Walter Jens. Kröner Verlag, Stuttgart. 1984.
3. APOLLONIOS VON RHODOS: Das Argonautenepos. Bd. I-II. Hrsg., übers. und erl. von Reinhold Glei und Stephanie Natzel-Glei. Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt. 1996.
4. HOMER: Ilias. (7, 468-470). Hrsg. und übers. von Roland Hampe. Reclam, Stuttgart. 1979.
5. HOMER: Odyssee. (12, 69-72). Hrsg. und übers. von Roland Hampe. Reclam, Stuttgart. 1979.
6. DRAGER, Paul: Argo Pasimelonsa. Der Argonautenmythos in der griechischen und römischen Literatur. Teil 1: Theos aitios (Palingenesia 43). Steiner, Stuttgart. 1993. S. 18.
7. HESIOD: Theogonie. In: Sämtliche Gedichte. übers. und erli. von Walter Marg. Artemis, Zürich/Stuttgart. 1970. S. 78.
8. Kolchis mit der Hauptstadt Aia sind heute als Teil Georgiens bekannt. vgl. RANKE-GRAVES VON, Robert: Griechische Mythologie. Rowohlts Enzyklopädie. Reinbek Verlag, Hamburg. 1994. S. 557.
9. vgl. DRAGER, S. 31.
10. PINDAR: Siegesgesänge und Fragmente. übers. von Oskar Werner. Heimerau, München. 1967. S. 157.
11. vgl. DRAGER, S. 9.
12. vgl. EURIPIDES, S. 191.
13. ebenda, S. 196.
14. eben da, S. 206.
15. FRENZEL, Elisabeth: Stoffe der Weltliteratur. Kröner, Stuttgart. 1976. S. 482 ff.
16. vgl. LESKY, Albin: Geschichte der griechischen Literatur. Francke, Berlin und München. 1957/58. S. 405.
17. vgl. APOLLONIOS VON RHODOS, 3. Buch. S. 3.
18. eben da, S.3.

19. vgl. GLEI / NATZEL-GLEI, in: Einleitung zum ersten Buch des Argonauenepos. S. XIV. u. S. IX.
20. APOLLONIOS VON RHODOS, 3. Buch. S. 27.
21. Alle weiteren Zitate im Text eingeklammert. Sie beziehen sich auf die unter 1) genannte Ausgabe.
22. WOLF, Christa: Voraussetzungen einer Erzählung: Cassandra. Frankfurter Poetik-Vorlesungen. Luchterhand, Darmstadt und Neuwied. 1983. S. 86.

ინგა კიკვიძე

**ტექსტის სტატუსის პრობლემა
ლინგვისტიკის განვითარების ზოგადი ტენდენციის
ფონზე**

მიზეზებს, რომლებმაც ტექსტი ენათმეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოაქცია, ღრმა კონცეპტუალური ხასიათი ჰქონდა. ისინი განპირობებული იყო საერთო ლინგვისტიკური ორიენტაციის შეცვლითა და უკვე ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული ცნებების ახლებური გააზრებით. უნდა დავეთანხმოთ იმ შეხედულებას, რომლის თანახმადაც ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც ენათმეცნიერების ახალი დარგის, შექმნა თეორიულად მომზადებული და პრაქტიკულად განპირობებული იყო ენისა და მეტყველების პრინციპული დაპირისპირების იდეით, რომელიც წარმოდგენილი იყო ფ.დე სოსიურის, ი.ა. ბოდუენ დე კურტენეს, ჰ. შტაინთალის, უფრო ადრე კი - ვ. ჰუმბოლდტის შრომებში (2,7; 8,5).

მეცნიერებაში დამკვიდრებულმა სტრუქტურალიზმმა, რომელმაც ღრმად შეისწავლა ენის ფორმალური მხარე, თავისი მკაცრი ცალმხრივობით განსაზღვრა აქცენტის გადატანა ენობრივი ერთეულების შინაასობრივი მხარის შესწავლაზე. შეხედულებამ შინაარსის პირველადობის შესახებ ფორმასთან მიმართებაში რეალიზება ჰპოვა გაძლიერებულ ინტერესში ენობრივი მოვლენების, მათ შორის, სინტაქსის ერთეულების სემანტიკური ანალიზისადმი. გაჩნდა ნაშრომები, რომლებმაც დამაჯერებლად წარმოაჩინა წინადადების აზრობრივი და კომუნიკაციური დაუსრულებლობა. მათ შორის, პირველ რიგში აღსანიშნავია ჩეს ენათმეცნიერთა შრომები (ვ. მათეზიუსი, ფ. დანეში და სხვ.) წინადადების ფუნქციონალური პერსპექტივის შესახებ.



წინადადება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნიხილებოდა, როგორც მეტყველების ძირითადი (ზღვრული) ერთეული, უმთავრესად იმის გამო, რომ წინადადებაზე ვრცელ, ზეფრაზულ ერთეულებში ვერ ხერხდებოდა ისეთ რეგულარულ კანონზომიერებათა დადგენა, რომელთა გამოყოფაც ობიექტურად იქნებოდა შესაძლებელი (7,8). მაგრამ სინტაქსის სემანტიკური ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ იქნა ამგვარი რეგულარული მოვლენები - წინადადებათაშორისი კონექტორები, რომელთა აღწერა და შესწავლა ვერ თავსდება ტაქსონომიური კვლევის ჩარჩოებში. ამრიგად, ლინგვისტიკის განვითარების კონტექსტში ტრადიციული გრამატიკის ფარგლებიდან გასვლა და ტექსტის ინტენსიური კვლევა - დისკრეტული ენობრივი ერთეულების საპირისპიროდ - ნიშნავდა „შემობრუნებას ენის ლინგვისტიკიდან მეტყველების ლინგვისტიკისაკენ“ (5,7).

თუმცა ტექსტის ლინგვისტიკური არსის განსაზღვრისა და ლინგვისტიკის ფარგლებში მისი განხილვის მართებულობის აღიარების პროცესში არაერთი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი იქნა გამოთქმული. იმ ნაშრომების გვერდით, რომლებშიც ტექსტი განიხილებოდა, როგორც მეტყველების მოვლენა და ამის საფუძველზე გამოირიცხებოდა ენობრივ ერთეულთა იერარქიიდან (ე. ბენვენისტი, ი.რ. ვალპერინი, კ. ვაუზენბლასი, პ. სვალი, გ.პ. შჩედროვსკი და სხვ.), ლინგვისტიკურ ლიტერატურაში ფართოდ არის წარმოდგენილი ტექსტის ენობრივ ერთეულთა სისტემაში გაერთიანების მართებულობის დასაბუთება. ამასთან ტექსტი მოიაზრება, როგორც მეტყველების ერთეული, რომელიც წარმოადგენს ტექსტების ენობრივი მოდელების მანიფესტაციას მეტყველებაში (ი. პეტეფი, რ. ჰარვეგი, ა.ნ. მოროზოვსკი, თ.ი. მოსკალსკაია და სხვ.). ამრიგად, გამოიკვეთა ტენდენცია ტექსტის ადგილის განსაზღვრისა და მეტყველების ოპოზიციის ფარგლებში.

70-იანი წლების ბოლოს ლინგვისტიკაში აქტიურად განვითარდა ამ მეცნიერების კონცეპტუალური აპარატის თავიდან გადახედვის პროცე-



სი, რათა „მოძებნილიყო ლინგვისტიკის ობიექტისადმი - სამეტყველო მოღვაწეობისადმი მიდგომის რალაც სხვა პრინციპები და მეთოდები, ლებიც შესაძლებელს გახდიდნენ ამ ობიექტისადმი მისი მიდგომის მეთოდური და თეორიული შეზღუდულობის დაძლევას, ლინგვისტიკური ანალიზის შესაძლებლობების გაფართოებას და მათ შესაბამისობაში მოყვანას იმ თეორიულ და პრაგმატულ ამოცანებთან, რომლებიც გამუდმებით წარმოიშობა ლინგვისტიკის წინაშე“ (4,20).

„ლინგვისტიკის ობიექტისადმი მიდგომის სხვა პრინციპები და მეთოდები“ ჩამოყალიბებულ იქნა ნაშრომებში, რომელთა ავტორებიც მართებულად და მიზანშეწონილად მიიჩნევენ ტექსტის, როგორც კომუნიკაციური ერთეულის, გაგებას (გ.გ. კოლშანსკი, მნ. კოჟინა, ა.ა. ლეონტიევი, მ.ა. კისელიოვა, ზ.ი. ტურაევა, მ.ა. გვენცაძე და სხვ). ტექსტის არსის ასეთი გაგება, რომელიც ენისა და მეტყველების დიალექტიკური ერთიანობის კონსტატაციას ეფუძნება (მეტყველება - ენის არსებობის ფორმა), განსაზღვრავს ახლებურ მიდგომას ტექსტის დონეთა შორის ლოკალიზების პრობლემის გადაწყვეტისადმი და თვით „დონის“, ანუ „იარუსის“, ცნების გაფართოებას გულისხმობს.

ენობრივი დონის ვიწრო გაგებისაგან განსხვავებით, რომელიც, როგორც ცნობილია, გამოირიცხავს ტექსტობრივ დონეს იმ დებულებიდან გამომდინარე, რომ ნებისმიერ დონეს უნდა გააჩნდეს საბაზისო ერთეული, რომელიც ამ სტატუსით მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიქმება, თუკი შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება უფრო მაღალი დონის ერთეულთა შემადგენლობაში (შესაბამისად, შეუძლებელია ტექსტის საბაზისო ერთეულად მიჩნევა), ამ ცნების ფართო გაგება ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ჰიპოთეზა ენობრივ სტრუქტურაში დონეთა გამოყოფის შესახებ შემოღებულ იქნა იმ მიზნით, რომ მისი შესწავლა უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო, ხოლო დონე -ლინგვისტიკური აღწერის ფაზაა, რომელიც ენის გარკვეულ მდგომარეობას ასახავს და არა მისი პირდაპირი, ზუსტი



გამოსატულება (1,39: 6,18). ამიტომ ენის სტრატეგიკაციული მნიშვნელობის აგებას შეიძლება საფუძვლად დაედოს სხვადასხვა კრიტერიუმში, რომლებიც კვლევის მიზნებზე და მკვლევარის პოზიციაზე იქნება დამოკიდებული.

დონის ამგვარი გაგებიდან ამოდის, მაგალითად, ლ.ა. კისელიოვა. იგი ენის საერთო სისტემაში გამოჰყოფს ორ ქვესისტემას (ენის ორი ფუნქციის - კომუნიკაციურისა და ნომინაციურის შესაბამისად) - ნომინაციისა და კომუნიკაციურ ქვესისტემებს. პირველს შეადგენენ ლექსიკური დონის ერთეულები და ფრაზეოლოგიზმები, ხოლო მეორეს - ოთხი დონის ერთეულები, რომლებიც უშუალოდ კომუნიკაციური ფუნქციის განხორციელებას ემსახურებიან: წინადადებები (I იარუსი), ზეფრაზული მთლიანობები (II იარუსი), აბზაცების ერთობლიობა (პარაგრაფი, თავი, ნაწილი) (III იარუსი) და ტექსტი (IV იარუსი) (3,140-141).

ტექსტის სტატუსის გარკვევის პრობლემასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოდ წარმოგვიდგება "ლანგაჟის" - ენის განსაზღვრელი ზოგად-აბსტრაქტული გვარეობითი ცნების აღორძინების იდეა, რომელსაც გვთავაზობს პროფ. ვ. ფურცელაძე. ავტორის აზრით, ტექსტის, როგორც უმაღლესი კომუნიკაციური ერთეულის, კვლევა უნდა განხორციელდეს ლანგისა და ლანგაჟის ურთიერთმიმართებაში. შესაბამისად, ტექსტის ლინგვისტიკის დონეს მეცნიერი სისტემის (ლანგის) ზევით ათავსებს და ხაზს უსვამს, რომ ენობრივი ერთეულების კვლევა ხორციელდება ენის ლინგვისტიკის ფარგლებში, ხოლო ტექსტის ლინგვისტიკისა - კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში (1,29-50).

ენის სტრუქტურის აგებისა და ტექსტის სტატუსის განსაზღვრის განხილული ვარიანტების არსი ისევე, როგორც სხვა თანამედროვე ვარიანტების უმეტესობისა, მდგომარეობს თვით დონის ცნების გაფართოებასა და ენობრივი სისტემის (ტრადიციული გაგებით) ზევით განლაგებული



Киквидзе И.Д.
ПРОБЛЕМА СТАТУСА ТЕКСТА НА ФОНЕ ОБЩЕЙ
ТЕНДЕНЦИИ РАЗВИТИЯ ЛИНГВИСТИКИ

Резюме

В работе предложен анализ процесса формирования современного подхода к проблеме статуса текста в русле общих тенденций, имеющих место в развитии лингвистики. В общих чертах суть современных вариантов определения статуса текста и построения уровневой структуры языка состоит в расширении понятия уровня, основанном на концептуальной идее диалектического единства языка и речи и выделении надсистемного (в традиционном понимании языковой системы) коммуникативного уровня, единицей которого и является текст.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფურცელაძე ვ., ტექსტი, როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი განცხადება, თბილისი, 1998.
2. Гоциридзе Д.З., Принципы типологической интерпретации фразовых текстов, Тбилиси, 1988.
3. Киселева Л.А., Вопросы теории речевого воздействия, Москва, 1978.
4. Леонтьев А.А., Высказывание как предмет лингвистики, психолингвистики и теории коммуникации. В кн.: Синтаксис текста, Москва, 1979.

5. Морозовский А.Н., Некоторые основные понятия стилистики и лингвистики текста; В кн.: Лингвистика текста и методика преподавания иностранных языков, Киев, 1981.
6. Откупщикова М.И., Синтаксис связного текста, Ленинград, 1982.
7. Проблемы текстуальной лингвистики, Москва, 1978.
8. Тураева З.Я., Лингвистика текста, Москва, 1986.

რუსული ენის კათედრა



ბაია კოლუაშვილი

დრამის თეორიის ფოკუსირების საკითხი კოლრიჯის
მსოფლიოურ ნააზრევში

მე-19 საუკუნის დასაწყისში ევროპაში მიმდინარე მოვლენების დრამატიკაში განაპირობებს განსაკუთრებულ ინტერესს დრამატული ხელოვნებისა და დრამის თეორიის პრობლემების მიმართ. ესთეტიკური პრინციპების დამკვიდრება ხელოვნებაში ხდება კლასიციზტური დოგმებისა და ნორმების წინააღმდეგ გამძაფრებულ ბრძოლაში, რაც ყველაზე ნათლად დრამატურების სფეროში გამოიხატება. ინგლისელი რომანტიკოსების განსაკუთრებული დაინტერესება დრამის პრობლემებით ნაწილობრივ იმანაც განაპირობა, რომ ძველის ნგრევისა და ახლის დამკვიდრების პროცესში დრამა და თეატრი გარკვეულწილად კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

დრამის განვითარების ახალი ეპოქა მთელს ევროპაში აღინიშნება თეორიული აზროვნების უჩვეულო ინტენსივობით. ამაზე მეტყველებენ ლიტერატურული მანიფესტები, ტრაქტატები, დრამების წინასიტყვაობები, პოლემიკური ხასიათის სტატიები და ა.შ. განსხვავებით გერმანელებისაგან, ინგლისელმა რომანტიკოსებმა ვერ შექმნეს დრამის თეორიის ლოგიკური, მწყობრი სისტემა, მაგრამ, მიუხედავად შრომების ფრაგმენტული ხასიათისა, მათი მნიშვნელობა უდავოა და ისინი უცილობლად იმსახურებენ ყურადღებას.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ს. ტ. კოლრიჯი, რომელიც მართებულად ითვლება დრამის პირველ თეორეტიკოსად რომანტიზმის ეპოქის ინგლისში. დომინანტური მნიშვნელობისა კი მის დრამის თეორიაში არის შექსპირის შემოქმედებითი პრინციპების ანალიზი. ეს ლოგიკურია, რადგან შექსპირის გენიის თაყვანისცემით მიმდინარეობდა მთელს ევროპაში რომანტიკოსთა ბრძოლა შემზღუდავი ლიტერატურული წესებისა და კანონების წინააღმდეგ, ბრძოლა ახალი ხელოვნებისათვის,



ადამიანის რთული შინაგანი სამყაროს ჩაწვდომისა და ცხოვრების ახლებურად ასახვისათვის. შექსპირს იკვლევდნენ გერმანიაში ფრიდრიხ და ავგუსტ შლეგელები, ნოვალისი, ტიკი. ჰიუგო, ჟერმენ დე სტალი, გიზო - საფრანგეთში, ინგლისში - ჩ. ლემი, უ. ჰეზლიტი და სხვ.

კოლრიჯი თავის ძირითად შრომებში („ლექციები შექსპირზე“, „ლიტერატურული ბიოგრაფია“ და სხვა) მსგავსად ზოგიერთი რომანტიკოსისა, შექსპირის ნაწარმოებებს სრულყოფილების ეტალონად მიიჩნევდა და აღიარებდა მას ახალი ლიტერატურული სკოლის მებაირახტრედ, პოეტებისა და დრამატურგების შთაგონების წყაროდ. როგორც ანიკსტი აღნიშნავს: „კოლრიჯმა თავისი ლექციებით უფრო მეტად, ვიდრე შექსპირის სხვა რომანტიკულმა ინტერპრეტატორებმა, შეძლო დიდი ინგლისელი დრამატურგის ახლებურად გაგების დამკვიდრება. როგორც არ უნდა იყოს ის გავლენები, რომლებიც განიცადა კოლრიჯმა, იგი იმდენად ორიგინალური შემოქმედი იყო, რომ მის მიერ გამოთქმული შეხედულებანი წარმოადგენენ პოეზიის და დრამის მისთვის უცილობლად საინტერესო გაგებას“.¹

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კოლრიჯის მსჯელობანი კლასიკური და რომანტიკული დრამის განსხვავების შესახებ, რომელსაც ინგლისელი რომანტიკოსი შექსპირის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად აღნიშნავენ ა. შლეგელის უცილობელ ზეგავლენას კოლრიჯის კონცეპციაზე, მისი აზრები მაინც მნიშვნელოვანი ეტაპია ინგლისური რომანტიკული თეორიის ფორმირების საქმეში. კოლრიჯი კლასიკურსა და რომანტიკულს შორის განსხვავებას ხედავს არა პოეტიკის ფორმალურ წესებში, არამედ პოეზიის ფსიქიკურ განწყობაში. კლასიკოსები ქმნიდნენ დრამებს, რომლებშიც განასახიერებდნენ „უფრო იდეალურ მდგომარეობას, ვიდრე არსებულ სინამდვილეს“, მაშინ, როცა რომანტიკული დრამა, კერძოდ შექსპირული „იკვლევს შინაგან ბუნებას, ვნებათა მოძრაობას სულის ყველაზე ღრმა კუნჭულებში“.² ორივე ხელოვნება გამოხატავს მუდმივ ჭეშმარიტებებს, მაგრამ განსხვავებული მხატვრული

¹ А. Аникст, Теория драмы на западе в первой половине XIX века, Изд. "Наука". М. 1980. ст. 234.

² Coleridge S.T., Shakespearean Criticism/Ed/ by T.M. Raysor. London, 1960. vol. 1. p. 175-176

ფორმით. ანტიკურობისათვის დამახასიათებელია უანრობრივი დაყრდნობა რომანტიკულისათვის - მათი შეერთება.

კოლრიჯი შექსპირს აღიარებს რომანტიკოსად. იგი ა. შლეგელის მსგავსად ერთმანეთს უპირისპირებს რომანტიკულს - ჭეშმარიტ პოეზიას და კლასიციზტურს - მექანიკურს. შექსპირის პიესები კოლრიჯის მიხედვით წარმოადგენენ სრულყოფილების უმაღლეს საზომს, რომელთაც არავითარი ნაკლი არა აქვთ. კოლრიჯს შექსპირის პიესების მთავარ დამახასიათებელ თვისებად მიაჩნია „მოძრაობითობა“, ის გამოიხატება: „ავტორის მიერ გამოხატული ურთიერთობების დაუსრულებელ, რთულ შეთანხმებაში, ცვალებადობის განუწყვეტელ განვითარებაში. კონტრასტების, დაცემის რიგითობაში და დაძაბულობის თანდათანობით ზრდაში, განსხვავებულობისა და მსგავსების შერწყმაში, ტემპების სწრაფ გადართვაში, გრძნობების ამაღლებასა და შესუსტებაში“.³

კოლრიჯის პოეტიკა უარყოფს პოეზიის, როგორც გონების ნაყოფის რაციონალიზტურ გაგებას. თუმცა იგი არ უარყოფს გონებას, როგორც შემოქმედის უცვლელ ელემენტს. მის კონცეფციაში პოეტი და მხატვარი აღიქმება, როგორც მთლიანი პიროვნება, რომელსაც გააჩნია ყველა ინტელექტუალური შესაძლებლობა, რომელშიც სინთეზირებულია გონება და გრძნობა. ასეთი პოეტის ნიმუშად კოლრიჯს მიაჩნია შექსპირი. მის კონცეფციაში იყო პრინციპულად ახალი თეზისი: შექსპირი ისეთივე დიდი მოაზროვნეა, როგორც დიდი მხატვარი. იგი განიხილება ერთიანობად, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული გონება და გრძნობა.

თუ შექსპირში ადრე მხოლოდ ინტუიტიურ გენიას ხედავდნენ, რომელიც არ ექვემდებარებოდა არანაირ წესებს, კოლრიჯი ამტკიცებს, რომ შექსპირის გონება თანასწორი იყო მისი პოეტური ნიჭიერებისა. იგი აღნიშნავს: „ჯერ კიდევ თავისი დრამის შექმნამდე მან დაამტკიცა, რომ იგი ფლობდა ღრმა ენერგიულ და ფილოსოფიურ ჭკუას“.⁴

კოლრიჯის აზრით, ყველა ეპოქა ქმნის თავის ესთეტიკურ იდეალს. ახალი დრამის ხელოვნება გვეკლინება რომანტიკულად. ის გამოირჩევა

³ Coleridge S.T., Shakespearean Criticism/ T.M. Raysor. (Ed) London-New York, 1960, vol. 11. p. 187-188

⁴ Coleridge S.T., Shakespearean Criticism/Ed by T.M. Raysor. London, 1960, vol. 1. p. 189-190



სიმდიდრით და მრავალფეროვნებით. კოლრიჯისათვის სწორედ შექსპირი არის ის მწერალი, რომლის შემოქმედებაში განხორციელებულია აზალი დრამის პრინციპები. იგი ერთ ნაწარმოებში აერთიანებს სხვადასხვა ემოციურ სტიქიებს, არ ეშინია შეაერთოს ტრაგიკული კომიკურთან. შექსპირს კოლრიჯი რომანტიკული პოეტის ნიმუშად თვლის. კოლრიჯი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა შექსპირული ხასიათების შესწავლის საკითხს. მისი ყველაზე მეტი მოსაზრება სწორედ ამ საკითხს ეძღვნება. ერთ-ერთ თავის ესეში კოლრიჯი ხასიათების შექმნის შექსპირულ მეთოდს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „შექსპირის განსაკუთრებული სრულყოფა მდგომარეობს იმაში, რომ მის მიერ შექმნილი პორტრეტების გალერეაში <...> ჩვენ ყველგან ვნახულობთ ინდივიდუალობას და ვერსად ვხედავთ უბრალოდ პორტრეტებს“.⁵

მსგავსად შექსპირისა, რომელიც ერთდროულად უნივერსალურიც არის და ინდივიდუალურიც, ასევე მისი გმირებიც გვევლინებიან განუმეორებელ პიროვნებებად.

მეტად საინტერესოა ჰამლეტის კოლრიჯისეული დახასიათება. მისი აზრით, ჰამლეტს იმიტომ არ შეუძლია ქმედება, რომ მას რეალობა უფერულად ეჩვენება მის მიერ წარმოსახულ გაბრწყინებულ სამყაროსთან შედარებით. ის იმიტომაც არ მოქმედებს, რომ მისი სულიერი ენერგია დათრგუნულია მის მიერ შექმნილი შინაგანი სამყაროთი.

კოლრიჯმა წამოსწია დანიის პრინცისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობრიობა წარმოსახვის ძალასა და აზროვნებას შორის, უინტერესობა ისეთი სინამდვილისადმი, როგორც იგი რეალურად არსებობს. როგორც ნ. დიაკონოვა აღნიშნავს: „მისი შინაგანი ხედვით შექმნილი იდეალური სახეები იმდენად ცოცხალია, რომ ყველა რეალური საგანი მათთან შედარებით მკვდარია“.⁶ ჰამლეტის განმარტება კოლრიჯთან ასევე საინტერესოა თავისი ავტობიოგრაფიულობით: „არის ჩემში რაღაც ჰამლეტისეული“ - აღნიშნავს იგი.⁷

⁵ Coleridge S.T., The friend. A series of Essays. London, 1867, p. 304
⁶ Н.Ф. Дьяконова. Английский романтизм. изд. "Наука", М. 1978. с. 25.
⁷ Coleridge S.T., Complete works VI, Table Talk. p. 285



კოლრიჯს ასევე ბევრი მაგალითი მოჰყავს ტრაგედიიდან „მეფე ლირი“
 სადაც ნათლად ჩანს მისი დამოკიდებულება შექსპირის გენიისადმი, კერ-
 ძოდ, ტრაგიკულის და კომიკურის ერთიანობაზე, შექსპირული ხასიათების
 კონტრასტულობაზე, მართალია შექსპირი ემორჩილებოდა თავისი დროის
 გემოვნებასა და სულიერ მოთხოვნილებას, მაგრამ მისი გენიალობა და
 მხატვრული წვდომის უნარი ასწავლიდა, თუ როგორ გამოეყენებინა ეს
 ხასიათები საოცარი შთამბეჭდაობით, რათა გაემძაფრებინა ტანჯვა და
 უბედურება ყველაზე უფრო გულისშემძვრელ სცენებში. ამის შედეგი
 ნათლად ჩანს „მეფე ლირში“. მასხარას კონტრასტი საოცრად აფერადებს
 ყველაზე უფრო ტრაგიკულ ადგილებს, სადაც მრისხანებით და უიმე-
 დობით აღვსილი მეფე ქარიშხალს შესჩივის და ქალიშვილების უმადუ-
 რობას ამცნობს“...⁸

კოლრიჯის აზრით, შექსპირი, რომელიც არ იგონებდა ახალ სიუჟეტებს
 და მათ სესხულობდა ისტორიიდან ან ლიტერატურიდან, უდიდეს
 მნიშვნელობას სწორედ ხასიათს ანიჭებდა. იგი „პირველყოვლისა მისწრა-
 ფვის, რომ ჩვენ გავეცნოთ ხასიათს“. ამასთანავე შექსპირი არ აღწერს
 პერსონაჟის ხასიათს, არამედ საშუალებას გვაძლევს ჩვენ, რომ გავიგოთ,
 თუ როგორია იგი მისი სიტყვებით და ქმედებებით, გარშემომყოფთა
 რეპლიკები და ბოლოს მასხარების კომიკური კომენტარებით.

ქმნიდა რა ინდივიდუალურ ხასიათებს, კოლრიჯი შექსპირის განსაკუთ-
 რებულ მიღწევად თვლიდა ოსტატობას ქალთა სახეების შექმნისას.

კოლრიჯი თავის ლიტერატურულ ბიოგრაფიაში, მთხრობელსა და
 მოპასუხეს შორის დიალოგში გამოთქვამს პროტესტს დრამის მორალიზა-
 ციის წინააღმდეგ, ხოლო თავის ლექციებში შექსპირის მხატვრული
 მეთოდის დახასიათებისას წერს:

„... პოეტის დანიშნულებაა კი არ გააანალიზოს და გააკრიტიკოს ადა-
 მიანთა გრძნობები და რწმენები, არამედ უნდა იყოს დარწმუნება იმაში,
 რომ ზუსტად ასეთია გრძნობები და რწმენები, რომლებიც ფესვადგმუ-
 ლი არიან ადამიანურ ბუნებაში, და არა ისეთნი, რომლებიც არიან

⁸ ს.ტ. კოლრიჯი. ლექცია მეორე ციკლიდან: ლექციები შექსპირსა და მილტონზე. წიგნიდან:
 ქსეპი, თბილისი, „ჭრანი“, 1989, გვ. 83.

⁹ Coleridge S.T., Shakespearean Criticism/Ed by T.M. Raysor. London, 1960, vol. 1. p. 200

შემთხვევის, უვიცობისა და ავადმყოფობის შედეგი".⁹

საბოლოოდ, შექსპირის დრამატურგიის უმნიშვნელოვანეს თავისებურებად კოლრიჯს მიაჩნდა მისი დრამების ლირიზმი. მისი აზრით, რომანტიკული დრამა არა მხოლოდ ლექსად უნდა იყოს დაწერილი, არამედ პოეტურიც, ამ სიტყვის ღრმა გაგებით.

კოლრიჯამდე შექსპირის დრამის პოეტური მხარის მნიშვნელობა ასეთი ხარისხით არავის ესმოდა. კოლრიჯი იმასაც ამტკიცებდა, რომ შექსპირმა თავისი თავი თავდაპირველად გამოამჟღავნა როგორც პოეტმა და მხოლოდ ამის შემდეგ, როგორც დრამატურგმა.

კოლრიჯი, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წარმოსახვას, აღნიშნავს შექსპირის ისეთ თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ დიდი პოეტებისათვის: "შექსპირი გაიძულა ბედვდე ყველაფერს და ეს მიიღწევა მტანჯველი მონღომების გარეშე, ანატომიური აღწერის გარეშე".

კოლრიჯი ზემოთ განხილულ საკითხებთან ერთად თავის შრომებში ცდილობდა განესაზღვრა პოეტისა და პოეზიის როლი, დაედგინა სხვაობა გენიასა და ტალანტს შორის, წარმოსახვასა და ფანტაზიას შორის, რომანტიზმსა და კლასიციზმს შორის. ამავდროულად საინტერესო მოსაზრებებს ავითარებდა დრამების სიუჟეტის, ხელოვნების ბუნებისადმი მიბაძვის, განმანათლებლური დრამისა და წარმოსახვის შესახებ, რომლებიც ალბათ რომანტიკული თეორიის საკითხებს წარმოადგენს და ამჯერად ჩვენი ინტერესების სფეროს არ შეეხება.

კოლრიჯი აწარმოებდა დაკვირვებებს შექსპირის პიესების ხასიათებსა და პოეტურ სტილზე. იგი შექსპირს განიხილავდა დრამის ისტორიული განვითარების პერსპექტივაში. მსჯელობდა დრამის წარსულზე და ხელს უწყობდა იმის გაგებას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო თანამედროვე დრამა, რომლის ნიმუშადაც მიაჩნდა შექსპირის დრამატურგია. იგი არ იყო დანტერესებული დრამის კომპოზიციის ფორმალური საკითხებით. რომანტიზმის არსს ხედავდა არა ფორმის სხვადასხვა დეტალებში, არამედ შემოქმედების კავშირში ადამიანის სულიერ შესაძლებლობებთან, ხელოვნების ურთიერთობაში სინამდვილესთან და ესთეტიკურ იდეალში. კოლრიჯი შექსპირის მიმართ არ ავრცელებს ისტორიზმის პრინციპს, თუმცა თავის ზოგიერთ კრიტიკულ შენიშვნაში ცდილობს თავისი მოსაზრებების



დაფიქსირებას ამ საკითხში. შექსპირი კოლრიჯს მიაჩნია ჯადოქრად, რომელიც საუკუნეების მიღმა დგას, რომელიც იზოლირებულია თავისი ეპოქის დრამატურგებისა და მწერლებისაგან.

კოლრიჯისათვის შექსპირის შემოქმედება უდიდესი მნიშვნელობისა გახლდათ, რადგანაც იგი წარმოადგენდა პოეტური გენიის შესახებ მისეული იდეის განხორციელებას. პოეტი შექსპირისეულ პიესებს განიხილავდა, როგორც ერთიან, თავისი დამოუკიდებელი კანონებით არსებულ ორგანულ სამყაროს, ანალიზებდა მათ, როგორც პოეტურ ნაწარმოებებს და უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა ხასიათების ანალიზს. კოლრიჯი თავისი ლექციებით, გაცილებით მეტად, ვიდრე შექსპირის სხვა ინტერპრეტატორები, ეცადა დაემკვიდრებინა დიდი ინგლისელი დრამატურგის გაგება, რომლის შემოქმედებაში განსახიერებულია ახალი რომანტიკული დრამის პრინციპები.

კოლრიჯის შეხედულებებმა უკვე მის სიცოცხლეშივე დიდი მნიშვნელობა შეიძინა. მიუხედავად გერმანელი მოაზროვნეების ზეგავლენისა, იგი იყო თვითმყოფადი და ორიგინალური თეორეტიკოსი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინგლისური რომანტიზმის ესთეტიკის, დრამის თეორიის ჩამოყალიბებაში, განსხვავებით მისი დრამატურგიული პრაქტიკისაგან, რომელმაც ვერ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი ინგლისური დრამის განვითარებაში და კოლრიჯი თეორეტიკოსი უფრო გავლენიანი აღმოჩნდა, ვიდრე კოლრიჯი დრამატურგი.

**SOME ASPECTS OF THE DRAMA THEORY
IN COLERIDGE'S AESTHETICAL THOUGHT**

The paper discusses Shakespeare's creative principles given by S.T. Coleridge, a founder of Romanticism theory, and calls to the attention Coleridge's thoughts about the differences between classical and romantic dramas, characters of Shakespeare's plays, lyricism of his dramas. Shakespeare is regarded as an example of Romantic poet whose works, accord-

ing to Coleridge, is based on the novel principles of the drama. The paper shows Coleridge as inventive, original theorist, who made considerable contribution to the formation of the aesthetics of English Romanticism, theory of drama, and to the novel approach of understanding Shakespeare's works.

მითითებული ლიტერატურა:

1. ესეები, თარგმ. როსტომ და პაატა ჩხეიძეებისა, თბილისი, მერანი, 1989 წ.
2. А. Аникст., Теория драмы на западе в первой половине XIX века Изд. "Наука" М. 1980
3. Н.Я. Дьяконова. Английский романтизм, Изд "Наука". М. 1978
4. Coleridge S.T. Complete works, VI Table Talk
5. Coleridge S.T., The friend. A series of Essays. London, 1867
6. Coleridge S.T. Shakespearean criticism, Ed by T.M. Raysor, London, 1960, vol. I.

საზღვარგარეთული ლიტერატურის
ისტორიის კათედრა

მარინე კუსალაშვილი

ნება-სურვილის გამომხატველი ნაწილაკების გამოყენების ვითარება ისტორიულად

ახალ ქართულში არის ნაწილაკთა ერთი ჯგუფი, რომელიც მოუბრის ნატვრას, მოწოდებას, გამხმეებას, წაქეზებას და ა.შ. გამოხატავს. ნაწილაკთა ამ ჯგუფს პირობით „ნება-სურვილის“ გამომხატველი ნაწილაკები შეიძლება ვუწოდოთ. აქ გაერთიანდებიან: ნეტავი // ნეტა // ნეტამც; მცა; აბა // ბარემ // ბარე; დაე // დე, ვინძლო, მოდი, უნდა...

ნატვრას გამოხატავენ ნეტავი // ნეტა // ნეტამცა, მცა ნაწილაკები. ქართულში ნატვრას გამოხატავს მცა ნაწილაკიც: იგი კომპოზიციის გზით არის მიღებული. ჯერ კიდევ 1924 წელს ა. შანიძე აღნიშნავდა: „ეს მცა ნაწილაკი რთული შედგენილობისაა და იშლება მ და ცა ელემენტებად. მისი პირველი ნაწილი მ ნაშთი უნდა იყოს რაღაც სიტყვისა, მეორე კი ცა, არის ცნობილი კავშირი“.¹ ნ. მარის აზრით კი, - მცა-ში არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მ გადმონაშთი იყოს მენ (|| მეღ) ნაწილაკისა.² ე. ბაბუნაშვილი თვლის: „ძნელი დასამტკიცებელია, რომ მ იმ მე ნაწილაკის ნაშთი იყოს, რომელიც ძველ ქართულში განუსაზღვრელობითი და კითხვითი ფუნქციით იხმარებოდა, მით უფრო, რომ ცა ნაწილაკის წინ ყველა ნაწილაკსა და ბრუნვის ნიშნებს ყოველთვის შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ხმოვანი. მაგ; ძველ ქართულშივე იხმარებოდა სიტყვა რეცა (=თითქოს), რომელიც აშკარად შედგება რე+ცა-საგან...“³

¹ ა. შანიძე, მცა ნაწილაკი ძველ-ქართულში, თხზ. 12 ტომად, ტ. II, თბ., 1981, გვ. 32-36

² Н. Я. Марр., Грамматика древнелитературного грузинского языка, л. 1925, с. 214

³ ე. ბაბუნაშვილი, ნაწილაკები ძველ ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია თბ; 1953



მცა ნაწილაკის შედგენლობას სპეციალურად შეეხო თ. უთურგაიძემ, მისი დასკვნით, „მე-ს ფუნქციური სიახლოვე - მცა ნაწილაკთან მისაღებს ხდის ნ. მარის ვარაუდს, რომ მცა, მიღებულია მე და ცა ნაწილაკების შეერთებით, ოლონდ ერთი შენიშვნით: მე არ არის მიღებული მენ (IIმელ) ნაწილაკებისაგან“.⁴

თ. უთურგაიძემ, - მე ნაწილაკი, რომელიც მხოლოდ თუშურმა შემოინახა ქართულში, ნატვრითად მიიჩნია. იგი წერს: „მე ნაწილაკი მნიშვნელობით უდრის ლიტერატურული ქართულის ნეტავი // ნეტავ ნაწილაკს. მაგალითად: ხარიმე? ნიშნავს ნეტავ ხარ? ნატვრის გამოსატვა მე ნაწილაკს თუშურის არაკითხვით ფორმებშიც ევალება. მაგ: მოსთქვამდა ცრემლის ფრქვევითა, დამსვამე წყლისა პირასო“.⁵

ამრიგად, ა. შანიძის ვარაუდი - მცა ნაწილაკის რთული შედგენილობის შესახებ გამართლდა. მომდევნო დროის გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ მცა რთული აგებულების ნაწილაკია და მასში გამოიყოფა მე და ცა ელემენტები. მცა ნაწილაკის ფუნქცია ახალ სალიტერატურო ქართულში უკვე მოშლილია, მაგრამ ზოგიერთ დიალექტში იგი ჯერ კიდევ ცოცხალია. მცა ნაწილაკი ანტონისათვის სახელებთან თანდებულია, ზმნებთან და სხვა მეტყველების ნაწილებთან კი სამკაული, „გამამშუენიერებელი“ მარცვალი.⁶ საფიქრებელია, რომ კავშირებითი კილოს გაგებას ზმნას ანიჭებდა მცა ნაწილაკი, რომელიც სიტყვათა წყობის წესების მიხედვით მუდამ ზმნის წინ დაისმოდა.⁷ მას შემდეგ რაც კავშირებითის მწკრივები ჩამოყალიბდა, ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდა კავშირებითისა და მცა ნაწილაკიანი ფორმები. ძველ ქართულში კავშირებითის ნაცვლად ყოველთვის თხრობითი კილოს ფორმები იხმარებოდა, რადგანაც თვითონ მცა ნაწილაკი შეიცავდა კავშირებითის გაგებას. გვქონდა ე.წ. ნაწილაკო-

⁴ თ. უთურგაიძე, კითხვითი ა და მე ნაწილაკები ქართულში, იკე XV, 1966, გვ. 214-227

⁵ თ. უთურგაიძე, კითხვითი ა და მე ნაწილაკები ქართულში, იკე XV, 1966, გვ. 214-227

⁶ ანტონ I, ქართული ღრამატკა, შედგენილი ანტონ პირველის მიერ, ტფილისი, 1885, გვ. 298

⁷ თ. ციციტიშვილი, ტმესი ძველ ქართულში, მაცნე, 5, 1966, გვ. 139-150

ვანი კავშირებითი. ძველ ქართულში მოქმედ მცა ნაწილაკს თავისი სინ-
ტაქსური ძალა საშუალო ქართულში კარგა ხანს გადმოჰყვა. მომდევნო
პერიოდში მან თანდათან დაკარგა ოდინდელი ფუნქცია; მიზეზი კი გახლავთ
XI ს-დან მოყოლებული II თურმეობითის ხმარების გახშირება - მცა
ნაწილაკთან.⁸ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მცა ფაქტიუ-
რად მკვდარი ნაწილაკია. გვხვდება ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში
- მთარაჭულსა და იმერულში ხშირად იგუებენ კავშირებითი კილოს
ფორმებს. მაგ: «ისემც გასკდა»... «ისემც კი დაგემართოს»... (იმერული); «ახა
ნეტა-მცა ეჯობო»... (მთარაჭული).⁹

უნდა - გამოხატავს მოუბრის ნება-სურვილს. იგი პირიანი ზმნაა
წარმოშობით, მაგრამ ნაწილაკად არის ქცეული, არ იცვლება პირებთან:
მე უნდა, შენ უნდა, ის უნდა¹⁰. უნდა დიალექტებში სხვადასხვა ფორმით
იხმარება, ხევესურულსა და თუშურში მას ხშირად ემატება ბოლოკიდური
ხმოვანი, მაგ: ხევესურული უნდა: დიალექტთა ერთ ჯგუფში უნდა ნაწილა-
კი უნა-ს ფორმით იხმარება (მესხური, იმერული, რაჭული) იმერულში
უნდა ნაწილაკის უნა-მდე გამარტივება თავის დროზე აღნიშნა ქ. ძოწენი-
ძემ,¹¹ ხოლო რაჭულში - შ ძიძიგურმა.¹² სხვა დიალექტებში აღნიშნული
ნაწილაკის გამარტივება ორი მიმართულებით წავიდა, ერთი მხრივ: უნ-
და>უნა>ნა, მეორე მხრივ კი უნდა>ნდა>და.

„უნდა“ ძველ ქართულში უღლებადი ზმნა იყო, ხოლო საშუალო ქარ-
თულში მან თანდათან დაკარგა პირიანობა დ ნაწილაკად იქცა. მაგ: მე
უნდა შევიჭირებდე შენის მოშორებისათვის,.... (ქვ, გვ. 15,12)¹³. ფუნქციური

⁸ ზ. გაჩეილაძე, კვლავ მცა ნაწილაკისათვის, იკე, XII, 1960, გვ. 241-253
⁹ ზ. გაჩეილაძე, იმერული დიალექტის მეტყველება, იკე, 8, 1956, გვ. 109-150
შ. ძიძიგური, ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიკის
მოამბე II, 1937, გვ. 67-109
¹⁰ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თსზ., თორმეტ ტომად. ტ. III, თბ. 1980,
გვ. 656
¹¹ ქ.ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ: 1973 გვ. 585
¹² შ. ძიძიგური, ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიკის
მოამბე II, 1937, გვ. 67-109
¹³ შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბ. 1974



თვალსაზრისის ნაწილაკი უნდა დიალექტებში რაიმე განსაკუთრებული თავისებურებას არ ამჟღავნებს. იმერულში უნდა// უნდა თავისუფლად მონაცვლეობენ. ისინი ხშირად გვხვდებიან ზმნისწინიანი ფორმების წინ. მაგ.:...ჩვენ უნა გავნაწილდეთ და გზები უნა დავპრომოთ (შ. ძიძ., ქლმ, გვ. 313, 8)¹⁴ თავდაღმართში უნდა გადვედით,... (სოფ. ისრითი, «ისრითის სახელწოდების შესახებ»)¹⁵

სამხრულ დიალექტებში უნა-ს ადგილზე შეიძლება შეგვხვდეს ნა: რანა (<რა უნა <რა უნდა). უ იკარგება ხმოვანთა თავმოყრის (პიატურის) თავიდან ასაცილებლად. მთის დიალექტებში უნდა და უნდ მონაცვლეობენ პოზიციის მიხედვით: უნდა ჯდება ემფატიკურხმოვნიანი ფორმების ადგილზე, მაგ.: უნდავ «უნდაო», შდრ. კაცსავ და სხვ.

საშუალ ქართულსა და იმერულში (აგრეთვე ქართლ-კახეთში) უნდა/უნა ნაწილაკის ა (წარმოშობით S₃ -ის ნიშანი) არ იკარგება. პოზიციის მიუხედავად ნაწილაკი ყოველთვის ერთი სახით გვევლინება.

დასავლურ დიალექტებში განცვიფრება-გაოცების და წაქეზება-გამხნეების ფუნქციით ხშირად გვხვდება ნაწილაკი - აბა. ეს ნაწილაკი საკმაოდ ხშირად გვხვდება იმერულში (ზემო, ქვემო, შუა იმერულში). მაგ:

აბა, მითხარით, რა გაქთ გასაყოფი თქვენ? (ქლ. I გვ. 448, 22).¹⁶
... უნა წვეყყანო, აბა რა ვქნაო! (ქლ. I, გვ. 464, 35)

ადგილის მიხედვით გვხვდება როგორც წინადადების თავში, ასევე შუაში და ბოლოშიც. მხატვრულ ნაწარმოებთა ენაში აღნიშნული ნაწილაკი მხოლოდ პერსონაჟის მეტყველებაში გვხვდება და გამოიყენება ადგილობრივი (კუთხური) კოლორიტის შესაქმნელად. «აბა» უდრის სალიტერატურო «აბა» ნაწილაკს. «აბა» აღმოსავლურ დიალექტებშიც გვხვდება. აბა ნაწილაკის მნიშვნელობაა მოწოდება, წაქეზება, შეგულიანება. თანა-

¹⁴ ნ. ქართული პირობა (ქპ), წიგნი IV, თბ. 1983
¹⁵ მასალა შეკრებილია ვანის რ-ნის სოფლებში 1986 წ. (მ.კ.)
¹⁶ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I თბ., 1961

მედროვე ქართულში «აბა» ზოგჯერ კითხვასაც გამოხატავს და დაახლოებით იმავე მნიშვნელობით იხმარება, რითაც კითხვითი ნაცვალსახელი რომელი. აღსანიშნავია, რომ ინგილოურში «სად კითხვით ზმნიზედას ენაცვლება ზოგჯერ ფორმალური სიტყვა ჰაბა: აქ ჰაბა იგივე აბა ნაწილაკია.¹⁷ «ჰაბა» (<აბა) გვხვდება თუშურშიაც.¹⁸ ზოგჯერ ნაწილაკი «აბა» გამოხატავს დასტურს, დასკვნას, აღსანიშნავია, რომ აჭარულ დიალექტში დადასტურებითი ფუნქციით იხმარება «ბა» ნაწილაკიც, რომელიც აბა საგან უნდა მომდინარეობდეს.¹⁹ ასევე ხშირად აბა წინადადებაში მაშ ნაწილაკის ბადალია: აბა ვნახოთ თქმას გაბედავს?! (ლ. გოთუა, თხზ., ნ ტტ. 5 თბ. 1981)²⁰. შესაძლოა, აბა უფრო სალიტერატურო ენის გავლენის შედეგი უნდა იყოს იმერულში. აბა და აბა იმერულში თავისუფლად მონაცვლეობენ. მაგ.: ... აბა, წადით, დაიკარგეთ, სხვა სახელმწიფოში გადადითო! (შ.ძ. ქდმ. გვ. 449, 69).²¹

აბა მაგია ძალი თუ მე, ვერ გავიგე... (ვანის რ-ნი სოფ. დიხაშხო, «ჯული»)²²

აბა, თუ წამოხვალ, ცხენი მყავს იმისანა, ხუთ კაცს წიკავს... (სოფ. ნახშირღელე, «როგორ გავათხოვე და»)²³

ამრიგად, შრომაში აღნუსხულია ზოგიერთი ნება-სურვილის გამოხატველი ნაწილაკი, გამოყოფილია მათი ჯგუფები ფორმისა და შინაარსის მიხედვით. დადგენილია ნაწილაკთა ძირითადი და მეორეული მნიშვნელობანი ახალ ქართულში და, შეძლებისდაგვარად, გარკვეულია მათი დიალექტური ფორმების მიღების გზები, დადგენილია მათი ეტიმოლოგია.

¹⁷ გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ: 1966 გვ. 216

¹⁸ თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1961, გვ. 234

¹⁹ შ. ნიჟარაძე აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975, გვ. 232

²⁰ მ. ფალავა, ნაწილაკები ახალ ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია, თსუ, 1985 გვ. 121ა

²¹ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I თბ., 1961

²² მასალა შეკრებილია ვანის რ-ნის სოფლებში 1986 წ. (მ.კ.)

²³ თერჯოლის რ-ნის სოფ. 1985 (მ.კ.)

В работе перечисляются некоторые частицы, выражающие волеизъявление и желание, выделяются их группы в зависимости от формы и содержания. Установлены основные и вторичные значения частиц в новогрузинском и по возможности определяются пути возникновения их диалектных форм, установлена их этимология.

ქართული ენის კათედრა



ლილია კრაზიანძე

წინდებულიანი კონსტრუქციის („PREP+S“)

სინტაქსური ფუნქცია მისი სათაურად გამოყენებისას

ნაშრომი ეხება „წინდებული+არსებითი სახელი“ კონსტრუქციის სინტაქსური როლის გარკვევის მცდელობას მისი დამოუკიდებლად ხმარების დროს. კვლევის მასალას ფრანგული ენა წარმოადგენს. ნაშრომში გამოყენებულია შემოკლება „prep+s“ კვლევის ობიექტის აღსანიშნავად.

კონსტრუქციას „prep+s“ ახასიათებს ის თავისებურება, რომ მას შეუძლია ფუნქციონირება არა მარტო წინადადებაში, არამედ დამოუკიდებლადაც. ამ კონსტრუქციის თავისუფალი, დამოუკიდებელი ხმარება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ასეთ შემთხვევაში კონსტრუქცია ფუნქციონირების სულ სხვა შესაძლებლობებს ავლენს და მისი ხმარება ვლინდება იმ შემთხვევებში, როდესაც კონსტრუქციის „prep+s“ თავისუფალი ფორმები წარმოგვიდგება როგორც დამოუკიდებელი დასრულებული ერთეულები. მოცემული კონსტრუქციის გამოყოფის კრიტერიუმად ითვლება სათაურის პოზიცია, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის დამოკიდებული თავის გარემოცვაზე.

მაგ: „Au Bonheur des Dames“ E. Zola; „Sur l'eau“ G de Maupassant; „A la recherche du temps perdu“ M. Proust; „Au blanc et noir“ R. Kipling; „Au pas lent des caravanes“ F. Duchene; „Aux moments des loisirs“ A. Tusapant; „Paur un oeillet d'or“ P.Gamarra; „Au soleil de juillet“ Adam etc.

რუსულ ენაში წინდებულიანი კონსტრუქციის გამოყენება მკვლევართა ყურადღებას იპყრობს იმიტომ, რომ იგი განსაზღვრავს სინტაქსური ფუნქციონირების საშუალებათა მრავალფეროვნებას. ფრანგულ ლინგვისტიკაში კონსტრუქციის „prep+s“ სათაურში დამოუკიდებელი ხმარების შესახებ სპეციალური შრომა არ გამოქვეყნებულა.

დამოუკიდებელ პოზიციაში წინდებულიანი კონსტრუქცია წარმოადგენს კვანძს, რომელშიც თავს იყრის რთული სინტაქსური და სემანტიკური პრობლემები.



სათაურის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული წინადადების განსაზღვრის პრობლემასთან. სათაურის სტატუსი ენობრივი ერთეულების სისტემაში ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გარკვეული. ზოგიერთი მკვლევარი სათაურს წინადადებად მიიჩნევს, სხვები კი არ იზიარებენ ამ მოსაზრებას. მაგალითად, ა.ს. პეშკოვსკი თვლის, რომ «როდესაც წიგნის კითხვას იწყებს, მკითხველს წიგნის შინაარსი აინტერესებს და სათაურში იგი მის მოკლე განსახიერებას ხედავს. ესე იგი, წიგნის სათაური ყოველთვის რაღაც უფრო მეტია, ვიდრე დასახელება, ეს მით უფრო ითქმის საქონლის დასახელებაზე, რომელიც მალაზიების აბრებზეა წარმოდგენილი» (10, გვ. 380). ე. მ. გალკინა-ფედოროუკი მიიჩნევს, რომ ნაწარმოებების ყველა სათაური, როგორც სახელობითი, ასევე ზმნური ხასიათისა, იმისთვის იწერება, რომ ნაწარმოების შინაარსის შესახებ გვამცნოს. აქედან გამომდინარე იგი კომუნიკაციურ ერთეულს წარმოადგენს, ამიტომ არ არსებობს საფუძველი საიმისოდ, რომ დასახელება არ ჩაითვალოს წინადადებად (5, გვ. 126).

განვიხილოთ საწინააღმდეგო შეხედულება. ასე მაგალითად, ტ. ლომტევი წერს: «გარესამყაროს ობიექტები არ შეიძლება იყოს გამონათქვამის წევრები. აქედან გამომდინარე, შენობებზე გაკრული აბრები, წიგნებისა და გაზეთების სახელწოდებები არ წარმოადგენენ წინადადებებს. თუკი ჩვენ ვხედავთ შენობას, ხოლო შენობაზე - წარწერას «აფთიაქი», ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიტყვა «აფთიაქი» წინადადებაა. იმისათვის, რომ მივიღოთ წინადადება, საჭიროა შევიტანოთ სახელი «შენობა», მაგ: «ეს შენობა აფთიაქია» (9, გვ. 265-266). თავს უფლებას მიეცემთ შევეკამათოთ ტ.პ. ლომტევის ავტორიტეტულ შეხედულებას, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ამ ლოგიკურ მსჯელობაში არსებობს წინააღმდეგობა. ტ.პ. ლომტევის მიერ მოცემულ მაგალითში სიტყვა «აფთიაქი» გადმოგვცემს აზრს იმის შესახებ, რომ მოცემული საგანი, ანუ შენობა, აფთიაქია და არა სხვა რამე, ვთქვათ, წიგნების მალაზია ან თეატრი. ასე რომ, სიტყვა «აფთიაქი», რომელსაც აბრაზე ვხედავთ, არ წარმოადგენს თვით საგანს. იგი გადმოცემს რაღაც დამატებით მადიფერენცირებელ ინფორმაციას. ეს არის საგნის ასახვა ჩვენს ცნობიერებაში, ანუ გონებრივი აზრთწყობა. ეს გონებრივი აზრთწყობა წარმოადგენს ნომინაციის აქტს და კომუნიკაციის ერთეულს. აქედან გამომდინარე, ეს წინააღმდეგობა კიდევ ერთ დადასტურებას იმისა, რომ აბრა ან სახელწოდება სინამდვილის ასახვაა და არა მისი ჩანაცვლება, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სახელწოდებას შეუძლია ჩამოსცილდეს თავის ობიექტს



და ცალკე იფუნქციონიროს ამ საგანთა განზოგადებულად გამოხატვის სათვის ბიბლიოთეკების კატალოგებში, სხვადასხვა თემატურ ლექსიკონებში, იგი შეიძლება აგრეთვე ფიგურირებდეს ზეპირი და წერილობითი მეტყველების დროს.

მაგალითად, გრამატიკულად სავსებით სწორია და გასაგებია ფრაზა: „Sur l'eau“. იგი გი დე მოპასანის შემოქმედებითი კრედოს კონცენტრირებულ გამოხატულებად იქცა. იმათ ცნობიერებაში, ვისაც ეს ნოველა წაუკითხავს, იმთავითვე გაჩნდება ამ ნაწარმოების ასახვა: ვისაც იგი არ წაუკითხავს, სათაურიდანვე მიხვდება, რომ საუბარია რაღაც ნაწარმოებზე, რომლის ასახვასაც წარმოადგენს ეს მნიშვნელობა. ამიტომ ვეთანხმებით რა ტ.პ. ლომტევის აზრს იმის შესახებ, რომ წინადადება-სინამდვილის ასახვაა, ჩვენ არ ვთვლით, რომ აბრები, სახელწოდებები და სათაურები არ შეესაბამებიან ამ პირობას.

სახელწოდებების ტიპების შემდგომი ანალიზი უჩვენებს, რომ მთლად მართებული არ იქნება უბრალოდ დაეთანხმო, ან არ დაეთანხმო რომელიმე ზემოდასახელებულ თეორიას და ეს მონაკვეთები ჩათვალო, ან არ ჩათვალო წინადადებად. მითუმეტეს, რომ მათი მიჩნევა სიტყვებად, როგორც ვირტუალურ ლექსიკურ ერთეულებად, უმართებულოა, რადგანაც ეს კონსტრუქციები, უდავოდ, სხვა ტიპის ერთეულებად წარმოდგებიან. ჩვენი აზრით, ამ ერთეულთა ადგილის გარკვევა სინტაქსურ სისტემაში უნდა ხდებოდეს ობიექტური სინამდვილის იმ საგნებთან მათი მიმართებების დადგენის გზით, რომლებსაც ისინი ასახავენ. ენათმეცნიერებმა, რომლებმაც კვლავ მიმართეს მნიშვნელობის პრობლემებს, როგორც ლინგვისტიკის ძირითად პრობლემებს, უდიდესი ყურადღება დაუთმეს ენისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების საკითხს. ი.ვ. ვარდული თვლის, რომ „... ეს (ენობრივი) რეფერენტი შეიძლება იყოს ან არ იყოს სინამდვილის ადეკვატური, მაგრამ იგი არასდროს არ ემთხვევა მას“ (3, გვ. 15). ჩვენ კი ყოველთვის ვახდენთ გადატანას, რადგანაც ინფორმაციას იდეალური რეფერენტის შესახებ აღვიქვამთ, როგორც ინფორმაციას ობიექტური სინამდვილის შესახებ. „ინფორმაცია, რომელიც გამონათქვამშია მოცემული, განეკუთვნება იდეალურ რეფერენტს და არა უშუალოდ სინამდვილეს. მაგრამ იდეალური რეფერენტის შესახებ ინფორმაციის გადაცემისას ჩვენ მისი მეშვეობით გადავცემთ ინფორმაციას სინამდვილის შესახებ იმდენად, რამდენადაც ადეკვატურია რეფერენტი“ (4, გვ. 26). ჩვენი კონსტრუქციის „prep+s“ ანალიზის დროს ასეთი გამიჯვნა სრული-



ად აუცილებელია. კონსტრუქციის განხილვას დენოტატურ ასპექტში, ჩვენი აზრით, შეუძლია გაარკვიოს ზოგიერთი სადისკუსიო საკითხი, კერძოდ, თუ რომელ დონეს განეკუთვნება მოცემული სტრუქტურა სათაურებში გამოყენებისას - ნომინაციური ნიშნების დონეს (პარადიგმატიკას) თუ პრედიკაციული ნიშნებისა (სინტაგმატიკა). მაგალითისათვის ავიღოთ რამდენიმე სახელწოდება, რომელთა დენოტაციები იქნება გაშლილი სიტუაციები, რომლებიც წარმოდგენილია წიგნის, თავის, მოთხრობის, სიმღერის, ოპერის, ნახატის, ფოტოსურათის, ბალეტის, ფილმის, არქიტექტურული ძეგლის და ა.შ. შინაარსის ფორმულით. მაგ. "Au cofé" N. Dib; "En famille" "Au soleil" G. de Maupassant; "Au Bois de Boulogne" (photo); "Au parc Monceau" (chanson de Yves Dutéil); "A nous, la liberté" (film de Rene Clair) etc.

ამ შემთხვევაში სახელწოდებები განპირობებულია, მოტივირებულია იმ სიტუაციით, რომელსაც ისინი აღწერენ. სათაურში, სახელწოდებაში, წარწერაში გადმოცემულია ის ნიშან-თვისება, რომელიც ყველაზე მთავარი, ყველაზე არსებითია ამა თუ იმ სიტუაციის წარმოდგენისათვის. რა თქმა უნდა, შეიძლება ვილაპარაკოთ ასეთი სახის ინფორმაციის სუბიექტურ ხასიათზე, რადგანაც ნებისმიერი სათაური ავტორისეულია, მაგრამ ... ნებისმიერი სუბიექტური გამოთქმა წარმოადგენს იმ ობიექტური კანონების მანიფესტაციას, რომლებიც არეგულირებენ მეტყველებას კონკრეტული ნაციონალური ენის ფარგლებში" (8, გვ. 52). ასე მაგალითად, მოპასანის ნოველის სახელწოდება "Sur l'eau" იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამ სახელწოდებით მინიშნებული სიტუაცია აუცილებლად იქნება დაკავშირებული წყალთან, იმ შთაბეჭდილებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ამ ცნებასთან ფართო გაგებით. ეს იდეა აქტუალიზებულია წინდებულით, დასრულებული ინტონაციით და იდეალური დენოტატის მეშვეობით შეფარდებულია, დაკავშირებულია ობიექტურ სინამდვილესთან. როდესაც ჩვენ ვხედავთ ფოტოსურათს წარწერით "Prés de Tehuantepec", ჩვენ გვესმის, რომ გამოსახულება დაკავშირებულია ადგილ-მდებარეობასთან, რომელიც ამ სახელწოდებით არის აღნიშნული. ასეთ შემთხვევაში, განპირობებული ნომინაციის დროს შეიძლება საუბარი იდეალური დენოტატისა და ასახული სინამდვილის ადექვატურობის შესახებ. არსებობს სახელწოდებათა სხვა სახეობა, როდესაც მათ მიერ აღნიშნული ობიექტები არაფრით არ არიან დაკავშირებული მათთან; ან კავშირები თითქმის მთლიანად დაკარგულია და ეს სახელწოდებები არა-



მოტივირებულად გვევლინებიან. ეს ის შემთხვევებია, როდესაც სახელწოდებები ეძლევა კოსმიურ სხეულებს, გასტრონომიულ ნაწარმს. სხვადასხვა საქონელს, გასართობ დაწესებულებებს და ა.შ. ასე მაგალითად, სუნამოს სახელწოდება "Bei-Ami" არაფრით არ არის დაკავშირებული მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობასთან. ან დაგუშვათ, რესტორნების სახელწოდებები "Chez Maxime", "Le lion d'or". ამ შემთხვევაში ჩვენ მთლიანად ვეთანხმები ტ.პ. ლომტყვის კონცეფციას, როდესაც იგი ამბობს, რომ სახელწოდება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს წინადადებას. იმისათვის, რომ მივიღოთ წინადადება, უნდა შევიტანოთ სახელი: "Bel-Ami" სუნამოა. ამგვარი ნომინაციის დროს ვლინდება დენოტატიური მიმართები სრულიად განსხვავებული ხასიათი აქ სახელწოდება წარმოადგენს იარლიყს, რომელიც თან დაერთვის ობიექტს, ისევე, როგორც ეს ხდება საკუთარის სახელების შემთხვევაში. ასეთი სახელწოდებები, ისევე როგორც საკუთარი სახელები, არაფერს არ გვეუბნებიან იმ საგნის შესახებ, რომელსაც ისინი აღნიშნავენ. «საკუთარი სახელები არ ახასიათებენ ობიექტს, არ გამცნობენ მის შესახებ არაფერს - არც ნამდვილსა და არც მცდარს» (ს. გვ. 327). ამ ტიპის სახელწოდებებს, ისევე, როგორც საკუთარ სახელებს, გააჩნიათ უნიკალური რეფერენციის თვისება, ეს საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ იდეალური დენოტატისა და მატერიალური დენოტატის, ანუ ასახვის ობიექტის, არაადეკვატურობის შესახებ. ამრიგად, ერთი და იგივე გამონათქვამი სხვადასხვა დენოტატთან მიმართებაში შეიძლება გადმოცემდეს ინფორმაციას ფაქტის, მოვლენის, სიტუაციის შესახებ, ან შეიძლება სრულიად მოკლებული იყო ყოველგვარ ინფორმაციას. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზოგიერთი სათაური უნდა ჩაითვალოს წინადადებად. ზოგი კი - არა; პირველ შემთხვევაში შეიძლება საუბარი სათაურზე, როგორც წინადადებაზე, რადგანაც სათაურის კონსტრუქცია, რომელიც ავტონომიურ სიტუაციას აღწერს, პასუხობს წინადადების მოთხოვნებს, როგორც სტრუქტურული, ისე ფუნქციონალური თვალსაზრისით, სტრუქტურული ორგანოების პოზიციებიდან კონსტრუქცია პასუხობს იმ მოთხოვნას, რომ არ იყოს ჩართული სხვა, უფრო რთული ერთეულის შემადგენლობაში. ფუნქციის მხრივ, კონსტრუქცია ასახავს თავის დენოტატს - ობიექტური სინამდვილის მოვლენას, ფაქტს, სიტუაციას. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ფორმით იდენტურ სტრუქტურას მხოლოდ მაიდენტიფიცირებელი დანიშნულება გააჩნია, იგი მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით შეიძლება იყოს მიჩნეული წინადადებად. ეს არის ცარიე-

ლი ვარსი, რომელმაც წინადადების ფორმა მიიღო და რომლის მატერი-
ალური დენოტატი არ აისახება მისი იდეალური დენოტატის მიერ
მართებული საუბარი იყოს ფორმალური წინადადების მიახლოებაზე
სიტყვასთან, როგორც პარადიგმატიკული რიგის მოვლენსთან.

Кравченко Л.

СИНТАКСИЧЕСКАЯ ФУНКЦИЯ ПРЕДЛОЖНОЙ КОНСТРУКЦИИ (PREP+S) В ЗАГОЛОВНОМ УПОТРЕБЛЕНИИ

В работе предпринимается попытка определить синтаксическую природу конструкции «prep+s» в самостоятельном, заголовном употреблении.

Конструкция «prep+s» в заголовном употреблении может считаться предложением или непредложением в зависимости от характера отражения ею реальной действительности.

Материалом исследования является французский язык.

ბაზოიყენებული ლიტერატურა

1. Арутюнова Н.Д., Принципы и методы синтаксических исследований, М. 1982.
2. Арутюнова Н.Д., Предложение и его смысл, М. 1986
3. Вардуль И.Ф., Основы описательной лингвистики, М. 1987
4. Вардуль И.Ф., Об изучении семантического аспекта языка, М. 1985
5. Галкина-федорук Е.М., Современный русский язык, М. 1978
6. Гоциридзе Д.З., Принципы типологической интерпретации фразовых текстов, Тб. 1988
7. Золотова Г.А., Очерк функционального синтаксиса русского языка, М. 1978
8. Колшанский Г.В., Язык как системно-структурное образование, М. 1982
9. Ломтев Т.П., Теоретические проблемы языкознания, М. 1980
10. Пешковский А.С., "Русский синтаксис в научном освещении, М. 1976
11. Текст. Высказывание Слово, М. 1993

ფრანგული ენის კათედრა



ოზარ ლანჩავა

ქუთაისის სასიმაგრო სისტემა აღრმ შუა საუკუნეებში

ისტორიის მეცნიერება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შუა საუკუნეების ქალაქების შესწავლას, იმ გასაგები მიზეზების გამო, რომ ქალაქი დღიდან მისი აღმოცენებისა, ყოველთვის განსაზღვრავდა ამა თუ იმ საზოგადოების ყოფიერების შინაარსს, მის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას. ამიტომაცაა, რომ ქართული ფეოდალური ქალაქების შესწავლას უდიდესი ყურადღება აქვს დათმობილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში. როგორც ცნობილია, ამ ქალაქთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ქუთაისს ეკავა. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ ხანებამდე იგი არ გამხდარა სისტემატური არქეოლოგიური კვლევის ობიექტი.

ბოლო წლებში ქუთაისის ტერიტორიაზე ჩატარებულმა ფართო საკვლევადიებო სამუშაოებმა სრულიად ახლებურად წარმოაჩინეს ქალაქის ისტორიული განვითარების დღემდე უცნობი მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი. პირველ რიგში ეს შეეხება ფეოდალური ქუთაისის ფორტიფიკაციას (გამაგრების სისტემას), რომელიც ქალაქის გარეგნული სახის ძირითად განმსაზღვრელ კომპონენტად გვევლინება ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. აღნიშნული სისტემის (ე.ი. "ზღუდე-გალავნის) აღმოცენებით, ნგრევა-შენებით და "მოძრაობით" დოკუმენტურად დასტურდება საქალაქო ცხოვრების ხანგრძლივი პროცესის უმნიშვნელოვანესი პერიპეტეიები ქუთაისის მიწა-წყალზე. ძველი ქუთაისის ციხემ ჩვენამდე ძალზე დაზიანებული სახით მოაღწია. მისი ადრინდელი კედლები მრავალსაუკუნოვანი ნაშალი ფენით იყო დაფარული, ამიტომ ჩვენი ცოდნა, დღემდე მოღწეული გვიანდელი ციტადელითა და ბიზანტიელ ისტორიკოსთა (პროკოპი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი) ფრაგმენტული ცნობებით შემოიფარგლებოდა. ბუნებრივია, ასეთი ვითარება არასწორი განსჯისა და მცდარი დასკვნების გამოტანას უწყობდა ხელს. ამიტომაც ქუთაისზე შექმნილი სპეციალური ლიტერატურა ამ ხარვეზისაგან, რა თქმა უნდა, დაზღვეული არაა...



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევების ცენტრის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მრავალწლიანი საველე-არქეოლოგიური კომპანიის შედეგად გამოავლინა ადრეული შუა საუკუნეების ქუთაისის მძლავრი საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრება. დაადგინა მისი განვითარების ძირითადი ეტაპები და მოგვცა ქალაქის ისტორიული ტოპოგრაფიის დღემდე უცნობი რეალური სურათი, რომელიც ეტაპების მიხედვით ზოგადად ასე გამოიყურება:

პირველი ეტაპი - სასიმაგრო ხუროთმოძღვრების საწყისი ეტაპი ფეოდალური ეპოქის ქუთაისში. მას განეკუთვნება ახ. წ. IV საუკუნის შიდაციხე (აკროპოლისი), რომელიც, ფაქტიურად, წარმოადგენდა დომინანტს და ქალაქ-მშენებლობის მთავარ ორიენტირს ფეოდალური ეპოქის მთელ პერიოდში. ლაზებს აუგიათ იგი მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე აღმართულ კლდოვან ბორცვზე და როგორც ირკვევა, თავდაპირველად ზღუდავდა ექვსკუთხედის ფორმის 0,6 ჰექტარ ფართობს. დღეს დამაჯერებლად გარკვეული შიდაციხის გენერალური გეგმა, მისი საწყისი ტოპოგრაფია და შემდგომი განვითარება. გამოვლენილია: კარიბჭეები, თავდაცვითი კოშკები, რიყის ქვით მოკირწყლული საცხოვრებელი სახლები და ქუჩები, წყლით მომარაგების რთული სისტემა (წყარო, გვირაბი, თიხის მილები, ცისტერნა), რომელიც არტერიული წესით მოქმედებდა და V საუკუნის მეორე ნახევარამდე ფუნქციონირებდა. კულტურულ ფენებში მრავლად აღმოჩნდა IV-V საუკუნეებისათვის დამახასიათებელი წითელლაკიანი კერამიკა, ე.წ. ხალიანი მინა, დიდი ზომის სოლენისა და კალიბტერის ტიპის კრამიტები, ლუთერიები, ჭრაქები და სხვ., რაც ქუთაისის მიწაწყალზე ინტენსიურ საქალაქო ცხოვრებაზე მიუთითებს ახ. წ. IV საუკუნის I ნახევარში.

სასიმაგრო მშენებლობის პირველ ეტაპზე შიდაციხის ზღუდე-გალავნის კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით, დულაბი შერეული ფერისაა. ანალიზმა ცხადყო, რომ დულაბისათვის გამოყენებულია მდ. რუას ხრეში, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ფერის მინერალებს. კედლის სიგანე 140 სმ-ია. დღეისათვის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 4 მ. მშენებლობის ასეთი წესი ნაქალაქარის ტერიტორიაზე არსად მეორდება, იგი მხოლოდ შიდაციხისთვისაა დამახასიათებელი.

მეორე ეტაპი - ქუთაისის სასიმაგრო არქიტექტურაში საწყისი ფორტიფიკაციის უშუალო განვითარება და გაგრძელებაა. ამ დროს მიმდინარეობს შიდაქალაქის მოზღუდვა და მისი გამოცალკეება ქალაქის ძირი-



თადი ტერიტორიისაგან. შესაბამისად, უკვე ციხე-ქალაქი ორნაწილიანი ხდება (შიდაციხე და შიდაქალაქი). მეორე ეტაპზე ზღუდე-გალავანში ექცევა 4 ჰექტარი ფართობი. ზღუდის საერთო პერიმეტრი 1200 მ-ია. ამდროინდელი კედლების სიგანე, როგორც წესი, 1 მ-ია, იგი ყველგან ამოყვანილია რიყის ქვის საძირკველზე. პურანგი ნაწყობია მცირე ზომის შუბლგამოყვანილი ქვებით. დუღაბი რიონის ხრემნარეგ სილაზეა დამზადებული, ჭარბობს კირხსნარი, სამშენებლო კირქვა, სხვებისაგან განსხვავებით, თეთრია და მყიფე. შეძლებისდაგვარად, დაცულია რიგების 3 ორი ზონტალობაც. მშენებლობის ასეთი წესი კარგადაა ცნობილი რომაული არქიტექტურისათვის (Opus incertum). მისი ანალოგები დადასტურებულია როდოპოლის - ვარციხესა და ნოქალაქევე - არქეოპოლისშიც.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ამდროინდელი შიდაქალაქის გალავნის გოდლედიანი სისტემა ე. წ. აბანოს უბანთან. აქ კედლის გასწვრივ სიმეტრიულად ამოყვანილია სწორკუთხა ბურჯები, ისინი სულ 9 - ერთეულია შემორჩენილი, კელიდან 1,70 მეტრამდეა დაცილებული, ხოლო ერთმანეთს შორის ინტერვალი 2,20 მეტრია. ჩვენი ვარაუდით, ბურჯებს კონტრაფორსების ფუნქცია ეკისრებოდა. ისინი თაღებით იყო დაკავშირებული როგორც ერთმანეთთან, ასევე გალავნის კედელთან და ზევით ქმნიდა ფართო საბრძოლო ბილიკს, რომლის სიგანე 3 მ-მდე იყო. გოდლედების გამართვის ასეთი წესი იშვიათია საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრებაში და ძალზე საამაყოა, რომ იგი ქართულ სასიმაგრო არქიტექტურაში სწორედ ქუთაისის მაგალითზე ახ. წ. IV საუკუნეებში ვხვდებით. აქვე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ ეტაპის გრანდიოზული ნაგებობა, რომელიც განლაგებულია შიდაქალაქის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ადგილ „კონწოლთან“. იგი მრავალსათავსოიანი, მართკუთხა ფორმის ნაგებობაა, დაცულია ორმაგი კედლებით და დამხობილია NO-SW მიმართულებით. მისი ზომებია 35X20 მ. და უჭირავს 700 კვ. მ ფართობი. ნაგებობა, თავის დროზე, ორსართულიანი ყოფილა. ამჟამად გამოვლენილია მისი ექვსი სათავსო-განყოფილება:

1. „დიდი დარბაზი“ (რომელიც გაყოფილია კამარა-თაღიანი ტიხრით)
2. „მცირე დარბაზი“
3. „მისაღები“
4. „ვარე სათავსოები“ (ე.წ. „პროტეინიზმა“);

იატაკი მოკირწყლული იყო აგურის ფილებით (ზომები: 31X17X5სმ). კედლის წყობა II სამშენებლო ეტაპის დამახასიათებელი ზუსტი ანალოგია. თუმცა კედლის სიგანე I სამშენებლო ეტაპს ემთხვევა (140სმ).



ყველა მონაცემის მიხედვით ნაგებობა საერო დანიშნულების ძეგლებშია შესაძლოა, იგი სამეფო სასახლეა, რომელიც ფუნქციონირებდა ახ.წ. IV საუკუნეში (V ს. მეორე ნახევრამდე). ნიშანდობლივია, რომ ამ ტიპის ნაგებობათა შორის დასავლეთ საქართველოში სამეფო სასახლე ყველაზე ადრეულია და მონუმენტური. ამდენად, მისი გამოვლენა უმნიშვნელოვანესი საქმეა ქართული კულტურის ისტორიისათვის.

მესამე ეტაპი - საქალაქო ცხოვრების თვალსაჩინო აყვავების ხანაა ქუთაისის ისტორიულ განვითარებაში. ქალაქის გამაგრების თვალსაზრისით ამ დროს მნიშვნელოვანი პროგრესი ხდება: შენდება დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელი მონუმენტური ფორტიფიკაცია, რომელმაც, ფაქტობრივად მოიცვა მთელი სასიმაგრო სისტემა. მეორე ეტაპზე აგებული შიდაქალაქის დასავლეთის კედელი საძირკვლამდე იშლება და მის ნაცვლად უფრო დიდი ტერიტორიის შემოკავებით ე.წ. „დიდი ქუთაისის“ ციტადელი შენდება. როგორც ჩანს, ამ პერიოდში იწყება ქვედა ქალაქის შემოკავებაც, რაც კარგად დასტურდება აღმოსავლეთის შვეულ კედელზე. ამ ეტაპზე კედლების სიგანე 240სმ-ია, სიმაღლე 12 მ-მდეა სავარაუდო. ერთგან იგი 8 მეტრია შემორჩენილი. სასიმაგრო მშენებლობის ამ საფეხურზე მასალად გამოყენებულია რბილი ჯიშის მოყვითალო ფერის კირქვა. კედლის პერანგი საშუალო ზომის შუბლგამოყვანილი კვადრებითაა ნაწყობი (ე.წ. იზოდომური წყობა). მისი ანალოგები ცნობილია V საუკუნის ძეგლებზე: უჯარმაში, ჭერემში, ვარდციხეში, საერთოდ მსგავსი წყობის მქონე კედლები ცნობილია როგორც ევროპის, ასევე წინააზიის ძირითადად ბიზანტიური ხანის ძეგლებზე. აქ, შეძლებისდაგვარად, დაცულია რიგების პორიზონტალობა. დულაბი რიონის სრეშზეა დამზადებული. ნიშანდობლივი ნიუანსი კიდევ ისაა, რომ კედლები თითქმის უსაძირკვლოა და არც კლდექანებზე ზის. ყოველ 40-50 მეტრში ისინი გამაგრებულია სწორკუთხა გარე კოშკებით (ზომები 8X12მ); გალაგნის საერთო პერიმეტრი უკვე 2 კმ-ია, ხოლო შემოზღუდული ტერიტორიის ფართობი 12 ჰექტარი.

მეოთხე ეტაპი - საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების გვირგვინია ფეოდალური ეპოქის ქუთაისში. ამ დროს განახლებამ მოიცვა მთელი სასიმაგრო სისტემა. განახლება განხორციელდა დიდკვადროვანი წყობით ვარდისფერ დულაბზე. პირველ რიგში ეს შეეხო ძველ შიდაციხეს, შეკეთდა მისი ჩამოშლილი კედლები და რაც მთავარია, კედლების შიგნიდან ჩაუშენდა პილონები ანუ გოდლედები. პილონების თავზე მოწყობილ იქნა



საბრძოლო ბილიკი, რითაც სიმაგრის ბრძოლისუნარიანობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ამ დროს მთლიანად გადაკეთდა დიდი ციხადელი: ამჟამად ახალი დედაბურჯები და კოშკები, მძლავრი კონტრფორსებიანი კედლები და კარიბჭეები. ქართველი ქვითხურობები შესანიშნავად ფლობდნენ იმდროინდელი რომაულ-ბიზანტიური არქიტექტურის მიღწევებს და თავისთავად ანვითარებდნენ კიდევ მას. ეს კარგად ჩანს ქალაქის ცენტრალური დედაბურჯის მაგალითზე. იგი წარმოადგენს წრიულ ანტრესოლზე ამოყვანილ ექვსკუთხედს, შიგნიდან სწორკუთხა მინაშენით, რომელიც ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. ასეთი გეგმარების ძველი ჩვენთვის უცნობია არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ ბიზანტიურ სამყაროშიც. იგი, აშკარად, ქართული საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი შენაძენია. აღნიშნულ მშენებლობას თან ახლავს V-VI საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მდიდარი არქეოლოგიური მასალა: ესენია ღვინისა და ზეთის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ღია ფერის ამფორები; ყველისა და მწნილის შესანახი ადგილობრივი წარმოების სქელტანიანი ღერგები, სოლენისა და კალიბტერის ტიპის კრამიტები, წყლის მაგისტრალის თიხის მიღები და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია შიდა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილი იმდროინდელი აბანოს სისტემა: გასახდელით, საცეცხლე განყოფილებით, საქვებით, კალორიფერებით, ცხელი და ცივი წყლის აბაზანებით, იქვეა წყლის შემკრები აუზი-რეზერვუარი. რომელიც 50 ტონა წყალტევადობისა იყო და აბანოსათვის მუდმივი წყლის უწყვეტ მარაგს ქმნიდა. ამასთანავე, აქ აღმოჩენილმა ბიზანტიური (ანასტასი I, იუსტინე I, იუსტინიანე I, მავრიკიუსი, ფოკა) და ირანული (ხოსრო I და სხვ...) წარმოების მონეტებმა ახლებურად წარმოაჩინეს ქალაქის ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები... და არა მარტო გაამაგრეს ციხე-სიმაგრის მშენებლობის თარიღი, არამედ განამტკიცეს აზრი იმის შესახებ, რომ ახ. წ. V საუკუნეში ქუთაისი არ არის რიგითი ციხე-სიმაგრე, არამედ იგი, სრულიად უეჭვოდ, დასავლეთ საქართველოს უმთავრესი ციხე-ქალაქი და მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრია...

მესამე ეტაპი - ადრესაშუალო საუკუნეების ქუთაისის გამაგრების სისტემაში შეიძლება დამამთავრებელ ეტაპადაც ჩაითვალოს. ამ დროს შეინიშნება ზოგიერთი ნაგებობის ხელახალი გადაკეთება, სხვადასხვა შესასვლელების ამოქოლვა-ჩაშენება და ა.შ. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამ დროს ჩანს აგებული მდ. რიონზე ჩამავალი ქვედა



ქალაქის დასავლეთი მხრის შვეული კედელი, რომლის მშენებლობა VII-VIII საუკუნეებში, ე.ი. არჩილ-ლეონის ეპოქაში უნდა განხორციელებულიყო. ამ დროის შენდება აგრეთვე აგურის სასახლე, ეგრის-აფხაზთა მეფეების მთავარი რეზიდენცია, რომელიც ციტადელში 400 კვ.მ. ფართობზე განლაგებულ სწორკუთხა ნაგებობას წარმოადგენდა. ასეთია სადღეისო მონაცემებით სასიმაგრო ზუროთმოდღერების განვითარების ძირითადი საფეხურები ადრე საშუალო საუკუნეების ქუთაისში, სადაც კარგად ჩანს ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარების ცალკეული ნიუანსები სხვადასხვა ეპოქაში და რადგანაც წერილობითი წყაროები ამ ეპოქის შესახებ ერთობ მწირია, როგორც იტყვიან, აღმოჩენილი ძეგლების ღირებულებას ოქროს ფასი აქვს ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

Omar Lanchava

THE SYSTEM OF FORTIFICATION OF KUTAISI IN THE EARLY MIDDLE AGES

Summary

The fortification system of Kutaisi in the Early Middle Ages had different developmental stages:

stage I - The beginning of fortifying construction in feudal Kutaisi, i.e. the building of the citadel in the 7th cent. A.d.

stage II- The construction of the internal town the masonry of which represents the so-called Opus incertum (second half of the 7th cent A.D.) stage

III- The construction of a large citadel of the so-called isodomonic walling (first half of the 5th cent)

stage IV - Renovation and restoration of the ramparts with large quadrrels and pink mortar whole town (second half of the 5th cent. A.D.)

stage V - Fortification of the lower town (8th cent. A.D.)

არქეოლოგიისა და კულტურის
ისტორიის კათედრა



მარია ლორთქიფანიძე

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური
გაერთიანება

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა ხანგრძლივი ისტორიული პროცესია.

ქართული ქვეყნების გაერთიანების ტენდენცია საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან ახასიათებს, მაგრამ არახელსაყრელი საგარეო და საშინაო პირობები დიდ დაბრკოლებას უქმნიდნენ ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების კანონზომიერ მისწრაფებას. წერილობითი წყაროებით დადასტურებული, ასეთი ტენდენციის უძველესი გამოვლინებაა ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილი ქართლის (იბერიის) სამეფო. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული საისტორიო თხზულება „მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკა“ ამ სახელმწიფოს საზღვრებს ასე აყალიბებს: „და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჯ, ძჳარიან ქართლისა მეფისაჲ და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდგა მას ჰ ერთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთაჲ ცროლისაჲ და წარვიდა“. ხოლო ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილი XI ს. „მეფეთა ცხოვრების“ თანახმად, ფარნავაზის სამფლობელოში თითქმის მთელი საქართველო შედის, ფაქტიურად იმ საზღვრებში, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკაშია“ მოცემული.

როგორც ცნობილია, ეს ერთიანობა დიდხანს ვერ იქნა შენარჩუნებული. მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართული ქვეყნები ერთიანდებოდნენ, იშლებოდნენ.

ევროპისა და აზიის გზასაყარზე მდებარე საქართველო, შეიძლება ითქვას, მახლობელი აღმოსავლეთის ყველა დიდ დამპყრობთა ინტერესების სფეროში ექცეოდა. დამპყრობნი ქვეყანას ურთიერთშორის იყოფდნენ, მის დაქუცმაცებას ცდილობდნენ. დაშლის პროცესს შინაგანი დეცენტრალისტური ძალებიც უწყობდნენ ხელს.



ფარნავაზის დროინდელი ერთიანობის შემდეგ, აღმოსავლეთ დასავლეთ საქართველოს ერთიანობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანა (V ს. II ნახ.). ასევე, მართალია გარეშე დამპყრობლის, ბიზანტიის ხელისუფლების ქვეშ, მაგრამ მაინც არსებობდა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობა VII ს-ში არაბთა მიერ საქართველოს დაპყრობამდე. გარეშე ძალის მიერ ქვეყნის დაქუცმაცების თვალსაზრისით ფრიად დამახასიათებელია არაბთა პოლიტიკა. არაბები ცდილობდნენ, პოლიტიკური ურთიერთობანი ცალკეული პროვინციების მმართველებთან დაემყარებინათ. აღმოსავლეთ საქართველო დაქუცმაცდა. ამასთანავე იქმნებოდა ისეთი ვითარებაც, როდესაც დამპყრობი ხელს თუ არ უწყობდა, ყოველ შემთხვევაში, ხელს არ უშლიდა ზოგი რეგიონის გაერთიანება-გაძლიერებას. მაგ.: სახალიფოსთან ბრძოლაში დამარცხებული ბიზანტიის იმპერიისათვის სასურველი იყო, მაჰმადიანთა საპირისპიროდ, ამიერკავკასიაში ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობა. ამიტომ ის ხელს არ უშლიდა დასავლეთ საქართველოში აფხაზთა საერისთავოს გაძლიერებას, არ იყო აფხაზეთისა და ეგრისის გაერთიანების წინააღმდეგი (არ არის გამორიცხული ამ გაერთიანების საქმეში ბიზანტიის საიმპერატორო კარის ხელის შეწყობაც).

VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მთელ ქართულ მიწა-წყალზე გამაერთიანებელი ტენდენციები ვლინდება; ეს პროცესი თავდაპირველად ცალკეული რეგიონების გაერთიანებასა და ახალი ფეოდალური სახელმწიფოების ჩამოყალიბებით დაიწყო. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგობებით სავსე რთული ისტორიული პროცესი, რომელიც მრავალი საშინაო ფაქტორითაა განპირობებული, ამასთანავე, არაბთა სახალიფოსთან, ბიზანტიის იმპერიასთან და ხაზარებთან დაპირისპირება-ურთიერთობის ვითარებაში მიმდინარეობდა.

ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პირველი ეტაპი X ს. 80-იანი წლებია, როდესაც იქმნება სახელმწიფო - საქართველო.

ბუნებრივია, რომ ეს დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა არაერთი ქართველი ისტორიკოსის ყურადღების სფეროში მოექცა (ივანე



ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი მელიქიძე, ლი, დავით მუსხელიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე).¹

ქართულ ისტორიოგრაფიაში წარმოჩენილია ამ პროცესის განმაპირობებელი ფაქტორების: სამეურნეო განვითარების, ცალკეულ რეგიონთა სამეურნეო დაკავშირების აუცილებლობის, გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობა, დამპყრობთა წინააღმდეგ საერთო ძალით ბრძოლის აუცილებლობის, როგორც ამ პროცესის ერთ-ერთი დამაჩქარებელი ფაქტორის არსებობა, საზოგადოების სხვადასხვა ფენების ინტერესების გაერთანება გარკვეულ ეტაპზე და სხვ.

სპეციალურ ლიტერატურაში წარმოჩენილია საქართველოს გაერთიანების პროცესის თავისებურებანი. იმ მრავალ საერთო მოვლენასთან ერთად, რაც შუასაუკუნოვანი ერთიანი ეროვნული სახელმწიფოების შექმნას ახასიათებს ევროპის მასშტაბით, ყოველ ცალკეულ ქვეყანაში ამ პროცესს თავისებურებანი აქვს. მაგ., ევროპის რიგ ქვეყნებში მიმდინარე ანალოგიური პროცესებისაგან განსხვავებით, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა ფეოდალური ურთიერთობის აღმავალი განვითარების ეტაპზე მიმდინარეობდა. გაერთიანებისათვის ბრძოლას ცენტრი კი არ ხელმძღვანელობდა და მის ირგვლივ კი არ ხდებოდა გაერთიანება, როგორც, მაგალითად, რუსული მიწების გაერთიანება ხდებოდა მოსკოვის ირგვლივ, ფრანგული მიწებისა ილ დე ფრანსის ირგვლივ, არამედ ქვეყნის ცენტრალურ რეგიონში დამპყრობთა ხელისუფლების სიძლიერის ვითარებაში, გამაერთიანებელი პროცესები ცენტრიდან მოშორებულ რეგიონებში დაიწყო, სადაც მტრის ძალა ნაკლებად იგრძნობოდა, და ბრძოლა ცენტრალური რეგიონის, საკუთრივ შიდა ქართლისათვის მიმდინარეობდა, რომლის ხელში ჩაგდებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მიმდინარე პროცესში. ვის ხელშიც იყო შიდა ქართლი, გაერთიანებისათვის ბრძოლის ჰეგემონიც ის იყო. ჩვენში მიმდინარე გაერთიანებისათვის ბრძოლის თავისებურება ისიცაა, რომ მასში პირველ ეტაპზე, IX-X საუკუნეებში, აქტიურად არ მონაწილეობდნენ ქალაქები,

¹ აღნიშნულ პრობლემაზე საკითხის ლიტერატურასა და წყაროებზე მითითებით იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, 1963; აგრეთვე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, 1973, თავი VIII; Очерки истории Грузии, II, 1988, гл. VII.



ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ქალაქები არ წარმოადგენდნენ ერთიანებისათვის მებრძოლი ძალის დასაყრდენს.

მნიშვნელოვან როლს საქართველოს გაერთიანების საქმეში ასრულებდა ეროვნული ერთობის შეგნება.

ეროვნული და კულტურული ერთიანობა ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობითაა შეპირობებული.

ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესის საწყისები ძვ. წ. II ათასწლეულში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება, როდესაც ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა ორი დიდი კულტურული წრე, აღმოსავლურქართული და დასავლურქართული. ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში კოლხეთის სამეფოს შექმნით, ქართველთა დასავლურქართული შტო კოლხეთის (ევრისის) სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. ძვ. წ. IV საუკუნეში ქართველთა აღმოსავლურქართული და დასავლურქართული შტოც ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. ქართლის (იბერიის) სამეფოს შექმნით მნიშვნელოვანი ეტაპი დადგა ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესში, რომელიც ამიერიდან მყარ ისტორიულ კატეგორიას წარმოადგენდა ძირითადად ერთი სახელმწიფოს, ქართლის შემადგენლობაში. არახელსაყრელი ისტორიული ვითარება აბრკოლებდა დასავლელქართველთა ერთიანი ქართველი ხალხის შემადგენლობაში შესვლას, მაგრამ ეთნიკური ერთობის შეგნება, კულტურული ტრადიციები, საერთო ფესვები ხელს უწყობდა თავისი ეროვნულ-კულტურული ცენტრის ირგვლივ კონსოლიდაციას. ერთიანობის შეგნება თანდათან მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა და VI-VII საუკუნეებში განათლებული ქართველისათვის „ქართლის“ ცნება მოიცავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს (ს. ჯანაშია). IX-X საუკუნეებში ეს შეგნება კიდევ უფრო მტკიცდებდა და მყარდებდა. სწორედ ამ დროსაა (864 წ. ხელნაწერის მინაწერი) ქართველი ბერები სინას მთაზე „ყოველთა ქართველთათვის“ რომ ლოცულობდნენ, იქმნება გიორგი მერჩულეს ცნობილი ფორმულა „ქართლის“ ცნებისა და მიმდინარეობდა მოსახლეობის ქართლიზაციის (იბერიზაციის) პროცესი (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი). ეს შეგნება მაშინ არ ემყარებოდა პოლიტიკურ ერთიანობას, რადგან IX-X საუკუნეებში საქართველო წვრილ ერთეულებად იყო დაყოფილი, ქართველობის შეგ-

ნება ტომობრივ, ე.ი. ეთნიკურ და საეკლესიო-კულტურულ, რელიგიურ ერთობას ემყარებოდა (ს. ჯანაშია).

ერთიანი ქართველი ერის ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, დასავლელ ქართველთა საბოლოო შესვლა მასში, სწორედ ამ პერიოდში, პოლიტიკურ გაერთიანებასთან ერთად სრულდება.

ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქრისტიანულ სარწმუნოებას, ქართულ ეკლესიას და ქართულ ენას. ქრისტიანობის გავრცელება ხელს უწყობდა ქართული ეთნიკური ჯგუფების კონსოლიდაციას. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოსვლას კონსტანტინეპოლის დაქვემდებარებიდან და მთლიანად შესვლას მცხეთის ტახტის დაქვემდებარებაში („მთლიანად“ ვუსვამ ხაზს, რადგან დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი უკვე, ფაქტიურად, მცხეთის ტახტს ექვემდებარებოდა). ბერძნულ ენას და ბერძნულ ეკლესიას დასავლეთ საქართველოში უპირისპირდებოდა ქართული ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოს სახით. მცხეთის ტახტი უძველესი დროიდან შეიჭრა ეგრისში და გამაგრდა იქ. (ნ. ბერძენიშვილი).

ქართული ეკლესიის პოზიციების განმტკიცებას დასავლეთ საქართველოში ხელს უწყობდა, როგორც დროის სხვადასხვა მონაკვეთში შექმნილი ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება, ისე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და აგრეთვე მცხეთის საკათალიკოსოს მიერ წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე წარმოება.

დასავლეთ საქართველოს „აფხაზთა მეფეების“ აშკარად გამოხატული და გამიზნული ქართული ეროვნული პოლიტიკა მცხეთის ტახტის მოკავშირე იყო, და როგორც ცნობილია, თუ უფრო ადრე არა, X საუკუნის დასაწყისისათვის, დასავლეთ საქართველო („აფხაზთა სამეფო“) ეკლესიურად მთლიანად მცხეთის ტახტის განმგებლობაში იყო შესული.

როგორც ცნობილია, ასევე თანდათანობით მიმდინარეობდა აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ პერიფერიის იბერიზაციის (ქართიზაციის) პროცესი. ქართლის პოლიტიკური გავლენის გავრცელებასთან ერთად (ჰერეთის საერისთავოს დაარსება V ს., ჰერეთის ქართული სამეფოს ჩამოყალიბება VIII ს. ბოლოს და მის შემადგენლობაში ძველი ალბანური პროვინციის შაქის შესვლა; კახეთისა და ჰერეთის გაერთიანება XI ს. დასაწყისში) ქართული ქრისტიანობის, ქალკიდონის მრწამსის, ქართული



ენისა და დამწერლობის დამკვიდრება, აღმოსავლურქართული ელემენტის ინფილტრაცია აგვირგვინებს ჰერთა ეთნო-კულტურული შერწყმის პროცესს (ნ. ბერძენიშვილი, დ. მუსხელიშვილი).

ქართველთა, აფხაზთა, კახთა და ჰერთა სამეფოები, რომელნიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ, ეკლესიურად მცხეთის საკათალიკოსოს იერარქიაში შედიოდნენ. საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა მისი საეკლესიო გაერთიანება და ქართული ეკლესია ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი და წარმმართველი ძალა იყო.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა ფაქტიურად იყო ბრძოლა შიდა ქართლისათვის. ასეთ ინტერესს შიდა ქართლისადმი განსაზღვრავდა მისი მნიშვნელობა იმდროინდელი ამიერკავკასიისა და საკუთრივ საქართველოსათვის. შიდა ქართლის მდებარეობა, როგორც გეოგრაფიული ცენტრისა, გარკვეულწილად აპირობებდა მისი, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობას საქართველოსთვის და ამიერკავკასიისათვისაც (ივ. ჯავახიშვილი). და ამდენად, სრულიად კანონზომიერია, X ს. დასაწყისში გაძლიერებული სომხური სახელმწიფოს შირაკის (ანისის) ბაგრატიუნების ბრძოლა შიდა ქართლისათვის.

შიდა ქართლი მდებარეობდა იმდროინდელი ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის გზების გზაჯვარედინზე, რომელთა ფლობა ამიერკავკასიაში გაბატონების ერთ-ერთი განმაპირობებელი გარემოება იყო.

ამავე დროს შიდა ქართლი იმდროინდელი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურულად დაწინაურებული ქვეყანა იყო. ქართული ქრისტიანობის ცენტრი, საიდანაც ქართული ქრისტიანული სარწმუნოება და ქართული კულტურის გავლენა საქართველოს დანარჩენ ნაწილებზე ვრცელდებოდა, და რომლის გარშემოც ხდებოდა კულტურული და საეკლესიო კონსოლიდაცია, შიდა ქართლში - მცხეთაში მდებარეობდა.

ინტერესს შიდა ქართლისადმი ისტორიული ტრადიციაც ჰქმნიდა. შიდა ქართლი ქართლის (იბერიის) სამეფოს ცენტრი იყო. აქ შეიქმნა ქართლის მეფის ხელისუფლება. აქ იყო სეფე-სახლის დომენი. ამდროინდელი შიდა ქართლის პოლიტიკური ცენტრი უფლისციხე იყო.

ბრძოლა შიდა ქართლისათვის ახალი სამეფო-სამთავროების
მოყალიბებისთანავე იწყება VIII ს. დასასრულიდან.

როდესაც ქართული ქვეყნების გაერთიანების აუცილებელი ძირითადი პირობები შეშალდა, შეიქმნა ამ გაერთიანების პოლიტიკური პროგრამა, რომელიც შეიმუშავა და წარმოადგინა ქვეყნის ბედზე მზრუნველმა, პროგრესულად მოაზროვნე დიდებულთა ჯგუფმა, რომლის იდეური და ფაქტიური ხელმძღვანელი ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე იყო. ამ პროგრამაში ყველაფერი იყო გათვლილი. ამდროინდელ საქართველოში ყველაზე რეალურ ძალას ტაოს მეფე დავით კურაპალატი წარმოადგენდა.

X ს. 70-იან წლებში შიდა ქართლისათვის ბრძოლაში კახელები აქტიურდებიან, რისი შესაძლებლობაც აფხაზთა სამეფოს დასუსტებამ შექმნა. X ს-ის დასაწყისიდან შიდა ქართლს აფხაზთა მეფეები ფლობდნენ და იქ, როგორც წესი, მათი ერისთავები ისხდნენ. მაგრამ X ს. 70-იან წლებში დასავლეთ საქართველოში სამეფო ტახტისათვის მიმდინარე ბრძოლამ ძალთა დაპირისპირება და ამ სახელმწიფოს პოზიციების დასუსტება გამოიწვია, რითაც ისარგებლა კახთა მთავარმა და უფლისციხეს მოადგა. იოანე მარუშისძემ მაშინვე გაგზავნა მოციქული დავით კურაპალატთან და შეუთვალა: «რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი: ანუ დაიშვიროს თვთ, ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი. ესევე ივანე მარუშის-ძე ეძებდა ბაგრატს მეფედ». ეს დიდი დიპლომატიური ტაქტით გადადგმული ნაბიჯი იყო, იოანე მარუშისძემ დავით ტაოელს საკითხი ასე დაუყენა: ან შენ, და თუ შენ არა, მაშინ ბაგრატი.

დავით კურაპალატი მოვიდა ქართლს და კახელებმა, როგორც კი მისი მოსვლის ამბავი გაიგეს, გაეცალნენ იქაურობას, უფლისციხე დავით კურაპალატმა დაიკავა «და მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგენს, რამეთუ არა ესუა შვილი დავით კურაპალატსა, და ბაგრატი, ძე გურგენისი, გაეზარდა შვილად თვსად».

თითქოს ეპოქის ისტორიულმა მოთხოვნისებამ შვა სამი ტახტის (აფხაზთა, ქართველთა და დავით ტაოელის) ერთდროულად მემკვიდრე ბაგრატი ბაგრატიონი. 975 წ. ბაგრატი უფლისციხეს დასვეს, სადაც დავით ტაოელმა «შემოიკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: «ესე არს მკუდრი



ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მთავარი მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი".

დავით კურაპალატმა ბაგრატის კურთხევაზე შირაკის მეფე სმბატ ბაგრატუნის მოიწვია. არ არის გამორიცხული, რომ მას სმბატი, თუ საჭირო იქნებოდა, შიდა ქართლისათვის ბრძოლაში გამოეყენებინა, მაგრამ ამასთანავე, მას ბაგრატის შიდა ქართლის განმგებლად განწესებისას ესაჭიროებოდა ამ აქტისათვის ფართო უღერადობა მიეცა: მეზობელი სახელმწიფოს მეთაური ესწრება და ცნობს ამ ფაქტს.

სამი წლის შემდეგ, იმავე იოანე მარუშისძის ინიციატივით, ბაგრატი ბაგრატიონი „აფხაზთა მეფედ“ აკურთხეს. მემატთანეს სიტყვებით, დავით კურაპალატი დიდი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა ბაგრატის დასავლეთ საქართველოს მეფედ კურთხევას და იმის დასტურად, რომ ეს დასავლეთ საქართველოს დიდებულთა თხოვნითა და თანხმობით ხდებოდა, მათი მძევლებიც მოითხოვა. რა ხდება, დავით ტაოელმა ხომ კარგად იცის, რომ საბოლოო მიზანი ესაა, უფლისციხეში ხომ მან ბრძანა, რომ ბაგრატი აფხაზეთის მკვიდრია, ე.ი. დასავლეთ საქართველოს ტახტის მემკვიდრეა; ისტორიკოსიც გარკვევით წერს, რომ იოანე მარუშისძე „ეძებდა ბაგრატს მეფედ“. დავით კურაპალატი შეიძლება იმიტომ იკავებდა თავს, რომ ცოცხალი იყო ძმათაშორის ტახტისათვის ბრძოლაში თვალდათხრილი მეფე თეოდოსი, მაგრამ იოანე მარუშისძე და მისი დასის წევრები ჩქარობენ, მიზეზი, ისტორიკოსის სიტყვებით: „განირყუნა ქვეყანა იგი (დასავლეთ საქართველო - მ.ლ.) და შეიცვალა ყოველი წესი და განგება“. ალბათ ასეც არის, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ბაგრატს ეჩქარება, რაც სრულიად ბუნებრივია. დავით კურაპალატი დაითანხმეს და „შთაიყვანეს იგი (ბაგრატი - მ.ლ.) აფხაზეთს, დალოცეს მეფედ“.

იურიდიული აღიარება ერთია, რეალური ხელისუფლება - სხვა. ბაგრატს მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეც ბევრი ჰყავდა. მას თავისი რეალური ხელისუფლების დამკვიდრება როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე შიდა ქართლსა და ბაგრატიონთა სამფლობელოში ბრძოლით უხდება. ასევე ბრძოლით იერთებს ბაგრატი კახეთ-ჰერეთს (1008-1010 წწ.).

მეფე ბაგრატი მიზნის მისაღწევად არაფრის წინაშე არ იხევს უკან, ქვეყნის ერთიანობის, ხელისუფლების ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგეთ ყველას თავისას მიუხლავს. ამასთანავე იქმნის თავისი მეფობის ლეგიტიმურობის იდეოლოგიურ საფუძველს. დოკუმენტურად ასაბუთებს თავისი

მეფობის კანონიერებას დასავლეთ საქართველოში, რასაც ემსახურება ე.წ. „აფხაზთა მეფეთა დივანი“, აფხაზეთის მთავრების და მეფეთა გენერალ-ანოსიდან (VI ს.) ბაგრატამდე, რომელიც, როგორც ჩანს, სამეფო კარზე დგებოდა. ბაგრატი არის „მეფე აფხაზთა (ე.ი. დასავლეთ საქართველოს), მეფე ქართველთა (ე.ი. ქართლ-მესხეთის), მეფე კახთა და ჰერთა“.

ამ ისტორიული მოვლენის მატერიალური განსახიერება ქუთაისის ბაგრატის ტაძარია. რომ ქუთაისის ტაძარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი საქართველოს ისტორიაში, ეს სიტყვაძუნწი მემატინის თხრობიდანაც კარგად ჩანს. იმავე მეფე ბაგრატის მიერ აიგო ბედიის ტაძარი, რომლის შესახებ ისტორიკოსი წერს: ვისაც მეფე ბაგრატის სიდიადის ვაგება სურს „პირველად განიცადოს (ე.ი. იხილოს - მ.ლ) სამკაული ბედიისა ეკლესიისა, და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სსუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა“. თითქოს ყველაფერია ნათქვამი, მაგრამ იქვე განაგრძობს: „ამანვე აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწოდომელითა, რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელმოდღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სსუათა ყოველთა სახელმწიფოთანი“. ბედიის კურთხევა, მიუხედავად მისი სიდიადისა, ასე საზეიმოდ არ ჩატარდა. ქუთაისის ტაძარს სხვა დანიშნულება ჰქონდა, ქუთაისის ტაძარი საქართველოს ერთიანობის სიმბოლო იყო.

შეიქმნა თვისობრივად ახალი სახელმწიფო საქართველო, რომლის ერთიანობას თავისი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა, სახელმწიფო, რომელიც ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას, კულტურულ, საეკლესიო-სარწმუნოებრივ ერთიანობას, ერთიან ქართულ სალიტერატურო ენას ეფუძნებოდა. დამთავრდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პირველი დიდი ეტაპი. თუ აქამდე ქართულ სახელმწიფოებს შორის ბრძოლა პირველობისათვის, შიდა ქართლისათვის, ერთმანეთის მიწა-წყლის მიტაცებისათვის მიმდინარეობდა, მის მეორე ეტაპზე ამ საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული ქვეყნების მისთვის შემოსაერთებლად მიმდინარეობდა.

ამ ეტაპის სიმბოლოებია მეფე ბაგრატი III და ქუთაისის ბაგრატის ტაძარი.

Mariam Lordkipanidse
Staats universitat von Tbilissi
**MITGLIEDERIN DER AKADEMIE DER
WISSENSCHAFTEN GEORGIENS**
Politische Vereinigung des feudalen Georgiens
(vorgelegt vom Institut für Geschichte der Stadt Kutaissi)

Resumee

Die Politische Vereinigung Georgiens und die Gründung des einheitlichen georgischen Staates war ein lang jähriger und komplizierter Prozeb. Für die Vereinigung der georgischen Teilstaaten setzten sich energisch Parnawas, Wachtang Gorgassali u.a. ein. Ab 70-er Jahre des X. Jh. beginnt eine neue Etappe in den natürlichen und gesetzmäßigen Bestrebungen nach Einverleibung der georgischen Länder.

In dem Beitrag wird der Vereinigungsprozeb des Staates gezeigt. Um die Wende der X-XI Jh. wurde qualitativ ein neuer Staat-Georgien ("Sakartwelo") gegründet, dessen Symbole König Bagrat III. und Bagrati-Kathedrale in Kutaissi verkörpern.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



მელა ლორთქიფანიძე

**მიმართებითი ზედსართავი სახელი ფრანგულ ენაში
 ქართულთან უპირობისპირებით**

ზედსართავ სახელებში ორ ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფს გამოყოფენ: თვისებითსა¹ და მიმართებითს. პირველი უშუალოდ, პირდაპირ ასახელებს საგნის ნიშან-თვისებას და მათ პირველადი ზედსართავები ეწოდებათ, მეორე კი მეტყველების სხვადასხვა ნაწილებისგანაა ნაწარმოები და გამოსატავს თვისებას ძირეული სიტყვით აღნიშნულ საგანთან თუ გარემოებასთან მიმართებით. ასე განმარტავენ ზედსართავ სახელთა ამ ორ ჯგუფს ქართულ და ფრანგულ საენათმეცნიერებო ლიტერატურაში.

საგანი, - აღნიშნავს გაკი, - შეიძლება დახასიათდეს ფერის, ზომის, ფორმის და სხვა თვისებების მიხედვით; მოქმედების აღმნიშვნელი სახელები - ინტენსივობის მიხედვით.²

მეცნიერებათა აკადემიის რუსული გრამატიკის მიხედვით, თვისებითი ზედსართავი ისეთ თვისებას გამოხატავს, რომელიც უშუალოდ აღიქმება გრძნობათა ორგანოების მიერ³ (წითელი, ლურჯი, ცხელი, ცივი, ხშირი, მრგავლი, მოკლე, გრძელი, სწორი, რბილი, ტკბილი, კოჭლი, ბრმა, სურნელოვანი და სხვ.)

მიმართებითი ზედსართავი კი აღნიშნავს მიმართებებს, რაც საგანთა შორის არსებობს. მან შეიძლება გამოხატოს: 1. დანიშნულება, 2. მასალა, რომლისგანაც საგანია დამზადებული, 3. წარმომავლობა, 4 კუთვნილება, 5 ფიზიკური და სულიერი თვისებები, 6. სივრცობრივი და ტემპორალური მიმართულებები. მაგ.

¹ ქართულში გამოიყენება ტერმინი „ვითარებითი“
² В.Г. Гак, Теоретическая грамматика французского языка, Морфология, Москва. 1986
³ Академия наук СССР, Русская грамматика, I, Москва. 1980, стр. 540-545



ფიქრობთ, მიმართებით ზედსართავთა კლასში უნდა გაერთიანდეს ადამიანის გვარებისაგან -ien სუფიქსის (და არა მარტო ien სუფიქსის) დამატებით მიღებული ისეთი სიტყვები, როგორცაა: racinien (Racine), balzacien (Balzac), hugolien (Hugo), giscardien (Giscard), rabelaisien (Rabelais), molieresque (Moliere).

მიმართებითი ზედსართავი სახელი ზოგჯერ ორთოგრაფიით განსხვავდება იმ სიტყვისაგან, საიდანაც სათავეს იღებს. მაგ. bouche-buccal (e); doigt-digital(e); dieu-divin(e); ciel-celeste; été-estival(e); fleuve-fluvial (e); homme-humain(e); jeunesse-juvenile; jus-juteux(se); mois-mensuel(le); nez-nasal(e); nuit-nocturne.

ამ ტიპის ზედსართავთა უმრავლესობა ლათინური წარმოშობისაა (bucca, fluvius, nocturnus, estivalis, nasus).

ზოგიერთი არსებითი სახელი აწარმოებს ორ მიმართებით ზედსართავს, რომლებიც შინაარსით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგ.:

La pluie - 1. pluvieux (se) 2. pluvial (e)

Les eaux pluviales - წვიმის წყალი L'été pluvieux - წვიმიანი ზაფხული

La médecine - 1. médical(e) 2. médicinal(e)

Le soin médical - სამედიც. მომსახურება Les plantes médicinales - სამკურნ. მცენარეები.

საგნის თვისებას ფრანგულში ანალიზური ხერხითაც გამოხატავენ. არსებობს კონსტრუქციები, რომლებიც მიმართებითი ზედსართავების სინონიმებად შეიძლება ჩაითვალოს. მაგ. divin(e)=de Dieu; bovin(e)=de boeuf; bestial (e)=de bête champêtre=de champs; estival(e)=d'été; hivernal(e)=d'hiver; familial (e)=de famille; féminin (e)=de femme; humain (e)=d'homme; métallique=en métal; maternel(le)=de mère; nocturne=de nuit; solaire=de soleil; soyeux (se)=de soie; sanguin (e)=de sang; pierreux (se)=de(en)pierre.

Elle appartenait a cette minorité féminine qui se vante de ne pas savoir coudre un bouton. (H. Bazin)



La minorité féminine= La minorité des femmes (ქალთა უმცირესობა)

Ils ont bien tué Bob. Pourquoi pas Peter? Pourquoi pas nous? Une vie humaine ne compte pas pour ces gens-là (R. Merle)

La vie humaine=La vie de l'homme (ადამიანის სიცოცხლე)

Non seulement nous avons retrouvés ses papiers dans sa malle, mais nous possédons ses empreintes digitales. (Simenon)

Les empreintes digitales=Les empreintes des doigts (თითების ანაბეჭდი)

თუმცა წინდებულისანი კონსტრუქცია ყოველთვის ვერ ჩაითვლება მიმართებითი ზედსართავის სინონიმად; მაგ. soyeux არ არის იგივე, რაც de soie შვედალ: La robe de soie - აბრეშუმის კაბა.

Les cheveux soyeux - აბრეშუმისებრი თმები (რბილი, როგორც აბრეშუმი).

pierreux არ არის ყოველთვის de pierre (en pierre) მაგ. 1. L'âge de pierre (ქვის ხანა); Un coeur de pierre (ქვის გული); Une maison en pierre de taille (ნათალი ქვის სახლი).

2. Pierreux (se) - ქვით დაფარული (ქვიანი)

Idris se dirigeait plus nord, en direction du défilé pierreux au - delà duquel commençait le domaine d'Ibrahim. (M. Tournier)

ამ წინადადებაში pierreux იგივეა, რაც couvert de pierres (ქვიანი, ქვით დაფარული). იგივე ითქმის ზედსართავზე poussiéreux.

ასევე არ ჩაითვლება ყოველთვის სინონიმებად enfantin(e) და de l'enfant. მაგ. la chambre de l'enfant (ან pour enfants); le spectacle pour enfants. ეს კონსტრუქციები ქართულად ითარგმნება, როგორც: „ბავშვის“, „საბავშვო“. ხოლო მიმართებით ზედსართავს "enfantin (e)" ქართულში შეესატყვისება: „ბავშვური“.

Le paysan alla chercher une plume, un encrier [--] et écrivit péniblement dans un coin du journal en lettres enfantines le mot vraiment. (M. Druon).

En lettres enfantines - ბავშვური ასოებით.

მკვეთრი ზღვარი მიმართებითსა და თვისებით ზედსართავებს შორის არ არსებობს. ხშირია ერთი კლასიდან მეორეში გადასვლის შემთხვევები.



როგორც ვ. ვინოგრადოვი⁴ აღნიშნავს, ყველა მიმართებით ზედსართავში პოტენციურად თვისებითი ზედსართავის ელფერი ძეგს. მაგალითად, მას მოჰყავს სიტყვა железный. როგორც მიმართებითი ზედსართავი, იგი გამოხატავს რკინისაგან დამზადებულს, მაგრამ ამ ზედსართავმა შეიძლება შეიძინოს მთელი რიგი გადატანითი მნიშვნელობებისა: ძლიერი მაგარი, ურყევი. მაგ.: железная воля (რკინისებური ნებისყოფა), железная дисциплина (რკინისებური დისციპლინა). детский - დასძენს ვ. ვინოგრადოვი, - როგორც მიმართებითი ზედსართავი, გამოხატავს იმას, რაც ბავშვებს ეკუთვნის, მათთვისაა განკუთვნილი (детские игрушки, детская книга, детский дом), როგორც თვისებითი კი იძენს გადატანით მნიშვნელობას: ის, რაც მოზრდილისთვის არ არის დამახასიათებელი. მაგ. детское поведение (ბავშვური საქციელი), детское рассуждение (ბავშვური მსჯელობა).

ამავე მოვლენებს ვხვდებით ფრანგულშიც, რასაც ადასტურებს შემდეგი მაგალითები: *feminin* (ე) მიმართებითი ზედსართავია სინტაქსურ ჯგუფში *revendications féminines* (ე.ი. *des femmes*), მაგრამ თვისებითის ფუნქციის იძენს შემდეგ შემთხვევებში: *l'intuition féminine* (ქალური ალლო) *l'éternel féminin* (მარად ქალური). შვედ: *Les étudiants de l'Université féminine de Vasser[---]se réunissaient pour faire face à la situation* (R. Merle); *L'Université féminine* - ქალთა უნივერსიტეტი.

C'est ainsi que mon émission s'enrichit d'une rubrique féminine. (R. Grenier)

Une rubrique féminine - რუბრიკა ქალებისათვის.

მაგრამ: *Ce jeune homme a les traits féminins* (ქალური ნაკვთები).

თვისებითსა და მიმართებით ზედსართავებს შორის მარტო სემანტიკური განსხვავება როდია. თვისებითი ზედსართავთა კლასში ბირთვის წარმოადგენს, მიმართებითი კი პერიფერიას განეკუთვნება. ეს ორი ჯგუფი ერთმანეთისაგან დისტრიბუციითაც განსხვავდება.

⁴ В.В. Виноградов, Русский язык, Грамматическое учение о слове, Москва - 1947-Ленинград, стр. 203-208



1. თვისებითს შეუძლია აწარმოოს აბსტრაქტული არსებითი სახელები (beau-beauté, jeune-jeunesse, blanc-blancher, juste-justesse); მიმართებით კი გარდა მცირე გამონაკლისისა, მოკლებულია ამ უნარს. მაგ.

Il acheva un portrait où la cupidité, la coquetterie, la sottise, la fausseté et la cruauté les plus viles étaient exprimées en traits impitoyables. (H. Troyat)

გამონაკლისი გვხდება იმ შემთხვევაში, როცა მიმართებითი ზედსართავი თვისებითის ფუნქციას იძენს. ზედსართავმა სახელმა human შეიძლება აწარმოოს აბსტრაქტული არსებითი სახელი, თუ მისი მნიშვნელობაა: გულმოწყალე, ჰუმანური. მაგ. Il me traita avec humanité.

მიმართებითი ზედსართავი, როგორც წესი, არ აწარმოებს ვითარებით ზმნიზედას, თუმცა შემოთმომყვანილი მიზეზების გამო წესიდან გადახვევა აქაც გვხვდება. Elle l'entoura de ses bras maternellement. (R. Rolland)

Nous sommes le peuple le plus riche le plus puissant, le mieux armé, le plus avancé techniquement (R. Merle)

მ. გრევისის თანახმად⁵ თვისებითი და მიმართებითი ზედსართავები არ შეიძლება ერთმანეთს დაუკავშირდეს მაერთებელი კავშირებით. თუმცა გამონაკლისები არც თუ იშვიათია.

[--] elle leva vers Sevilla son visage doux et enfantin (R. Merle)

Ils prirent à peine le temps de l'avalier (le=café) et sortirent dans la rue poussiéreuse et froide. (A. Camus).

თვისებითისაგან განსხვავებით მიმართებითს არ ეწარმოება შედარების ხარისხები. გამონაკლისია ფიგურალური მნიშვნელობით გამოყენებული მიმართებითი ზედსართავები.

Ils étaient plus royalistes que le roi (Malet et Isaac "Histoire")

Les jeunes d'il y a vingt ans étaient à présent plus conservateurs que les vieux qu'ils combattaient naguere (R. Rolland)

იგივე ითქმის მათთან ინტენსივობის გამოხატველი ზმნიზედების თაობაზეც. L'imperatrice était très pieuse et d'idées très conservatrices("Histoire")

⁵ M. Grevisse, Le bon usage



თვისებითი ზედსართავი მიმართებითისაგან სინტაქსური ფუნქციითაც განსხვავდება. მიმართებითი მხოლოდ განსაზღვრების როლს ასრულებს, თვისებითს კი არა მარტო განსაზღვრების, არამედ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციაც შეუძლია შეასრულოს.

მაგრამ გვხვდება გამონაკლისიც:

«*La façon de s'exprimer était garçonière ou plutôt d'un célibataire averti.*»

(M. Aymé)

ამ წინადადებაში მიმართებითი ზედსართავი შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის როლს ასრულებს.

მიმართებითი ზედსართავი შეიძლება შეგვეხვდეს განკერძოებული განსაზღვრების როლშიც.

«*Jamais Christophe n'avait entendu chanter ainsi. Et jamais il n'avait entendu une pareille chanson. Lente, simple, enfantine.*» (R. Rolland)

როგორც შემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, თვისებითი ზედსართავის სინტაქსური ფუნქციები შეიძლება შეასრულოს და სხვა სიტყვებთან შერწყმის იგივე უნარი შეიძინოს იმ მიმართებითმა ზედსართავმა სახელებმა რომლებიც სემანტიკურად ახლოს დგანან თვისებით ზედსართავებთან.

მიმართებითი ზედსართავის გამოყენების სფერო ფრანგულში ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ქართულში. მისი საშუალებით, წინადადება უფრო ლაკონური და კომპაქტური ხდება. ფრანგული მას ხშირად მიმართავს ისეთ შემთხვევებში, სადაც ქართულში არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა გამოყენებული.

«*En attendant la décision papale, l'archevêque observait la plus grande réserve.*» (P. Boulle)

"La décision papale" იგივეა, რაც "La décision du pape" (პაპის გადაწყვეტილება), მაგრამ ავტორი მიმართებით ზედსართავს ამჯობინებს.

ხშირად არჩევანს მიმართებით ზედსართავსა და წინდებულებიან კონსტრუქციას შორის სინტაქსური ფაქტორიც განაპირობებს. ზოგჯერ ავტორი გაურბის de წინდებულებიან მსაზღვრელთან ამავე წინდებულებიანი მეორე მსაზღვრელის გამოყენებას.

Dans le salon de la loge princière, il fut mis en présence d'un monsieur en veston [--] (R.R)

იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე შემდეგ ფრაზებში: Madame Bayard, la cordonnière sortit de sa boutique et s'approcha de la voiture légumière. (A. France).

Légumière=de légumes

Il avait la main sur la poignée de la porte et ne bougeait pas; puis il a dit:

Visite domiciliaire (Ph. Beaussant)

Visite domiciliaire=visite du domicile - სახლის დათვალიერება, გაჩხრეკა.

1. ისევე როგორც ფრანგულში, ქართულშიც მიმართებით ზედსართავთა დიდი უმრავლესობა არსებითი სახელისგან იწარმოება. სშირად გვაქვს ზუსტი დამთხვევა pierreux- ქვიანი, poussièreux - მტერიანი, estival - საზაფხულო, exemplaire - სამაგალითო, სანიმუშო, aristocratique - არისტოკრატიული და ა.შ.

2. ქართულისაგან განსხვავებით ფრანგულში არ გვხვდება ისეთი ზმნი-ზედებისაგან ნაწარმოები მიმართებითი ზედსართავები, როგორიცაა: გუშინ, ხვალ, დღეს, აქ, იქ და სხვ. (გუშინდელი, დღევანდელი, ხვალინდელი, აქაური, იქაური). ამ უკანასკნელთ ფრანგულში წინდებულისანი კონსტრუქციები შეესატყვისება: d'hier, d'aujourd'hui, d'ici, de là.

3. გვხვდება საწინააღმდეგო შემთხვევებიც: ფრანგულ მიმართებით ზედსართავს ქართულში არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა შეესატყვისება. მაგ. Les fleurs champêtres=les fleurs des champs -(მინდვრის ყვავილები)

La chaleur solaire=la chaleur du soleil -(მზის სითბო)

სამაგიეროდ, ფრანგულს არ მოეპოვება სინთეზური ფორმები ისეთი შემთხვევებისათვის, როგორიცაა: უპარტო (sans parti), უსახლკარო (sans famille).

4. ფრანგულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზმნის ფუძისაგან "able" და "ible" სუფიქსებით ნაწარმოებ მიმართებით ზედსართავებს, რომელთაც ქართულში მიმღეობა შეესატყვისება.

Mais, Jacques, vous avez oublié de les faire tondre. Ces enfants ne sont pas présentables. (H. Basin)

ეს ბაგეშვები გამოსაჩენი არ არიან (არ გამოიჩინებებიან), ჟაკ, თქვენ დაგვიწყნიათ მათი გაკრეჭა. Présentable= გამოსაჩენი (მომავალი დროის მიმღეობაა).

ზოგჯერ ამ ტიპის მიმართებით ზედსართავს ძნელია მოუნახო შესატყვისი ფორმა ქართულში. სშირად მათ ზმნის პირიანი ფორმით თარგმნიან:

[--] nous nous étions lancés dans le marché de l'huile [--] et même d'un lot de casseroles en aluminium car celles-ci étaient devenues introuvables. (P. Vialar)

Celles-ci étaient introuvables=On ne pouvait pas trouver celle-ci
ამ უკანასკნელს ვერ იშოვნინდი.

Hormis les oeufs, rien n'étaient mangeable=Hormis les oeufs on ne pouvait rien manger

გარდა კვერცხისა არაფერი იჭმებოდა.

Ca t'est bien egal que le beurre augmente et que les oeufs soient inabordable. (J. Renard)

[--] que les oeufs soit inabordable=On ne peut pas les aborder
კვერცხს ვერ წაეკარებო

Mme Rezeau, ne nous voyait plus et ne se croyant plus visible, laissait tomber ses epaules [--] (H. Bazin)

Ne se croyant plus visible=elle croyait qu'on ne la voyait plus.

Le talons de Folcoche, reconnaissables entre tous sonnerent dans le couloir. (H. Bazin)

Reconnaisables=qu'on pouvait reconnaître (რომელსაც გამოიცნობდი).

Je vous aurai donné plus d'argent dans six mois d'ici pour les articles que j'irai vous demander que pour votre poésie invendable (Balzac)

La poésie invendable=la poésie qui ne se vend pas (რომელიც არ იყიდება)



ის ფაქტი, რომ სიტყვათა ეს კლასი ქართულშიც არსებობს, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ გამოყენების თვალსაზრისით აბსოლუტური დამთხვევაა. ხშირად ქართული იყენებს არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას იქ, სადაც ფრანგული მიმართებით ზედსართაგს ამჯობინებს, ან ორივეს იყენებს:

L'arrivée présidentielle = L'arrivée du président - პრეზიდენტის ჩამოს-

ვლა

Il attendait le retour de son petit fils, avec une impatience d'enfant (R. Rolland)

[--]elle tremblait d'un plaisir enfantin, qui'il tâchait de refouler (R. Rolland)

une impatience d'enfant - ბავშვური მოუთმენლობა.

un plaisir enfantin - ბავშვური სიამოვნება.

La chose est faisable = On peut la faire = Elle peut être faite = შეიძლება

გაკეთდეს.

Médéa Lordkipanidzé

LES ADJECTIFS DE RELATION EN FRANÇAIS ET EN GÉORGIEN

Résumé

1. D'après leurs caractéristiques sémantiques et grammaticales les adjectifs qualificatifs se subdivisent en deux sous-classes lexico-grammaticales: les adjectifs qualitatifs et les adjectifs de relation. Les premiers forment le noyau de la classe, les seconds forment la périphérie.

2. La sphère de l'emploi des adjectifs de relation est plus large en français qu'en géorgien. Pour caractériser l'objet, le géorgien utilise parfois le nom au le français recourt à l'adjectif de relation. (les fleurs champêtres = მინდვრის ყვავილები)

3. Il est à noter surtout les adjectifs de relation formés au moyen des suffixes "able" "ible" à partir des radicaux verbaux auxquels correspond en géorgien le participe. Certains de ces adjectifs se traduisent parfois en géorgien par une forme personnelles du verbe.

1. Gak V.G., Essai de grammaire I. Moscou, 1974
 2. Grevisse M. Le bon usage, Grammaire française, Paris, 1993
 3. Référovskaja E.A., Vassiliéva A.K., Essai de grammaire française I, Léningrad, Moscou, 1964
 4. კვაჭაძე ლ, ქართული ენა, I 1969
 5. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები I, თბილისი, 1973.
 6. Академия наук СССР Русская грамматика, I Москва, 1980
 7. Виноградов В.В., Русский язык Грамматическое учение о слове Москва, 1947, Ленинград
- Гак В.Г., Теоретическая грамматика французского языка. Морфология, Москва 1986.

ფრანგული ენის კათედრა



თამარ მაგარლაშვილი

მიმღეობის საკითხი ძველ ქართულ გრამატიკებში

მიმღეობას ყურადღება ჯერ კიდევ ძველმა გრამატიკოსებმა მიაქციეს. თითქმის ვერ დავასახელებთ ვერც ერთ მათგანს, რომლისთვისაც ინტერესის საგნად არ გამხდარიყო იგი. ცხადია, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მათი შეხედულებების უმეტესობას დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, თუმცა არის დღევანდელი თვალსაზრისით ფასეული დაკვირვებებიც. ზოგიერთი გრამატიკოსი მას დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად მიიჩნევდა, ზოგიც მიმღეობურ ფორმებს ზედსართავ სახელში აერთიანებდა.

ფ რ ა ნ ც ი ს კ მ ა რ ი ო მ ა ჯ ო ს გრამატიკა (1670წ.) საყურადღებოა იმდენად, რომ ის არის ქართული ენის პირველი გრამატიკა, დაწერილი ლათინურ ენაზე. «ქართული ანუ იბერიული ენის გრამატიკის წესებს» უჭირავს ამ შრომის პირველი ნაწილი. ქართულში 9 მეტყველების ნაწილს გამოყოფს მაჯო და ფილოლოგიური გრამატიკის წესისამებრ მიმღეობაც ერთ-ერთ მათგანად აქვს ჩათვლილი.

მაჯოს მიაჩნია, რომ მიმღეობათაგან ზოგი ზმნურია (ზმნათაგან ნაწარმოები), ზოგიც - სახელური (სახელისაგან ნაწარმოები). დროისა და გვარის მიხედვით მიმღეობა მას არ აქვს დახასიათებული და მხოლოდ მაგალითებს სჯერდება: მომსლელი, მიმსლელი, მიმსლული, დაკარგული, დახარჯული, დაბნელებული... (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 44).

მაჯო ძირითადად მანც «ლათინური ენის გრამატიკული კატეგორიებიდან და პროცესებიდან ამოდის. ეს ნათლად ჩანს იმაში, თუ როგორ განმარტავს იგი გრამატიკასა და გრამატიკის შემადგენელ ნაწილებს, რამდენსა და რა მეტყველების ნაწილს გამოყოფს» (იქვე, გვ. 54).

ზ უ რ ა ბ შ ა ნ შ ო ვ ა ნ ი ს ნაშრომში «მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზ. შანშოვანისაგან 1737 წელსა», რვა მეტყველების ნაწილია (მისი ტერმინით «კერძონი სიტყვისანი») გამოყოფილი. მათ შორისაა მიმღეობა, რომელსაც ავტორი შეწყნარებას უწოდებს და ასე



განმარტავს: „შეწყნარება არს ლექსი სასრბოლო ჟამიერი, თჳნიერ მართლსა, რ-ლი მოქმედებას ანუ ვნებასა დანიშნავს" (ზ. შანშოვანი, 1881, გვ. 56). იქვე მიუთითებს, რომ აქვს სახელისა და ზმნის ნიშნები: „შეიწყნარებს სახელისგან სრბოლაჲ, ზმნისგან ნათესაენი და ჟამი და ორთაგანვე ნაკუჭტოსა, სახესა და რიცხუსა". შესაბამისად, გამოყოფს მიმღეობის მაწარმოებელ აფიქსებსაც: მწელი,რენებო (იქვე, გვ. 56).

როგორც ვხედავთ, არც ერთი მაწარმოებელი სწორად არაა მოძებნილი, რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ზ. შანშოვანის გრამატიკის დედანი სვიმონ ჯუღაელიანის სომხური გრამატიკა იყო. „კი არ დაწერა ქართული ენის გრამატიკა, მან თარგმნა სომხურის გრამატიკა ქართულად... მოახდინა კალკირება და მასალის განაწილება ვერ შეძლო" (ა. ფოცხიშვილი, 1979, გვ. 59).

ქართული გრამატიკული აზრის სათავე და ბალავერი ანტონ ბაგრატიონის გრამატიკაა. იგი იყო ქართული ენის პირველი, ფუნდამენტური გრამატიკის შემქმნელი და ამდენად, ქართული გრამატიკული აზრის ფუძემდებელი. ზ. შანშოვანის გრამატიკა ვერ ჩაითვლება ანტონის წინამორბედად, რადგან იგი იყო მხოლოდ „ცდა ქართული გრამატიკის შედგენისა... დღეს კი შანშოვანის გრამატიკას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს" (ი. აბულაძე, 1940, გვ. 158).

ანტონ I-მა თავისი გრამატიკის პირველი, ვრცელი ვარიანტი 1753 წელს დაწერა, რომელშიც ცნებათა განსაზღვრებები ლათინურ-სომხურ ტრადიციას მისდევდა. მეორე რედაქციაში (1767წ.) კი დამატებითაა გათვალისწინებული ბერძნული, ლათინური, ფრანგული, იტალიური, გერმანული და რუსული ენების მონაცემები (იხ. ანტონ პირველი, 1997, გვ. 9).

ცნობილია, რომ ძველ გრამატიკებში დღევანდელი მეტყველების ნაწილები გაგებული იყო, როგორც სიტყვის ნაწილები (რომელიც ზედმიწევნითი თარგმანია ბერძნული „მერეტულოგუსისა", რაც ნიშნავს „წინადადების ნაწილს"). მე-18 საუკუნის გრამატიკოსები (ანტონი და მისი სკოლა) წინადადების მნიშვნელობით იყენებდნენ სიტყვას, საიდანაც წარმოდგატერმინი „სიტყვის ნაწილი" (არნ. ჩიქობავა, 1946, გვ. 100).

ანტონის გრამატიკაშიც მოძღვრება მეტყველების ნაწილთა შესახებ წინადადების (ე.ი. სიტყვის) სახეობათა ჩამოთვლა-განსაზღვრას მოიცავს. მეტყველების მ ნაწილს გამოყოფს ანტონი იმდროინდელი ტრადიციის-



დაგვარად: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმლეობა, თანდებული, ზმნიზედა, კავშირი, შორისდებული. მიმლეობა მას გრამატიკის პირველ რედაქციამში აქვს ცალკე გამოყოფილი.

ანტონი მიმლეობის სხვადასხვაგვარ განსაზღვრას იძლევა. პირველი ასეთია: «არიან იგინი, რომელნიცა ერთითა ნაწევროან ოხრუთა ჰნიშუჴენ ქუჴჴე დროჲსა სახელწოდებით ქმნათა, ანუ ვნებათა არსებისათა, მაგალ: მპრწმუნებელი, მძულუჴლი, შეყუარებული, საყუარელი და სსუანი და ესგუარანი უკუჴ ლექსნი იწოდებიან მიმლეობად" (ანტონ პირველი, 1997, გვ. 128). ამ განსაზღვრების მიხედვით ავტორისათვის მიმლეობა სახელია ძირითადად და არა ზმნა. მეორე განსაზღვრა კი თითქმის ემთხვევა ზმნისას: «მიმლეობა არს ნაწილი სიტყუსა ცხადმყოფი ნივთის ყოფისა' და ქმნათა და ვნებათა მისთა დროებითად" (იქვე, გვ. 234).

მაშასადამე, მიმლეობა, «ესე იგი მიმლებელობა, რომელ არს შემწყნარებლობა ანუ მიმთუალუჴლობა", საგნის რაობასა და აგრეთვე, მოქმედებასა და ვნებას აღნიშნავს დროის მიხედვით. მეორე განსაზღვრებას ახლავს ანტონის შემდეგი განმარტება: «ითქუა რა განსაზღურებასა შინა, ვითარმედ ცხადმყოფი ნივთის ყოფისა ამისთუს, ვითარმედ ვითარ-იგი სახელი, ეგსახედ ესეცა ერთსა ქუჴმდებარესა რაჲმესა გუაჩუჴნებს და შეიწყნარებს რომელთამე მდევართა სახელისათა", ე.ი. სახელის მსგავსად, მიმლეობაც ერთ მოქმედს (ქვემდებარეს) გამოხატავს და მიიღებს სახელის კატეგორიებს.

საყურადღებო აზრი აქვს გამოთქმული ანტონს მიმლეობის წარმოებისა და ფუნქციის თაობაზე. მიმლეობა იწარმოება ზმნის ძირისაგან, მაგრამ არა აქვს პირი: «წარმოებს მიმლეობა ძირთა მათგან, გარდა ნაცუალსახელისა, რომელთაგანცა წარმოებს ზმნა. ხოლო ნაცუალსახელისაგან წარმოებაჲ ზმნისა არს პირობითყოფა ზმნისა, გარნა მიმლეობა არ შეიწყნარებს პირთა" (ანტონ პირველი, 1997, გვ. 235). გამოყოფს მიმლეობის ნიშნებს: ელი, ჴლი, ედი, ჴდი, მმ, რი, არი, არე, უარე, ლი, ლე, ული.

მიმლეობას აქვს სამი დრო: აწმდგომარე, გარდასრული და ყოფადი. აწმდგომარესა შინანი არიან უმეშუჴბითნი და შემოქმედებითნი, ხოლო გარდასრულსა და ყოფადსა შინანი არიან ვნებითნი"; რიცხვი - მხოლოობითი და მრავლობითი; სახე - მარტივი და ნაწარმოები; ბრუნვა კი იმდენი აქვს მიმლეობას, რამდენიც სახელს.



გ ა ი ო ზ რ ე ქ ტ ო რ ი ს „ქართულ ღრამმატიკას“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ის იყო ქართული გრამმატიკის პირველი სახელმძღვანელო, დაბეჭდილი ქართულ ენაზე. როგორც დადგინდა, წიგნის ბოლოს მითითებული თარიღი - 1789 წელი უნდა იყოს მისი დაწერის დრო, დაბეჭდვისა კი ზუსტად არაა ცნობილი. იგი გამოცემულია მოზდოგში, 1796-1804 წლებს შორის (ე. ნიკოლაიშვილი, 1965, გვ. 162; ალ. ფოცხიშვილი, 1979, გვ. 155).

გაიოზი ანტონის მოწაფე იყო და, ცხადია, მისი გრამმატიკა ვერ ასცდებოდა ანტონის გრამმატიკის გავლენას, მაგრამ, ამასთანავე, გამოირჩევა საინტერესო დაკვირვებებით და ზოგ საკითხთა ორიგინალური გაშუქებით. მეტყველების ნაწილი მასთანაც რვაა და იმავე თანმიმდევრობითაა ჩამოთვლილი, როგორც ანტონთან გვქონდა. გაიოზი მიმღეობას ასე განმარტავს: „მიმღეობა არს ნაწილი სიტყუსა, რომელიცა სახელობით დაჰნიშნავს მოქმედებასა ანუ ვნებასა, ამისთვის სახელისაცა და ზმნისა აქჷნ თუსებანი“ (გაიოზ რექტორი, 1970, გვ.111). ისიც მიმღეობის ნ თვისებას ანუ მღევარს გამოყოფს: ნათესავი, ნაკჷჭთი, სახე, რიცხვი, დრო და ბრუნვა.

გ ა რ ლ ა მ ე რ ი ს თ ა ვ ი ს გრამმატიკა პირველი ქართული გრამმატიკაა რუსულ ენაზე დაწერილი (დაბეჭდა 1802 წელს) და, როგორც მიუთითებენ, დღემდე არსებულ ქართული ენის გრამმატიკათაგან ყველაზე მოკლეა. ეს ნაშრომიც უპირველესად ანტონის გრამმატიკიდან მოდის. აქაც მიმღეობა ცალკე მეტყველების ნაწილადაა ჩათვლილი და განიმარტება, როგორც ზმნისგან ნაწარმოები, რომელსაც აქვს მისი ბევრი თვისება, მაგრამ, რადგან ზედსართავის ძალისაა, იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით (ა. ფოცხიშვილი, 1979, გვ. 254).

დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს „მცირე ღრამმატიკა“ გამოქვეყნებული არაა. ცნობილია მისი ექვსი ხელნაწერი, რომლებზეც დაცულია დაწერის თარიღი - 1790 წელი. გრამმატიკა კითხვა-მიგების წესითაა დაწერილი და, როგორც ჩანს, სასკოლოდ იყო განკუთვნილი. მიმღეობა აქაც დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილადაა ჩათვლილი. მისი განმარტებისას დავითი ორიგინალურია, თუმცა ემსგავსება ანტონისეულ განსაზღვრას: „მიმღეობა არს ნაწილი სიტყუსა, რომელიც არსებისა საქმეთა, მერმეცა ქმნათა ანუ ვნებათა არსებათასა ჟამისა ქვეშე დაჰნიშნავს

უპიროდ". გამოყოფილია მაწარმოებელი ნიშნებიც (ა. ფოცხიშვილი, 1979, გვ. 211).

იოანე ბატონიშვილი ორიგინალური ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება "კალმასობა", რომელიც 15 წლის განმავლობაში იწერებოდა, 1813-1828 წლებში. "კალმასობაში" წარმოგვიდგა იოანე პირველად, როგორც გრამატიკოსი. მიმღეობის განსაზღვრაში იოანე კომპილაციის მეთოდს მიმართავს, პირველ ნახევარს იღებს გაიოზისაგან, მეორეს - დავითისაგან: "მიმღეობა არს ნაწილი სიტყვსა, რომელიცა სახელობით დანიშნავს არსებისა საქმეთა, ქმნათა ანუ მოქმედებათა, გინა ვნებათა არსებათასა ჟამსა ქჷ ჴ შე უპიროდ" (ი. ბატონიშვილი, 1990, გვ. 190). აქვე იძლევა იგი ფორმულირებას იმის შესახებ, თუ რით ემსგავსება მიმღეობა სხვა მეტყველების ნაწილებს ან რით განსხვავდება მათგან.

იოანე ქართველიშვილი მათვის გრამატიკაში (I რედაქცია გამოიცა 1809 წელს, II - 1814 წელს) გადმოიტანა ანტონისა და გაიოზის გრამატიკების დებულებათა უმეტესი ნაწილი და ამიტომაცაა, რომ ხან ერთს მიმართავს, ხან - მეორეს. მასთან რვა მეტყველების ნაწილთაგან ერთ-ერთია მიმღეობა, რომელიც ასე განისაზღვრება: "მიმღეობა არს ნაწილი სიტყვსა, რომელიცა ჰსწარმოებს ზმნათაგან, და ჳმარებული მჰსგავსად ზედშესრულთა სახელთა, აღჳნიშნავს მოქმედებასა ანუ ვნებასა" (ი. ქართველიშვილი, 1825, გვ. 133). გამოყოფს არსებით, შემოქმედებით, ვნებით და უმეშვეობით მიმღეობებს.

სოლომონ დოდაშვილის "შემოკლებული ქართული ღრამმატიკა" (1830წ.) ი. ქართველიშვილის გრამატიკას მიყვება. მიმღეობის განსაზღვრაცა და ფუნქციებიც მას იოანესგან აქვს აღებული. მასთანაც მიმღეობა მეტყველების ნაწილთა შორისაა შეტანილი და ასე განისაზღვრება: "მიმღეობა არს ზმნისაგან წარმოებული სახელი ზედშესრული და აღნიშნავს მოქმედებულსა ანუ ვნებულსა თვისებასა საგნისასა. მაგ.: აღმწერილი, აღწერილი, აღსაწერი..." (ს. დოდაშვილი, 1961, გვ. 136).

მიმღეობა, ზედსართავი სახელის მსგავსად, იღებს სახელის თვისებებს და იბრუნვის, ხოლო "რადგანაც ზმნათაგან იწარმოებიან, ამიტომ არსებობენ მოქმედებითნი, ვნებითნი, უმეშვეობითნი და არსებითნი მიმღეობანი და აქვთ სამი დრო: აწმყო, ნამყო და მყოობადი". იქვე მოცემულია მათი განმარტებები ნიმუშებითურთ.



პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს „პირუჭოლ-დაწყებითი ქართული ლრამმატიკისა“ 1840 წელს გამოქვეყნდა. მიმღეობა მასაც ზმნიდან წარმოებულ ზედსართავად მიაჩნდა (ს. დოდაშვილის მსგავსად), თუმცა მეტყველების ნაწილთა შორის მაინც აქვს შეტანილი და ასე განმარტავს: „მიმღეობა არს ნაწილი სიტყუსა, რომელიცა ჰსწარმოებს ზმნათაგან და არს ზედ-შესრული სახელი, რომელიცა აჩუჭნებს პირისა ანუ ნივთისა ვითარებასა“ (პლ. იოსელიანი, 1840, გვ. 73). მასაც დასახელებული აქვს შემოქმედებითი, ვნებითი, საშუალო და არსებითი მიმღეობანი, ასევე ყურადღებას ამახვილებს მიმღეობათა პარალელურ წარმოებაზე (იქვე, გვ. 74).

დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი ს „ახალი ქართულ გრამმატიკაში“ მიმღეობა, ზედსართავ და რიცხვით სახელებთან ერთად, შეტანილია არსებით სახელში, როგორც მეტყველების დამოუკიდებელ ნაწილში. განსაკუთრებით საინტერესოა მსჯელობა ძველ ევროპულ ენებში (მათ შორის ლათინურში) არსებულ ისეთ ტერმინებზე, როგორებიცაა: „გერუნდი“ - gerundium, რომელსაც ეთანხმება ქართული სახელზმნა (წერა, კეთება), „გერუნდივი“ - gerundiv, რომელსაც ეთანხმება სახელზმნა მყოობადი (დასაწერი, გასაკეთებელი) და „სუპინი“ - supinum, ეთანხმება ძველი „უჩინო დახრა“ და დღევანდელი ზმნიზედა (დასაწერად, ასაშენებლად) (დ. ყიფიანი, 1882, გვ. 71). ე.ი. ფორმები, რომელთაც დღესდღეობით მიმღეობა ეწოდება, „გერუნდივად“, ანუ „სახელზმნა მყოობადად“ არის ჩათვლილი.

დ ა ვ ი თ ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ მ ა ზედსართავი სახელი დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად გამოყო და მასში მოაქცია მიმღეობები, რომლებიც „განიყოფებიან მოქმედებითად და ვნებითად და ნაწარმოები არიან ზმნისაგან“ (დ. ჩუბინოვი, 1887, გვ. XV).

თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს „ქართულ გრამმატიკაში“ (1889წ.) მიმღეობა ცალკე მეტყველების ნაწილად არაა გამოყოფილი. ავტორის აზრით, მიმღეობანი, როგორც ზედშესრულნიცა, აღნიშნავენ ვითარებასა და იხმარებიან განმმარტველად სხვათა სიტყვათა და ზედშესრულებრივს კითხვებზე მოგვიგებენ“, მაგრამ ზედსართავისაგან განირჩევიან იმით, რომ მათ შეიძლება გამოსატონ მოქმედი (მფარველი, შემწყნარებელი) ან ვნებული (მოკლული, მოსაჭრელი) (თ. ჟორდანი, 1889, გვ. 94-95).



ანდრია ბენაშვილი 1894 წელს გამოცემულ „მოკლე ქართულ გრამატიკაში“ მეტყველების ნაწილთა შორის მიმღეობას არ გამოყოფს, მას განიხილავს სახელზმნასთან ერთად და ასე განმარტავს: „ყოველ ზმნისაგან კეთდება არსებითი სახელი და ჰქვიან სახელზმნა; ყოველ ზმნისაგან კეთდება ზედშესრული სახელი და ჰქვიან მიმღეობა. მაგ.: ვგალობ-გალობა-მგალობელი“ (ა. ბენაშვილი, 1894, გვ. 15).

ამგვარად, ზემოთ განხილულ მკვლევართა მოსაზრებებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: მე-18-მე-19 საუკუნეების ქართველ გრამატიკოსთა უმეტესობა მიმღეობას მიიჩნევს დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად, იძლევა მის დასასიათებას. ისინი ყურადღებას ამახვილებენ მის როგორც სახელურ, ისე ზმნურ ნიშნებზე, გამოყოფენ მაწარმოებელ აფიქსებს. უდავოა, რომ მიმღეობასთან დაკავშირებით ანტონ I-ის მიერ მინიშნებული დებულებები გახდა ერთგვარი საფუძველი და იმპულსი მომდევნო ხანის გრამატიკოსებისათვის. მე-20 საუკუნის I ნახევრის ქართული გრამატიკული ლიტერატურაც (მ. ჯანაშვილის, ს. ხუნდაძის, ი. ნიკოლაიშვილის, ი. სიხარულიძის, დ. კარიჭაშვილისა და სხვათა ნაშრომები) ძირითადად სწორედ განხილული გრამატიკებით საზრდოობდა და ასე შემზადდა ნიადაგი ახალი ქართული გრამატიკული მოძღვრებისათვის, რომელსაც საფუძველი მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჩაეყარა.

Tamar Mamardashvili

THE PROBLEM OF PARTICIPLE IN OLD GEORGIAN GRAMMARS

summary

Participle attached-the interest of even ancient grammarians. The paper discusses the writings by the Georgian grammarians of the 18th-19th centuries. Most of them regard participle as an independent part of speech. They emphasize its both nominal and verbal features, they also edentify its inflections. It is obvious that, due to various reasons, most of those approaches have only the historical significance, though there are certain valuable observations from the contemporary point of view.

პ ი თ ი თ ე ზ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :



1. ი. აბულაძე, 1940 - ი. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები, 1. ზურაბ შანშოვანი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, X-B, 1940.
2. ანტონ პირველი, 1997 - ანტონ პირველი, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1997.
3. ა. ბენაშვილი, 1894 - მოკლე ქართული გრამატიკა, შედგენილი და გამოცემული ანდრია სიმ. ბენაშვილის მიერ, ტფ., 1894.
4. გაიოზ რექტორი, 1970 - გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1970.
5. ს. დოდაშვილი, 1961 - შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, გამოცემული სოლომონ დოდაშვილის მიერ, ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961.
6. იოანე ბატონიშვილი, 1990 - იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა (კალმასობა), წიგნი I, თბ., 1990.
7. პლ. იოსელიანი, 1840 - პირჟ შლ-დაწყებითი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, შედგენილნი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისა მიერ, ტფ., 1840.
8. ე. ნიკოლაიშვილი, 1965 - ე. ნიკოლაიშვილი, გაიოზ რექტორის ქართული გრამატიკა, მეცნ. აკად. მაცნე, №4, 1965.
9. თ. ჟორდანიას, 1889 - ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან, 1889.
10. ა. ფოცხიშვილი, 1979 - ა. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979.
11. ი. ქართველიშვილი, 1825 - ი. ქართველიშვილი, ქართული ღრამმატიკა, ტფ., 1825.
12. დ. ყიფიანი, 1882 - ახალი ქართული გრამატიკა სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის დიმიტრი ყიფიანისა, სანკტ-პეტერბ., 1882.
13. ზ. შანშოვანი, 1881 - მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წელსა, გამოცემა აღ. ცაგარლისა, სანკტ-პეტერბ. 1881.
14. არნ. ჩიქობავა, 1946 - არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, პროპედევტიკული ნაწილი, თბ., 1946.
15. არნ. ჩიქობავა, 1965 - არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
16. დ. ჩუბინოვი, 1887 - ქართული ღრამმატიკა, ახლად შედგენილი დავით ჩუბინოვისაგან, სანკტ-პეტერბ., 1887.

მეთოდკათა კათედრა



მზია მენაბდე

„აბსურდის“ დაქვემდებარების პრობლემისათვის ალბერ კამიუს რომანში „შავი ჭირი“

ალბერ კამიუ მე-20 საუკუნის ფრანგული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელია. მას არაჩვეულებრივი ლიტერატურული ბედი ხვდა წილად: სრულიად ახალგაზრდა გახდა არა მარტო „სულთა მზრდა-ნებელი“, არამედ ცოცხალი სარკე მთელი თაობისა. მისი პოპულარობა განაპირობა იმან, რომ კამიუმ თავის შემოქმედებაში გამოთქვა ყველაფერი ის, რასაც ომისა და ომის შემდგომი აალგაზრდობა ბუნდოვნად ხვდებოდა.

ალბერ კამიუ ჟან პოლ სარტრთან ერთად ეგზისტენციალური ფილოსოფიური სკოლის თვალსაჩინო თეორეტიკოსია. ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიურმა თეორიამ უსაზღვრო გავლენა იქონია მე-20 საუკუნის ლიტერატურის განვითარებაზე. ეგზისტენციალიზმი თავისუფლების სერიოზული და ღრმა ფილოსოფიაა, რომელიც საზოგადოებისათვის მიუწვდომელი დარჩებოდა, მხოლოდ აბსტრაქტული თეორიული ფორმით რომ ყოფილიყო გადმოცემული. ფრანგ მწერალთა ჯგუფმა (ჟ.პ. სარტრი, გ. მარსელი, ს.დ. ბოუუარი, ა. კამიუ, ა. მალრო, ჟ. ანჟი და სხვა). მოახდინა ეგზისტენციალური ფილოსოფიის მხატვრული ტრანსფორმაცია ლიტერატურაში.

ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიური თეორიის კარდინალურ საკითხს წარმოადგენს „აბსურდის“ აღიარებისა და მისი დაძლევის გზების ძიება. ეგზისტენციალიზმი ადამიანის ცხოვრებას აბსურდის გამოხატულებად განიხილავს. იგი აღიარებს, რომ ადამიანის ორგანულ არსებობას საზღვარი გააჩნია, იგი უკვდავი არაა, იმიტომ, რომ ყველა მისი ძალისხმევა წარმავალია და ამაო. ადამიანისათვის მოჭრილია გზა მარადისობისაკენ. ადამიანი კი მარადისობისადმი ზიარებას, „ტრანსცენდირებას“ მიესწრაფვის, ცდილობს ყოფნის აბსურდულობა „სხვა არსებობაში“ გაჭრით, „ტრანს-



ცენდირებით" დაძლიოს. მაგრამ, თავის მხრივ, ეს მისწრაფებაც უნაყოფო და შეუძლებელია, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს აბსურდულ სიტუაციას. (176-196).

ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიურ თეორიაში ორი ძვალსაზრისი დაუპირისპირდა ერთმანეთს. ერთი, როგორც აღვნიშნეთ, მარადისობისა და მისდამი ზიარების ახლებური გააზრების გზით, «ტრანსცენდირებით» (გარეცდისეული, ირაციონალური, ამქვეყნიური გონებისათვის მიუწვდომელი) ცდილობს აბსურდის დაძლევას, ხოლო მეორე «ტრანსცენდირების» პერსპექტივის გარეშე, აბსურდის ნიადაგზე გააზრებს ადამიანური ყოფნის შესაძლებლობებს. სწორედ ამ მეორე პოზიციის დამამკვიდრებლად გვევლინება დიდი ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი, «აბსურდის» თეორეტიკოსი ალბერ კამიუ, რომელმაც თავის შემოქმედებაში სცადა აბსურდის ნიადაგზე, ანუ მარადისობისადმი ურწმუნობით გაეანალიზებინა ადამიანის ყოფნის შესაძლებლობები.

ალბერ კამიუმ თავისი კონცეფცია სამყაროსა და ადამიანის არსებობის შესახებ მთელი სისავსით ჩამოაყალიბა ფილოსოფიურ ესეში «სიზიფეს მითი», რომანში «უცხო», პიესაში «კალიგულა», მოთხრობაში «გაუგებრობა» და სხვა. ეს ნაწარმოებები განეკუთვნება ალბერ კამიუს შემოქმედების I ეტაპს, რომელსაც «აბსურდის» ციკლი ეწოდება.

მთელი თავისი შემოქმედებით ა. კამიუ ცდილობდა, პასუხი გაეცა კითხვაზე: როგორ იცხოვროს სამყაროში ადამიანმა უზენაესი აზრისა და სათნოების გარეშე? მან ნათლად და გასაგებად განსაზღვრა აბსურდის არსი. მისი აზრით, სამყარო არ არის აბსურდული, ის უბრალოდ გონიერი არეა და არაფერი აქვს საერთო ადამიანის სურვილებსა და საზრისის ძიებასთან. აბსურდული არ არის არც ადამიანი, რომელიც ეძებს ყოველივე არსებულისა და საკუთარი ცხოვრების საზრისს. აბსურდი - ეს დამოკიდებულებაა სამყაროსა და ადამიანს შორის, განხეთქილებაა, უფსკრულია მოაზროვნე ადამიანის მისწრაფებებსა და სამყაროს მდუმარებას შორის. «ირაციონალური, ადამიანური და აბსურდი, მათი თავშეყრით რომ იბადება - აი, სამი იპოსტასი დრამისა, რომელთაც უქვევლად თავიდან ბოლომდე უნდა გავადევნოთ თვალი, ლოგიკის ყველა ძალის მოხმობით, რაც კი მიმადლებული აქვს ეგზისტენციას». (1,41).



ალბერ კამიუს აინტერესებს, თუ როგორ უნდა იცხოვროს „აბსურდის“ ადამიანმა, რომელსაც ადრე თუ გვიან ებადება აზრი: ღირს კი გაგრძელდეს ამქვეყნიური ტანჯვა-წამება? თუ სჯობს ადამიანმა ყველაფერს მიაფურთხოს და თავი მოიკლას. ეს საერთოდ მეტაფიზიკური კითხვა ყველაზე საინტერესო და ძნელად გადასაჭრელი პრობლემაა.

კამიუმდე ფილოსოფიაც და ლიტერატურაც ხედავდა ადამიანური ყოფნის აბსურდულობას და ორ გამოსავალზე მიუთითებდა: პირველი - ღმერთის არსებობის აღიარება და მეორე - თვითმკვლელობა.

„სიზიფეს მითში“ ალბერ კამიუ უარყოფს თვითმკვლელობას, რომელიც ანადგურებს აბსურდული ურთიერთობის ერთ პოლუსს - საზრისის მადიებელ ადამიანს. ასეთივე გაქცევაა აბსურდისაგან „ფილოსოფიური თვითმკვლელობა“. ამ შემთხვევაში აზროვნების სიცხადის მაგივრად ილუზიები ჩნდება, სასურველი სინამდვილედ მიიღება, სამყაროს მიეწერება ისეთი ადამიანური თვისებები, როგორიცაა გონი, სიყვარული, მოწყალება და ა.შ. რომლებიც მას არ გააჩნია და არც შეიძლება ჰქონდეს. ამ შემთხვევაში თვალსაჩინო უაზრობა გარდაისახება შენიღბულ უაზრობად და ადამიანი ურიგდება თავის ხვედრს. და ამიტომ აბსოლუტის ფილოსოფიური ძიებანიცა და რელიგიური რწმენაც კამიუს მიაჩნია თვალთახედვის დაბნელებად და ადამიანის შერიგებად ტანჯვისა და სიკვდილის უაზრობასთან (I, 100-106).

აბსურდის დაძლევის ჭეშმარიტ გზად, აბსურდის პასუხად, კამიუს თავისი ხვედრის წინააღმდეგ ამბოხებული ადამიანი მიაჩნია. „სიზიფეს მითში“ ამბოხი წარმოდგენილია, როგორც „ინტელექტის ბრძოლა მასზე აღმატებულ რეალობასთან“, როგორც „ადამიანური სიამაყის“ დემონსტრაცია, როგორც შერიგებაზე უარის თქმა, ე.ი. აბსრუდი უნდა განადგურდეს (დაიძლიოს) არა თვითმკვლელობით (იქნება ეს ფიზიკური თუ ფილოსოფიური), ან „გაჭრით, ნახტომით“ საყმაროს „აბსურდული კედლის მიღმა“, არამედ მაქსიმალური გაცნობიერებით და შეცნობით. „აბსურდის“ ადამიანის ღირებულება საკუთარი ხვედრის შეცნობა და განცდათა სისრულეა. (I.100-106).

ალბერ კამიუს მსოფლმხედველობისა და ფილოსოფიური კონცეფციების ევოლუცია ბრწყინვალედ აისახა მის შესანიშნავ რომანში „შავი ჭირი“, რომელიც ეპოქალურ რომანად იქცა უახლესი ლიტერატურის ისტორიაში.



ჯერ კიდევ "წერილებში გერმანელ მეგობარს" კამიუმ ასე ჩამოთავაობდა თავისი ჰუმანისტური კრედო: "მე ისევ მიმაჩნია, რომ ამ სამყაროში არ არსებობს უზენაესი საზრისი. მაგრამ ისიც ვიცი, რომ მასში ვიღაცას მაინც აქვს აზრი და ეს ვიღაცა ადამიანია, რადგან მხოლოდ ის ერთადერთი ეძიებს ამ საზრისს. ამ სამყაროში მაინც არსებობს ერთადერთი სიმართლე- სიმართლე ადამიანისა. აი, ეს უნდა გადავარჩინოთ... ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ უნდა დავასახიროთ იგი. ეს ნიშნავს, გეზი ავიღოთ სამართლიანობაზე, რომელიც მხოლოდ მისთვისაა გასაგები".

ალბერ კამიუს რომანი "შავი ჭირი" ამ თეზისის განვრცობაა. ეს რომანი მწერლის შემოქმედების II ეტაპს განეკუთვნება, რომელსაც "ამბოხის" ციკლი ეწოდება. ამ ეტაპზე მწერალი ცდილობს აბსურდულობით გამოწვეული ადამიანური ტრაგიზმი "მეამბოხის ნათელი ცნობიერებით" მოხსნას. მისი აზრით, აბსურდის დაძლევა მხოლოდ საკუთარი ხვედრის წინააღმდეგ ამბოხებულ ინდივიდს შეუძლია.

ალბერ კამიუ ამბოხის თეორიას ფართო სოციალურ, ისტორიულ და ფილოსოფიურ ასპექტში განიხილავს და ამ ამბოხს, უპირველეს ყოვლისა, სიცრუისა და ძალადობის წინააღმდეგ მიმართავს.

"შავი ჭირი" რომანი - მეტაფორაა, რომელიც ორგვარად შეიძლება გავიგოთ: პირველი - ეს არის ევროპული "წინააღმდეგობის" დაპირისპირება ფაშიზმთან. "შავი ჭირი" - ანუ "ყავისფერი ჭირი" - ეს არის ზღვარდაუდები ბარბაროსობის შემოჭრა ცივილიზაციაში: გადამწვარი ორადური (ფრანგული სოფელი), ოსვენციმისა და დახაუს გაზის ლუმენები, სალასპილსი და ბაბიარი - ყველაფერი ეს მესსიერებაში სისხლით ჩაწერილი ყავისფერი აპოკალიფსისია. მაგრამ რომანის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, უფრო ფართო განზოგადება მოვახდინოთ: შავი ჭირი მხოლოდ "ყავისფერი ჭირი" არაა, ის არც მხოლოდ ავადმყოფობა, სტიქია, ომი და უბედურებაა. შავი ჭირი ტოტალური ბოროტებაა: სასამართლოების განაჩენთა სისასტიკე, დამარცხებულთა დახვრეტა, ეკლესიისა და პოლიტიკოსების ფანატიზმი, უცოდველი ბავშვის სიკვდილი, საზოგადოება, რომელიც უკუღმართულადაა მოწყობილი და მრავალი სხვა. ყველაფერი ეს კი სამყარო- ჩვეულებრივი და სუნთქვასავით ბუნებრივი ჩვენ ხომ ყველანი ცოტათი ჭირიანები ვართ", - აღიარებს კამიუს გმირი. ამ ჭირის მიკრობები კი ყველგანაა ჩასაფრებული და უდარაჯებენ ჩვენს თვითოეულ



გაუფრთხილებელ ნაბიჯს. ჭირის მიკრობები განაბულნი არიან გარკვეულ დრომდე, ანდა ხან იფეთქებენ. მაგრამ არასოდეს ქრებიან. "რა არის მაინც შავი ჭირი? ესეც ხომ ცხოვრებაა და მეტი არაფერი", - ასე აფასებს მოვლენებს ექიმი რიეს პაციენტი და ეს მწარე აფორიზმი ნაწარმოების გასაღებად აღიქმება. (10,22-29).

ორანელების შეხვედრა შავი ჭირის საშინელებასთან მეტაფორულად კაცობრიობის შეხვედრაა თავის ბედისწერასთან. ეს ის ბედისწერაა, რომელსაც "სიზიფეს მითში" აბსურდი ქვია. კამიუს მოქალაქეობრივი გმირობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ნაწარმოები მან აქცია არსებობის საზრისის ძიებად. კამიუს გმირები ექიმი რიე, მისი მეგობარი ტარუ, ჟურნალისტი რამბერი, რიეს დედა და სხვები ეწინააღმდეგებიან შავ ჭირს - არ ემორჩილებიან მას. თვითოეული მათგანი გრძნობს თავის თანამონაწილეობას და პასუხისმგებლობას მიმდინარე პროცესში. "სირცხვილია ბედნიერად ცხოვრება მარტოდმარტო. ვერ იქნები ბედნიერი, თუ ირგვლივ ყველა უბედურია", - აღიარებს ჟურნალისტი რამბერი, რომელსაც უბიძგის დასაწყისში, კარანტინის მიუხედავად, გადაწყვეტილი ჰქონდა ქალაქიდან გაქცევა, მაგრამ ორანელთა უბედურებამ მის არსებაში მოაძვინდოა აზრი, რომ ყოველი ადამიანი ვალდებულია თანამომძეთა გვერდით იდგეს გაჭირვებაში. უამისოდ კაცი საკუთარი თავის პატივისცემას კარგავს, სინდისის ქენჯნა დატანჯავს. "ადრე ვფიქრობდი, რომ უცხო ვიყავი ქალაქში და აქ არაფერი მესაქმებოდა. მაგრამ ახლა... მე ვგრძნობ, რომ, მინდა თუ არა, მეც აქაური ვარ. ეს ამბავი ყველა ჩვენთაგანს ეხება". ადამიანს არა აქვს უფლება თავი აარიდოს იმას, რაც მის ირგვლივ ხდება. ეს მორალურ-ფილოსოფიური განწყობა კი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ა. კამიუს მსოფლმხედველობაში.

ნაწარმოების უდიდეს ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ამ წიგნში არაა ყალბი ჰეროიზმი, დიდაქტიზმი. ეს არის წიგნი ადამიანთა სინდისზე, მის არჩევანზე. ექიმი რიე, რომელიც შავი ჭირის ეპიდემიის განმავლობაში მუსლჩაუხრელად იბრძვის თვითოეული ავადმყოფის სიცოცხლისათვის, ამაში არაჩვეულებრივი ვერაფერს ხედავს. ეს მისი ვალია იგი ექიმა და მამა პანლუსაგან განსხვავებით, არ ცდილობს იხსნას მხოლოდ ადამიანის "სული". "ადამიანის ხსნა" მისთვის ცარიელი სიტყვებია. "მე ასე შორის არ ვიხედები. მე ადამიანის ჯანმრთელობა მაინტერესებს,

პირველ რიგში ჯანმრთელობა", - აცხადებს რიე და ყოველგვარი მსხვერპლად შეწირვის" გარეშე ასრულებს თავის მოვალეობას - მკურნალობს სნეულებს და ამით წინააღმდეგობას უწევს ადამიანთა უბედურებას. არჩევანი სუნთქვასავით ბუნებრივია. რიე თავის პროფესიულ ვალდებულებას ასრულებს, მკურნალობს და "ეს გმირობა არაა, ეს ჩვეულებრივი კეთილ-სინდისიერებაა". რიე ნებაყოფლობით დადგა მსხვერპლთა მხარეზე. მისთვის და მისი თანაშემწეებისათვის ვალის მოხდა - გოლგოთაზე ასვლა არაა, ეს თავისთავად საგულსხმო სწრაფევაა. როცა ადამიანს უხდება მომქანცველი შავი სამუშაოს შესრულება, კეთილი ნება უფრო ფასეულია, ვიდრე მსხვერპლად თავის გაწირვა (10,22-29). "მე არც გმირი ვარ და არც წმინდანი, - აღიარებს რიე, - მე მსურს ვიყო ადამიანი, აი რა მომწონს!... სოლიდარობა და თანაგრძნობა- არ კმარა! ბრძოლაა საჭირო! არის მხოლოდ ერთი საშუალება - გიყვარდეთ და მოკვდეთ ერთად!".

აბსურდის დაძლევის ერთადერთ სწორ გზად ალბერ კამიუს თავისი ხვედრის წინააღმდეგ ამბოხებული ადამიანის მოქმედება მიაჩნია. ეს ის ადამიანია, რომელიც უარს ამბობს მონის ხვედრზე და თავისი დაუმორჩილებლობით "დინების წინააღმდეგ სვლით", "მეამბოხის ნათელი ცნობიერებით ცდილობს, გაარღვიოს სამყაროს გულგრილი მდუმარების კედელი. ყველაზე უიმედო მდგომარეობაშიც კი ადამიანი არ უნდა გატყდეს, მან უნდა გაუძლოს და რამდენადაც ადამიანურ ძალას შესწევს, მეოხ ექმნეს მის მსგავსთ, უბედურებაში ჩავარდნილ მილიონობით ადამიანს. ძალაში რჩება უზენაესი ღირებულება - ადამიანი და ა. კამიუ მე-20 საუკუნის ყველაზე "ადამიანური ადამიანი", დიდი ჰუმანისტი და მოაზროვნე - ნებაყოფლობით დადგა მსხვერპლთა მხარეზე. მას სურდა ყოფილიყო ადამიანების გვერდით სიყვარულშიც, ტანჯვაშიც, დაცემასა და განდევნილებაშიც.

ZUM PROBLEM DER BEWÄLTIGUNG DES ABSURDES

In der philosophischen Theorie des Absurdes wurden zwei Gesichtspunkte entgegengesetzt. Der erste versucht durch die neue Erfassung der Ewigkeit, durch "Transzendieren" den Absurd zu bewältigen. Der zweite



aber erfasst ohne Perspektive des "Transzendierens", aufgrund des Absurdes die Möglichkeiten des menschlichen Daseins. Der Begründer dieser zweiten Position ist der große französische Schriftsteller und Philosoph der Theoretiker des "Absurdes" Albert Camus.

Für den wahren Weg der Bewältigung des Absurdes, für die Antwort auf den Absurd hält Camus den gegen seinen Schicksal rebellierten Mensch. Camus versteht den Rebell als "der Kampf des Intelektes gegen auf ihn erhöhte Realität, als Verzicht auf die Versöhnung. Die philosophischen Ansichten Camus spiegeln sich in seinem Roman Die Pest wieder." "Die Pest" ist ein Roman-Metapher, der zweifach verstanden wird: erstens - die Gegenüberstellung des europäischen "Widerstandes" gegen der Faschismus? und zweitens-dieses Ereignis hat einen verallgemeinernden Charakter. "Die Pest" - das ist totales Böse, feindliche Gesellschaft, überhaupt die Welt - gewöhnliche und natürliche.

Den rebellierenden Mensch, der auf seinen Schicksal des Sklaven verzichtet, muss mit seiner Widerstand, mit dem "klaren Bewusstsein des Rebellierenden" den Kult des gleichgültigen Schweigens der Welt brechen. Er muss in aller Situation überstehen und den millionen ihm gleichen unglücklichen Menschen helfen, denn es ist der höchste Wert - den Mensch zu retten.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კამიუ ა. , სიზიფეს მითი - ლომისი, თბილისი, 1996 წ. გვ. 41, გვ. 100-109
2. კამიუ ა. , ჰყო-სა და არა-ს შორის, მნათობი, 1985 წ. №11
3. კაკაბაძე ზ., ა. კამიუ, საუნჯე, 1979 წ. №2
4. კაკაბაძე ზ., ფილოსოფიური საუბრები, გვ. 170-196, საბჭოთა საქართველო, თბ. 1988.
5. ხიზანიშვილი ს., კამიუს სიზიფეს მითის ანალიზი საქ. მეცნიერებათა აკადემიის მაგნე. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია. 1991 წ. №1. გვ. 42-53
6. ხიზანიშვილის - აბსურდი და თავისუფლება ა. კამიუს შემოქმედებაში, ცისკარი, 1991 წ. №11-12 გვ. 288.
7. Камю А., "Чума", "Радуга", Москва 1989 г.
8. Камю А., Бунтующий человек, изд. "Политическая литература" Москва, 1990 г.



9. Великовский С.И., В поисках утраченного смысла, Москва, 1978.
10. Великовский С.И., Проклятые вопросы, Камю. "Радуга", Москва, 1988 г. стр. 22-29.

საზღვარგარეთული ლიტერატურის
ისტორიის კათედრა



ბიორგი მჭედლიძე

ივანე ჯავახიშვილი რუსეთის მიერ საქართველოს
 ფაქტობრივი დაპყრობის შესახებ

ეს პრობლემა ივ. ჯავახიშვილს, ძირითადად, განსილული აქვს ორ ნაშრომში: 1. „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში“ (რუსულ ენაზე, პეტ., 1906) და 2. „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“ (ტფ., 1919). ოფიციალური წრეების დამოკიდებულება ორივე ნაშრომისადმი რეპრესიული ხასიათისა იყო. პირველის პეტერბურში გამოქვეყნებას რაიმე გართულება არ გამოუწვევია, მაგრამ ვითარებამ სრულიად საწინააღმდეგო ხასიათი მიიღო, როცა ამ ბროშურის ქართულ ენაზე გამოცემა მოინდომეს. თბილისელმა ცენზორმა იგი არ გაუშვა. მისი გადაწყვეტილების უსაფუძვლობის დასასაბუთებლად გამომცემელმა ამ ნაშრომის დედაქალაქში გამოქვეყნება დაიმოწმა. ამან ქართულად გამოცემის საქმეს ვერ უშველა. პირიქით, რუსულ ენაზე გამოქვეყნებულისაც გააფუჭა. კავკასიის მეფისნაცვალმა პეტერბურგს მიმართა. იქ მიხვდნენ, რა შეცდომაც დაუშვეს და ტირაჟის ლიკვიდაციის განკარგულება ბრძანეს. მაგრამ ეს განკარგულება დაგვიანებული აღმოჩნდა. გამომცემელი 5 ათასი ცალიდან ნახევარი უკვე გავრცელებული იყო.

არ დავიწყებიათ ავტორის დასჯაც. ივ. ჯავახიშვილი „როგორც არსებული ხელისუფლებისადმი მტრული განწყობილების გამომწვევი და ხელისუფლების შეცვლისაკენ მიმართული ნაშრომის ავტორი“ სასამართლო პასუხისგებაში მისცეს. მას უშველა იმან, რომ ნარკვევი მთლიანად გამოქვეყნებულ მასალას ეყრდნობოდა და, თანაც სასამართლოში მოხმობილ ყველა დოკუმენტში თავადად იხსენიებოდა (11:02). მაშინ პეტერბურგიდან 3 წლით გასვლა აუკრძალეს, მაგრამ შემდგომში ჟანდარმერიას მასზე მუდმივი საიდუმლო მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული (12:87).

რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ მეორე ნაშრომს, იგი აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა შეიტანა „ქართველი ერის ისტორიის“ მეხუთე წიგნში



(თბ., 1953). გამომცემელი მოერიდა ნაშრომის ზოგიერთი ისეთი ადგილის გამოქვეყნებას, სადაც ივ. ჯავახიშვილი მკვეთრად უარყოფით შეფასებას აძლევს ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში და ისინი შემოკლებებში მოაყოლა. მაგრამ საქმეს ამან ვერ უშველა. ხელზე დაიხვიეს, რომ რადიოსადგურმა «თავისუფლებამ» დადებითი შეფასება მისცა ამ ტომის გამოსვლას და საკითხი განიხილეს საქ. კპ. ცენტრალურ კომიტეტში. წიგნი სცნეს ლენინური «ეროვნული» პოლიტიკის გაყალბების, ქართველ და რუს ხალხებს შორის მტრობის ჩამოგდების ცდად და აკრძალეს (ალარ შეიძლებოდა არათუ მისი დამოწმება, არამედ ხსენებაც კი, ამიტომ იგი არ შეუტანიათ ივ. ჯავახიშვილის შესახებ გამოქვეყნებულ არცერთ ბიბლიოგრაფიაში). გამომცემელს კი «სხვა ცოდვებიც» გაუხსენეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან გამოიყვანეს და უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობისაგან გაათავისუფლეს.

ასე საოცრად ურთიერთმსგავსი იყო ცარიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ივ. ჯავახიშვილის დასახელებულ ნაშრომებთან და ეს არცაა გასაკვირი. მათ ხომ ცალსახად ერთგვარი კოლონიური მიზნები ჰქონდათ.

ეს ნაშრომები დაწერილია მშფოთვარე პოლიტიკური ვითარების პირობებში. პირველი - 1905 წლის სახალხო მოძრაობის გავლენით, მეორე კი - 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთში გაჩაღებული სამოქალაქო ომის შედეგად დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისადმი დამუქრებული საფრთხის გამო. ამ მხრივ, კიდევ უფრო საშიში იყო თურქეთის მთავრობის ტერიტორიული პრეტენზიები, რომლის აღსაკვეთადაც ახლად ჩამოყალიბებულ საქართველოს რესპუბლიკას სათანადო შეიარაღებული ძალა არ გააჩნდა.

ივ. ჯავახიშვილმა თავის გამოკვლევებში ძირითადად მიზნად დაისახა: 1. ეჩვენებინა, რომ 1905 წელს საქართველოში გაჩაღებული სახალხო მოძრაობა მოულოდნელად და შემთხვევით წარმოშობილი მოვლენა კი არ იყო, არამედ რუსეთის მიერ საქართველოს ფაქტობრივი დაპყრობით გამოწვეული საუკუნის მთელ მანძილზე განუწყვეტლივ მიმდინარე, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის კანონზომიერ გაგრძელებას წარმოადგენდა; 2. მეცნიერულად შეეფასებინა რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და მისი ტერიტორიის ანექსიის პროცე-

სი, რაც, ფაქტობრივად, 1918 წლის 26 მაისის აქტის შემდგომ საქართველოსა და მის ირგვლივ შექმნილი ვითარების სწორად ამოხსნის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

ამთავითვე უნდა ითქვას: მართალია ივ. ჯავახიშვილი თავისი პიროვნული თვისებებისა და მეცნიერული მიუკერძოებლობის გამო ყოველთვის არ მიმართავდა მსჯელობის კატეგორიულ ტონს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ყურდნობოდა რა ფაქტობრივი მასალის გამოწვლილვით ანალიზს, რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებას ცალსახად უარყოფითად აფასებდა.

ამ პრობლემისადმი მიძღვნილი მთელი მისი მსჯელობიდან გამოვყოფთ რამდენიმე, ჩვენი აზრით, ძირითად საკითხს.

1. რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვან პოლიტიკურ ურთიერთობაში გარდატეხის პუნქტად ითვლება 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, როგორ უნდა შეფასდეს იგი? ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“ ყველაზე დიდ ყურადღებას სწორედ ამ საკითხს მიაპყრობს.

იმის გასარკვევად, როგორი ურთიერთობა დამყარდა გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთსა და საქართველოს შორის ივ. ჯავახიშვილი აუცილებლად მიიჩნევს განსაზღვროს თვით ამ ხელშეკრულების ხასიათი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. ამ მიზნით იგი წარმოგვიდგენს მის წინამორბედ მკვლევართა შეხედულებებს. კერძოდ, განიხილავს ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორის ერნსტ ნიუსის, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის ფრანც ლისტის, ქართველი მეცნიერების - ზ. ავალიშვილისა და მ. ხელთუფლიშვილის მოსაზრებებს.

ბელგიელი მეცნიერის აზრით, 1783 წ. რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმდა მეგობრობისა და მოკავშირეობის ხელშეკრულება.

ფ. ლისტის ალნიშნავდა და მას ეთანხმებოდა ზ. ავალიშვილიც, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი ამყარებდა რუსეთის პროტექტორატსა და სუვენერობას საქართველოზე, რომელიც შინაურ მართვა-გამგეობაში, კანონმდებლობაში და საეკლესიო სფეროში თუმც სრულებით დამოუკიდებელ, მაგრამ მაინც ვასალურ სახელმწიფოდ ხდებოდა" (11:76).

მ. ხელთუფლიშვილის მიხედვით, „რუსეთს საქართველოს მიმართ წმინდა პროტექტორატის უფლება და მხოლოდ მფარველობა მიენიჭა" (იქვე).

მიმოიხილავს რა ამ მოსაზრებებს, ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ აზრთა ეს სხვადასხვაობა გამოწვეულია თვით ტრაქტატის, როგორც



იურიდიული დოკუმენტის, არასრულყოფილებით, რის გამოც თანამედროვე საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის თვალსაზრისით თითოეული შემომოყვანილი შეხედულების გასამართლებლად საბუთის მოყვანა შეიძლება" (იქვე).

ყოველთვის როდი ითვალისწინებდნენ გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ შემდეგ მოსაზრებასაც: «1783 წ. ხელშეკრულება თვით ხელშემკვრელ მხარეებს «მფარველობითი მოკავშირეობის» ტრაქტატად მიაჩნდათ და ჩვენც არავითარი უფლება არა გვაქვს გვერდი ავუაროთ მათს ცხადად გამოთქმულს ამ ნებისყოფას (ხაზი ავტორისაა. გ.მ.) და 1783 წ. ხელშეკრულება სხვა თვისების საბუთად ჩავთვალოთ (11:78-79).

ტრაქტატის ტექსტიდან და მისი ხელმოწერის მომზადების ისტორიის შესწავლის გზით სხვაგვარი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, მაგრამ მეცნიერის აზრით, მთავარი იყო არა ეს, არამედ ის შედეგები, რაც გეორგიევსკის ტრაქტატს მოჰყვა. იგი გულისტკივილით აღნიშნავდა: «1783 წლის ხელშეკრულების შემდეგ (საქართველოს. გ.მ.) პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა» (იქვე: 79). ეს გამოწვეული იყო არა მარტო მეზობელი მაჰმადიანური სახანო-საფაშოების ხელისუფალთა შეიარაღებული გამოსვლებით ქართლ-კახეთის წინააღმდეგ, არამედ იმითაც, რომ რუსეთის მთავრობა იმთავითვე ხელშეკრულების დარღვევის გზას დაადგა და მოკავშირე «უძწეოდ მიატოვა». მან საქართველოდან თავისი მცირერიცხოვანი (1800 ჯარისკაცი) რაზმი გაიწვია.

2. ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად ითვლება რუსეთთან ურთიერთობაში ერეკლე II-ის როლის შეფასება. ამ თემაზე ბევრი მოსაზრებაა გამოთქმული. ისინი ძირითადად ორ ერთმანეთისაგან პოლარულად განსხვავებულ ჯგუფად შეიძლება გაიყოს. ერთნი პრორუსული ორიენტაციისათვის გადაჭრით უარყოფითად ახასიათებენ ერეკლეს. მეორენი კი პირიქით, ამავე მიზეზით მას შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსად მიიჩნევენ.

ივ. ჯავახიშვილს ერეკლე II ტრაგიკულ პიროვნებად ჰყავდა წარმოდგენილი. მისი აზრით, ერეკლემ 1770 წელს, რუსეთის სამსახურში მყოფი გენერლის ტოტლებენის მიერ აწყურის ციხესთან ჩადენილი ღალატის

შემდეგ შეიცნო რუსეთის მოკავშირეობის უიმედობა და სცადა დას. ევგენი
პაში ეპოვნა მოკავშირე და მფარველი, მაგრამ მისი ორივე ცდა ავსტრიის
იმპერატორისაგან, თუნდაც მის მხარეზე ოსმალეთის წინააღმდეგ ომში
ჩაბმის ხარჯზე სესხის მიღებისა უშედეგოდ დამთავრდა (10:85). ამ პოლი-
ტიკურ ხელისმომცარვას დაემთხვა XVIII ს-ის 70-იანი წლების დასას-
რულს, ამიერკავკასიაში, რუსეთის ინტერესების გაძლიერება. იმპერიის
საგარეო საქმეთა კოლეგიაში მუშავდებოდა სპარსეთსა და ინდოეთში
რუსი ვაჭრებისათვის უპირატესი პირობების შექმნის გეგმები. მათი საქმი-
ანობა კასპიისპირეთიდან შუა სპარსეთში უნდა გადანაცვლებულიყო. იმე-
დი ჰქონდათ, «რომ ამ ადგილებითგან ინდოეთისაკენ გზის გახსნა უფრო
მარჯვედ მოხერხდებოდა... რომ ამნაირად რუსეთი ინდოეთის მდიდარს
ვაჭრობას ევროპულ ხალხებზე გაცილებით უფრო მოკლე გზით ჩაიგ-
დებდა ხელში» (იქვე:104).

ამ მიზნების განხორციელებას რუსეთის ამიერკავკასიაში ფეხის მოდგ-
მის გარეშე ვერ შეძლებდა., თბილისში ძლიერ გააქტიურა მოღვაწეობა
ეკატერინე II-ის ფავორიტის გრ. პოტიომკინის რეზიდენტმა დოქტორმა
რაინესმა, «მას საგანგებოდ დავალებული ჰქონდა, ერეკლე მეფისათვის
ჩაეგონებინა, რომ მას რუსეთის თვითმპყრობელობისაგან მფარველობა
ეთხოვა» (იქვე:86).

ერეკლე II დარწმუნდა, რომ ევროპისაგან დახმარების მოლოდინი ტყუილი
ოცნება იქნებოდა. რუსეთის მეტი მომშველბელი მაშინ აღარაგინ ჩანდა
და იძულებული გახდა ისევ ამ ძლიერი ჩრდილოეთის ქრისტიანული
სახელმწიფოსათვის მიემარა. მაშასადამე, ერეკლე შექმნილი ვითარებისა
და რუსეთის მთავრობის ღონისძიებების გამო იძულებული იყო ტრაქტა-
ტის გაფორმებას დათანხმებოდა. მან არ იცოდა, რომ ტოტლებენის
მოქმედება 1770 წელს და რაინესისაგან გეორგიევსკის ტრაქტატის
გასაფორმებლად მისგან თხოვნის გამოძალვა, რუსეთის მთავრობის წი-
ნასწარდაგემილ ღონისძიებას წარმოადგენდა.

რუსეთის ხელისუფლების მაღალ წრეებში კი დამკვიდრებული იყო
მოსაზრება ქართველთა პოლიტიკური გულუბრყვილობის შესახებ და,
როგორც ივ. ჯავახიშვილი წერდა, «მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს
მიმართ... სწორედ ქართველთა ამ სუსტ გრძნობაზე და გულუბრყვი-
ლობაზე იყო ხოლმე დამყარებული» (10:110).

განსვენებული მეცნიერი იმასაც მიუთითებდა, რომ სიცოცხლის დასასრულს ერეკლე, როგორც ჩანს, მიხვდა, რა დაუჯდა მას და მის ხალხს ეს პოლიტიკური გულუბრყვილობა. იგი გულისტკივილით შეჰყურებდა თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობით შექმნილი ეკონომიკური და სამხედრო წარმატებების შედეგების იავარყოფას. „მისი სიბერის დღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამლული, - ვარაუდობდა ივ. ჯავახიშვილი, - რომ ამის ბრალი მის პირადს პოლიტიკურს გულუბრყვილობას და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობასაც ედებოდა“ (იქვე:114).

როგორც ვხედავთ, დიდი მეცნიერი ამ შემთხვევაში ამკარად თანაუგრძნობს და ზოგადას ერეკლე მეფეს. ცდილობს მისი მოქმედება ნაწილობრივ მაინც შეამსუბუქოს. თორემ ივ. ჯავახიშვილს, გენიალურ ისტორიკოსს, კარგად მოეხსენებოდა, რომ პოლიტიკოსისათვის გულუბრყვილობა ისეთივე სისუსტეა, როგორც პოლიტიკური ახლომხედველობა და თუ ამ მიზეზით დაშვებული შეცდომა შენს ხალხს დამოუკიდებლობის დაკარგვას, სახელმწიფოებრიობის მოსპობასა და 200 წლიან ეროვნულ ჩაგვრას მოუტანს, მაშინ პოლიტიკურ გულუბრყვილობაზე ყურადღების გადატანა გასამართლებელ საბუთს ნამდვილად აღარ წარმოადგენს. ამიტომაცაა, რომ ივ. ჯავახიშვილი მართო ამ მიზეზის ჩვენებით არ კმაყოფილდება და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ყოველ ფაქტსა და მოვლენაზე მსჯელობის დროს ხაზს უსვამს რუსეთის მხარის თვალთმაქცობას, მატყუარობას, არასანდოობას და დიპლომატიურ მზაკვრობას. ცხადია, ასეთ არასანდო პარტნიორთან ურთიერთობაში მეტი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და სიმტკიცე იყო საჭირო.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, სხვა შემთხვევაში ერეკლეს არც პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა აკლდა, „სახელმწიფოებრივ აღმშენებლობასაც“ სანიმუშოდ უძღვებოდა, მისმა სიმაძაცემ და „დიდებულმა სამხედრო ნიჭმა იხსნა ჩვენი ერი და სამშობლო სხვაფრივ აუცილებელი განადგურებისაგან“ (იქვე:81), მაგრამ ეს თვისებები რუსეთთან ურთიერთობაში ვერ გამოავლინა.

3. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ასე იოლად განხორციელების მიზეზად ივანე ჯავახიშვილს საიმპერიო ხელისუფლების წინასწარგანზრახული ქმედებები მიაჩნია. მათი მიზანი ჩვენი ქვეყნის ისე დასუსტება იყო, რომ მის მთავრობას წინააღმდეგობისა და სიმტკიცის გამოჩენის



ყოველგვარი საშუალება მოსპობოდა. ამ მიზნით რუსეთმა არაფერი გააკეთა, როცა მის მიერ მფარველობაში მიღებულ ქვეყანას ალა მაჰმად ხანის აგრესია დაემუქრა 1792 წელს. ერეკლე მეფემ რუსეთის მთავრობას აცნობა ამ საფრთხის მოახლოების შესახებ და 1783 წლის ტრაქტატის შესაბამისად მაშველი ჯარის გამოგზავნა მოთხოვა. მაგრამ ეკატერინე II-მ მოკლედ და გულგრილად უპასუხა: „საქართველოში ახლა ჯარის გამოგზავნა საჭიროდ არაა ცნობილი“ (16:334) და, ფაქტობრივად, მოკავშირე ბედის ანაბარად დატოვა. ისე გამოდიოდა, - შენიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, - რომ ხელშეკრულებას მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, როდესაც ამას რუსეთი საჭიროდ დაინახავდა და არა მაშინ, როცა საქართველოს უჭირდა“ (10:99).

თითქმის იგივე განმეორდა 1795 წელს. მასში ერეკლემ ცნობა მიიღო, რომ ალა მაჰმად ხანი 100 ათასიანი ლაშქრით არდაველში შემოიჭრა და საქართველოსკენ მოემართებოდა. მან დაუყოვნებლივ მიმართა კავკასიის ხაზის სარდალს გენ. ი. გუდოვიჩს და ხელშეკრულების თანახმად 3 ათასი ჯარისკაცის გამოგზავნა თხოვა. გუდოვიჩმა ნებართვის მისაღებად ეს თხოვნა პეტერბურგში გადააგზავნა. იქედან პასუხი არ მიიღო და 2 აგვისტოს ხელახლა ითხოვა საქართველოში ჯარის გაგზავნის ნებართვა. ამასობაში, 10 სექტემბერს, ალა მაჰმად ხანი თბილისს მოადგა. რუსეთის დახმარების მოიძებნე ერეკლემ თავისი ლაშქრის ორგანიზაცია ვერ მოასწრო, კრაწანისის ბრძოლა წააგო და საქართველოში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ხალხი გაიჟლიტა, ქვეყანა გაიძარცვა და დაღუპვის პირამდე იქნა მიყვანილი. ამას ივ. ჯავახიშვილის მიერ დამოწმებული ერთი მაგალითიც ნათელყოფს: თუ 1783 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოში 61 ათასი კომლი ცხოვრობდა, 1795 წლის შემოსევის შემდეგ 35 ათასი დარჩა (იქვე: 101).

მაგრამ რუსეთის მთავრობის ლალატი ამით არ დამთავრებულა. საიმპერიო ხელისუფლებამ იგრძნო, რომ ალა მაჰმად ხანის ასე გაძლიერება მისთვის სახიფათო იყო. იგი მის აღმოსავლურ პოლიტიკას ჩაფუშვით ემუქრებოდა. ამიტომ ეკატერინე II-მ, თითქოს ალა მაჰმად ხანის საქართველოში შემოჭრის აღშფოთებულმა, საქართველოს დასაცავად, სპარსეთში ლაშქრობის შესახებ მანიფესტი გამოსცა. ასეთი დასაბუთება „მხოლოდ თვალთმაქცობა და ლამაზი, მაგრამ ყალბი სიტყვები იყო“ (იქვე:105).



ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: რუსეთს ემინოდა მისი ნამდვილი ზრდასწრაფობის გამჟღავნების შემთხვევაში საქართველო, როგორც მოკავშირე არ დაეკარგა და ამიტომ ერეკლესგან სპარსეთის ლაშქრობაში მონაწილეობისათვის 1000 რჩეული მეომარი და ბატონიშვილების იულონისა და დავითის მძევლად გაგზავნას მოითხოვდნენ (10:106).

მალე გაირკვა, რომ ეს ლაშქრობა გეორგიევსკის ტრაქტატის მოთხოვნათა შესასრულებლად გათვალისწინებულ ღონისძიებას არ წარმოადგენდა. იმპერატორმა პავლე პირველმა იგი 1796 წლის დეკემბერში აკრძალა, ხოლო თავისი ჯარი რუსეთში დააბრუნა. ლაშქრობის მონაწილე ერეკლე მეფე, შირვანისა და შაქის ხანები თავზარდაცემული დარჩნენ. ალა მაჰმადი ზეიმობდა და ყოველმხრივ ფირმანებს აგზავნიდა - რუსთა ჯარს ჩემი შეეშინდა და ამიტომ შეწყვიტა ლაშქრობაო. იგი აღფრთოვანებული გამოემართა რუსეთის მოკავშირეების გასანადგურებლად საქართველოს სრული აოხრება მოელოდა. მაგრამ 1797 წლის ივნისში, შუშის მიდამოებში მდგომი სპარსეთის დესპოტი შაჰი; მისი სიმკაცრით გაბოროტებულმა მსახურებმა მოკლეს.

რუსეთის მთავრობას მაშინაც არ შეუწყვეტია თავისი ჯარის გაყვანა საქართველოდან, როცა ალა მაჰმადი ასე მოახლოებული იყო მის საზღვრებს და ქვეყნის სხნის თითქმის არავითარი საშუალება ერეკლეს აღარ გააჩნდა. ხოლო შაჰის მოკვლის შემდეგ, რა თქმა უნდა, უფრო აღარ ჩათვალეს საჭიროდ თავიანთი აქ ყოფნა და 1797 წლის სექტემბრისათვის საქართველოში არც ერთი მათი ჯარისკაცი აღარ იდგა. «რუსეთის მთავრობა რომ საქართველოს უსაშინლეს მდგომარეობაში აგდებდა, - წერდა ივ. ჯავახიშვილი, - და ჯარის გაყვანა მის მხრივ 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევა იყო ამგვარ წვრილმან გარემოებას იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა» (იქვე: 107).

4. ივ. ჯავახიშვილს აღდგენილი აქვს რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაზრებისა და მისი უშუალო ანექსიის მართალი სურათი. საბჭოთა პერიოდში ამ აქტის პირდაპირ კატალიზატორად მეფე გიორგი XII-ის «სათხოვარი პუნქტებსა» და გარსევან ჭავჭავაძის მიერ ჩადენილ ღალატს მიიჩნევდნენ. ივ. ჯავახიშვილი კი გარკვევით აღნიშნავს, რომ გიორგის გამეფებისთანავე ჰქონდა გადაწყვეტილი რუსეთისათვის დარიალის კარის ჩაკეტვა და ოსმალეთთან პოლიტიკური შეთანხმების

გაფორმება. ამ მიზნით მან ელჩიც კი გაგზავნა. მაგრამ რუსეთიდან დაბრუნებულმა დავით ბატონიშვილმა იგი დაარწმუნა პავლე I-ის საქართველოსადმი კეთილგანწყობილებაში.

როცა რუსეთის მთავრობამ კამერჰერ მუსინ-პუშკინის მოხსენებით ბრათი მიიღო საქართველოს სიმდიდრეების აღწერითა და მისი შეერთების ეკონომიკურ-პოლიტიკური მომგებიანობის დასაბუთებით, პავლე I-მა 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთი რუსეთთან შეერთებულად გამოაცხადა. მის საფუძვლად კი ქართველთა მეფის თხოვნა სახელდებოდა. თუმცა გრაფ თ. როსტროპჩინის მიერ შედგენილი წერილი ასეთი თხოვნის შესახებ «გიორგი მეფეს წინასწარვე დამზადებული გაუგზავნეს ხელმოსაწერად». მას კი იგი «თვალთაც არ უნახავს» (10:116), რადგან ელჩების თბილისში ჩამოსვლამდე გარდაიცვალა, 1800 წლის 28 (ივ. ჯავახიშვილს 22 უწერია გ.მ.) დეკემბერს. ასე რომ, «არც მეფე გიორგის, არც მით უმეტეს ქართველ ხალხს ეს არც სდომებია და არც უთხოვიაო», შენიშნავდა ივ. ჯავახიშვილი (იქვე:117).

რაც შეეხება გარსევან ჭავჭავაძის ლალატს, ამ ვერსიას საფუძველი დაუდო ტახტის დაკარგვით განაწყენებულმა დავით ბატონიშვილმა. ის, მისი ძმები, იოანე და ბაგრატ ბატონიშვილები, ამტკიცებდნენ: გარსევანმა პავლე I-ს არ გადასცა გიორგი XII-ის მიერ გაგზავნილი წერილი, რომლითაც იმპერატორს ეუწყებოდა, რომ დავითი მამის სიცოცხლეშივე იყო გამოცხადებული ქართ-კახეთის მეფედ. რაც თითქოს გახდა საფუძველი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა. ეს თურმე მეფის ელჩმა იმისათვის გააკეთა, რომ ქართლ-კახეთის ხელში ჩაგდება სურდა, მაგრამ ჯილდოდ მხოლოდ 1000 მანეთი მიიღო (2:125-131; შდრ 9:164-165).

გ. ჭავჭავაძის ამ ბრალდების უსაფუძვლობა დოკუმენტურად დაამტკიცა ზ. ცქიტიშვილმა (იხ. იქვე).

5. ივ. ჯავახიშვილი მკვეთრად უარყოფითად აფასებს რუსეთის მთავრობის ღონისძიებებს აღმ. საქართველოს შეერთების მანიფესტის გამოქვეყნების მომდევნო ხანაში. იმპერატორმა ალექსანდრემ ამ დოკუმენტს ხელი მოაწერა 1801 წლის 12 სექტემბერს. დაიწყო მისი გამოცხადებისათვის მზადება. ახლა, როცა საქართველოს რაიმე საფრთხე აღარ ემუქრებოდა, თბილისში თავი მოუყარეს რუსეთის ჯარის საკმაოდ მრავალრიცხოვან ნაწილს. მისი სარდალი გენ. ლაზარევი ხელს უშლიდა



ტახტის მემკვიდრე დავით გიორგის ძეს თავი მეფედ გამოეცხადებინა. მასზე დაწესებული იყო გაძლიერებული საიდუმლო მეთვალყურეობა. ლაზარევს ხელთ უვარდებოდა ყველა მისი წერილი. დაბეჯითებით ცდილობდნენ რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების აქტი მეფისა და ხალხის ნების გამოხატვად გაესაღებინათ. სინამდვილეში კი «სარგებლობდნენ სრულიად არა იმ მოსაზრებებით, რაც თეატრალურად იყო გამოცხადებული მანიფესტში შეერთების შესახებ» (11:102).

მაგრამ ქართველთა უკმაყოფილება სამეფოს გაუქმებით იმდენად დიდი იყო, რომ ალექსანდრე I-ის მანიფესტი თბილისში მხოლოდ 1802 წლის 12 აპრილს (ივ. ჯავახიშვილს უწერია მ მანისი, გ.მ.), გამოაცხადეს.

ახლადდანიშნულ გენერალ-გუბერნატორ კრონინგს ემინოდა, რომ ქართველები რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობაზე ფიცს არ მიიღებდნენ. მან თავისთან მოიხზო თავადაზნაურობა. სასულიერო პირნი და მოქალაქეები. როცა ისინი შეიკრიბნენ, მათ გარს შემოარტყა რუსის ჯარი. მოწვეულებს უბრძანა მიეღოთ ფიცი. ვინც უარი თქვა დააპატიმრეს (11:102; შდრ 18:33).

რუსეთის მთავრობის მიერ მიცემული შეპირებების შეუსრულებლობამ, მისი წარმომადგენლების უცერემონიო მოქმედებამ რუსეთის საწინააღმდეგოდ განაწყო ის ქართველებიც კი, ვინაც ადრე მათ მხარს უჭერდა და იმედი ჰქონდა, რომ ალექსანდრე I თითქოს გაუგებრობით დაშვებულ შეცდომას გამოასწორებდა (11:103).

საქართველოში დაიწყო რუს მოხელეთა აღვირაზსნილობა. საქმეს ისიც ამწვავებდა, რომ ეს მოხელენი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის სამშობლოდან ფაქტობრივად გამოდევნილნი იყვნენ. მათ იქ აღარ ედგომებოდათ, ვეღარ იტანდნენ. ასეთი პიროვნებების ხელში აღმოჩნდა სამოხელეო და სასამართლო საქმის წარმოება. ქართული ენა სრულიად განიდევნა ამ პროცესიდან. დამკვიდრდა მოსახლეობისათვის გაუგებარი რუსული ენა. ყველა ინსტანციაში დაწესდა საერთო რუსული კანონმდებლობით სარგებლობის აუცილებლობა. მხოლოდ ზოგიერთი სამოქალაქო საქმე ირჩეოდა ვახტანგ VI-ის კანონებით (იქვე:103; შდრ 14:199).

ამის შემდეგ გასაკვირი არა არის, მიუთითებდა ივ. ჯავახიშვილი, რომ საქართველოში წარმოიშვა მძლავრი ანტირუსული გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც პოლიტიკური და სოციალური სახე მიიღო და არ

შეწყვეტილა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე
1918 წლის 26 მაისს.

ზევით განხილულ ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებში ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი რუსეთის მთავრობის პოლიტიკის სასარგებლოდ საქართველოში და რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების დადებით შედეგებზე და ეს იმიტომ კი არაა, რომ ივანე ჯავახიშვილი რუსოფობი იყო, პირიქით, იგი რუსი ხალხისა და მისი კულტურის მოღვაწეთა მიმართ მოწიწებითაც კი იყო განწყობილი, მაგრამ თუ 1783 წლის ტრაქტატისა და 1801 წლის აქტის გამო მხოლოდ უარყოფით მოსაზრებებს გამოთქვამდა, ეს იმიტომ, რომ ამ მოვლენებში არაპოზიტიური ისე ამკარად სჭარბობდა პოზიტიურს, რომ დადებითის თქმისათვის ადგილი არ რჩებოდა, გაანალიზებული დოკუმენტები და ფაქტები ამისათვის არავითარ მასალას არ იძლეოდა.

საბჭოთა პერიოდში და დღესაც მკვლევართა ერთი ნაწილი საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნით ხსნის მისი ტერიტორიულ გარეთიანებას, ქართული ეკონომიკის წარმატებებს კაპიტალიზმის განვითარებისა და სოციალისტური წყობილების ბატონობის ხანაში და რაც უფრო არსებითად მიაჩნიათ, ქართული კულტურის დიდ მიღწევებს XIX-XX საუკუნეებში. ცხადია, ყველაფერი ეს ფაქტია და მათი უარყოფა ისტორიული სინამდვილის გაყალბებამდე მიგვიყვანდა. მაგრამ ყველა ამ მოვლენას თავისი ახსნა აქვს, რომლის მიხედვითაც ბევრ დარგში, რუსეთთან შეუერთებლად, უკეთესი შედეგები თუ არა, ანალოგიური მაინც იყო მოსალოდნელი.

დავიწყოთ საქართველოს გაერთიანებით. ამ თემაზე საუბრისას ხშირად მიუთითებენ, რომ 1801 წლის აქტით ქართველი ხალხი ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა, რამდენადაც მას მოელოდა ოსმალური ან სპარსული იმპერიალიზმის მსხვერპლად გახდომა და გამაჰმადიანება. ასეთი მსჯელობის დროს ივიწყებენ, რომ ოსმალეთი და განსაკუთრებით, სპარსეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ისე იყვნენ დასუსტებული, საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებასაც ძლივს ახერხებდნენ. ამ დროიდან მოყოლებული მათ არც ერთი სხვა ქვეყანა არ დაუპყრიათ. პირიქით, იძულებულნი გახდნენ ადრე დაპყრობილი ხალხების ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ეცნოთ.



თუ ასეთი თვალსაზრისით შევხედავთ რუსეთს, სრულიად საწინააღმდეგო სურათს მივიღებთ: მან ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც ხდებოდა ოსმალეთის იმპერიის დაშლა, დაიპყრო კავკასია, ყაზახეთი და შუა აზია. ყოვლად შეუძლებელი გახდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება. პოლონეთმა და ფინეთმა ამას მხოლოდ 120 წლიანი ქვეშევრდომობის შემდეგ მიაღწიეს, გერმანიის დახმარებით. ბალტიისპირეთი, უკრაინა, ბელორუსია, ამიერკავკასიის და შუა აზიის რესპუბლიკები საბჭოთა კავშირის დაშლამ იხსნა, 1991 წელს. მაგრამ ბალტიისპირეთის გარდა ყველანი, ჯერჯერობით რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში იმყოფებიან და თუ დარჩენილი იმპერია, რომელსაც რუსეთის ფედერაცია ჰქვია, ახლო ხანებში არ დაიშალა, მისი სამხედრო-პოლიტიკური ბატონობიდან გამოსვლა გაძნელებდა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალი 11 რესპუბლიკის ისედაც ნაკლები დამოუკიდებლობა მთლად ფიქტიური გახდება.

რაც შეეხება რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს გაერთიანებას, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს მიერ სხვადასხვა დროს დაკარგული მიწების დაბრუნება არ ხდებოდა ქართველი ხალხის საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოში გაერთიანების მიზნით. რუსეთი ქართველი მეომრების მონაწილეობით თავისი იმპერიის ტერიტორიას ზრდიდა. ეს გაერთიანების პროცესად არც მიაჩნდა, რაც იქედანაც ჩანს, რომ ტერმინი „საქართველო“ რუსეთთან შეერთების შემდეგ ხმარებიდან გამოვიდა. მის ნაცვლად თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები დამკვიდრდა. ოსმალეთისათვის წართმეულ ქართულ მიწებზე ბათუმისა და ართვინის ოლქები შეიქმნა. განა ესაა საქართველოს გაერთიანება?

კაპიტალიზმის განვითარების შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მიუხედავად მძიმე საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარებისა, ეს პროცესი საქართველოში XVIII საუკუნეში დაწყებული იყო და საკმაოდ მძლავრი ტემპითაც ვითარდებოდა (ამის შესახებ იხ.1). რუსეთთან შეერთებამ იგი დააბრკოლა და XIX ს-ის 60-იან წლებამდე გადაავადა. ამის მიზეზი იყო რუსეთის მემამულურ-ბიუროკრატიული წრეების მიერ ბატონყმობის უმკაცრესი რეჟიმის შენარჩუნება. ხოლო 1861 წლის საგლეხო რეფორმის შემდგომაც ბატონყმობის ნაშთები იმდენად მძლავრად იყო შემორჩენილი, რომ კაპიტალიზმის განვითარების დონის მხრივ რუ-



სეთის ბევრად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ს. ეს ამკარად ჩანდა იმპერიის შიგა, სამრეწველო გუბერნიებშიაც კი. ხოლო რაც შეეხება ე.წ. განაპირა, კოლონიურ მხარეებს, იქ ბურჟუაზიულ ურთობათა განვითარების პროცესი ამკარად საწყის სტადიაზე დარჩა. მათ შორის იყო საქართველოც.

მაშასადამე, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთებით მხოლოდ შეფერხდა და ამ აქტს რაიმე ხელშესახები შედეგები არ მოუტანია.

დაახლოებით იგივე უნდა ითქვას XIX-XX საუკუნეებში ქართული კულტურის აღმავლობის შესახებაც. კულტურა ისეთი ფენომენია ერთ ადგილზე არასოდეს არ დგას. მისი განვითარება დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ დონეზე და პოლიტიკურ სტაბილურობაზე. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ისტორიულ ფესვებს, ე.ი. იმას თუ განვითარების რა დონეზე იყო მოცემული ხალხის ცივილიზაცია წარსულში, რა მიღწევები ჰქონდა მას კულტურის წამყვან დარგებში: განათლებაში, მწერლობაში, მეცნიერებაში, არქიტექტურაში, სახვით ხელოვნებაში. ამ მხრივ ქართველ ხალხს უმდიდრესი ტრადიცია ჰქონდა, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთის შესახებ. მაგალითად ისეთ ყველაზე პოპულარულ დარგში, როგორც ლიტერატურაა, XIX საუკუნემდე რუსეთმა ს. კარამზინის „საწყაღლიზასა“ და გ. დერჟავინის პოეზიაზე უკეთესი ვერაფერი შექმნა. მართალია, რუსეთმა კულტურის სფეროში (განსაკუთრებით ლიტერატურაში) XIX ს-ში დიდი ნახტომი გააკეთა, მაგრამ ეს იყო დას. ევროპაში ბურჟუაზიული ურთიერთობების დამკვიდრების შედეგად დაწყებული დიდი კულტურული აღმავლობის გავლენით წარმოშობილი ერთი ეროვნული ნაკადი, რომელიც დიდხანს ვერ განთავისუფლდა უცხოური ზემოქმედებისაგან.

ქართულმა კულტურამ ახალი აღორძინების გზაზე მძლავრი ნაბიჯი უკვე XVIII ს-ში გადადგა, ხოლო XIX საუკუნეში მისი მიღწევები რუსთაველის ეპოქისა და XVIII ს-ის ქართული კულტურული ტრადიციების გაგრძელებას წარმოადგენდა. სააზროვნო სფეროში მისი ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეოლოგია წარმოადგენდა, რომლის უმთავრესი მიზანი სწორედ რუსეთის ბატონობისაგან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლება იყო. ეს განაპირობებდა ქარ-

თული კულტურის თვითმყოფადობას, მის ორიგინალურობას და ნულობას.

მაგრამ, რადგან საქართველო დაპყრობილი ქვეყანა იყო და თანაც ისე დიდი სახელმწიფოს კოლონია, როგორც რუსეთია, მისი კულტურის გავლენისაგან სრულიად თავის დაღწევა ისევე ძნელ საქმეს წარმოადგენდა, როგორც პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება. ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების პირობებში ეს თითქმის შეუძლებელი გახდა. მით უფრო, რომ იმპერიას აქ ჰქონდა რუსული სამოხელეო აპარატი, ჰყავდა რუსი მოხელეების მრავალრიცხოვანი შტატი, ეკლესიას რუსი ეგზარქოსი განაგებდა, სკოლაში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და რიგ რეგიონებში რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გადმოსასლებული მოსახლეობა ცხოვრობდა. ეს ყველაფერი გათვალისწინებული იყო რუსიფიკაციის შეუქცევადობისათვის. მაგრამ სწორედ ეროვნულმა ქართულმა კულტურამ გადაარჩინა ჩვენი ხალხი იმ საფრთხისაგან, რომელიც მის ფიზიკურ განადგურებას უდრიდა და არა რუსეთთან შეერთებამ, როგორც ამას ხმამაღლა გაჰყვიროდნენ რუსული ორიენტაციის მომხრე ქართველი რენეგატები.

სამწუხაროდ, დღემდე არიან შემორჩენილნი რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესულობის აღიარების მომხრენი. მათი მთავარი კოზირია სტალინური «ნაკლები ბოროტების» თეორია. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ბოროტება, ნაკლებია იგი თუ დიდი, მაინც ბოროტებაა და, როცა ხალხის ბედზეა საუბარი, მისი ნაკლებობით გამართლება საბუთად არ გამოდგება. ხოლო, როცა რუსეთთან შეერთების დადებით შედეგებთან დაკავშირებით ილიასა და აკაკის გამონათქვამებს იმოწმებენ, ისინი არ ითვისებენ, ქართველი ხალხის ამ დიდმა შვილებმა რა პირობებში გამოთქვეს ეს მოსაზრებანი და არ იხსენებენ ამ აქტის შესახებ მათ მიერვე მოცემულ იმ უარყოფით შეფასებებს, რომელიც ილიასა და აკაკის ნააზრევში უკეთა დასაბუთებული და გაცილებით სჭარბობს დადებითს.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ თავისი დიდი წინაპრების ნააზრევნამოქმედარის ყველაზე ავტორიტეტული და მცოდნე შემფასებელი იგჯავახიშვილი იყო. იგი შესანიშნავად იცნობდა მასზე ადრე არსებულ სამეცნიერო თუ მხატვრულ მემკვიდრეობას, მაგრამ, როგორც ვნახეთ, რუსეთის მიერ საქართველოს ნაძალადეგ შეერთებას უარყოფით აქტად



განიხილავდა. ასევე აფასებდა იგი ამ მოვლენით გამოწვეულ უახლოეს და შორეულ შედეგებსაც, რაც მას დასაბუთებული აქვს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ გასული ერთი საუკუნის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში განვითარებული პროცესების ანალიზით.

George Mchedlidze
IVANE JAVAKHISHVILI - ABOUT THE FACTUAL CAPTURE OF GEORGIA BY RUSSIA

Abstract

Ivane Javakhishvili has discussed this problem in two of his works. He underlines a wide spectrum of problems connected with this fact, such as: the treaty of Georgievsk dated by 1783 - and all the facts about this event, the valuation of the political orientation of Erekle II, all the cunning of the Russian government in the relationship with Georgia, the preparation and realization of the factual capture of Georgia and the result of these facts - the Georgian people's disobedience, etc.

According to all these facts, Ivane Javakhishvili doesn't appreciate the factual capture of Georgia by Russia and we, of course agree with him.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ირ. ანთელავა, XVIII ს-ის საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1977.
2. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტფ., 1936.
3. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, სის, V, თბ., 1971.
4. მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. I ნახევარში, თბ., 1958.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1979.
6. ა. სურგულაძე, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1982.
7. ი. ცინცაძე, ალა მაჰმად ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1963.

8. ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960.
9. ზ. ცქიტიშვილი, გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982.
10. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, ფონ. ლისტები, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989.
11. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი.V, თბ., 1953.
12. ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984.
13. **З. Авалов**, Присоединени Грузии к России, СПб, 1906.
14. Акты, собрание Кавказской археологической комиссией (АКАК) Тиф., т. II, 1868.
15. Л.А. Алексидзе, Взаимоотношения Грузии с Россией в XVI-XVII в.в. (Международно-правовое исследование), Труды ТГУ, т. 94, 1963.
16. **П.Г. Бутков**, Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, ч. II, СПб, 1869.
17. Георгиевский трактат. Текст подготовил к изданию, введением и примечаниями снабдил Г.Г. Пайчадзе, Тб., 1983.
18. **Н.Ф. Дубровин**, Закавказье от 1803-1806 г., СПб, 1886.
19. **Г.Г. Паичадзе**, Георгиевский троктат, Тб., 1983.
20. **А.Н. Сургуладзе**, Прогрессивное последствие присоединения Грузии к России, Тб., 1982.
21. **А.А. Цагарели**, Прамоты и дгурие документы XVII столетия относящиеся к Грузии, т., СПб, 189; 1 т. II, вып. I, СПб, 1898.
22. **М.В. Хелтуплишвили**, Вступление Грузии в состав Российской империи, Кут., 1901.

საქართველოს ისტორიის კათედრა



ავთანდილ ნიპოლაიშვილი

ნიპოლიტიმ გართაგავა როგორც კრიტიკოსი

იპოლიტიმ ვართაგავა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და ამ დროიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარების საქმეში. იგი, როგორც პროფესიონალი კრიტიკოსი, ობიექტურად ანალიზებდა თავისი დროის ლიტერატურულ მოვლენებს და პირუთენელ შეფასებებს აძლევდა მათ.

იპოლიტიმ ვართაგავა (1872-1967წწ.) მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ნაყოფიერი და ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობით მან საგულისხმო როლი შეასრულა ჩვენი მწერლობის ისტორიაში. ი. ვართაგავას კრიტიკულ-ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის სფეროს ძირითადად XIX-XX საუკუნეთა ქართველი მწერლების შემოქმედება წარმოადგენდა. მის მონოგრაფიულ ნარკვევებსა და კრიტიკულ ეტიუდებში ახალი თვალთახედვითაა განსჯილი და შეფასებული ამ პერიოდის ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება, გამოთქმულია დღესაც ანგარიშგასაწევი არაერთი მოსაზრება, მაღალი პროფესიონალიზმითაა გაანალიზებული ცალკეულ მწერალთა შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

ი. ვართაგავას, როგორც კრიტიკოსის, ღირსებებზე საუბრის დროს საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ იგი ხშირად გამოსულა ლიტერატურულ მოვლენათა პირველშემფასებლის როლში. მის წერილებს ფართო მკითხველი საზოგადოება ყოველთვის დიდი ინტერესითაც ხვდებოდა და სათანადო ანგარიშსაც უწყევდა ხოლმე.

ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ი. ვართაგავა ფართოდ ერუდირებული კრიტიკოსი იყო. ხანგრძლივი დროის მანძილზე ის და-

უცხოომელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ჩვენს მწერლობაში მოვლენილ ლიტერატურულ სიახლეებს. ხანდაზმულობის დროსაც კი იგი ცოცხალ ლიტერატურულ ცხოვრებას არ მოწყვეტილა და კრიტიკული თვალთახედვის მიღმა არც იმ მწერალთა შემოქმედება დარჩენია, რომლებიც 40-50-იან წლებში გამოვიდნენ ასპარეზზე. ი. ვართაგავამ მათი ლიტერატურული მიღწევებიც შეისწავლა და გააანალიზა ჩვეული კეთილსინდისიერებით.

მისი ნაშრომ-ნამუშევარი სისტემატურად იბეჭდებოდა როგორც პერიოდულ პრესაში, ისე ცალკე წიგნებად. მართალია, კრიტიკოსის არაერთი მოსაზრება დროთა განმავლობაში მოძველდა და გადაფასდა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ი. ვართაგავას ლიტერატურული მემკვიდრეობა კვლავაც რჩება ქართული კრიტიკული აზროვნების ფასეულ და მნიშვნელოვან ნაწილად და მის გაუთვლისწინებლად მეოცე საუკუნის ჩვენი კრიტიკის სრულყოფილი ისტორია ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაიწერება.

გარდა ლიტერატურული და პედაგოგიური მოღვაწეობისა, ი. ვართაგავა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. კერძოდ, იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის, სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების, ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების წევრი, აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე და ა. შ.

ი. ვართაგავა ქართული მწერლობის ერთი მეტად უპრეტენზიო მუშაკი იყო, დღენიადაც ფუტკარივით გამრჯე და უაღრესად თავმდაბალი პიროვნება, რომელიც ამდაგვარად აფასებდა თავის, როგორც «საქართველოს პატარა კულტურული მუშაკის», დამსახურებას ჩვენი მწერლობის წინაშე: «მე არ მითამაშნია თვალსაჩინო, წამყვანი, მით უმეტეს ისტორიული როლი ქართულ კულტურულ საზოგადოებაში და მის ეროვნულ-პროგრესულ მუშაობაში. მაგრამ ვამაყობ იმითაც, რომ ჩემი პატარა წვლილი უანგაროდ შემქონდა საზოგადო საქმიანობაში» (ი. ვართაგავა, მოგონებები, 1956 წ. გვ. 6).

მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული 60-იან წლებამდე თითქმის მთელი შვიდი ათწლეულის მანძილზე, ი. ვართაგავა აქტიურად იდგა ჩვენი მწერლობისა და განათლების სამსახურში და თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებდა ეროვნული ცნობიერების განსამტკიცებლად.

ნათლად და მკაფიოდ გამოვლენილი ეროვნული თვალთახედვა თავიდან ბოლომდე მსჭვალავს მის შემოქმედებით მოღვაწეობას. მან, ჩვენი მწერლობის მამულიშვილურ იდეებზე აღზრდილმა კრიტიკოსმა და პუბლიცისტმა, ჯერ კიდევ სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდში გაილაშქრა იანოვსკ-ვოსტორგოვების რუსეთის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ და, ამ დროიდან მოყოლებული, ამ ბრძოლას არასოდეს გამოთიშვია. საამისოდ მას საჭირო განათლებაც ჰქონდა, ეროვნული შემართებაცა და პიროვნული გაბედულებაც.

სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ი. ვართაგავა მტკიცედ ჩაება ქართველ «სამოციანელთა», უპირველეს ყოვლისა კი. ი. ჭავჭავაძის ეროვნულ-მამულიშვილური იდეების დამცველთა რიგებში და აქტიურად ჩაერთო მე-19 საუკუნის ბოლო წლებიდან მათ წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ ი. ვართაგავა ამ ბრძოლის პირველ ეტაპზე საქართველოში არ იმყოფებოდა, მან მაინც მიიღო აქტიური მონაწილეობა მასში და ი. ჭავჭავაძის ეროვნული იდეების დასაცავად 1899 წელს გაზეთ «ივერიაში» პოლემიკური წერილებიც გამოაქვეყნა.

ამ წერილებით იგი, როგორც თავადვე ამბობს, აშკარად უჭერდა მხარს «ივერიას» და მის პოზიციას, ვინაიდან «ჩვენი ცხვრების მთავარ ეტაპად მიაჩნდა ეროვნული ბრძოლა და ამ ბრძოლაში ყველა შეგნებული ქართველის, მიუხედავად წოდებისა და მდგომარეობისა, შეთანხმებული მონაწილეობა» (ი. ვართაგავა, მოგონებანი, II, 1962 წ. გვ. 71). ასე გახდა ახალგაზრდა კრიტიკოსი «ურყევი «ივერიელი» და თავისი წერილებით აქტიურად გაილაშქრა «კვალელების» ანტიეროვნული პოზიციის წინააღმდეგ.



ი. ვართაგავას მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა პირობითად სანძირითად ნაწილად შეიძლება გავყოთ: პირველ ჯგუფს ის წერილები უნდა მივაკუთვნოთ, რომლებშიც კრიტიკოსის დროინდელი ლიტერატურული ცხოვრებაა გაანალიზებული. როგორც ითქვა, იგი შემოქმედებით ასპარეზზე მე-19 საუკუნის 90-იან წლებში გამოვიდა, იმ დროს, როდესაც ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და იმჟამინდელი ჩვენი მწერლობის სხვა დიდი წარმომადგენლები აქტიურ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდნენ. ამ დროიდან მოყოლებული 60-იან წლებამდე ი. ვართაგავას თვალწინ მძაფრი შინაგანი დრამატიზმითა და კატაკლიზმებით სავსე შვიდ ათწლეულზე მეტმა დრომ განვლო, ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროში რადიკალური გარდაქმნებითა და უმწვავესი წინააღმდეგობებით სავსე ბობოქარმა ხანამ. ასე რომ, «სხვა სამყაროდან სხვა სამყაროში გადმოსული» კრიტიკოსის თვალთახედვა თითქმის მთელ «საუკუნეს გადასწვდნოდა» (ო. ჩხეიძე, იპოლიტე ვართაგავა, «ლიტ. საქ.», 1983 წ. 18 მარტი).

როგორც კრიტიკოსმა, ი. ვართაგავამ ძალა და ენერჯია არ დაიშურა იმჟამინდელ ლიტერატურულ მოვლენათა შესწავლისა და გაანალიზების საქმეში. ამ შემთხვევაში მისი საკვლევადიებო ინტერესების სფერო არც რომელიმე ერთი ქრონოლოგიური პერიოდით იყო შემოსაზღვრული და არც მწერალთა ამა თუ იმ ჯგუფის შემოქმედებით. იგი თანაბარი სიყვარულითა და რუდუნებით აანალიზებდა მსოფლმხედველობრივადაც და ლიტერატურული ბუნებითაც ისეთი მკვეთრად განსხვავებული მწერლების ნაკალმევს, როგორებიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი, იროდიონ ევდომელი, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, ვასილ ბარნოვი, ლეო ქიაჩელი, ლევან გოთუა, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, ნოდარ დუმბაძე, შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარიანი, რევაზ ინანიშვილი და სხვ.

ი. ვართაგავას ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ასევე ცალკე ჯგუფად უნდა გამოვყოთ ის წერილები, რომლებშიც წინამორბედ მწერალთა



შემოქმედებაა გაანალიზებული. ასე რომ, მისი ლიტერატურული დანიშნულების ობიექტებად, თანამედროვე მწერალთა გარდა, ძველი და მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ისეთი წარმომადგენლების ნამოღვაწარის შესწავლაც იქცა, როგორებიც იყვნენ: იაკობ ცუურტაველი, ჩახრუხაძე, შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი და სხვ.

და ბოლოს, ი. ვართაგავა ზოგადთეორიული ლიტერატურული წერილების ავტორიცაა. მასვე ეკუთვნის 1922 წელს გამოცემული სახელმძღვანელოც - „ლიტყვიერების თეორია“, წერილები ქართულ დრამატურგიასა და თეატრალური ხელოვნების თვალსაზიხო წარმომადგენლებზე.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გარდა დასახელებული ნაშრომებისა, ი. ვართაგავას მემუარული ჟანრისა და პუბლიცისტური ხასიათის მეტად საინტერესო ნაწარმოებებიც საკმაოდ მრავლად აქვს გამოქვეყნებული, ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება იმ მეტად ნაყოფიერ და აქტიურ შემოქმედებით საქმიანობაზე, რომელსაც ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ეწეოდა იგი.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ი. ვართაგავა მკვეთრად გამოსატული ეროვნული ცნობიერების შემოქმედიცაა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად იგი არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა, კრიტიკოსი თავადანვე დადგა იმ მოღვაწეთა გვერდით, რომლებიც იმთავითვე პრინციპულად დაუპირისპირდნენ სოციალ-დემოკრატების ეროვნულ ნიჰილიზმს. უმთავრესი თეორიული ბაზა, რომელსაც ამ შემთხვევაში მისი მამულიშვილური მსოფლმხედველობა და ლიტერატურული თვალთახედვა ეფუძნებოდა, ჩვენი დიდი მამულიშვილების - ილიას, აკაკის, სერგი მესხისა და სხვების ანდერძი, იმედები და მისწრაფებანი" იყო (ი. თართაგავა, მოგონებები, II, 1962 წ. გვ. 227). ამ იდეებზე აღზრდილი კრიტიკოსი განსახილველ მწერალთა შემოქმედებას, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული პოზიციებიდან ანალიზებდა და, როგორც თავადვე ამბობს: „პირველ რიგში მათ მიერ სამშობლოს სიყვარულს, ერისა და სამშობლოსადმი უანგარო სამსახურს უსვამდა ხოლმე ხაზს“. ეს გარემოება საბჭოთა პერიოდის ოფიციალურ



შეუმჩნეველი არ დარჩენია და, როგორც წესი, ი. ვართაგავას იმ "პროკლამაციულ კრიტიკოსად" თვლიდნენ, რომელიც "ნაციონალისტური პოზიციებიდან არჩევს და აფასებს" მწერალთა შემოქმედებას.

მართალია, ი. ვართაგავას წერილებში ლიტერატურული მოვლენები უპირატესწილად პოზიტიური კუთხიდანაა დანახული, მაგრამ, შიგადაშიგ, კრიტიკოსი იმ ნაკლოვანებებსაც წარმოაჩენს პრინციპული პიროვნელობით, რითაც, მისი აზრით, ამა თუ იმ მწერლის შემოქმედება ხასიათდება. კრიტიკული განსჯის ეს ტენდენცია განსაკუთრებული ძალით მაინც ათიან წლებში დაწერილ წერილებში მძლავრობს. ი. ვართაგავამ სწორედ ასეთი პოლემიკური პათოსით გააანალიზა. ჩვენი მწერლობის როგორც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მეორე და მესამე ხარისხოვან, ისე პირველხარისხოვან ოსტატთა შემოქმედება (გავიხსენოთ მისი წერილები ვაკაზე, რაფიელ ერისთავზე, იროდიონ ევდოშვილზე, დუტუ მეგრელზე, შიო მღვიმელზე, ია ეკალაძესა და სხვა მწერლებზე).

ი. ვართაგავას წერილები ხშირად უხვსიტყვაობითაც ხასიათდებიან და მეტისმეტად არიან გადატვირთულნი ისეთი ჩართული ეპიზოდებით, რომლებიც ზედმეტობის შთაბეჭდილებას ტოვებენ და არაფერს სძენენ საგულისხმოდ მნიშვნელოვანს ავტორისეულ ჩანაფიქრს. კრიტიკოსის უმთავრესი სათქმელის არსი ამ ეპიზოდებში ზოგჯერ იმდენადაც კი იკარგება, რომ სათანადო სიმკვეთრითა და შთამბეჭდაობით ვერც იკვეთება ხოლმე. ამას ემატება ისიც, რომ ავტორი ხშირად მეტისმეტადაა გატაცებული ნაწარმოებთა შინაარსის მოთხრობითა და კომენტარებით.

ზოგ შემთხვევაში კრიტიკოსს ზომიერების გრძნობაც აშკარად ღალატობს და ისეთი ნაწარმოებების განსაზღვრებასაც კი არ იშურებს ენერგიას, რომელნიც ფაქტობრივად არავითარ ლიტერატურულ ფასეულობას არ წარმოადგენენ. მაგალითად, მე-19 საუკუნის ქართველი პოეტი - გრ. აბაშიძე მან ქართული სატრფიალო ლირიკის ვირტუოზად მიიჩნია.

ი. ვართაგავა 1894 წელს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ამ დროიდან მოყოლებული ათიან წლებამდე ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მისი წერილები უმეტესწილად პუბლიცისტური ხასიათის კორესპონდენციებია,

რომლებშიც საუბარია განათლების, კულტურისა და იმჟამინდელი ჩვენის ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ.

1902 წლიდან 1909 წლამდე ი. ვართაგავას ქართულ პრესაში აღარაფერი გამოუქვეყნებია. ქართველ მკითხველს კრიტიკოსი განმეორებით მხოლოდ ხანგრძლივი განშორების შემდეგ, 1909 წელს, შეხვდა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული წერილების სერით „მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობის უძველესი დროიდან“. აქედან მოყოლებული, მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მაგისტრალურ მიმართულებად ლიტერატურული კრიტიკა იქცა. ათიანი წლების დასაწყისშივე ი. ვართაგავამ ქართულ პრესაში მრავალი მნიშვნელოვანი კრიტიკული წერილი და მონოგრაფიული ნარკვევი გამოაქვეყნა, რომელთაც ფართოდ გაუთქვეს მას სახელი, როგორც ნიჭიერ და მაღალპროფესიონალ კრიტიკოსს.

ი. ვართაგავას დებიუტი ლიტერატურული კრიტიკის ჟანრში დუტუ მეგრელის მოთხრობებზე დაწერილი ვრცელი წერილით შედგა, რომელიც 1912 წელს დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში“. მალე მას ია ეკალაძის შემოქმედების კრიტიკული განხილვაც მოჰყვა. მართალია, ქართულ და რუსულ ენებზე კრიტიკოსს, როგორც უკვე ითქვა, მანამდეც ჰქონდა გამოქვეყნებული რამდენიმე წერილი, მაგრამ ისინი ძირითადად მიმოხილვითი ხასიათის სტატიები იყო და ნაკლებად ავლენდნენ ლიტერატურულ მოვლენათა კრიტიკული განსჯის ავტორისეულ შესაძლებლობებს. 1912 წლიდან დაბეჭდილი კრიტიკული ნარკვევებით კი სრულიად ახალი ეტაპი დგება ი. ვართაგავას შემოქმედებით ბიოგრაფიაში. კრიტიკის ჟანრში მისი ინტენსიური მოღვაწეობა ამ დროიდან მოყოლებული მწერლის გარდაცვალებამდე არ შეწყვეტილა და მან ყველაზე მეტად გამოავლინა ავტორის შემოქმედებითი ენერჯია.

მკითხველისათვის იმთავითვე გახდა ნათელი, რომ ახალგაზრდა კრიტიკოსი ახლებური თვალთახედვით ცდილობდა ლიტერატურულ მოვლენათა განსჯა-განხილვებს. როგორც თავადაც შენიშნავს, ქართულ მწერლობაში ინტენსიური მოღვაწეობის დაწყების პირველივე წლებიდანვე იგი

ყოველთვის ცდილობდა «ინდივიდუალობა არ დაეკარგა, არ გადაქცეულიყო სხვისი აზრების და შეხედულებების მქადაგებლად, კომპილატორად, ან პირდაპირ პლაგიატორად და თავის ნაწერში აღებეჭდა საკუთარი შეხედულება, გამოეთქვა საკუთარი შეფასება მოურიდებლად, პიროვნების მიუხედავად" (ი. ვართაგავა, მოგონებები, 1956 წ. გვ. 200).

იმის დასტურად, ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ თავიდანვე როგორ მოიწონა ახალგაზრდა კრიტიკოსის ობიექტურობა, პრინციპულობა და მოვლენათა პროფესიული განსჯის უნარი, აქ ცნობილი მწერლისა და პედაგოგის ს. ხუნდაძის პირადი წერილი მინდა გავიხსენო, რომელიც მას 1912 წელს გაუგზავნია ქუთაისიდან მისთვის უცნობი კრიტიკოსისათვის: «თქვენი წერილების ბადალი, ობიექტურად დაწერილი სტატია, დიდი ხანია ჩვენში არ დაბეჭდილა... გისურვებთ არჩეული გზით სიარულს. იყავით სიმართლის მაუწყებელი! ერთი ჩვენი თხოვნაა: თუ დრო და მოცლა გექნეთ, დაწერეთ თქვენებურის ობიექტურობით და მიუდგომლობით ვრცელი მონოგრაფია ვაჟა-ფშაველას შესახებ. თქვენი უცნობი პატივისმცემელი ს. ხუნდაძე" (ი. ვართაგავა, დასახ. წიგნი, გვ. 176).

ლიტერატურული საზოგადოებრიობის ამდაგვარმა წაქეზებამ და მხარდაჭერამ კრიტიკოსი ახალი შემოქმედებითი ენერგიით აღავსო, კიდევ უფრო მეტი მონდომებით განაგრძო დაწყებული საქმე და სულ მალე კრიტიკოსის ინტერესების სფეროში, როგორც თავადვე ამბობს, არა მართო «ხოცვა ნადირთა მცირეთა» მოექცა, არამედ ჩვენი კლასიკოსებიც. 1913 წელს იგი უკვე ჯერ რ. ერისთავის შემოქმედებაზე წერს ეტიუდს, რომელიც ჟურნალ «განათლებაში» იბეჭდება, შემდეგ კი ვაჟა-ფშაველაზე.

ვაჟას შემოქმედებით კრიტიკოსის დაინტერესება, პირველ ყოვლისა, იმან განაპირობა, რომ იმხანად მისი «ავტორიტეტი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო განმტკიცებული, მისი შემოქმედება ჯერ კიდევ სხვაგვარად ფასდებოდა" (ი. ვართაგავა, იქვე, გვ. 185).

ი. ვართაგავას კრიტიკული ეტიუდი თავდაპირველად 1913-14 წლებში დაიბეჭდა ჟურნალ «განათლებაში», 1921 წელს კი ცალკე წიგნადაც გამოიცა. კრიტიკოსმა ცადა, სიღრმისეულად გაეანალიზებინა «ვაჟა-ფშაველას



შემოქმედების უმთავრესი პრობლემები და მხატვრულ-ესთეტიკური ტენდენციები. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსის მიერ გამოთქმული არაერთი დებულება დღესდღეობით პრინციპულად მცდარია და სუბიექტური განსჯის ნაყოფს წარმოადგენს, ხსენებული პუბლიკაცია მაინც უნდა ჩაითვალოს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ადრინდელ საგულისხმო ნარკვევად.

1928 წელს ი. ვართაგავამ ცალკე წიგნად გამოსცა მონოგრაფია მ. ჯავახიშვილის შესახებ. ეს ის დრო იყო, როცა საბჭოთა პერიოდის ლიტერატურული კრიტიკა დიდი მწერლის შემოქმედებას იდეოლოგიური ტენდენციურობით განიხილავდა და აფასებდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტენდენციურობის გამოძახილი კრიტიკოსის მონოგრაფიაში მეტად სუსტად ისმის, ი. ვართაგავამ მისთვის ჩვეული პროფესიონალიზმითა და სიღრმისეულობით ვერ წარმოაჩინა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებითი მიზანსწრაფვის არსი. მწერლის ბევრი ბელეტრისტიკის ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე გამოთქმული ბევრი მოსაზრება პრინციპულად მცდარია და მიუღებელი.

მაგალითად, „ჯაყოს ხიზნები“, კრიტიკოსის შეფასებით, იმდენად სუსტი ნაწარმოებია, რომ მას უახლოეს პერიოდში «ისეთივე დაფიწყება და არქივში ჩაბარება მოეღის, როგორც ეს მოუვიდა ერთ დროს დიდად პოპულარულ ანტ. ფურცელაძის მოთხრობებს: „მაცი ზვიტია“ და „სამი მსხვერპლი“... (ი. ვართაგავა, კრიტიკული წერილები, I, 1958 წ. გვ. 252).

გარდა ზემოთ დასახელებული მონოგრაფიული ნარკვევისა, მე-20 საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედებას ი. ვართაგავამ მრავალი საყურადღებო კრიტიკული ეტიუდიცა და მონოგრაფიაც მიუძღვნა. მათგან განსაკუთრებით ფასეულია მისი ნაშრომები შ. დადიანის, ლ. ქიაჩელისა და ვ. ბარნოვის შემოქმედების შესახებ, რომლებშიც ახლებური თვალთახედვითაა დასმული მრავალი პრობლემატური საკითხი, გამოთქმულია არაერთი ორიგინალური მოსაზრება, გადაფასებულია და კრიტიკულად განხილული ცალკეული ლიტერატურული შეხედულებანი.

მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსმა უყოყმანოდ გაიზიარა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ფართოდ დამკვიდრებული თვალსაზრისი შ.

დადიანის კლასიკოს მწერლად აღიარების შესახებ, მან საკმაოდ კრიტიკულადაც განიხილა მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშები და ობიექტური პიროვნელობით გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება მათ მიმართ.

კიდევ უფრო საინტერესოდ მსჯელობს კრიტიკოსი ლ. ქიაჩელის შემოქმედებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ მონოგრაფიას იგი ხანდაზმულობის უამს, მმ წლის ასაკში, წერდა, მას ჭეშმარიტი კრიტიკოს-შემფასებლისათვის სავალდებულოდ საჭირო არც ალლო ლალატობს და არც მიგნების ნიჭი. ი. ვართაგავა არასტანდარტულად სჯის ბევრ საკითხს და პრინციპულად არ იზიარებს იმქამინდელ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ფართოდ დამკვიდრებულ არაერთ იდეოლოგიურ შეხედულებას.

ერთ-ერთი მათგანია ლ. ქიაჩელის მოდერნისტული ნაწარმოებებისადმი დამოკიდებულება. განსხვავებით საბჭოთა პერიოდის კრიტიკოსთაგან, რომლებიც მწერალს «ნაკლად უთვლიდნენ იმპრესიონიზმის ყაიდაზე ნოველების წერას», ი. ვართაგავა თვლის, რომ ამაში დასაძრახი არაფერია, ვინაიდან იმპრესიონიზმი და სიმბოლიზმი ერთ დროს მეტად პოპულარული ლიტერატურული მიმართულებანი იყვნენ და «ამ მანერით არა მარტო იმედგაცრუებულნი, უილაჯო, ცხოვრებას მოწყვეტილი და თავის თავში ჩაკეტილი მწერლები წერდნენ, არამედ, უმთავრესად, ნიჭიერი, ახალი გზების მაძიებელნი, ახალგაზრდა შემოქმედნი» (ი. ვართაგავა, ლეო ქიაჩელი, 1966 წ. გვ. 14).

ცხადია, სიმბოლიზმისა და იმპრესიონიზმის ამდაგვარ შეფასებაში დღევანდელი მკითხველისათვის უჩვეულო არაფერია. მაგრამ 50-იან წლებში, როცა ი. ვართაგავა აღნიშნულ თვალსაზრისს გამოთქვამდა, ამ ლიტერატურული მიმდინარეობებისადმი ჩვენში პრინციპულად განსხვავებული დამოკიდებულება იყო გაბატონებული. კრიტიკოსის ეს თეტიკურ-მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა კი, როგორც ეს ციტირებული ფრაგმენტითაც ჩანს, არ თავსდება იმდროინდელი იდეოლოგიური დოგმატიზმის ჩარჩოებში.

ი. ვართაგავას ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ასევე ცალკე უნდა შევეხოთ მის ვრცელ ნარკვევს - "ფილოსოფიური ოპტიმიზმი, ფსიქოლოგიური პრობლემები და ხალხურობა ვასილ ბარნოვის მოთხრობებში" (იხ. ი. ვართაგავა, კრიტიკული წერილები, I, 1958 წ.). ამ ნაშრომით კრიტიკოსმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა ცადა ღრმად და საფუძვლიანად გაეაზრებინა ვ. ბარნოვის რთული შემოქმედებითი სამყაროს მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი თავისებურებანი, მწერლის როლი და ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

როგორც უკვე აღინიშნა, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ი. ვართაგავა აქტიურად ადევნებდა თვალყურს ლიტერატურული ცხოვრების მსვლელობას და ცდილობდა მოვლენებს არ ჩამორჩენოდა. ამის ნათელი დადასტურებაა მისი წერილები 50-60-იანი წლების ჩვენი მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედების შესახებ. ხანდაზმულობის მიუხედავად, მეცხრამეტე საუკუნის დიდ ლიტერატურულ ტრადიციებზე გაზრდილი "კრიტიკოსი, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მალე "საუკუნის გასაღებს ამოიღებდა ჯიბიდან, სულ სხვა გზით მიმავალ ლიტერატურულ თანამედროვეობას" არ მოწყვეტია და ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაინახა და წარმოაჩინა ის შემოქმედებითი სიახლენი, რომლებიც ომის შემდგომი წლების მწერლობაში დაამკვიდრეს იმჟამინდელი ლიტერატურული ახალთაობის ნიჭიერმა ოსტატებმა.

ამ თვალსაზრისით უთუოდ საინტერესოა მისი კრიტიკული წერილები ა. კალანდაძის, მ. ლებანიძის, მ. მაჭავარიანის, ნ. დუმბაძის, გ. რჩეულიშვილის, შ. ნიშნიანიძის, ო. ჭილაძის, რ. ინანიშვილისა და სხვა ამდროინდელ მწერალთა შემოქმედების შესახებ. ამ წერილების დიდი ნაწილი ესეისტური სტილითაა დაწერილი. კრიტიკულ-ლიტერატურულ განსჯას მათში ნაწარმოებთა შინაარსის კომენტირებული თხრობა სჭარბობს. უხვად ციტირებული ტექსტობრივი მასალის საფუძველზე კრიტიკოსი ცდილობს არგუმენტირებულად დაანახოს მკითხველს მწერლის შემოქმედებითი ღირსებანი.

როგორც ითქვა, ი. ვართაგავას შემოქმედებითი თვალსაწიერი საკმაოდ ფართოა და მრავალმხრივი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში კრიტი-



კოსი უდიდესი სიყვარულითა და რუდუნებით სწავლობდა კლასიკურ და თანამედროვე ქართული მწერლების უმდიდრეს მონაგარს. მისი პროფესიული ლიტერატურული ინტერესები ამ შემთხვევაში არც ვიწრო ქრონოლოგიური მასშტაბებით იყო შეზღუდული და არც კერპებადქცეულ მწერალთა შემოქმედებით. იგი უღალატო კეთილსინდისიერებით სჯიდა და ანალიზებდა ჩვენი მწერლობის როგორც პირველხარისხოვან ოსტატთა შემოქმედებით მემკვიდრეობას, ისე რიგით კალმოსანთა ლიტერატურულ ნაღვაწსაც.

წინამდებარე ნარკვევის უმთავრესი მიზანი იყო, რამდენადმე მაინც წარმოემჩინა იპოლიტე ვართაგავას, როგორც კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის, დამსახურება ჩვენი მწერლობის ისტორიაში. ცხადია, მწერლის მდიდარი ლიტერატურული მონაგარის სრულყოფილი მიმოხილვა ერთ პატარა წერილში ვერაფრით მოხერხდებოდა. მაგრამ ყოველივე შემოთქმული, ვფიქრობ, ქართული კრიტიკის ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას მაინც შეუქმნის კრიტიკოსის შემოქმედებით ღვაწლზე და უსათუოდ აღუძრავს მას იმის სურვილს, კიდევ ერთხელ მოიძიოს და გადაიკითხოს მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

Avtandil Nikoleishvili
IPPOLIT VARTAGAVA AS A CRITIC

The paper analyzes critical works by Ippolot Vartagava, a well-known critic and literary theorist of the turn of the century. I. Vartagava started her career in the 90s of the XIX c. and till his death (in 1967) he played an important role in the development of critical thinking in georgia. Being a professional critic he analyzed and gave impartial evaluation of the literary events of his time.

ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

ნორა ნიკოლაძე

ხალხური წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ასახვა დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში

დავით კლდიაშვილი ქართული კლასიკური მწერლობის ღირსეული წარმომადგენელია, მან არა მარტო სრულყოფილად განაგრძო და განავითარა ქართული მწერლობის სახელოვანი ტრადიციები, არამედ შექმნა კიდევ საკუთარი გამორჩეული მხატვრული სამყარო და ჩვენი ლიტერატურა გაამდიდრა უჭკნობი შედეგებით.

ცნობილია, რომ დ. კლდიაშვილი პერსონაჟებს თავის მოთხრობებისათვის ხალხის წიაღში ეძებდა. ზოგიერთი პერსონა მან იმდენად უცვლელი სახით დახატა, რომ ახლობლები უმალ ცნობდნენ.

თანამედროვეთა გადმოცემით, მას ძალზე ჰყვარებია მშრომელ ხალხზე დაკვირვება, მათთან სჯა-ბაასი, ჭირ-ვარამის გაცნობა და სწორედ მის მიერ რეალურად დანახული, უშუალოდ განცდილი სახეები, ფაქტები და მოვლენები შეადგენდა მწერლის შთაგონების წყაროს.

დ. კლდიაშვილის შემოქმედების გაცნობისას თვალნათლივ ვხედავთ, თუ რამდენად მახლობელი უნდა ყოფილიყო მწერლისთვის ფოლკლორული სამყარო. ხოლო, ქართული ხალხური წეს-ჩვეულებანი და რიტუალების სიმრავლე, რაც ეგ ზომ დამახასიათებელია მისი მოთხრობებისათვის, მკვეთრად წარმოაჩენს ზეპირსიტყვიერებაზე მიყურადებულ მწერალს.

დ. კლდიაშვილის მიერ ხალხური ადათ-წესების, ტრადიციების, რიტუალების, ეთნოგრაფიული ყოფის ცოდნა-გამოყენებასთან დაკავშირებით რამდენიმე ასპექტს გამოვყოფთ;

მწერალმა ოსტატურად გამოიყენა ხალხური ცრურწმენა «კუდიანობისა და «თვალის ჭრის» შესახებ, რის მიხედვითაც, თითქოსდა, ზოგიერთ ადამიანს ძალა-უნარი შესწევს მოაკუდიანოს, გათვალოს, დააძაუნოს და მოკლას კიდევ ადამიანი:

—სალომე, სალომე! - დაუძახა ეკვირინემ . - არაფერი გაგიგონია შენ ფეროსინეზე? ქვეყანას მოდებული აქვს მაგის ამბავი და ნამოქმედარი!



ქმრის ასე მოქცევას, ახლა რომ ივია, ეფროსინესვე აბრალევენ... სწორედ
 ლევანს გული ამოაჭამა, უმაღლ გეინხადა... შვილები ვინ იცის, საით გადა-
 ავდო... ყველაფერი თავის კუდიანობით ნაქნარი და ნამოქმედარი აქვს!

- ასე მოგახსენებენ, თურმე გული რომ მოუვა ქმარზედო, ფრთებს
 გამოსახამსო და სახლის სახურავზე შეაფრენსო, ჰყავს იქ დაყუყულო
 სანამ გულს არ მოიჯერებსო და ატირებული კაცი თავს არ შეაბრალებს
 და ისევ არ დოუთქვამს ყველაფერში მორჩილად ყოფნას... ილღიებში
 ამოუსვამს თურმე, რაღაც წამალი აქვსო... ომანს რას უპირებს? თუ იმ
 საწყალ ბავშვს რამე დემართა, ცოცხალი რაფა გადურჩება... ბავშვი
 კარგად იყო და რომ წეიჩნუბენ, მეორე დღესვე განდა ავად და მას აქეთია
 წვალობს, აღარც მორჩა, აღარც მოკვდა! მაგას აბრალევენ, ბავშვზე
 იყრის გულის ჯავრსო... ფუი ეშმაკს!

დედაკაცმაც ეკვირინეს მაგივრად სამჯერ გააფურთხა განზე და ისევ
 დაურთო კეტი ლობიოს ხმელ პარკებს" ("ქამუშადის გაჭირვება").

ხალხის აზრით, კუდიანი ცდილობს სხვაც მოაკუდიანოს, ამიტომ
 ყველა ერიდება მას, რადგან მასთან ბრძოლა ამოა. ვისაც ეს კუდიანი
 ამოიჩემებს, ის უნდა ეყმოს მას სულიან-ხორციანად.

ასეთი უნარის პატრონია ფეფენა, რომელმაც, ხალხის აზრით, მოაკუ-
 დიანა და დაიმორჩილა მისი რძალი-მარინე (იმსხვერპლი).

მოჯადოება-მოკუდიანება შესაძლებელია არა მარტო ადამიანების, არამედ
 ცხოველების, სახლისა და ეზო-კარმიდამოსი, რომელშიაც დაბუდებულია
 ავი სულები; ამიტომ ან უნდა გაიწმინდოს ეს ადგილი, ანდა მოინაცვლო
 სამოსახლო;

- მიქელა ჩემო, ამ ახალ სამოსახლოზე ბევრი უბედურება გეიარე...
 სახლის გაწმენდა გაგათავისუფლებს... უსათუოდ სახლში შეყვებოდა რამე
 მავნებელი" ("მიქელა")

არანაკლები საშიშია ხატზე გადაცემა:

"კაციამ გადაწყვეტილება აღსრულებაში მოიყვანა და კიდევაც ჩაუგდო
 ხატს ხელში - გადასცა წმინდა გიორგის ხატზე ანდრია. სადღა წაუვიდო-
 და წმ. გიორგის ანდრია? ეჭვი არ უნდოდა, წმ. გიორგი უსათუოდ
 დასჯიდა ანდრიასაც და მის უკუღმართ მოსამართლე ამხანაგებსაც - ეს
 მტკიცედ სწამდა კაციას.



ანდრია შეშინდა, თუმცა თავისი სიმართლის იმედი ჰქონდა. ორჯერ ძღვენიც მიართვა წმინდანს, მაგრამ მერე დაიმედდა და მიივიწყა, რომ კაციასაგან გადაცემული იყო" ("შერისხვა").

ხალხს სჯერა, რომ წმ. გიორგი უდანაშაულოს არ სჯის და ვინც ტყუილად გადასცემს სხვას ხატზე, ღმერთი თვით გადამცემს განურისხდება.

- "ვერ ვიტყობთ, ღმერთს ვაწყენინებთ, რომ მისი მგმობელი ვიტყობთ!
- და ამიტომ მიცვალებულ კაციას სასაფლაოზე მხოლოდ ცოლ-შვილი მიჰყვა და ესენიც მხოლოდ იმის უბედურ დღეზე გაჩენას დასტიროდნენ" ("შერისხვა").

მხოლოდ ღმერთისადმი ლოცვა-ვედრებით, აღსარებით, მოძღვრის შუამდგომლობით შეუძლია ადამიანს გამოისყიდოს დანაშაული და არ წაწყდეს, არ მოექცეს ჯოჯოხეთში.

-მიშველე მამაო! მიშველე, შენი მუხლის ჭირიმე, მიშუამდგომლე წმინდანთან.

- ნუ გეშინია, შვილო, ოღონდ ილოცე, ევედრე და სულგრძელი წმინდანი შეუნდობს, შედი, შვილო ეკლესიაში, წმ. გიორგის დაუჩოქე და ევედრე, ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა და სულგრძელი". ("შერისხვა")

მწერალი საინტერესოდ წარმოგვიდგენს აგრეთვე „საიქიოში ნამყოფი კაცის“, ვასილ კარიკაძის მონათხრობს. აქვე ყურადღებას იქცევს რწმენა იმისა, რომ მუხის, როგორც წმინდა ხის, მოჭრა აკრძალულია, რადგან მის ტოტებზე ღმერთისაგან გამოგზავნილი ანგელოზები არიან ჩამომსხდარი და ვინც ამ ტოტების მოჭრას განიზრახავს, ის სასტიკად დაისჯება, მას მხოლოდ და მხოლოდ ლოცვა-კურთხევა თუ იხსნის.

მოთხრობა „მსხვერპლის“ ერთ-ერთმა მოქმედმა პირმა- ვასილმა მამის დავალებით ეზოში ბებური მუხის მობელვა გადაწყვიტა, მაგრამ ნაჯახი ხის ტოტებს ვერ მიაკარა, ხიდან ჩამოვარდა და ცოცხალ-მკვდარი შემოიყვანეს სახლში, ერთ დღეს მოკვდა კიდევ. ვასილი მოგვითხრობს:

ჩემს გასვენებაზე დეიწყეს ლაპარაკი... ჩემი სული მალლა-მალლა მიფრინავს, ჩემს თვალწინ გეიშალა ამწვანებული მინდორი, უთვალავი ცხვარი ბალახს წიწკნის. წვრილი გზა შემხვდა, დავადექი და ერთ წყაროსთან მივედი... წყაროსთან კაცი წევს, სადაური ხარო... შენი აქ მოსვლა ადრეა... შენ ისევ დედამიწაზე უნდა დაბრუნდეო. გაჰყევი ამ გზას, ბოლოში



სიმონა კიკაბიძეს შეხვდებიო, გასწავლის, დედამიწაზე რომ ჩახვიდეთ... გალობა რამე გეიგონო, დეიჩოქე სანამ გალობს, სანამ ხმა არ შეწყდებაო.. ბევრი ვიარე. ერთ ადგილას შემხვდა სიმონა... ზის და მასთან რამდენიმე ჩვენი სოფლის მიცვალებულებიც არიან... მუსაიფობენ, დამინახეს, გეხარდათ, ამბავი მკითხეს. შერე მე ვკითხე: ეს რა ადგილია- თქვა? მიპასუხეს, რომ სამოთხეაო და წყაროსთან რომ კაცი იწვა, ანგელოზი ყოფილიყო თურმე... რასაც ცხვრებს ხედავო, ცხონებულთა სულიაო... ანგელოზი უყურებს მათ, არაფერი დააკლდეთო. მოისმა მშვენიერი გალობა... ყველამ მუხლი მოვიყარეთ, სიმონამ მითხრა ანგელოზთა გალობააო, ღმერთს აღიდებენო. ბევრი ვილაპარაკეთ... სიმონამ მითხრა, რომ მამაშენის ლოცვა ძალიან წაგდგომიაო, ღმერთს შენზე მოწყალება მოუღია და აქ ნულარ იგვიანებო... როგორც გითხრა ანგელოზმა, დედამიწაზე მალე დაბრუნდებიო. ყველას გამოვეთხოვე, სიმონამ გზა მასწავლა და ჩემი სული სწორედ მაშინ დაუბრუნდა ჩემს ლემს, როცა გასვენებას ის იყო მიპირებდნენ... მას აქეთ ფრჩხილი არ წამომტკენია, ასეთი მოწყალება მიიღო ჩემს თავზე ჩემმა გამჩენმა, ვენაცვალე მის დიდებას! და ვასილმა პირჯვარი გადაისახა".

ხალხს სჯერა, რომ «საიქიოდან დაბრუნებულებს» შეუძლიათ მოჯადოებული და მოკუდიანებული ადამიანების გამოტყუვა და გამოსხნა ავი სულებისაგან. ისინი ჩვეულებრივ ადამიანებზე ჯანმრთელი, ძლიერი არიან და დიდხანსაც ცოცხლობენ.

დ. კლდიაშვილის მოთხრობებში საწესჩვეულებო რიტუალების კარგი ცოდნა ჩანს. მშრომელი ადამიანის ყოველდღიურობაში ღრმად ჩახედულმა მწერალმა ხალხის ყოფის თითქმის ყველა სფერო ასახა. ნაწარმოებებში ვხვდებით ძველი იმერეთის ყოფისათვის დამახასიათებელ მაჭანკლობის, დანიშვნის, გამზითვების, ჯვრისწერის, წირვის, ქორწინების, დალოცვის, გადაპატიუების, აგრეთვე გლოვის წესებსა და რიტუალებს.

თხოვა-გათხოვების საკითხის მოგვარებაში რომ მაჭანკალს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, ეს კარგად ჩანს მოთხრობებში: «სოლომან მორბელაძე», «ქამუშაძის გაჭირება», «სამანიშვილის დედინაცვალი».

ქალ-ვაჟის ჩვენება-გაცნობის და მოწონების შემდეგ ხდება ქალის დანიშნა:

„ბეგლარს მაგრად ჩაეკიდა ხელი ნინოსათვის... სხვების მოურიდებლად კიდევაც წაეძრო ხელიდან ბეჭედი და ნინოსათვის წამოეცმევინა თითზე (ქამუშაძის გაჭირვება)“.

იმერული ქორწილის შთამბეჭდავ სურათს ქმნის მწერალი მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“.

„სალამოვდებოდა, ბლომად მოეყარათ თავი დაპატიჟებულთ, აივანზე ქალები დამსხდარიყვნენ, მოსამსახურეები აქეთ-იქით დარბოდნენ წესრიგის გამგებელთა ძახილზე. ეზოში სტუმრები მიდი-მოდოდნენ. ისმოდა მხიარული სიცილი, ხითხითი. შორიდან მოისმა ზურნის ხმა, ხალხი შეინძრა, ზურნის ხმა თანდათან ახლოვდებოდა. გახშირდა სროლა დამბაჩებისა და რევოლვერებისა, ისმოდა მომყოლთა ძახილი „ჰაი, ჰაი“ და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩიტივით შემოფრინდა იარაღში ჩამჯვდარი თავზე უკან მოქცეული კოსტა ქუდით ყმაწვილი, რომელიც დაძახებისთანავე „მეფე მოდის!... მახარობელი ვარ! - ო, ერთი-ორჯერ ჩამოუარა თავისი აქაფებული ცხენით აივანს, შემდეგ ქორივით ეძგერა კიბეზე თასით მდგარ ყმაწვილს, სწვდა თასში და წართმეული თასით გავარდა ისევ ეზოდან მოახლოებულ მაყრიონთან შესაერთებლად. ეს იყო მახარობელი.“

-ბრავო, ბრავო! - ყვიროდა მისი სიმარდით აღტაცებული ხალხი და ამ ხმაურობას შეუერთდა მოსულთ ჟრიაბული, თოფების ხათქა-ხუთქი, ცხენების თქარა-თქური და მათრახების ტყლაშუნი.

პლატონი სხვებთან ერთად ცხენით წაჰყვა დედოფალს ეკლესიაში და იქიდან ყურთწამლები მაყრულით გამოჰყვა ჯვარდაწერილებს. გრძელ ფანჩატურში მთელი ღამე სიმღერა არ შეწყვეტილა. საზოგადოება დიდ მხიარულებაში იყო, ცეკვა-თამაშს ბოლო არ უჩანდა...

თამადა ენამხეობდა. მორიგეობით სვამდნენ სადღეგრძელოებს, ყველანი უსურვებდნენ მასპინძელს სიკეთეს, ბედნიერებას, მშვიდობიან ცხოვრებას, მტრის ამორებას და ყველა მათ შემწუხებელთა დამხობას“.

ამავე მოთხრობაში მკაფიოდ არის დახატული ქორწილის აუცილებელი ატრიბუტები - სმამი შეჯიბრი, ჩხუბი და მიწვევ-მოწვევაც.

„კირილე რალაც სამიზეხოს ეძებდა, რომ ჩხუბი აეტყვა:

-ეგ გაკლიათ და უნდა გამოცალოთ!

-ხელმეორედ რაზე დავლევ?

-დალიე!... მე მითქვამს თქვენთვის...“



-უი, შენ ცინდალო, ცინდალო! - მიაძახა კირილემ, დაავლო სტუქანს ხელი და რაც შიგ ღვინო იყო, სულ ერთიანად ცხვირპირში შეასხა ყმაწვილს.

შეიქმნა ერთი ყვირილი, არეგ-დარევა, ახლა ხელდახელ ეცნენ ერთმანეთს, გახურდა მუშტების მოქნევა..."

დ. კლდიაშვილი წირვა-ლოცვის შთამბეჭდავ სურათს ქმნის მოთხრობაში "ქამუშაძის გაჭირება".

ეკვირინე გულმხურვალედ ლოცულობდა, რამდენჯერმე მეტანია გააკეთა და გულმოდგინედ პირჯვარს ისახავდა. ვათავდა წირვა. ეკვირინებ რძალი ევლოგიის ასაღებად მიიყვანა მღვდელთან, რომელმაც მარჯვნივ ანიშნა, სადაც კანკელზე, ხატების მაგიერ ქალღმერთზე აჭრელებულად დახატული წმინდანების სახეები იყო მიწებებული აქა-იქ და მათ შორის ესვენა ეკლესიის მფარველი წმინდანის ძველი ხატიც, რომლის წინაშეც რძალ-დედამთილმა მუხლები მოიყარეს, ემთხვივნენ და ფული მიართვეს შესაწირავად".

მწერლის ინტერესთა სფეროში შემოდის გლოვა-დაკრძალვის წესები და რიტუალებიც. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს საბა კლდიაშვილის დაკრძალვის რიტუალი, მიცვალებულთან წარმოთქმული სიტყვები. გულშემძვრელია აგრეთვე შვილმკვდარი დედის დატირებაც:

"გულშეწუხებული, აღელვებული მიაშურებდა თავის ოთახს, აქ მის საწოლთან მაგიდაზე შავ ჩარჩოში ჩასმულ თავის "ბიჭის" სურათის წინ დადგებოდა და თვალცრემლიანი უცნაური გამწარებით სასოწარკვეთილებით მიმართავდა: "შვილო რათ დამელუპე რათ? თუკი არაფერი საშველი იქნებოდა, თუკი ასე იქნებოდა... რათ გასწირე შენი სიცოცხლე?... რათ არ მოითმინე?... რათ დამელუპე შვილო?"... ("მშობლის ნუგეში").

კალენდარული დღესასწაულებიდან ყურადღებას იქცევს შობა-ახალწლის, ნათლისღების, აღდგომისა და გიორგობის აღწერილობა.

«პარილის მშვენიერი დილა იყო, აღდგომის მეორე დღე. ეკლესიაზე მრავალი ხალხი იყო თავმოყრილი. ჩვეულებისამებრ, დღეს ხატებით უნდა შემოევლოთ ეკლესიისათვის და მერე მღვდელს ხალხი უნდა დაელოცა. წირვა ვათავდა, ეკლესიიდან ხალხმა გამოსვლა იწყო.

-ყველა ხატებს გავყვით, ყველა! - დაიძახა ვიღაცამ გლეხები ეკლესიის კარებთან შეჩერდნენ და ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავდნენ, - ვერ ხედავთ ხატებს მოასვენებენ?

მართლაც კარებში გამოჩნდა ხატებით ხელში რამდენიმე გლეხი. მათ უკან მოჰყვებოდა შემოსილი მღვდელი სასხურით მარჯვენა ხელში და ჯვრით მარცხენაში. მღვდელი ჯვარს სახავდა ხალხს და თან წმინდა აიაზმის წყალს ასხურებდა. - ეკლესიას შემოუარეთ! - უძახოდა მღვდელი ხალხს.

-კირიე-ლეი-სონ! კირიე-ლეი-სონ - გაიძახოდა იმდენი ხალხი და მიჰყვებოდა უკან ხატებს. სამჯერ შემოუარეს ეკლესიას და შემდეგ ხატები გალავანში დაასვენეს ("შერისხვა").

გიორგობა მთელ საქართველოში ფართოდ გავრცელებული დღესასწაულია. მას ფესვები შორეულ წარსულში უდევს. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, წმ. გიორგი ქართველთა მთავარ ღვთაებას - მთვარეს შეენაცვლა და ღვთაებათა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ მრავალი თქმულება-გადმოცემა შემოინახა წმ. გიორგის სასწაულმოქმედებათა შესახებ.

„ხალხი გარს შემოეხვია მღვდელს. ამ უკანასკნელმა რამდენიმე ლოცვა წაიკითხა და ხალხს უბრძანა ხატების წინ მუხლი მოიყარეთო.

-წმინდაო გიორგი - მიმართა მღვდელმა წმ. გიორგის ხატს. ყველა ესენი შენი ყმები არიან, შენი მმოსავნი, შენს მფარველობის ქვეშ მყოფნი, შენი მავედრებელნი და გეხვეწებიან მუხლმოდრეკილნი, რათა შეისმინო მათი ვედრება, ნუ მოაკლებ ამათ ნუგეშის ცემას, წყალობას შენსას, განაშორე ყოველივე ბოროტი, განაძლიერე ამათში კეთილი, დათრგუნე ავი და შთანერგე შიში და სასოება, რათა აღიდონ სახელი შენი, ჩვენო მფარველო, ჩვენო ბატონო უკუნითი უკუნისამდე!

-ამინ, ამინ! - ისმოდა ყოველი მხრიდან“.

დავით კლდიაშვილის შემოქმედების გაცნობისას მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ დიდი მწერალი კარგად იცნობდა ხალხში გავრცელებულ ადათ-წესებს, რიტუალებს.

იგი არ იყო მხოლოდ და მხოლოდ „კაბინეტის“ მწერალი, მას ჰქონდა ოსტატის ნათელმხილველი თვალი და გული, უხვად წილნაყარი მშობლიურ ზეპირსიტყვიერებასთან.

N. Nicoladze
REPRESENTATION OF CUSTOMS AND TRADITIONS
PEOPLE IN WORKS OF DAVIDA KLDIASHVILI

Summary

David Kldiashvili was a famous Georgian writer. He knew the life of people and in his works he wrote about people, about everybody things, described their customs and traditions (funeral, wedding; Cristmas day, Epiphany, Easter Sunday and soon).

In this article we examine reception of customs and traditions people in works Davida Kldiashvili.

ბარიყენბული ლიტერატურა:

1. დ. კლდიაშვილი, «ჩემი ცხოვრების გზაზე», მოთხრობები, პიესები, თბ. 1947 წ
2. დ. კლდიაშვილი, მოთხრობები, თბ. «საბჭოთა საქართველო», 1961 წ
3. ნ. შამანაძე, «ცრურწმენებისა და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა კრიტიკა ფოლკლორში», თბ. მეცნიერება, 1980 წ. გვ. 43
4. დ. გოგოჭური, «ხალხური სიტყვიერება მანვნე წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ», თბ. 1978 წ. გვ. 32, საზოგადოება «ცოდნა», სერია 7
5. თ. ჯაგოდნიშვილი, დაკვირვებანი ზოგიერთ ქართულ რწმენა-წარმოდგენაზე, ნარკვევები, თბ. «მეცნიერება», 1990 წ. გვ. 135
6. ს. ჩოხელი, საქორწილო წეს-ჩვეულებების ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ ფოლკლორში, თბ. უნივერსიტეტის შრ. 1986 წ გვ. 261-176
7. ა. არაბული, «სიკვდილო, შვილი გაგიზარდე» (ხმით ნატირალების უანრული სახის დასადგენად), «კრიტიკა», 1988 წ., №6, გვ. 45-50

ფოლკლორისა და ლიტერატურის თეორიის კათედრა



ნორა ნიჰოლაძე, ლელა ჩოგოვაძე

**მცირე ფოლკლორული ჟანრები
დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებში**

დავით კლდიაშვილი ქართველ სამოციანელთა ღირსეული მემკვიდრეა. განუზომელია მისი ღვაწლი და დამსახურება ქართული ლიტერატურის, კერძოდ, თანამედროვე მხატვრული პროზის განვითარებაში. მისი ქმნილებანი სამუდამოდ შევიდნენ ჩვენი ლიტერატურის ყველაზე უკეთეს მონაპოვართა საგანძურში.

მეტად საინტერესოა მწერლის მიმართება მშობელი ერის ხალხურ სიტყვიერებასთან. ამ მხრივ ის აგრძელებს ქართველ სამოციანელთა "ხაზს, რომლებიც ხალხურ შემოქმედებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც სალიტერატურო ენის გამდიდრების, ისე ჩვენი წარსულის შესწავლის საქმეში, ამიტომაც დ. კლდიაშვილის შემოქმედებაშიც მრავალმხრივი ასპექტით აისახა პოზიური ზეპირსიტყვიერება.

რეალისტმა მწერალმა თავის მოთხრობებში ფართოდ გაუღო კარი ქართველი ხალხის ადათ-წესებს, რიტუალებს, გადმოცემებსა და მცირე ფოლკლორულ ჟანრებს.

მცირე ფოლკლორული ჟანრებიდან განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს შელოცვის, დალოცვისა და წყევლის ნიმუშებს. მათი ფუნქცია, როგორც ცნობილია, სიტყვისა და ზოგჯერ შესაბამისი რიტუალის თანხლებით სასურველი შედეგის მიღწევაა. აქ საქმე გვაქვს ძველთაძველ რწმენა-წარმოდგენასთან, როცა სიტყვას ზებუნებრივი, მაგიური ფუნქცია ენიჭება.

"შელოცვა" და "დალოცვა" ლოცვისაგან ნაწარმოები ტერმინებია. ლოცვა თხოვნაა ღვთაების მიმართ, მისი გულის მოსაგები ვედრება. ლოცვის გაგება და სიტყვიერი ფორმულა საუკუნეების მანძილზე მტკიცე იყო, იცვლებოდა მხოლოდ ღვთაებანი, ვის მიმართაც წარმოითქმებოდა იგი. რელიგიური წარმოდგენების ცვლის და შესაბამისად, ლოცვის ადრესატი



იყო ფეტიშური საგანი, ტოტემური არსება, დარგობრივი უფალოცვა და ბოლოს, მონისტურ-რელიგიური ღმერთი. წმინდა სახით ლოცვა თხოვნა-ვედრებაა, რომელიმე გავლენიანი ღვთაებისადმი მიმართული.

თუმცა ტერმინოლოგიურად "შელოცვა" "ლოცვას" უკავშირდება, მაგრამ აქ განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. შელოცვის ტექსტი თხოვნასთან ერთად კარნახსა და მუქარას შეიცავს, ადრესატია ავადმყოფობა, ბოროტი სული, რომელიც ზიანს აყენებს ცოცხალ არსებას და ამის გამო ორგანიზმიდან გამოდევნილი უნდა იქნას.

"შელოცვა" ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი უძველესი ჟანრია. დროთა განმავლობაში მასში უამრავი პლასტი დაღეჭილა, ადამიანის ყოფაცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებით შელოცვებიც მრავალგვარი სახისაა. დ. კლდიაშვილის ყურადღების არეალში მხოლოდ სამკურნალო შელოცვები მოქცეულა.

მოთხრობა "უბედურების" ერთ-ერთი მოქმედი პირი - ანტონა ყანაში მუშაობის დროს მოცეკლილივით წაიქცა, ის თითქმის ცოცხალ-მკვდარი შემოიყენეს სახლში. მეზობლებმა ერთხმად დაადასტურეს, რომ მას ბოროტი სული შემოყოლია და სიკვდილისაგან მხოლოდ გამოლოცვა თუ იხსნის: - ასე რავა დებიენით ყველა: გამოულოცეთ, შენ დალოცვილო, ნუ, ნუ გაჩერებულხართ, თუ ღმერთი გწამთ!" - მიმართავს მეზობლებს პავლია.

- კი, ბატონო! კი, ბატონო, ახლავე გამოულოცავთ, ჩემო ბატონო! - მიუგებს თებროლე და დაიწყებენ გამოლოცვას.

როცა ნიკო მოვა ავადმყოფის სანახავად, მას მანამ არ შეუშვებენ სახლში, სანამ დედაკაცები გამოლოცვას არ გაათავებენ;

ხალხის აზრით, ამონაყოლის გამოლოცვის შემდეგ საჭირო იყო ავი, ბოროტი სულის განდევნა, გადალოცვაც, იქით, საიდანაც ამოჰყვა ის ავადმყოფს, თითქოსდა საითაც გადაულოცავდნენ, ყოველგვარი უბედურება იქით წავიდოდა.

ისე როგორც გამოლოცვას, გადალოცვასაც ჰქონდა თავისი მაგიური ტექსტი და რიტუალი:

"დედაკაცებს და ტუფიას წმინდა სანთლები ჰქონდათ თითებზე გადასალოცად გამზადებული: უკან მისდევდნენ ნატალია, მაია და რამდენიმე დედაკაცი. ტუფია ღაღადით ამბობდა: ჩემზე მომდგარ უბედურებას გზადგელოცა, კვალმა შენმა იხარა... შენმა სავალმა... იკმარე ჩემი სიმწარე... იკმარე ჩემი გაჭირება, შემობრალე... შემიწყალე... შემიცოდე... აქეთ არ

წამოხვიდე!"

შელოცვა "მკურნალობის" ერთ-ერთი მეტად გავრცელებული სახე იყო. რიგით შემლოცველებთან ერთად არსებობდნენ ამ საქმის პროფესიონალები, სახელგანთქმული ოსტატები, რომლებიც ხშირად მკითხაობასა და ექიმბაშობასაც ითავსებდნენ:

"ერთი მოხუცებული დედაკაცი, რომელსაც ფეფენასათვის უარი ვერ ეთქვა და სიმინდის სარჩევში მოსახმარებლად სახლში წაჰყოლოდა და მათთან ვახშამიც ეჭამა, ყველას არწმუნებდა, რომ გამოვცილდი თუ არა ფეფენას სახლს, პირის საშინელი აყროლება ვიგრძენი... თეთრად გაეთენებინა ის ღამე და ალიონზე მაკრინე მკითხავთან წასულიყო, მაკრინეს ქალღმერთისაგან ამოეკითხა, - რომ ეს ამბავი მარინეს საქმეა... ამასთანავე, შენალოცი მარილი მიეცა ამ დედაკაცისათვის და მარილის პირში გამოვლებით განთავისუფლებულიყო საზარელი მდგომარეობისაგან" ("მსხვერპლი").

შელოცვის მთავარი ატრიბუტებია მარილი, სანთლები, დანა, ნახშირი და სხვა.

"ისეთი ავად შევიქენი, რომ ჩემს მორჩენას ადამიანი აღარ ფიქრობდა თურმე... რა ექნა მამაჩემს? რა საშვალეა არ ეხმარა: ჯერ განატეხი თურმე გაატანია დედაკაცებს, მერე ცხრა-ცხრა ლოცვა ათქმევინა იმ მუხასთან, წმინდა გიორგის ხატისათვის ჩემი ზომა წმინდა სანთელი მიერთმია" ("მსხვერპლი").

"დარიკო, კედელს ნახშირი, ნახშირი კედელს!" (სამანიშვილის დედინაცვალი)

კუდიანების, ეშმაკებისა და ავი სულების განდევნა, ხალხის რწმენით, მიფურთხებით და პირჯვრის გადაწერითაც შეიძლება.

"კაი, კაი, თავი დაანებე მაგათზე ლაპარაკს, სალომე! კმარა, ფუი ეშმაკს! დედაკაცმაც, ეკვირინეს მაგივრად, სამჯერ გააფურთხა განზე და პირჯვარი გადაიწერა.

მაგიური ზეპირსიტყვიერების რკალში შედის დალოცვაც, რომელშიც ისევე როგორც ლოცვაში, ზებუნებრივი ძალისაგან წყალობის გამოთხოვნა იგრძნობა, მაგრამ აქ განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ლოცვა არს გონებითა ღვთისა მიმართ აღესვლა ანუ თხოვნა ჯეროვანი ღვთისაგან" (საბა). ე.ი. ამ შემთხვევაში პიროვნება უშუალოდ ღმერთს მიმართავს, დალოცვაში კი პიროვნება პიროვნებას ან სხვა სულიერს, საგანს უსურვებს ღვთის წყალობის გარდმოვლენას, სიკეთეს უფლის შემწეობით.



დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში დალოცვის სამოცხე მეტი ნიშნული დაეფიქსირეთ:

„ღმერთმა ისე ჩემი სული შეიყვაროს, რაფარც მე თქვენ მიყვარდეთ... ღმერთი უფრო მეტ მოწყალებას მოგცემთ, უფრო გიწინამძღვრებთ, ღმერთი ყოველ განსაცდელს აგარიდებთ... ღმერთმა კეთილად მოგასმართ ეს ოჯახიც, ეს სახლიც, ეს კარიც... ყველაფერი, რაც რამ გაგაჩნია, შვილო! მეტი დაჯერება მე არ შემიძლია და ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! (სამანიშვილის დედინაცვალი)“.

„ღმერთმა შვილი გაგიზარდოს, ღმერთმა!... შეუწუხებლად... თქვენდა სასიამოვნოდ... აგაშორეთ უფალმა უბედურება!“ (სამანიშვილის დედინაცვალი)“.

„შენს სულს ღმერთი გაახარებს, ჩემო ბატონო, თქვენ გაცოცხლათ ღმერთმა უკუნითი უკუნისამდე, თქვენ გაცოცხლათ! (სამანიშვილის დედინაცვალი)“.

აღნიშნულ მაგალითებში კარგად ჩანს დალოცვის თავდაპირველი ფუნქცია და დანიშნულება - სიტყვის მეოხებით ღვთაების გულის მოგება.

ვინაიდან მეტწილად ადგილი აქვს ადამიანისაგან ადამიანის დალოცვას, ბუნებრივია, იგი უმთავრესად დიალოგებში გამოიყენება.

ხალხის ყოფაში მკვიდრადაა დანერგილი დალოცვის ერთ-ერთი ფორმა-სადღეგრძელო. იგი ჩვეულებრივ დალოცვის განვითარებული საფეხურია, ამასთან, სპეციფიურია მისი შესრულების გარემოც. მას ახასიათებს განსაზღვრული წესი და რიგი. სადღეგრძელოში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების შეფასებას, მისი ავკარგიანობის აღნიშვნას, ამდენად იგი აღმზრდელობითს დანიშნულებასაც იძენს:

„ფილიპეს გაუმარჯოს!... გაუმარჯოს ფილიპეს! (მიაწვდიან ყანწით ღვინოს) თქვენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა ათას წელიწადს!... ჩემი თავიც გიძსასუროთ!... ჩემი საწყალი ოჯახი არ შეგძულებოდესთ; იცოცხლეთ, იმხიარულეთ, კეთილად და ბედნიერად!“ (იორინეს ბედნიერება)“.

ჩემს პლატონს სიცოცხლე, დღეგრძელობა, ბედნიერება და ყოველივე სიკეთე! პლატონი მივარდა ჯიმშერთან, მსურვალედ აკოცა და იქვე ღვინით აესილი სასმისი სულმოუთქმელად გამოსცალა“ (სამანიშვილის დედინაცვალი)“.

მაგიურ შემოქმედებას ისახავს მიზნად წყევლაც. წყევლის ფუნქციაა სიტყვის და ზოგჯერ შესაბამისი რიტუალის თანხლებით წყევლის ობიექტივისათვის ზიანის მოტანა.



დ. კლდიაშვილის მოთხრობებში გაბნეული წყევლის სამოცდაათეუ
 მეტი ნიმუში გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მაგიური სიტყვიერების
 ამ მცირე ჟანრის ფუნქციასა და თავისებურებებზე:

„პელაგიამ მიაყურა... სონიას ხმა იყო:

—შენ დაგეწვა ეს თავი, შენ დაგეწვა ეს გვერდები... თვალები რატომ არ
 დაგეწვა, შე დასამიწებლო!

—რა ქნა მაგ დასამიწებელმა, რა ქნა მაგ შავ დღეზე გაჩენილმა, რა! -

გაფაციცებით კითხულობდა პელაგია.

—რა ქნა და, სულ ერთიანად დაუთუთქავს ჭადები!... უი,უი, შენ! შენ
 გაწყვი, შენ, შენ!... შენ დაგეწვა სიცოცხლე, შე წყევლის შვილო, შენ
 დაგეწვა სული და ხორცი! („ქამუშაძის გაჭირვება“).

წყევლა-კრულვის დიდოსტატია მოთხრობა „ბაკულას ღორების“ მთავა-
 რი პერსონაჟი - ზენათი:

—უიმიე, უიმიე! ... ღმერთო მომკალი! პიტია!... კიკილო!... თქვენ მოუკვდით
 თქვენ დედას!

—რა ამბავია, დედა რა? - იკითხა ქალიშვილმა.

—რა და თქვენი სიკვდილი!... თქვენი არ გადარჩენა!... თქვენ გოუწყდით
 თქვენ პატრონს, თქვენ გაგიწყდათ მიწა... მოისპო თქვენი სახელი!... დაგიდ-
 გათ თვალები!... მიწა დაგეყარათ გასაწყვეტლებს, მიწა!... ასე კაცის ამოგ-
 დება გაგონილა ქვეყანაზედ?! თქვენ ამოგივარდათ თქვენი პატრონი ძირი-
 ან ფესვიანად, რავარც თქვენ ეს ჩემი ბოსტანი ამომიგდეთ! აოხრდა
 თქვენი პატრონი, რავარც თქვენ აქაურობა ააოხრეთ!... თქვენი პატრონი
 დასწყევლა ჩემმა გამჩენმა... დასწყევლა და მოსპო მამა ზეციერმა!“.

ხალხს სწამდა, რომ „წყევლა ჭრის“, ამიტომ ყველა ერიდებოდა, არ
 გამხდარიყო წყევლის საგანი.

აქვე გვინდა ყურადღება შევაჩეროთ მწერლის ანდაზებთან მიმარ-
 თებაზე.

დ. კლდიაშვილი, ღრმად აცნობიერებდა რა ანდაზის როლსა და დანიშ-
 ნულებას, როგორც სხარტულად გამოთქმულ ხალხურ სიბრძნეს, უხვად
 იყენებდა თავის შემოქმედებაში. (ზოგს უცვლელად, ზოგს კი ოდნავ
 შეცვლილი სახით). აი, რამდენიმე მათგანი:

„გაჭირვება-მაჩვენე და გაქცევს განახვებო“ (სამანიშვილის დედინაცვა-
 ლი“)



საქართველოს
ხალხური მემკვიდრეობის
საზოგადოება

„ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“ („თავადი პეტრე“)
„კაცი სიკვდილამდის ყველაფერს უნდა მოელოდეს, თუ სიქანლესო“
(„სამანიშვილის დედინაცვალი“)

„ვისაც ვაჟკაცობისა არა სცნია რა, სხვისიც ძნელად დაეჯერებაო“
(„თავადი პეტრე“)

ამრიგად, დ. კლდიაშვილის შემოქმედების ანალიზისას, მივიღვართ იმ დასკვნამდე, რომ მწერალი კარგად იცნობდა მშობლიურ ხალხურ საუნჯეს, მყარად იდგა ეროვნულ ფოლკლორულ ნიადაგზე, ამიტომაც უსაზღვროდ შეიყვარა ხალხმა მისი მხატვრული ქმნილებანი.

Nora Nikoladze, Lela Chogovadze
MONOR FOLK GENRES IN THE WORKS
OF DAVID KLDIASHVILI

Abstract

David Kldiashvili gave a perfect description of Georgian folk customs, rituals, ugends and minor folk genres in his creative work.

His stories and novels are rich with samples of such interesting minor folk genres as charming, blessing and cursing.

While analysing David Kldiashvili's stories we have picked up more than a hundred examples of blessing and charming and over seventy of cursing words and phrases.

David Kldiashvili widely used folk wisdom expressed in Georgian proverbs and saying.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. კლდიაშვილი, მოთხრობები, პიესები, თბ. 1947
2. დ. კლდიაშვილი, მოთხრობები, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1961 წ.
3. მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხ. სიტყვიერების ისტორია, 1956 წ.
4. ქს. სინარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერება, 1970 წ.
5. ხალხური სიბრძნე, ტ. V, თბ., „ნაკადული“, 1965 წ.
6. ნ. შამანაძე, ცრურწმენებისა და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა კრიტიკა ფოლკლორში, თბ., „მეცნიერება“, 1980 წ.

ვერა ოცხელი

**ემილ ზოლას რომან „მიწის“ ბუნების
საკითხისათვის**

სლაფური და დასავლეთ ევროპული ლიტერატურების შედარებითი შესწავლა ლიტერატურული კომპარატივისტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს. ამ ტიპის გამოკვლევები ხელს უწყობს მსოფლიო ლიტერატურის განვითარების არსებითი კანონზომიერებების გამოვლენას, როგორც სლაფური, ასევე დასავლეთ ევროპული ლიტერატურის მიღწევათა გამოკვეთას, და საერთოდ, ესმარება იმ ლიტერატურათა ცალკეული ნაწარმოებებისა და სახეების ახლებურ წაკითხვას, რომლებიც სლაფურ და დასავლეთ ევროპულ რეგიონებს მოიცავენ.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა მაგალითი, რომელიც დაკავშირებულია პოლონელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატ სტანისლავ რეიმონტის გლეხთა ცხოვრების თემისადმი მიძღვნილი ეპოპეის „გლეხები“ (1904-1909) შექმნის ისტორიის ანალიზთან.

რეიმონტის რომანის გამოჩენამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ისეთი აზრიც კი გამოითქვა, რომ მის ჩანაფიქრსა და განხორციელებაზე უშუალო გავლენა მოახდინა ფრანგი ნატურალისტის ემილ ზოლას რომანმა „მიწა“ (1887). ასე მაგალითად, რეიმონტის თანამედროვე, ცნობილი პოლონელი ლიტერატურული კრიტიკოსი ვილჰელმ ფელდმანი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ტეტრალოგია „გლეხები“ დაწერილია ზოლას რომანის გავლენით. (5, გვ. 220). იანინა მანკოვსკაიამ კი, პირიქით, უარყო ეს ვერსია. ამ ორი რომანის შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „... თემატური სიახლოვის გარდა, მათ შორის მსგავსება ძალზე უმნიშვნელოა...“ (7, გვ. 280). გამოთქმული იყო ეგრეთწოდებული „შუალედური“, და, ჩვენი აზრით, ყველაზე მართებულ შეხედუ-



ლებაც. აკადემიკოსი ნ.ი. კონრადი, მაგალითად, წერდა, რომ "... რეიმონტის რომანში უდავოდ შეიმჩნევა ზოლას რომანის ცოდნა. მაგრამ ავტორი კი არ დაემორჩილა ფრანგ მწერალს, არამედ იდეური ბრძოლა გამართა მასთან და ზოლასგან განსხვავებული კონცეფცია შექმნა" (2. გვ. 303). კონრადის შეხედულებას იზიარებს რეიმონტის შემოქმედების თანამედროვე პოლონელი მკვლევარი სტანისლავ ლიხანსკი. «საფრანგეთში რეიმონტის ჯერ კიდევ პირველად ყოფნის დროს, - წერდა იგი - რომანმა «მიწა» ძლიერი აღგზნება გამოიწვია მასში. მას გაუჩნდა სურვილი, დაეწერა სიმართლის ამსახველი ნაწარმოები გლენთა შესახებ, რომელიც თითქოს პოლემიკურად იქნებოდა მიმართული ზოლას ნაწარმოების წინააღმდეგ» (5; გვ. 19).

რეიმონტის ეპოპეის გენეზისის კვლევამ და მასთან დაკავშირებით ზოლას რომანის უფრო კონკრეტულმა განხილვამ მოულოდნელი შედეგი მოგვცა: გაგვიჩნდა ჰიპოთეზა, რომელიც თვით ფრანგი ნატურალისტის რომანის გენეზისს ეხება და რომლის მიხედვითაც ეს რომანი უილიამ შექსპერიის, კერძოდ კი, მისი ტრაგედიის «მეფე ლირი» (1605) მხატვრული გამოცდილების გათვალისწინებით იქმნებოდა.

როგორც ცნობილია, რომანი «მიწა» შედის მრავალტომიან სერიაში «როგონ მაკარი», რომელშიც ოჯახურ და საზოგადოებრივ ურთიერთობათა საკითხების დასმა და გადაწყვეტა განხორციელებულია სხვადასხვა საზოგადოებრივ-ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით. რომანში «მიწა» ნაჩვენებია გლენთა ცხოვრება მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. განავითარა რა გლენობის თემა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფრანგულ ლიტერატურაში, ზოლამ უარი თქვა ჟორჟ სანდის რომანტიკულ ტრადიციაზე, რომლის მიხედვითაც გლენები, როგორც იგი აღნიშნავს, გამოყვანილია მხოლოდ როგორც კეთილი, ბრძენი და კეთილშობილი ადამიანები (იხ. რომანები «ვალენტინა», «სიმონი» და სხვ). მისთვის უფრო ახლობელი იყო ბალზაკის რეალისტური მანერა, - მანერა იმ მწერლისა, რომელსაც იგი ხშირად თავის მასწავლებელს უწოდებდა. რომანში «გლენები» (1844), რომელიც ბალზაკის რეალიზმის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მონაპოვრად



იქცა, ასახულია საკუთრების გავლენა, რომელიც ამახინჯებს გლეხთა სულს, მიწისათვის სასტიკი ბრძოლა, რომელსაც ზნეობრივი საფუძვლების მოშლა და გლეხთა მორალური გადაგვარება მოაქვს. ზოლამ განაგრძო ბალზაკის რეალისტურ ხაზი. მიწის ფლობისადმი ლტოლვა წარმოადგენს მისი რომანის გმირთა არსს, ყველა მათი საქციელის მამოძრავებელ ძალას. ზოლა სასტიკი, უხეშად ნატურალისტური მანერით აღწერს გლეხთა ყოფას, მესაკუთრული ინსტიქტების საშინელ ძალას.

კრიტიკის საერთო აზრით, რომანის ყველაზე ძლიერ ნაწილს წარმოადგენს ტრაგიკული ამბავი მოხუცი ფუანის შესახებ, რომელმაც საკუთარი ნებით გადასცა მიწა შვილებს. რომანის გამოსვლის შემდეგ ფრანსის სარსეიმ რეცენზიაში, რომელიც მან გაზეთი „ლა ფრანს“ 1887 წლის 3 დეკემბრის ნომერში გამოაქვეყნა, მოხუც ფუანს „ახალი მეფე ლირი“ უწოდა, რომლის ცხოვრების აღწერის ცალკეული სცენები „შექსპირისეული ძალით სუნთქავენ“.

რომანი „მიწის“ და ტრაგედია „მეფე ლირის“ ჩვენ მიერ ჩატარებულმა შეპირისპირებითმა ანალიზმა უჩვენა, რომ კავშირი აღნიშნულ ნაწარმოებებს შორის ბევრად უფრო მჭიდროა, ვიდრე ერთ-ერთი სიუჟეტური ხაზის მსგავსება და რომ არსებობს საფუძველი, ვილაპარაკოთ ემილ ზოლაზე შექსპირის გარკვეული გავლენის შესახებ.

ამგვარი ვერსიის წამოყენების საფუძველს უდავოდ იძლევა შექსპირის ფართო პოპულარობა საფრანგეთში, ზოლას მიერ მისი შემოქმედების ცოდნა და ის განსაკუთრებული ადგილი, რომელიც ინგლისელ დრამატურგს უკავია მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში.

მისი რეალიზმის საოცარმა თვისებებმა: ცხოველმა დამოკიდებულებამ ცხოვრების ყველა მოვლენისადმი, მათში ყველაზე არსებითის შემჩნევის, მათი ევოლუციისა და ურთიერთგანპირობებულობის ჩვენების, ადამიანთა ხასიათების მთელი სირთულისა და დინამიკის ასახვის უნარმა ძლიერი გავლენა მოახდინა ისეთ მწერალთა და მოაზროვნეთა შემოქმედებაზე, როგორებიც იყვნენ: ლესინგი, გოეთე, მილერი, ჰიუგო, კარამზინი, პუშკინი, დოსტოვესკი და სხვ.



ცნობილია, რომ ყოველი ეპოქა ამა თუ იმ ნაციონალურ ლიტერატურაში წამოსწევს ხასიათებს, რომლებიც ყველაზე სრულად და ღრმად ასახავენ მის მთავარ შინაარსს. ზოგიერთი მათგანი შესაბამისი აღმოჩნდება სხვა ხალხთა საზოგადოებრივი და ლიტერატურული განვითარების ანალოგიური პირობებისა და ამიტომ ხელსაყრელი ნიადაგი ექმნება მათ გავრცელებას და დამკვიდრებას. მკვლევრები ასეთ ხასიათებს „მოდელებს“ უწოდებენ (3, გვ. 245-265). მაგალითად, შეგვიძლია დავასახელოთ გოეთეს ვერტერი, ტურგენევის ბაზაროვი და, რა თქმა უნდა, შექსპირის მეფე ლირი.

„მამებისა და შვილების“ თემა, რომელიც საფუძვლად უდევს შექსპირის ტრაგედიას, ერწყმის ღრმა ფსიქოლოგიურ მოტივირებას და სოციალურ-ფილოსოფიურ იდეებს. სრულიად დასაშვებია, რომ ზოლა რომანში „მიწა“ დასმული პრობლემების რეალისტური გადაწყვეტის ძიებისას შექსპირის გენიის გარკვეული გავლენის ქვეშ აღმოჩნდა.

პირადი და ოჯახური ურთიერთობები „მეფე ლირში“ საზოგადოებრივი ურთიერთობების ასახვას წარმოადგენენ, ხოლო ადამიანური დრამების ფონად ბუნების ვრცელი სამეფო გვევლინება. ზოლას რომანში ისევე, როგორც შექსპირის ტრაგედიაში, რთული და ტრაგიკული ოჯახური ურთიერთობების მიზეზი ჩიხში მომწყვდეულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში იმალება, პირადი დრამების ფონსაც ბუნების წიაღი წარმოადგენს, რაც განსაკუთრებულ მასშტაბურობას ანიჭებს რომანს.

ჭექა-ქუხილის სახე ორივე ნაწარმოებში დომინირებს, იმ დროს, როდესაც ადამიანები სულიერ მღელვარებას განიცდიან, ბუნება პასუხობს - ირგვლივ საშინელი ჭექა-ქუხილი ბობოქრობს. შექსპირის ტრაგედიაში ქარიშხალი იმთავითვე, ტრაგედიის პირველივე სცენაში იწყება, როდესაც ლირი შეაჩვენებს უმცროს ქალიშვილს და განდევნის მას. მერე, როდესაც მიწისა და ძალაუფლების გაყოფის შემდეგ, ქალიშვილების მიერ უარყოფილი, იგი თვითონ მიდის ტიალ ველზე, ბუნება ჭექა-ქუხილით ეგებება მას. იმის ახსნის საშუალებას, რაც ტრაგედიაში ხდება, იძლევა ერთ-ერთი ცენტრალური გმირის, გლოსტერის, სიტყვები: „ეს უკანასკნელი მზისა და



მთვარის დაბნელება კარგს არას მოასწავებდა. მართალია, ამ მოვლინებას ბუნებისმეტყველება ხან ასე ხსნის, ხან ისე, მაგრამ მაინცდამაინც აშკარაა, რომ კანონნი ბუნებისანი ირღვევიან: სიყვარული გაქრა, მეგობრობა დაემხო, ძმა ძმაზედ აღსდგა, ქალაქებში შფოთია და არეულობა, სოფლებში განხეთქილებაა, მეფეთა სასახლეში ღალატი, მამას და შვილს შუა სწყდება მამაშვილური კავშირი..." (I გვ. 514).

ქაოსის ტრაგედია მოიცვა მთელი საზოგადოება. ადამიანური ბუნება საკუთარი თავის წინააღმდეგ აღსდგა, ბუნებაც აბუნტდა ადამიანის გარშემო.

ოჯახურ ურთიერთობათა შემზარავ სურათს ვხვდებით ზოლას რომანშიც, სადაც არ ზოგავენ არც მამას, არც დას, არც ახალგაზრდობას და არც სიბერეს. სიძულვილი და მტრობა, რომლებსაც რომანის გმირთა გულები აუვსია, შეესაბამებინ ბუნებაში მიმდინარე კატაკლიზმებს. მას შემდეგ, რაც მოხუცმა ფუანმა გადაწყვიტა შვილებისათვის მიეცა მიწა და ფული, ბუნებაში იწყება მღელვარება, რომელიც მის ტრაგედიას მოასწავებს. მოდის წვიმა, შემდეგ იგი საშინელ თქეშში გადაიზრდება, იწყება სეტყვა, რომელსაც განადგურება და სილატაკე მოაქვს. საშინელი ძალის ქარიშხალი გაბოროტებული იჭრება სახლებში მოხუცი მუხას, ლიზასა და ფრანსუაზას მამის, სიკვდილის მომენტში, იგი მრავალრიცხოვან უბედურებებს და გაჭირვებას მოასწავებს, რომლებიც მისი ობლების მუდმივ თანამგზავრებად იქცევიან.

ისევე, როგორც „მეფე ლირში“, „მიწაშიც“ ვხვდავთ ადამიანებს შორის ყოველგვარი ბუნებრივი თუ საზოგადოებრივი კავშირების მოშლას. არც ერთ პერსონაჟს აღარ აინტერესებს საერთო საქმე, ყველა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. შექსპირის გმირები გონიერილია და რევანა ყოველგვარ ტყუილზე მიდიან, მხოლოდ თავისი წილი მიწა და ძალაუფლება მიიღონ. ასევე იქცევიან მოხუცი ფუანის შვილები - ბიუტო, ფანი, იესო ქრისტე. ეგოიზმი, სისასტიკე და მზაკვრობა განსაკუთრებით დამახასიათებელია ბიუტოსათვის, რომელიც კლავს დედას, მამას, ფრანსუაზას. და მხოლოდ დაჩაგრულთ და განკიცხულთ აღმოაჩნდებათ უნარი, შეინარჩუნ-



ნონ სიყვარულისა და ერთგულების ბუნებრივი გრძნობები. ლირმა შექმნა ვენა კორდელისა, მაგრამ შეიტყობს რა მამის უბედურებათა შესახებ, იგი მაინც მის დასახმარებლად მიიჩქარის; მომაკვდავი ფრანსუაზა არ გაცემს თავის მკვლელებს - დას და სიძეს, და სწორედ ამ დას უტოვებს მიწას.

შექსპირის ტრაგედიაში სამყარო ორ ბანაკად არის დაყოფილი. ერთის მხრივ, ძლიერთა და მდიდართა სამყაროა, მეორეს მხრივ კი - განკითხულთა. ამ ორი სამყაროს სურათი ასახავდა შექსპირისდროინდელი საზოგადოების მდგომარეობას. ერთ პოლუსზე არიან ისინი, ვინც მოიგო ბრძოლა სიმდიდრისა და ძალაუფლებისათვის, ხოლო მეორეზე - დამარცხებულნი.

ზოლას რომანშიც სახეზეა საზოგადოების დაყოფა, თუმცა იგი შექსპირისაგან განსხვავებულ პრინციპს ეყარება. ზოლა რომანის პერსონაჟებს ჰყოფს მიწისადმი მათი დამოკიდებულების მიხედვით. ერთი მხრივ, არიან გლეხები, რომლებშიც მიწის ფლობისადმი ლტოლვა ჭარბობს. - მოხუცი ფუანის შვილები, ფრანსუაზას უფროსი და, ლიზა და სხვ. მეორეს მხრივ კი არიან ისინი, ვინც თავისუფალია მიწისკენ ინსტიქტური მიზიდულობისაგან, ვინც შეინარჩუნა მისი სილამაზის აღქმის, მისი ტკობობის გრძნობა. ასეთია ჟან მაკარი, ყოფილი ჯარისკაცი. არიან ისეთებიც, ვინც ზიზღს გრძნობს მიწის მიმართ. ესენია: ურდეკენის ვაჟი, ბატონი შარლის ქალიშვილი და შვილიშვილი.

შექსპირისა და ზოლას ნაწარომებებში ასახული მოვლენები არ შემოიფარგლება მხოლოდ ოჯახური და საზოგადოებრივი დრამით. ნაწარმობების ბოლოს კონფლიქტი ქვეყნის საზღვრებს გარეთ გადაინაცვლებს. შექსპირის ტრაგედიაში საფრანგეთი საომრად მოიწვევს ბრიტანეთისკენ, ზოლას რომანში კი იწყება საფრანგეთ-პრუსიის ომი. ამ ომში ჟან მაკარის წასვლით მთავრდება სწორედ თხრობა ზოლას რომანში.

ჩვენ მიერ ჩატარებული შეპირისპირება მხოლოდ საკითხის დასმას წარმოადგენს. იგი ზოლას რომანის «მიწის» გენეზისს შეეხება. ჩვენ არ გვქონდა პრეტენზია მისი ამომწურავი კვლევისა, მხოლოდ გესურდა



კიდევ ერთხელ, ახალ მასალაზე დაყრდნობით, გვეჩვენებინა ნაციონალური ლიტერატურების შედარებითი შესწავლის აქტუალობა, მისი ადგილი მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში.

Вера Оцхели

К ВОПРОСУ ГЕНЕЗИСА РОМАНА ЭМИЛЯ
ЗОЛЯ "ЗЕМЛЯ"

РЕЗЮМЕ

Одной из важнейших областей литературоведческой науки является сравнительное изучение славянских литератур в контексте литератур европейских. Исследования такого типа способствуют, с одной стороны, выявлению существенных закономерностей мирового литературного развития, с другой, проявило достижений как славянской, так западноевропейской литературы и, наконец, помогают новому прочтению отдельных произведений и образов в литературах, входящих как в славянский, так и в западноевропейский регион. Так, изучения истории создания романа-эпопеи польского писателя Владислава Станислава Реймонта "Мужики" (1904-1909) вызвало к жизни другой важный вопрос, касающийся генезиса романа французского натуралиста Эмиля Золя - "Земля" (1887).

ლიტერატურა:

1. შექსპირი უ., ტრაგედიები, II ტ., თბილისი, 1954
2. Конрад Н.И., Запад и Восток., М., 1972. С. 303
3. Конрад Н.И., Запад и Восток., С. 245-265

4. Крейчи К., Значение факта и документа в сравнительном литературоведении \ \ В сб. Чешско-русские и словацко-русские литературные отношения, М., 1968., С. 62
5. Feidman W. Wspolczesna Literatura polska 1864-1918 T. 1., Krakow, 1985. S. 220.
6. Lichauiski S., Chtopi W.t. St. Reymonta. Warszawa, 1987, S. 19
7. Mankowska J., Chtopi Reymonta \ \ Rocznik Literacki, 1917, S280.

რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

ნაწილი სიმბოლო

გვარის აღმნიშვნელი ტერმინების განვითარება რუსულ ენაში

ნებისმიერი ენის ლექსიკის შევსების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ნასესხები სიტყვები: „Русский язык неисчерпаемо богат и все обогащается с быстротой поражающей“ - გორკის ეს სიტყვები ისევ აქტუალურად მიგვაჩნია XX საუკუნის ბოლო ოცწლეულის რუსული ენის ლექსიკური შემადგენლობის მიმართ. დიდმა სოციალურმა ძვრებმა, ახალი მოვლენების გაჩენამ საზოგადოების ცხოვრებაში, ბუნებრივია, ხელი შეუწყო ახალი გამოთქმებისა და შესიტყვებების გაჩენას. ეს ყველაფერი ჩვენი დროის დამახასიათებელი ნიშნებია. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნასესხებ სიტყვებს, რომლებიც ფართო ნაკადად შემოდის თანამედროვე რუსული ენის ლექსიკაში. უცხო სიტყვების პირველი ტალღის შემოსვლა, ი. სოროკინის გამოკვლევების თანახმად, უკავშირდება პეტრე I-ის ეპოქას (იგულისხმება საერო დოკუმენტაციისა და საქმიანობის ენა) (4, გვ. 106). ი. სოროკინის მონაცემებით, ნასესხები სიტყვები შეადგენს იმდროინადელი ნეოლოგიზმების ერთ მესამედზე მეტს, რაც დაახლოებით 2000 ნასესხებ ლექსიკურ ბუნდეს წარმოადგენდა. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ხელნაწერი ლექსიკონი, რომლის პირველი ასოების რედაქტირებას ახდენდა თვით პეტრე I, შეიცავდა 503 უცხოურ სიტყვას, რომლებიც აღნიშნავდნენ პეტრე პირველის ეპოქის სახელმწიფოებრივი, ადმინისტრაციული, სამხედრო და სხვა წყობის ახალ რეალიებსა და ცნებებს (4, გვ. 363-382). ზუსტად ამ დროს, კერძოდ, კი 1703 წელს (მ. ფასმერის მონაცემებით), რუსულ ენაში გაჩნდა სიტყვა „фамилия“. ეს სიტყვა გადმოვიდა ევროპულ ენებში ლათინურიდან, სადაც მას გააჩნდა მნიშვნელობა: „ოჯახი (მისი მსახურებით); ნათესაობა“, რუსულში კი შემოვიდა შუამავალი ენის მეშვეობით, რომელიც შეიძლება ყოფილიყო პოლონური (familia „გვარი, ოჯახი“) გერმანული (familie „ოჯახი“) ან ფრანგული (famille „ოჯახი, ნათესაობა; გვარი“) ენები.



თავდაპირველად რუსულ ენაში სიტყვა "фамилия" გამოიყენებოდა მნიშვნელობით: «ოჯახი; გვარი». ამ მნიშვნელობით დაფიქსირებულია აგრეთვე პეტრე I მეფობის დროინდელ საკანონმდებლო აქტებში. მაგალითად, ბრძანებულებაში «О порядке наследования в движимых и недвижимых имуществах» (1714), რომელმაც დააწესა რუსეთის სახელმწიფოში მემკვიდრეობის ისეთი სისტემა, რომლის მიხედვით უძრავი ქონება განუყოფლად მემკვიდრეობით გადადიოდა უფროსობის წესით გვარში ან ოჯახში. იქ ვკითხულობთ:

"Понеже разделением имений после отцов детям недвижимых великий есть вред в государстве нашем, как интересам государственным, так и подданным самим фамилиям падение (5).

ადამიანის მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდების აღნიშვნისათვის ამ ეპოქაში გამოიყენებოდა სიტყვები «прозвище» და «прозвание», რომლებისთვისაც ეს მნიშვნელობა იყო მთავარი და ჩამოყალიბდა უფრო ადრინდელ პერიოდში. მაგალითად, ძველი რუსული ლიტერატურის ერთ-ერთ ძეგლში ვკითხულობთ:

"Некто был победоносец, беды и напасти многие на него приходили и пожары, и поклепы всякие, зовомый именем Василий, странник, родом плесенин, житием казанец бых, прозвищем Гагара" ("Хождение Василия Гагары в Иерусалим и Египет"- 1634).

ამ მნიშვნელობით ხდება აღნიშნული სიტყვების სპეციალიზაცია იურიდიულ ტექსტებშიც. ამრიგად, ბრძანებულებაში, «О порядке наследования в движимых и недвижимых имуществах».

აღინიშნება, რომ გვარის უკანასკნელ წარმომადგენელს შეუძლია გამოაცხადოს მემკვიდრედ თავისი გვარის ერთ-ერთი ქალი იმ პირობით, რომ მისმა ქმარმა და ქმრის მემკვიდრეებმაც სამუდამოდ მიიღონ მისი გვარი:

"Помянутой последней оной фамилии повинен все недвижимые вещи, которые ему по наследству пришли отдать в наследие из оных, кому похочет, замужней, вдове или девице; однокож с таким изяснением что мух замужней повинен принять прозвище того, от кого получит недвижимое (оставя свое), он и его наследники, а девице или вдове не посягать за такого, которой не примет прозвания" (5, ტ. 4, გვ. 297).



სიტყვა "фамилия" -ს სემანტიკის ისტორიული განვითარების შედეგად მას მიეცა გადატანითი მნიშვნელობები. ის გახდა ადამიანის გვარის აღმნიშვნელი სიტყვა, ზოგ შემთხვევაში კი გამოიყენებოდა ცოლის ზედმეტად თავაზიან სახელწოდებად, ეს ბოლო მნიშვნელობა არ დამკვიდრდა რუსულ ენაში.

ცნობილი რუსი პოეტის პ. ვიაზემსკის (1792-1878) ჩანაწერებში აღწერილია XIX საუკუნის ანეკდოტი, რომლის «მარილს» წარმოდგენდა სიტყვა "фамилия" -ს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობების ერთმანეთში არევის შედეგად გამოწვეული გაუგებრობა:

"В каком-то губернском городе дворянство представлялось императору Александру в одно из многочисленных путешествий его по России. Не расслышав порядочно имени одного из представлявшихся дворян, обратился к нему: "Позвольте спросить, ваша фамилия?" - "Осталась в деревне ваше величество, - отвечает он, -но если прикажете сейчас пошлю за нею".

ამ გზითვე მიმდინარეობდა სიტყვა "прозвище" -ს სემანტიკური განვითარება. ვ. დალი თავის ლექსიკონში მიუთითებ და მის ორ მნიშვნელობას: პირდაპირი მნიშვნელობით აღნიშნავდა ადამიანის მეკვიდრეობით საოჯახო სახელწოდებას, ანუ გვარს, გადატანითი მნიშვნელობით კი მეტსახელს, რომელიც ეძლეოდა ადამიანს ხუმრობით ან სხვა რომელიმე მიზეზის გამო.

ანალოგიური გადატანითი მნიშვნელობა განუვითარდა სიტყვა "прозвище" -ს, რომლის ისტორიული განვითარება მიმდინარეობდა ამ სიტყვის მრავალმნიშვნელოვანობის დაკარგვის გზით. თანამედროვე რუსული ენის ლექსიკონებში ის წარმოდგენილია ერთმნიშვნელოვან სიტყვად, სახელდობრ: აღნიშნავს ადამიანის მეტსახელს, ზედმეტ სახელს, შერქმეულ სახელს, რომელიც ეძლევა მას ხუმრობით, დაცინვით და ა.შ. მაშასადამე, სიტყვა "прозвище" დამკვიდრდა რუსულ ენაში თავისი გადატანითი მნიშვნელობით, პირვანდელი პირდაპირი მნიშვნელობა კი დაკარგა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე უკრაინულ ენაში არის სიტყვა "прізвище", რომელსაც გააჩნია ადამიანის გვარის აღმნიშვნელი მნიშვნელობა იმ დროს, როცა სიტყვა "фамілія" აღნიშნავს გვარეულობას, მოდგმას.



მასასადამე, სიტყვების "фамилия" და "прозвание" თანამედროვე მნიშვნელობა ჩამოყალიბდა სემანტიკური "გადანაწილების" შედეგად: მათი გადატანითი მნიშვნელობა აღიქმება თანამედროვე რუსულში როგორც ძირითადი. სიტყვა "фамилия"-ს თავდაპირველმა პირდაპირმა მნიშვნელობამ მიიღო მეორადი, გადატანითი მნიშვნელობის სახე, სიტყვა "прозвание"-ს თავდაპირველი მნიშვნელობა კი აღინიშნება ლექსიკონებში, როგორც მოძველებული.

Сичинава Нелли Гарриевна
О РАЗВИТИИ СЛОВ, ОБОЗНАЧАЮЩИХ В РУССКОМ
ЯЗЫКЕ ФАМИЛИЮ

В работе Н. Сичинава рассматривается история слов, употреблявшихся в русском языке для обозначения наследственного семейного наименования человека, показывается, как в результате семантического переразложения сформировалось современное значение слова "фамилия".

ლიტერატურა:

1. Даль В., Толковый словарь живого великорусского языка, М., 1955
2. Новые слова и словари новых слов - Л., 1978
3. Российское законодательство XIX веков. В девяти томах - М., 1984
4. Сорокин Ю.С., Развитие словарного состава русского литературного языка 30-е-90-е годы XIX века - М. Л., 1965
5. Фасмер М., Этимологический словарь русского языка, Л., 1987

რუსული ენის კათედრა



ბახაბერ სურგულაძე

კმისარიზმი

ძვ. წ. 49-45 წლების სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, რომის უზარმაზარი სახელმწიფოს, რომელიც ერთდროულად მოიცავდა ევროპა-აზია-აფრიკასაც, სათავეში ედგა ერთპიროვნული და შეუზღუდავი ძალაუფლებით აღჭურვილი გაიუს იულიუს კეისარი (100-43 წწ.), მას უკვე შეეძლო ეთქვა: „მსოფლიო ეს მე ვარ!“.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, „მორჩილმა სენატმა“ კეისარს ნება დართო, ძველ მეფეთა მსგავსად ეტარებინა მაღალყელიანი წითელი ჩექმები, ასევე წითელი მოსასხამი, თავზე დაფნის გვირგვინი. მისი გამარჯვების დღეები გამოაცხადეს საღმრთო საღმრთო თარიღებად, დაიდგა ახალი ქანდაკებები, სახელმწიფოს ხარჯით პალატიუმზე უნდა აეგოთ სასახლე. კეისარს კიდევ ერთხელ მიანიჭეს 10 წლით დიქტატორობა და ცენზორობა, ერთდროულად 5 წლის ვადით- კონსულობაც, დართეს მესუთე ტრიუმფის გადახდის ნება და სხვ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კეისარს უკვე ჰქონდა: 48 წლიდან ტრიბუნის ხელისუფლება, ხოლო 63 წლიდან არჩეული იყო ქურუმთუხუცესად, გააჩნდა ომის გამოცხადებისა და ზავის გაფორმების უფლება, შეეძლო მაგისტრატურებში სასურველი კანდიდატურების წარდგენა, რაც მთავარია, სახელმწიფო ხაზინის სურვილისამებრ განკარგვა და ა.შ., მაშინ ცხადი გახდება, რომში დასრულდა ე.წ. არისტოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი და დაიწყო მმართველობის ახალი ფორმა - კეისრის ერთპიროვნული სამხედრო დიქტატურა, იგივე კეისარიზმი, რომელიც გულისხმობდა ქვეყანაში მეფობაზე, მონარქიაზე გადასვლას.

პლუტარქე, რომელიც კარგად ხედავდა რომის ხელისუფლებაში მომხდარ ძვრებს, სწორად შენიშნავდა: „სიცოცხლის მანძილზე დიქტატორად“ გა-

მოცხადებით კეისარი მონარქად აღიარეს, ხოლო «სამუდამო
ლებასთან შეერთებული ეს შეუზღუდავი მონარქია, უკვე აშკარა ტირანია
იყო». თუ ადრინდელი პატივ-უფლებები «ადამიანის დიდების ფარგლებში
ეტეოდა», ახლა «საგანგებო რწმუნებათა მინიჭებით» კეისარი «აუტანელი
და საძულველი გახადეს ყველაზე თვინიერ მოქალაქეებისათვისაც». პლუ-
ტარქე აქ საერთოდ გამორიცხავს თავად კეისრის დაინტერესებას. წერდა
«სამოქალაქო ომების დამთავრების შემდეგ, კეისარს თავი ისე ეჭირა, რომ
მისი დაძრავება არ შეიძლებოდა». ასე რომ მის აღჭურვას ერთპიროვნული
ხელისუფლების საგანგებო რწმუნებაში, პლუტარქე მიიჩნევს პირადი
მტრებისა და მლიქვნელების დამსახურებად, რომ, «რაც შეიძლება მეტი
საბაბი ჰქონოდათ მის წინააღმდეგ და მერმე დიდ-დიდი ბრალდებებით
დასპმოდნენ თავს» (პლუტ., კეისარი 57).

საინტერესოა, რომ სამოქალაქო ომებით უკიდურესად შეწუხებული
რომაელები ინდიფერენტულად განეწყვნენ თვით რესპუბლიკის ბედისადმი.
იგივე პლუტარქეს შენიშვნით: «გონიერი ხალხი ერთადერთ საუკეთესო
გამოსავალს იმაშილა ხედავდა, თუ სახელმწიფოში მონარქია მანც
დამყარდებოდა...» (პლუტ., კეისარი, 60).

საგულისხმოა, რომ პლუტარქე საერთოდ ვერ ხედავს კეისრის მისწრა-
ფებას მონარქიისაკენ, არადა ფაქტები სწორედ საწინააღმდეგოზე მიუთი-
თებენ. ერთხელ თავად კეისარს როგორღაც უთქვამს: «რესპუბლიკა -
არაფერია, ცარიელი სახელია, სხეულისა და სახის გარეშე» (სვეტონიუსი,
ღვთაებრივი იულიუსი, 77). ამის მიუხედავად იგი ფრთხილად მოქმე-
დებდა - კარვად იცოდა, რომში მეფე (rex), გაიგივებული იყო ტირანიას-
თან. ამიტომ ისე იქცეოდა, თითქოს მონარქიის აზრს არევედა საზოგა-
დობას. აი, ფაქტებიც: 44 წლის იანვარში მის ქანდაკებას მეფის ოქროს
დიადემა მოახურეს, მაშინ ბრბოდან რომელიღაც მეტიჩარა მიესალმა
კეისარს როგორც მეფეს, იმდენად უხერხული სიტუაცია შეიქმნა, რომ
დიქტატორმა მაშინვე შეუსწორა, იგი მეფე კი არა, კეისარია. იმავე წლის
15 თებერვალს ლუპერკალიების (მწყემსთა) დღესასწაულზე მრავალრიცხოვა-
ნი ხალხის თანდასწრებით მარკუს ანტონიუსმა კეისარი მეფის გვირგვი-

ნით შეამკო. გაისმა (ალბათ წინასწარ გაფრთხილებულთა) უფერული ტაში. ამჯერად კეისარს ეყო ზომიერება და გვირგვინი მოიხადა. ამაზე ხალხმა მიქუსარე ტაშით უპასუხა. როდესაც ანტონიუსმა კვლავ მოინდომა კეისრის შემკობა, მან არ მიიღო და ბრძანა გვირგვინის წაღება ტაძარში, კაპიტოლიუმზე, სიტყვებით: «რომში ერთი მეფეა - იუპიტესი».

ამის მიუხედავად, რომაელებმა მალე ისევ იხილეს «სამეფო გვირგვინით მოკაზმული კეისრის ქანდაკებები». მაშინ სახალხო ტრიბუნებმა ფლავიუსმა და მარულუსმა ამ ქანდაკებებს სამეფო «მოკაზმულობანი დახსნეს», ხოლო ის პირები «ვინც ტრიუმფატორს მეფესავით მიესალმნენ» დაძინეს და საპყრობილეში წაიყვანეს. საგულისხმოა, რომ მათ ეს მოქმედება ძვირად დაუჯდათ. კეისრის ბრძანებით, ტრიბუნებს წოდების ღირსებები აკყარეს. ასე რომ, პლუტარქეს მიხედვითაც კარგად ჩანს, თუ როგორ ამზადებდა თვით კეისარი საზოგადოებრივ აზრს მონარქიის სასარგებლოდ.

უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით უკანასკნელ (ესპანეთის) ომში გამარჯვების შემდეგ, არაერთხელ გაისმა კრიტიკული ხმები კეისრის მიმართ. ჩანს, სწორედ ერთპიროვნული ხელისუფლებისაკენ სწრაფვის გამო. ამ მდგომარეობას უნდა გამოხატავდეს პლუტარქეს სიტყვებიც: «არაფერს არ მოუტანია ისეთი მიძიმე მწუხარება, როგორიც ამ (მუნდასთან კს.) ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად გამართულმა ტრიუმფმა. კეისარმა უცხო სახელმწიფოთა წინამძღოლები ან ბარბაროსთა მეფეები კი არ დაამარცხა, არამედ რომაელთა შორის ფრიად გავლენიანი, მაგრამ შემთხვევის წყალობით გაუბედურებული კაცის შვილები დახოცა... კეისრის ღირსებას ოდნავადაც არ შეეფერებოდა ის, რომ საკუთარი სამშობლოს უბედურებას ზემოძობდა... რომაელთა წყრომას კიდევ მეტად აღიზიანებდა ისიც, რომ უწინ... ასეთი გამარჯვების სახელისა ერცხვინებოდა» (პლუტ., კეისარი, 56). მაშასადამე, ადრე ერცხვინებოდა, მაგრამ გამარჯვებებმა, როგორც ჩანს, კეისარსაც დააკარგვინეს გონივრულად განსჯის უნარი.

ასეთ ვითარებაში მმართველობის ახალი ფორმის-კეისარიზმის ჩამოყალიბებას აღარაფერი აბრკოლებდა. ეს კი უწინარესად მოასწავებდა სამხედრო დიქტატურაზე გადასვლას. ამ უკანასკნელისათვის დამახასია-



თებელია ლავირება ერთმანეთთან მებრძოლ სოციალურ დაჯგუფებებს შორის. საერთოდ, კეისრის სოციალური ბაზა არ იყო მტკიცე ან ერთიანი სხვადასხვა მომხრეების (მონათმფლობელები, დემოკრატიული ბანაკი) ინტერესთა წინააღმდეგობის გამო. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა არმიამ. კეისარმა მასზე დაყრდნობით მიაღწია სახელს, დიდებას და სიმდიდრეს, მიიღო განუსაზღვრელი ხელისუფლებაც. არმიის როლის ასეთი ამაღლება, თავის მხრივ, იყო შედეგი იმ სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნებისა, რასაც სათავე დაუდეს მარიუსმა და სულამ. ასე, რომ კეისრის მმართველობა არსით იყო სამხედრო დიქტატურა, რომელიც საბოლოო ჯამში მიზნად ისახავდა მსხვილ მონათმფლობელთა კლასობრივი ინტერესების დაცვას არა მარტო რომსა და იტალიაში, არამედ ელინიზებულ მთელ ხმელთაშუა ზღვის სამყაროში.

ცვლილებებმა ქვეყნის მმართველობის ფორმაში დააჩქარეს რესპუბლიკური ეპოქის თანამდებობა-ტიტულების ევოლუციაც. ამ მხრივ უპირველესად აღსანიშნავია იმპერატორის ტიტულის შინაარსის შეცვლა-გაფართოება. სციპიონ აფრიკელის (185-129 წწ) დროიდან იგი იყო დროებითი და ეძლეოდა მთავარსარდალს რომელიმე დიდ ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად, მით უფრო თუ კი შეტაკებისას მოწინააღმდეგის 5 ათასი ჯარისკაცი დაიღუპებოდა (ლაშქრობის დამთავრების შემდეგ მხედართმთავარი ამ ტიტულს იხსნიდა). კეისარად კი იგი იქცა მუდმივად, ამასთან შეიძლებოდა მემკვიდრეობით გადაცემაც, რაც კარგად შეესატყვისებოდა მის მონარქისტულ მისწრაფებას. თ. მომზენის სიტყვით, ეს არსებობდა იყო მეფობის აღდგენა. თუმცა კეისარი თავად ტერმინს „მეფეს“ არ იყენებდა, მას გაუზბოდა (История Рима, Ростов на-Дону, 1997, с. 385). რა თქმა უნდა, ეს ვითარებას ვერ ცვლის, რაც კარგადაა შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში. ნ. მაშკინი რამდენადმე კი აცნინებს მოხდარ ფაქტს და თვლის, რომ აქ მხოლოდ კომპეტენციის შეცვლასთან გვაქვს საქმეო (Принципат Августа, М.-Л., 1949, с. 64-66), მაგრამ სწორედ კომპეტენციის გაზრდა, ჩვენი აზრით, უკვე აშკარა მეფობა იყო. იმპერატორი არა მარტო სამხედრო ხელისუფალია ომის დროს, არამედ მუდმივობისა

და მემკვიდრეობის საფუძველზე ასეთივე უზენაესი ფუნქციისა და დობიანობის ჟამსაც. მაშასადამე, სახეზეა კეისრის აშკარა ერთპიროვნული ხელისუფლება, მისი მეფობა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, დღეს თუ არა ხვალ, იგი პრაქტიკაში ამ ხელისუფლების შესატყვის ტერმინსაც დაამკვიდრებდა.

კეისრის ხელისუფლების საკითხის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა: ერთნი მას დემოკრატიულ მონარქიად თვლიან (მ. მომზენი), სხვები კი ცდას, დაამყაროს ელინისტური ანდა აღმოაგლური ტიპის მონარქია, თუმცა რ. საიმის აზრით, კეისრის პოლიტიკურ მიზნებს განსაზღვრავდა სამოქალაქო ომის შედეგების ლიკვიდაცია. ამიტომ მისი ავტოკრატიზმი მნიშვნელოვნად იყოს იძულებითი (Roman revolution, Oxford, 1939. p. 37). რ. ვიპერის სიტყვით, მოღვაწეობის დასაწყისში კეისარი გამოდიოდა როგორც «რომის დემოკრატიული ოპოზიციის მოკავშირე. მაგრამ შემდეგ თანდათან დაშორდა ამ დასს და გახდა «სამხედრო იმპერიალიზმის» წარმომადგენელი, ჯარის ბელადი, «აბსოლუტური მონარქი». ასეთი მეტამორფოზა, მისი აზრით, იყო შედეგი კეისრის მიერ ეგვიპტე-სირიის მონარქიული ცხოვრების გაცნობისა (Очерки истории римской империи, М., 1908, с. 306-310). ს. უტჩინკოც მიიჩნევს, რომ კეისარი არსებით ცვლილებებს კი არ ესწრაფოდა, არამედ მიზნად ისახავდა მონარქიის მეშვეობით მწვავე პრობლემების მოგვარებას. ამიტომ მისი მონარქია არ იყო არც აღმოსავლური, არც ელინისტური, მით უმეტეს არც დემოკრატიული (Юлий Цезарь, М., 1976, с. 38-39).

არსებითად კეისრის მონარქია აღმოცენდა წმინდა რომაულ საფუძველზე და გამომდინარეობდა ერთპიროვნული ხელისუფლებიდან. იგი აგებული იყო რომის მაგისტრატურების კომბინაციის საფუძველზე, რომელსაც ემატებოდა კულტის ელემენტები. მაშ, ამიტომ, კეისრის დიქტატურა იყო ავტორიტარული ხელისუფლების შემდგომი განვითარება და ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა ხარისხობრივად განსხვავებული, მაგრამ ტიპიურად რომაული მონარქია, რომელსაც ჰქონდა დუალიზმის ელემენტები.

Kakhaber Surguladze CAESARISM

Summary

The article concerns the asseance of caesarism - political regime established by Caesar in 49-45 B.C. - by the end of the civil war.

According to written sources and scientific literature the author considers Caesar's authority to be built on combination of Roman magistrates together with the elements of eastern worship. It was the typical Roman monarchy with dual elements.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ტარიელ ფუტყარაძე

ჰ||ჟ და ი||ღ ბგერები ქართულში

საერთოქართველურში და არქაულ ქართულში გვექონდა ჟ სო-
ნანტი, რომელიც რეალიზდებოდა ჟ, ჯ და უ ვარიანტებით (თ. გამყრე-
ლიძე, 1989, გვ.126)

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, უკვე ძველი ქართული
წერილობითი ძეგლების მიხედვით წარმოდგენილი დისტრიბუციული
თავისებურებანი აჩვენებენ, რომ, ერთი მხრივ, ჯ და ჟ, ხოლო, მეორე
მხრივ, ჰ||ჟ და უ ბგერები დამოუკიდებელ ფონემებად შეიძლება ჩაით-
ვალოს (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ.41...).

პირველ რიგში აღვნიშნავთ: ის ფაქტი, რომ ჯ და ჟ სეგმენტები
ერთნაირად დასაშვებია C_N - v და c-c პოზიციებში (სხვა შემთხვევებში
ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ-თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965,
გვ.41) და ჰ||ჟ მონაცვლეობა ერთ კონკრეტულ ფორმაში არც სტრუქ-
ტურულ, არც სემანტიკურ სხვაობას არ იწვევს, არ მიუთითებს მათი
დაპირისპირების ფონემატურ ხასიათზე.

საანალიზო მასალა აჩვენებს, რომ წერილობითი ძეგლების მიხედ-
ვით ალოფონთა ზუსტი დისტრიბუციის დადგენა ძნელია; ვფიქრობთ,
თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიერ მოხმობილი (და საერთოდ,
ტექსტებში არაიშვიათად დადასტურებული) ჰ-ყავ-ს-იყენეს|იყუნეს ტიპის
ფორმებში ჰ||ჟ მონაცვლეობა მაშინდელი ბუნებრივი მეტყველების ასახვა
უფროა, ვიდრე ადრეული ვითარების გადმონაშთი; ტანჯ-ავ-ს და ტანჯ-
ვ-ა ტიპის მიმართებაშიც სავარაუდოა, რომ ძველ ქართულშიც ჟ
გვექონდა, შდრ., თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი ამგვარ მონაც-
ვლეობას უნიფიკაციის ტენდენციით ხსნიან (გვ.42); ხოლო თ. უთურ-
გაიძე ამ მოვლენას «ორთოგრაფიული კონსერვატიზმით» მოიხსენიებს
(თ. უთურგაიძე, 1966, გვ.100). აქვე, ჯ და ჟ ძველ ქართულში ალოფო-
ნებადაა ჩათვლილი (ვ-ს და ჟ-ს დამოუკიდებელ ფონემებად თვლიან:
აკ. შანიძე, ჰ. ფოგტი, ფ. ერთელიშვილი... ამის შესახებ იხ. თ.უთურგა-
იძე, 1966).



ჩვენი აზრით, არა მხოლოდ ძველ ქართულში, არამედ თანამედროვე ქართულის ყველა ქვესისტემაში (და მთლიანად, ქართველურ დიალექტებში) წყვილბაგისმიერი უ და კბილბაგისმიერი (სპირანტული) ვ ალოფონებია.

შენიშვნა: ზ. სარჯველაძის ვარაუდით, ძველ ქართულშივე "ზოგ დიალექტში" არ არსებობდა ფონემატური დაპირისპირება ვ-სა და უ-ს შორის, ხოლო IX საუკუნიდან გვხვდება როგორც უ-ს ვ-თი, ისე ვ-ს უ-თი შენაცვლების ფაქტები (ზ. სარჯველაძე, 1997, გვ.17), აქვე აღვნიშნავთ: ძველი ქართულის მო-ვალ-მო-ხუალ ფორმებში ვ||უ-მონაცვლეობა გვაქვს თუ უ||უ მონაცვლეობა, ცალკე კვლევის საგანია; ჩვენი ვარაუდით, უფრო ეს უკანასკნელი უნდა გვქონდეს...

მკვეთრად გამოსატული წყვილბაგისმიერი უ დადასტურებულია არა მხოლოდ ქართული ენის დიალექტთა უმეტესობაში (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ.80), არამედ სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით მოლაპარაკე ქართველისთვისაც ბუნებრივია ვ-ს ნაცვლად უ-ს წარმოთქმა; წინასწარვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი დაკვირვებით, თანამედროვე ქართველი უფრო ხშირად იყენებს უ ბგერას, ვიდრე ვ-ს.

საკითხის ისტორიიდან საინტერესოა გ. როგავას დაკვირვება: ვ სპირანტი ქართულში არსებითად წყვილბაგისმიერია და მისი გათანაბრება რუსული ენის B სპირანტთან არასწორია (გ. როგავა, 1962, გვ.115). სხვა სტატიაში ავტორი თვლის, რომ ძველი ქართულის "ვ" თანამედროვე ქართულში შეიცვალა უ -თი (გ. როგავა, 1958, გვ.121)... შდრ., ფ. ერთელიშვილი, რომლის მიხედვითაც ძველი ქართულის უმარცვლო უ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ყველგან ვ თანხმოვნით არის შეცვლილი; უმარცვლო უ-მ ვ მოგვცა (ფ. ერთელიშვილი, 1963, გვ.58)...

აქვე აღვნიშნავთ, რომ რ. ჰ. რობინსისა და ნატალი ვატერსონის მიხედვით, ვ (V) წყვილბაგისმიერი ბგერაა (რ. რობინსი, ნატალი ვატერსონი, 1969, გვ.148). შდრ.: ს. ჟენტი, 1956, გვ.158; აკ. შანიძე, 1953, გვ.13; ჰ. ფოგტი, 1961, გვ.9-10... ქართულსა და ზანურში ვ||უ მიმართების შესახებ იხ. აგრეთვე: არნ. ჩიქობავა 19379 გვ.45; გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 88; ა. ჭინჭარაული, 1960, გვ.19-22; ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 248; ავთ. არაბული, 1991, გვ.104; ვ. კუ-

ზიზაბაშვილი, 1992... არნ. ჩიქობავა, 1935, გვ. 14; ნ. იმნაძე, 1974, გვ.63; რ. შეროზია, 1996, გვ. 37; შდრ., ნ. კიზირია, 1980, გვ.24-28 და ნ. იმნაძე, 1969, გვ. 69-71...

აქვე სამსჯელოა კიდევ ერთი საკითხი: ვ სონორია თუ სპირანტი? ქართული ენის მკვლევართა ერთი ნაწილი ვ-ს (გულისხმობენ აგრეთვე მის უ ვარიანტსაც) სპირანტებში განიხილავენ; მაგ., ჰ. ფოგტი სონორებად თვლის მხოლოდ მ, ნ, რ, ლ ბგერებს, ვ-ს კი სპირანტებში განიხილავს; (იხ., აგრეთვე, შ. გაფრინდაშვილი, 1966; ს. ჟღერტი, 1956; ბ. ჯორბენაძე, 1998 და სხვ.) თუმცა, სინტაგმატური ანალიზის დროს ვ სონორთა რიგში შეაქვს... (ჰ. ფოგტი, 1961, გვ.9)... ამ წინააღმდეგობაზე მიუთითა თ. უთურგაიძემ და, დისტრიბუციიდან გამომდინარე, ვ სონორთა რიგში შეიყვანა (თ. უთურგაიძე, 1976, გვ.64)... ვ-ს სონორად თვლის ზ. ჯაფარიძე (1980, გვ. 82)... წარმოდგენილი საკითხი უკავშირდება აგრეთვე მზარდი სონორობის თუ მზარდი ნაპრალოვნობის საკითხს... ექსპერიმენტის საფუძველზე დაწვრილებითი მსჯელობა ჩვენ სხვაგან გვექნება, აქ მხოლოდ აღვნიშნავთ: ვინაიდან, χ და ψ ბგერები მონაცვლეობენ მარცვლოვან ვარიანტებთან, ბუნებრივია, რომ სმოვანთა შემდეგ ნაპრალოვნობისა თუ ხმასავსეობის მიხედვით χ და ψ ყველა სხვა თანხმოვანზე წინ დავაყენოთ; რიგში მომდევნო ადგილს სონორები (რ, ლ, მ, ნ) დაიჭერენ, შემდეგ კი, სპირანტები (ღ, ხ, ყ, ძ, ზ, ს); შდრ., გ. ნებიერიძე, 1974, გვ.4; სადაც ვ ხან განხილულია როგორც ბილაბიალური სონორი, ხანაც როგორც ფრიკატივი; ამ პოზიციის კრიტიკისათვის იხ. თ. უთურგაიძე, 1974; შდრ., აგრეთვე თ. უთურგაიძე, 1976, გვ.102... თუ გავითვალისწინებთ დისტრიბუციულ სურათსაც და იმასაც, რომ ქართულში ვ-ს ყრუ ვარიანტი არა აქვს (იშვიათად გამოვლენილი ϕ ზოგად სურათს ვერ ცვლის), უნდა დავუშვათ, რომ სპირანტად ჩათვლილი ვ ძირითადად გამოვლენილია, როგორც სონორი ბგერა; აქვე არ გამოვრიცხავთ, რომ სონანტის უმარცვლო ალოფონს ზოგ ქვესისტემაში შეიძლება გაუჩნდეს სპირანტი ვარიანტიც ($\psi \rightarrow \chi$); ვ-ს გამოვლენა, რიგ შემთხვევებში, შეპირობებულია დენტალურ ბგერებთან წინსწრებით, ხოლო, რიგ შემთხვევაში, უნდა აიხსნას სამეტყველო კოდების შერევით (დაწვრილებით იხ., ტ. ფუტკარაძე 1998; შდრ., ს. ჟღერტი, 1956, გვ.158, რომელიც



რენტგენოგრაფიული მონაცემებით ასკვნის, რომ სალიტერატურო ქართულ-
თულის ვ კბილბაგისმიერია, დიალექტებში კი წყვილბაგისმიერია იმა-
ვე პოზიციაში...).

თანამედროვე ქართული ენის ქვესისტემებში მეტყველების ნაკადში „ვ“ გვაქვს, „უ“ თუ ორივე (გარკვეულ პოზიციებში), შეიძლება დავადგინოთ მოსმენით სპეციალური დაკვირვების შემთხვევაში; ასევე, გარკვეული ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს მეტყველების რენტგენოგრაფიულმა შესწავლამ და სპექტრულმა ანალიზმა.

ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩავატარეთ შემდეგი ექსპერიმენტი: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, მესხეთში, კახეთსა და სამეგრელოში ჩაწერილი აუდიოკასეტები რამდენჯერმე გადაიწერა რვეულში სხვადასხვა სპეციალისტის მიერ (ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ: ე. დადიანი, ლ. ლომთაძე, ნ. ნაკანი, დ. ფირცხელანი, ლ. ხაჭაპურიძე). ვინაიდან სვანურში კბილბაგისმიერი ვ არა გვაქვს, უ-ს აღქმა სვანისთვის უფრო იოლია, ამდენად, სვანური პერცეფციული ბაზისის მქონე სპეციალისტები სხვადასხვა წყვილში გაგანაწილეთ. ექსპერიმენტით ნათლად გამოჩნდა, რომ წყვილბაგისმიერი ალოფონი ყველა ქვესისტემაში უფრო ხშირადაა რეალიზებული, ვიდრე ვ სპირანტი. პოზიციათა აბსოლუტურ უმრავლესობაში გვაქვს მათი თავისუფალი მონაცვლეობა; გარკვეული სტაბილიზაცია შეინიშნება თანხმობის მომდევნოდ (უ) და თავკიდურ პოზიციაში ხმოვნის წინ (ვ).

ცალკე სამსჯელოა უ||ვ და უ ბგერათა მიმართების საკითხი. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, არქაული ეპოქის ქართულში ადგილი ჰქონდა [უ] : [უ] ალოფონთა მონაცვლეობას; ისტორიული ხანის ქართულში მოხდა [უ]-ს ანალოგიით გამოწვეული სტაბილიზაცია პოზიციაში თანხმობენებს შორის (1965, გვ. 49); მორფოლოგიური ანალოგიის მოქმედებამ და გარკვეულ შემთხვევებში [უ]-ს [უ] ბგერად დაფიქრობამ გამოიწვია ისტორიულად არსებული დისტრიბუციული სურათის დარღვევა, რამაც ხელი შეუწყო ვ, უ, უ ბგერების დამოუკიდებელ ფონემურ ერთეულებად ჩამოყალიბებას (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ.53); იმ დიალექტებში, რომლებიც საფუძვლად დაედო ახალ სალიტერატურო ქართულს, მოისპო ძველ



ქართულში ერთი და იმავე მორფემის ფარგლებში წარმოდგენილი [უ]: [უ], მონაცვლეობა: შდრ., ძვ. ქართ. ჰ-სუ: სუ-ა და ახალი ქართ. სვი:სვა... ამ პროცესებმა საბოლოოდ გაწყვიტა ისტორიულად არსებული კავშირი [უ] და [უ] ერთეულებს შორის, რის გამოც უხმოვანთა კლასის წევრად იქცა და დაუპირისპირდა [ვ] და [უ] ერთეულებს (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 53). წარმოდგენილ მასალასთან მიმართებით, მსჯელობა სხვაგვარი კუთხითაც შეიძლება წარვმართოთ:

არქაულ ქართულში არსებული უ: ვ||უ ბგერათა მიმართება ძველ ქართულში (resp. ისტორიული ხანის ქართულში) თვისობრივად არ შეცვლილა; შესაბამის გრაფემათა სტაბილურად გამოყენება აიხსნება რელიგიური წიგნების მკაცრი ორთოგრაფიით, თუმცა, არსებული ე.წ. გამონაკლისები მიგვანიშნებს, რომ ცოცხალ მეტყველებაში (არქაულთან შედარებით) რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილება არ უნდა მომხდარიყო; გრაფემათა ჩვენების მიხედვით დადგენილი დისტრიბუციული წესები რეალური სიტუაციის ზუსტი ამსახველი ვერ იქნება; საქმეს ართულებს ისიც, რომ ტრადიციული შეხედულების მიხედვით, Qq გრაფემით გადმოიცემოდა როგორც უ, ასევე უ; ერთი სიტყვით, საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, აქვე აღვნიშნავთ, რომ:

ერთი მორფემის შიგნით უ:უ მონაცვლეობის მოშლის სარწმუნო მაგალითებად „სვი“ და „სვა“ ვერ გამოდგება, ვინაიდან მოცემულ ფორმებში ბაგისმიერი თანხმოვანი ხმოვნის წინაა, ხოლო ძველი ქართულის სუ და თქუ ფორმებში პაუზის წინა პოზიციაშია. აქვე შევნიშნავთ, რომ C-C პოზიციაში უ ||უ -ს განაწილება დიდადაა დამოკიდებული არა მხოლოდ მანვილზე, არამედ მარცვალთა რაოდენობაზეც; მაგალითად, სამმარცვლიან სიტყვებში უ შეიძლება რეალიზდეს უ ვარიანტით: შდრ., ძვ. ქართ. -კუედ- და სიკუდილ-|| სიკუდილი სიკუდილი; შდრ., ვ-კუეთ და საკუთარი და სხვ... მსგავსი მაგალითები ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ. სხვაობას მოცემულ სიტყვათა სტრუქტურა განსაზღვრავს თუ უ ბგერის წარმომავლობა, ძნელი სათქმელია; საკითხი შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ფაქტი ერთია, რომ თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიერ მოხმობილი მასალა უ:უ ბგერათა დისტინქციურ მიმართებაზე არ



მეტყველებს (თუკი ამოვალთ ფონემის ფუნქციონალური განმარტებიდან; იხ. ნ. ტრუბეცკოი, 1960).

ვინაიდან ჩვენთვის ამოსავალია ფონემის სხვაგვარი განმარტება (კერძოდ, ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ფონემა ცვლის ქლერადობას-ფორმის სტრუქტურას და აქვს თავისუფალი დისტრიბუცია) ქართული ენის მონაცემების მიხედვით გაჭირდება თქმა, რომ უ და უნ ერთმანეთს იმგვარადვე მიემართება, როგორც მაგ; ა და რ, ე და ჯ...

იმდენად, რამდენადაც სადავო ცნებებია არა მხოლოდ "ერთიდაიგივე გარემოცვა", არამედ "ფონეტიკური მსგავსებაც" (ი. ქობალავა, 1976, გვ. 211-216-228), კომუტაციის მეთოდით ბგერათა იდენტიფიკაციის პროცედურა სრულყოფილად ვერ გამოიყურება: ფონემის გამოყოფისას უფრო დამაჯერებელია ბგერათა ჩანაცვლების სისტემურობის პრინციპი (იხ. ზ. ჯაფარიძე, 1979), ოღონდ ჩანაცვლებისას დისტინქციას რეგულარული ხასიათი უნდა ჰქონდეს (ვრცლად სხვაგან გვაქვს მსჯელობა); შდრ., დ. კრისტალი 1989.

ქართული ენის ფაქტობრივი მასალის ანალიზით ამკარაა, რომ ერთი მორფემის ფარგლებში უ ბგერა, არაიშვიათად, უმარცვლო ალოფონით დასტურდება, ხოლო ვ||უ -მარცვლოვანი ალოფონითაც რეალიზებულია; სხვაგვარად თუ ვიტყვით, ი||ღ-ს მსგავსად, უ||უ ვარიანტები ერთმანეთს არა მხოლოდ ფონეტიკური მსგავსებით მიემართებიან, არამედ, პოზიციათა ერთ ნაწილში ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლებიან (მორფემის ქლერადობის შეუცვლელად); მეორე ნაწილში კი - ერთმანეთს გამორიცხავენ; აქვე აღვნიშნავთ, რომ სხვადასხვა ქვესისტემაში პოზიციათა პროცენტული მიმართება სხვადასხვა შეიძლება იყოს.

ქართულში მხოლოდ დასახელებული ორი ბგერაა, ხან მარცვლოვანი, ხანაც უმარცვლო ვარიანტებით რომ დასტურდება და ე.ი. სონანტებად რომ უნდა ჩაითვალოს; ქვემოთ წარმოვადგენთ კონკრეტულ მასალას:

შენიშვნა: თ. გამყრელიძე ხაზს უსვამს ქართული ენის ბგერითი სისტემის ერთ თვალსაჩინო სპეციფიკას - "ფონეტიკურ კონსერვატიზმს" (თ. გამყრელიძე, 1989, გვ.125); სწორედ ამგვარი სიმყარის ნიმუშად ჩაითვლება არქაული ქართულისა და თანამედროვე ქართულის იდენტური ჩვენება სონანტთა კლასის მიხედვითაც.



ა) ძველ წერილობით ძეგლებში: „უმარცვლო უ შეიძლება სრული ხმოვანი გახდეს და მარცვლიანობა შეიძინოს: „ვასუ მე წყალი“ შდრ., „განისუენე, ჭამე, სუ და იხარებდ“ (ა. შანიძე, 1976, გვ.21). შდრ., აგრეთვე, „კუერთხი -აკურთხევს“ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ.49)...

ბ) მთიულურში: უ: უ განაწილება პოზიციურად შეპირობებულია: „არა მაქუ“, მაგრამ „არ მაქუ“; „კაცსა აქუ“, მაგრამ „კაცს აქუ“ (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ.81);

გ) აჭარულში: პაუსის წინა პოზიციაში ერთმარცვლიან მორფემაში გვაქვს სრული უ; თუკი ხმოვანია მომდევნო ბგერა, გვექნება უ: „კაცი თუ ქალი;“ შდრ.:

წამოჲ, თუარა, მამაშენს ვეტყვი. შდრ., ლექსი:

ჩემი ნახვა თვარ გინდოდა,

რაზე შემომითვალეო“... (პ. უმიკაშვილი, 1937, გვ.308;)

შდრ., გურული: „სთქუა ეს თუარა, უთავაზა ხმალი ზურათს ზედ თავზედა“ (ს. ჟღენტე, 1936, გვ.157); აჭარულშივე არაიშვიათად, C-V პოზიციაში მოსალოდნელი უ ერთმარცვლიან სიტყვებში მარცვლოვნობას იძენს: შდრ., ქვა || ქუა და ქუა; თქუა და თქუა; შდრ., იმერხეული რვამარცვლოვანი ლექსი:

„ერთი ქუა შემოგკარი“...

(შ. ძიძიგური, 1956, გვ. 373)

ინგილოურსა და მესხურ-ჯავახურშიც ჩვეულებრივია ქვა → ქუა, რვა → რუა, სხვა → სხუა... პროცესები; გამარცვლიანება ახსნილია მახვილით (გრ. იშნაიშვილი 1960, გვ. 65; ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ.126). შდრ., ზოგ სხვა ქართულ დიალექტშიც, ლექსის გარეშეც, მეგრულის მსგავსად, ხდება უმარცვლო ალოფონის გამარცვლიანება: რვა რუა → რუა; ქვა ქუა → ქუა (შდრ., მეგრ: რუა,ქუა) ... უ → უ პროცესი აქ შეიძლება აიხსნას გაორმარცვლიანების ტენდენციით... შდრ.: გურულში ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი სახელების სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი““, როგორც წესი, არ გადადის დ-ში; ორი და მეტმარცვლიანებთან კი ი → დ (ტ. ფუტყარაძე, 1986)...

დ) ქართული ენის ქვესისტემებში არაიშვიათია მაგალითები, როდესაც მარცვლოვანი უ-ს ნაცვლად უ გამოვლინდება: გაუხარდა →



გოუხარდა → გოუხარდა (ფერეიდნული, იმერული, გურული, ქართული, იმერხეული...); შდრ., ვ-ს ნაცვლად უ: დაუბან || დაუბან, სვალ || ხუალ, დაწვა || დაწუა, წაართუა || წაართვა, ვხნავ || ვხნაუ, ვხერხავ || ვხერხაუ (ბაღდადური)... ბ. ჯორბენაძის მიერ მოყვანილ ამ რიგის მაგალითებში მხოლოდ ხევესურული და რაჭული ფორმები არ ჩანს (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 91)...

ჩვენი დაკვირვებით, ხევესურულ და რაჭულ ტექსტშიც არაიშვიათად გამოვლინდება უ, რომელიც გამოქვეყნებულ ტექსტებში რატომღაც არაა ასახული... ქართული ენის თითქმის ყველა ქვესისტემაში ერთი და იმავე პირის მეტყველებაში ერთსა და იმავე პოზიციაში შეიძლება დავადასტუროთ ვ || უ || უ მონაცვლეობა: ქვა || ქუა || ქუა, ღვთისნიერი || ღუთისნიერი || ღუთისნიერი, შვალამე || შუალამე || შუალამე, წვრთნის || წურთნის, აქაური || აქაური || აქაერი... (ეს და სხვა მაგალითები იხ. ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 81-84).

ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, ქართულში ვ || უ და უ ბგერების განაწილებაში გარკვეული სტაბილიზაცია შეინიშნება, თუმცა ეს არაა საკმარისი, რომ ისინი დამოუკიდებელ ფონემებად ჩავთვალოთ; ვ, უ, უ ბგერათა მიმართება უფრო შეპირობებულია მეტყველების ნაკადის ინტონაციურ-რიტმული მახასიათებლებით; მათ შენაცვლებას არ შეუძლია სიტყვის უღერადობის თვისობრივი ცვალება (ე.ი. ისეთი ცვალება, რომელიც გამოიწვევს სემანტიკის დაბნელებას ან შეცვლას).

უ||უ მიმართების ანალოგიურია და ი და დ ბგერათა ოპოზიცია: ი || დ უ || უ ვარიანტები მონაცვლეობენ არა მხოლოდ ზანურსა და სვანურში, არამედ იბერიულ-კავკასიურ ენებშიც (იხ. მაგ., ქ. ლომთათიძე, 1977, გვ. 61 და დ. იმნაიშვილი, 1977, გვ.171; ილ. ცერცვაძე, 1965, გვ. 26 და სხვ... ი || დ, ||უ მონაცვლეობანი შეინიშნება ინდოევროპულ და სხვა ენებშიც)... კვლევის ამ ეტაპზე ქართველური ენების მაგალითებით შემოვიფარგლებით: ქართველურ ხალხურ ლექსში მარცვლოვანი და უმარცვლო ვარიანტების ბევრი შემთხვევაა; მოვიყვანთ თითო მაგალითს სვანური და ზანური ლექსებიდან:

„მევთხოვ დ რ ჩორკლ ო იზელალე“...

იქვე: „ეჯ მეთხვი რ ჩორლ ილად...“

"ყეროვ ლოგეზადა მოჩაშუ"...

მისი მაღლი შეგვწოდეს

მღრ., „აქანის თოფარშე გვიკდგრეს“...

სალამს თოფებით გვაძლევენ...

„მიცორექიე“ თქუანდი ნი

(ი. ყიფშიძე, 1994, გვ.319).

წგმაკითხე მაღლობასე

თქვანდასე ნი ჩქიმიშენი

(ი. ყიფშიძე, 1994, გვ.312)

ლექსში მარცვალთა რაოდენობის მიხედვით ი||ა და უ||ა ვარიანტთა მონაცვლეობა შემჩნეული აქვთ ს. ჟღენტსა (ს. ჟღენტი, 1963, გვ.39) და ბ. ჯორბენაძეს (ბ. ჯორბენაძე, 1998); ოლონდ, ს. ჟღენტის აზრით, სიმღერის ენაში იოტაცია კეთილსმოვნობის გამო ჩნდება (იხ., აგრეთვე, ს. ჟღენტი, 1965, გვ.209). ძველ ხალხურ სიმღერებში რიტმის დაცვის საჭიროებას ემსახურება აგრეთვე ე.წ. „უტყვი“ ხმოვნები სვანურში (ი. ჩანტლაძე, 1968, 154).

შეიძლება დავასკვნათ: ი და უ სონანტური ბუნების ბგერებია; ქართულში ი და უ ფონემებს უდასტურდებათ უმარცვლო ალოფონები, რაც მათ განასხვავებს როგორც ხმოვნებისგან, ასევე თანხმოვნებისაგან; საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ შ||უ ალოფონთა განაწილების მეცნიერული ანალიზი მოცემული აქვს ჯერ კიდევ ანტონ კათალიკოსს: მისი დაკვირვებით, თუ უ ხმოვანი „სიტყვის შუაში“ მოექცევა, გაბრჯგუვდება (ანტონ კათალიკოსი, 1765, გვ.116). ი და უ თანამედროვე ქართულშიც სონანტთა კლასად უნდა გავაერთიანოთ; ზოგ მორფემაში ალოფონთა სტაბილიზაცია საკმარისი არგუმენტი არ არის დამოუკიდებელ ფონემებად მათი მიჩნევისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ი და უ ფონემები თავიანთი სონანტური ბუნების გამო, მეტყველების ნაკადში გამოიყენება ე.წ. „მუხლების“ სახით, მათი „დრეკადი“ ხასიათი ენას საშუალებას აძლევს მარცვლოვნობის, რიტმის, მახვილის მიხედვით არეგულიროს მეტყველების ნაკადი (ეს თვისება ნათლად ჩანს ხმოვანთკომპლექსის ტრანსფორმაციისა და ადაპტაციის პირობებში; ყოველ მოცემულ ქვესისტემაში (მეტყველებაში) ზუსტად შეიძლება დადგინდეს ალოფონთა დისტრიბუცია.

Tariel Putkaradze
v||w AND i||j SOUNDS IN GEORGIAN
resume

In Georgian among the five vowels a e i o u, a e and o are always realized as independent vowel sounds. As for i and u they differ from vowels and consonants and reveal the sonant nature. That is why should be classed as sonants.

The stabilization of Allphones in some morphemes is not an irrefutable argument to identify and regard them as independent phonemes in the speech. For the reason of their sonant nature i and u reveal the flexibility that enables them to regulate syllabification, rhythm and stress in speech.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ავთ. არაბული - 1991 - ავთ. არაბული, [ქ] [ჴ] [ც] ფონემათა კომბინატორული ქცევის ზოგი საკითხი დიალექტებში, „მაცნე“, ენისა და ლიტ-რის სერია, 3, 1991.
2. გ. ახვლედიანი - 1949 - გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
3. თ. გამყრელიძე - 1989 - თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.
4. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი - 1965 - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
5. შ. გაფრინდაშვილი - 1966 - შ. გაფრინდაშვილი, ქართული ენის სონორ თანხმოვანთა ფორმანტული დიაპაზონები, მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, თბ., 1966.
6. ფ. ერთელიშვილი - 1963 - ფ. ერთელიშვილი, უმარცვლო უ ძველ ქართულში, თსუ შრომები, 96 (ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია), თბ., 1963.
7. გრ. იმნაიშვილი - 1966 - გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.
8. ნ. იმნაძე - 1969 - ნ. იმნაძე, მეგრულის კონსონანტები, სპირანტები, „მეტყველების ანალიზის საკითხები“, თბ., 1969.
9. ნ. იმნაძე - 1974 - ნ. იმნაძე, მეგრულის თანხმოვანთა კლასიფიკაციისათვის, მეტყველების ანალიზის საკითხები, V, თბ., 1974.
10. დ. იმნაიშვილი - 1977 - Д. С. Имнаишвили, Историко-сравнительный анализ фонетики нахских языков, Тб., 1977.



11. ნ. კიზირია - 1980 - ნ. კიზირია, ჟანურის ბგერითი შემადგენლობა, თბ., 1980.
12. დ. კრისტალი - 1989 - დ. კრისტალი, Dawid Czystal. The Cambzidje encyclopepia of language, კემბრიჯი, 1989.
13. ვ. კუზიბაბაშვილი - 1992 - ვ. კუზიბაბაშვილი, ინგილოური კილოს მიმართება კახურთან, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1992.
14. ქ. ლომთათიძე - 1977 - ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-მედარეობითი ანალიზი, I, თბ., 1977.
15. გ. ნებეირიძე - 1974 - გ. ნებეირიძე, Гетеративно-фонологическая модель грузинского литературного языка и принципы ее построения, Автореферат диссертации на соиск. уч. степени доктора филологических наук, Тб., 1974.
16. ს. ჟღენტი - 1936 - ს. ჟღენტი, ვურული კილო, ტფ., 1936.
17. ს. ჟღენტი - 1956 - ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956.
18. ს. ჟღენტი - 1960 - ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა I, მარცვლის აგებულების პრობლემა, თბ., 1960.
19. ს. ჟღენტი - 1963 - ს. ჟღენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მეთოდოლოგიური სტრუქტურა, თბ., 1963.
20. ს. ჟღენტი - 1965 - ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1965.
21. გ. როგავა - 1958 - გ. როგავა, ვ ბგერის მეტათეზისის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, XVIII, ქუთაისი, 1958.
22. გ. როგავა - 1962 - გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.
23. რ. რობინსონი, ნ. ვატერსონი - 1968 - რ. რობინსონი, ნ. ვატერსონი, შენიშვნები ქართული სიტყვის ფონეტიკის შესახებ, „მიმოხილველი“, 4, 1968.
24. ზ. სარჯველაძე - 1977 - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1977.
25. სვანური პოეზია - 1939 - სვანური პოეზია, თბ., 1939 (რედ. აკ. შანიძე)
26. ნ. ტრუბეცკოი - 1960 - Н. С. Трубецкой, Основы фонологии, М., 1960
27. თ. უთურგაიძე - 1966 - თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ვოკალიზმი, მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, თბ., 1966.
28. თ. უთურგაიძე - 1974 - თ. უთურგაიძე, რეცენზია გ. ნებეირიძის სალოქტორო დისერტაციაზე, ხელნაწერი, თბ., 1974.
29. თ. უთურგაიძე - 1976 - თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
30. პ. უმიკაშვილი - 1937 - პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ., 1937.
31. ჰ. ფოგტი - 1961 - ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961.



32. ტ. ფუტკარაძე - 1986 - ტ. ფუტკარაძე, სახელის ფორმალური თვისებების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1986.
33. ტ. ფუტკარაძე, - 1998 - ტ. ფუტკარაძე, სონანტების ალოფონთა ასახვისათვის ასომთავრულში (სამეტყველო კოდების შერევის ერთი ნიმუში), ქუთაისური საუბრები V, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1998.
34. ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი - 1998 - ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, ი და დ ალოფონთა მიმართებისათვის ქართველურ ენებში, ქუთაისური საუბრები V, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1998.
35. ტ. ფუტკარაძე, ლ. ლომთაძე, ლ. ხაჭაპურიძე - 1998 - ტ. ფუტკარაძე, ლ. ლომთაძე, ლ. ხაჭაპურიძე, უ||ვ და უ ბგერათა განაწილებისათვის ქართული ენის დიალექტებში I, ქუთაისური საუბრები V, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1998.
36. ი. ქობალავა - 1976 - ი. ქობალავა, ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში, თბ., 1976.
37. ი. ყიფშიძე - 1994 - ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
38. აკ. შანიძე - 1931 - აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ტფ., 1931.
39. აკ. შანიძე - 1953 - ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
40. აკ. შანიძე - 1976 - აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა თბ., 1976.
41. აკ. შანიძე - 1981 - აკ. შანიძე, უმლაუტი სვანურში, თხზულებანი, II, თბ., 1981.
42. რ. შეროზია - 1996 - რ. შეროზია, ვა||უა კომპლექსისათვის ზანური ენის მეგრულ დიალექტში, ქუთაისური საუბრები, III, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი 1996.
43. არნ. ჩიქობავა-1936 - არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.
44. არნ. ჩიქობავა - 1937 - არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, ენიკის მოამბე, II, 1. თბ., 1937.
45. ი. ჩანტლაძე - 1968 - ი. ჩანტლაძე, ძველი სვანური სიმღერების ენისა და ცოცხალი მეტყველების შეპირისპირებითი ანალიზი, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1968.
46. შ. ძიძიგური - 1956 - შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 1956.
47. ა. ჭინჭარაული - 1960 - ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
48. ზ. ჯაფარიძე - 1980 - ზ. ჯაფარიძე, ბგერათა საწარმოთქო დაბრკოლების მიხედვით დაჯგუფებისათვის ქართულში, იკე, XXII, თბ., 1980.
49. ბ. ჯორბენაძე - 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.
50. ბ. ჯორბენაძე - 1998 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

ბრიზოლ ქოზალიანი

იაკობ ცინცაძის ფსევდონიმები

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის I მეოთხედში მოღვაწე ცნობილი ქართველი პუბლიცისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ ცინცაძე, რომელიც მკითხველისათვის უფრო ია ეკალაძის სახელით იყო ცნობილი, თავისი ნაშრომების ძირითად ნაწილს ფსევდონიმებით აქვეყნებდა.

ერთ-ერთი პირველი ფსევდონიმი იყო «თომანთ კობა», რომელიც მიღებულია მამის სახელისა (თომა) და საკუთარი სახელის მეორე ნაწილის შეერთებით, ზოგჯერ მხოლოდ «კობა» გვხვდება.

მეორე ფსევდონიმი იყო «ი. ცანი», რომელიც ერთგვარ გამოცანასაც წარმოადგენდა მკითხველისათვის. ე.ი. შეიცან, გამოიცანი, რა თქმა უნდა, ის მწერლის გვარსაც უკავშირდება.

გაზეთ «იმერეთის» ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა აქტუალური პოლიტიკური წერილები მარჯანიძის ხელმოწერით. დღემდე გაურკვეველი იყო ამ ფსევდონიმის კუთვნილების საკითხი; გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში მივაკვლიეთ იაკობ ცინცაძის ვაჟის - სოლიკოს ავტოგრაფს, სადაც იგი წერს: «მამა სწერდა სხვადასხვა ფსევდონიმებით «მარჯანიძე», «იცანი»¹. «მარჯანიძე», რომ იაკობ ცინცაძის ფსევდონიმია ამას ადასტურებს ს. გერსამიაძე.²

გაზეთ «სამშობლოს» 1916 წ. №264-ში ი. ცინცაძემ სილ. ხუნდაძის საპასუხო წერილში თვითონვე ახსნა ერთ-ერთი ფსევდონიმი. «დიად, ბატო-

¹ გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ია ეკალაძის ფონდი, N7075-7084

² გერსამია ს., - ია ეკალაძე, გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ხელნაწერი 7. 25. 156/120



ნებო, კ-ა მე, იაკობ ცინცაძე ვარ. და ბოლოს ყურადღება გავამახვილოთ ფსევდონიმ «სტუდენტზე».

«ცისფერყანწელებთან» პაექრობაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი «სტუდენტმა», რომელმაც გაზ. «სამშობლოს» 1916 წ. 9 მარტის ნომერში გამოაქვეყნა წერილი «კიდევ ყანწელთა გამო» ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი იაკობ ცინცაძის ფსევდონიმი უნდა იყოს. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ერთმანეთს შევეუდარებთ «სტუდენტისა» და ი. ცინცაძის ზოგიერთ გამონათქვამს.

ი. ცინცაძე სტატიაში «მკითხველის შენიშვნა», რომელიც 1916 წ. 5 იანვარს დაიბეჭდა გაზეთ «სამშობლოში» ი. გრიშაშვილზე წერდა: «... მე მინდა გრიშაშვილი მარტო ახალგაზრდა ქალიშვილების პოეტი კი არ იყოს, არამედ შეიქმნას ღირსეულ წევრად ქართული სალიტერატურო ოჯახისა. მას შესწავს ამის ნიჭი და უნარი და თუ იგი დღევანდელ ჰანგზე დარჩება ამის ბრალი დაედებათ იმ კრიტიკოსებს (იგულისხმება გრ. რობაქიძე - გ.ქ.), რომელიც მას ყალბ გზაზე აყენებს».

«სტუდენტი» - ი. გრიშაშვილი უცილობლად დიდი ნიჭიერი მგოსანია, მაგრამ თუ თავი არ დაანება გრ. რობაქიძისთანა კრიტიკოსების რჩევას გაივლის ხანი და იგი დარჩება მხოლოდ სალონებისა და ხელოვნურათ ვნებათა ღელვის გამომწვევე მგოსანათ.

ი. ცინცაძე - მიკვირს რამ გადარია საზოგადოება, რომ ასე აღტაცებული ეგებება მის ნახევრად ავლაბრულ-ხარფუხულ ხმის აწვევ-დაწევას».

«სტუდენტი» - «ი. გრიშაშვილი ხომ ვიცით რაც არის, ისიც ვიცე, რომ მთელი საქართველო ავლაბრათ აქვს წარმოდგენილი» და სხვ.

როგორც ცნობილია, «სტუდენტი» პ. იაშვილმა დუელში გამოიწვია. გაზ. «სამშობლოს» 1916 წ. 314-ე ნომერში ვკითხულობთ «... წარსულს კვირას, დღის 11 საათზე ჩვენს რედაქციაში მოვიდა ორი პატივცემული

³ გაზ. «იმერეთი», 1914, №37

თავადი და გამომიცხადეს: პ. იაშვილი თქვენგან შეურაცხყოფილად თვლის თავს და დაკმაყოფილებას თხოულობსო. მე ვუპასუხე - მე მზათ ვარ ყოველგვარი დაკმაყოფილება მივსცე, სადაც, როდესაც, რა ადგილსა და რა იარაღითა სურს... ამის შემდეგ თავადებმა მთხოვეს დამქსახელებინა მაინც იაშვილისათვის ავტორი იმ წერილისა, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა „სტუდენტის“ ფსევდონიმით. მე კვლავ გაფუმეორე, პასუხის გაცემას მე ვკისრულობ, თუნდ ავტორმა მოინდომოს თავის გამოჩენა მეთქი“. სხვაგან ი. ცინცაძე წერდა: «თუ კაცი იმდენად არ დაკნინებულია გულით, და არ გალაქიებულია სულით წერილს საკუთარი გვარი ან ცნობილი ფსევდონიმი უნდა მოაწეროს, თუ არა შეურაცხყოფელს დუელში, ხმალში გამოიწვევს ხოლმე».³ როგორც დავინახეთ, ი. ცინცაძე არც გულით იყო დაკნინებული, არც სულით გალაქიებული და დუელზე დათანხმდა. საბედნიეროდ, დუელი არ შესდგა და ქართული სინამდვილე ერთ ტრაგედიასაც გადაურჩა. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ „სტუდენტი“ იაკობ ცინცაძის ერთ-ერთი ფსევდონიმი იყო.

მაგრამ ძირითადი ფსევდონიმი მაინც ია ეკალაძეა, რომელიც მიღებულია იაკობის I ნაწილისაგან, გვარი კი უკავშირდება ეკალს. ამით მწერალმა გამოხატა საკუთარი შემოქმედების მისია. ეკალივით მოხვედროდა მიძინებული ქართველის გულს და გამოეფხიზლებინა იგი. ეს ფსევდონიმი იმდენად შეითვისა მწერალმა, რომ ნაცნობ-მეგობრები საკუთარ სახელს აღარც ეძახდნენ და ყველა იას უწოდებდა.

ამრიგად, იაკობ ცინცაძის ფსევდონიმად «თომანთ კობას», «კობას», ი. ცანის», «ცანის» და სხვ. გვერდით უნდა მივიჩნიოთ «მარჯანიძე», «კ-ა» და «სტუდენტი».

RESUME
GRIGOL KOBALIANI
IAKOB TSINTSADZE'S PEN-NAMES

One of the first pen-names of Ia Ekaladze was “Tomaant Koba” (sometimes only “Koba” occurs).

The newspaper “Imereti” frequently published political articles by Iakob Tsintsadze, signed as “Marjanidze” and “I. Tsani”. During the debates against “Tsisperqantselebi” his pen-name was “Student”. The debates against “Tsisperqantselebi” his pen-name was “Student”.

Hence, Ia Ekaladze's pen-names are “Tomaant Koba”, “Koba”, “I. Tsani”, “Tsani”, “Marjanidze”, “K-a”, and “Student”.

ჟურნალისტიკის კათედრა



პანაბერი მებულაძე

პიტა აბაშიძე ქუთაისის საადგილმამულო
(სათავადაზნაურო) ბანკის შესახებ

XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა საკრედიტო დაწესებულებანი — სხვადასხვა სახის ბანკები. მათ შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო, ანუ საადგილმამულო ბანკები, რომელთა საქმიანობა მარტო ეკონომიკური სფეროთი არ შემოიფარგლებოდა. ისინი რუსეთში არსებულ ანალოგიურ დაწესებულებათაგან არსებითად განსხვავდებოდნენ. თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები, თავიანთი არსებობის პირველი დღეებიდანვე, საზოგადოებრივი ცხოვრების სამსახურში არდგნენ: აფინანსებდნენ ქართული წიგნის გამოცემას, ქართულ სკოლას, ქართულ თეატრს... და ამით უდიდეს სამსახურს უწევდნენ ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს.

თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების ისტორია მჭიდროდაა გადაჯაჭვული ქართული საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიასთან. ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს შორის ბანკის გარშემო ატეხილი კამათი, დისკუსიები და აზრთა შეხლა-შემოხლა საქართველოს პრესამ „ბანკობიად“ მონათლა და არაერთი ვრცელი პუბლიკაცია თუ სტატია უძღვნა.

საბანკო საქმეს დიდ ეროვნულ საქმედ მიიჩნევდა ილია ჭავჭავაძე¹ და ყველასაგან, ვინც მასში იყო ჩაბმული, მკაცრად მოითხოვდა, გაფრთხილებოდა საზოგადო მოღვაწეთა სახელს.

ბანკის მუშაობის შესახებ გაშლილ კამათში ილიას გარდა ქართველი ინტელიგენციის სხვა საუკეთესო წარმომადგენლებიც იყვნენ ჩაბმული. მიუხედავად სერიოზული რეციდივებისა, მთლიანობაში ეს არ იყო უპრინ-

1. ი. ჭავჭავაძე, ქუთაისის ბანკის საქმე, ტფ., 1890, გვ. 2-3.



ციპო ბრძოლა ცალკეულ პირთა შორის. მასში ასახვას პოლემიკურად მოხდის ფორმის შემდგომდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ძვრები და მათი შედეგები², ქართველი თავადაზნაურობის სხვადასხვა ფენისა და სხვადასხვა საბანკო პოლიტიკის მომხრეთა შორის არსებული წინააღმდეგობანი³.

ქუთაისის საადგილმამულო ბანკი, როგორც უკვე აღინიშნა, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს, უფრო კონკრეტულად დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა მისი როლი და მნიშვნელობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის საერთოდ. საადგილმამულო ბანკის გარშემო ატეხილ პოლემიკას და დაჯგუფებათა ბრძოლას, რომლის ასპარეზს საბანკო კრებები წარმოადგენდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული გრძნობებისა და აზრის გამოღვიძებისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების აღორძინებისათვის. საბანკო კრებები განსაკუთრებით მწვავე და საინტერესო გახდა XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან, როცა ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდა ოპოზიცია — ცნობილი იურისტის კალისტრატე ჩიკვაძისა და პოზიცია — დიმიტრი დადიანის მეთაურობით, რამაც წარმოშვა ე.წ. „ქუთაისური ბანკობიადა“. მართალია, ამ ბრძოლასა და პოლემიკას ზოგჯერ თან ახლდა ზნეობრივ-მორალური თვალსაზრისით მიუღებელი მეთოდები, მაგრამ იგი მაინც აფხიზლებდა და ავითარებდა ეროვნულ აზრს და თვითშეგნებას. საბანკო კრებები იყო ფართო ასპარეზი, სადაც ქართველი საზოგადო მოღვაწეები მსჯელობდნენ ეროვნულად დაჩაგრული თავიანთი ქვეყნის ჭირ-ვარამზე, სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარებაზე, დაკარგული ეროვნული თავისუფლების მოპოვების გზებსა და საშუალებებზე. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გარშემო იყო დარაზმული, დაძაბულად ადევნებდა თვალყურს მის საქმიანობას და აქტიურად მონაწილეობდა მასში.

ქუთაისის საადგილმამულო ბანკის შესახებ პრესასა თუ საბანკო კრებებზე თავისი შეხედულებანი გამოთქმული აქვთ: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერე-

2. ნ. შველიძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 4.

3. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია 1801-1890 წწ., თბ., 1977, გვ. 272.



თელს, კიტა აბაშიძეს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილს, გიორგი წერეთელს, სერგეი მესხსა და სხვებს. მაგალითად, ნიკო ნიკოლაძის აზრით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბანკო კრებებს, როგორც საზოგადოების დემოკრატიულად აღზრდის სკოლას. იგი წერდა: „ეს კრებანი ჩინებულ სკოლად მიგვაჩნდა საზოგადოებისათვის... ყველა, ვისაც სიყრმიდანვე მარტო მამულის სიკეთისათვის გვიცემდა გული, ვიმედოვნებთ, რომ ეს კრება შეაგროვებდა და საერთო გრძნობას გაუღვიძებდა ჩვენ განცალკავებულს, დაფანტულს, გზადაკარგულს ეროვნებას. დაე, ორიოდე უღირსი პირი იქნას ამორჩეული, რა ვუყოთ, ეს წვრილმანი ნაკლი არაფლად ჩასაგდება საზოგადო სიკეთესთან შედარებით, საერთო გრძნობის გაღვიძების გვერდით“.⁴

საბანკო კრებების მნიშვნელობაზე გაზეთი „დროება“ ჯერ კიდევ 1881 წელს წერდა: „...თეატრის შემდეგ, რომელმაც უკვე ღრმა ძილით განისვენა ქუთაისში, ზემოხსენებული ბანკი არის ერთადერთი დაწესებულება, სადაც სუფევს ქართული ენა, სადაც შეუძლია ქართველ ახალგაზრდობას და ინტელიგენციას ერთად შეიკრიბოს, თავისი აზრი გაუზიაროს და თვით შეიმეცნოს საზოგადოების შეხედულება იმისთანა უაღრეს საგანზედ, როგორც არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა საზოგადოდ და ქუთაისის აზნაურთა ბანკის საქმე კერძოდ. აქ ეჩვენა საერო საქმეებზე ბაასს და მის განსჯას საზოგადოება, აქ სწავლობენ ქართულ ენას ჩვენი „სერთუკონები“, აქ ეჩვენებენ ცოტ-ცოტათი და თანდათან კაცის თავად ვარგისობისა და ჭკუაცოდნით დაფასებას და არა გვარიშვილობით და ჩინ-ორდენებით“.⁵

საბანკო კრებებზე, გამგეობის ფინანსური ანგარიშების განხილვის თუ საქველმოქმედო თანხების განაწილების დროს, აზრთა შეხლა-შემოხლა და კამათი, როგორც წესი, სცილდებოდა ვიწრო წოდებრივი და უწყებრივი დაინტერესების სფეროსა და ეროვნული მნიშვნელობის საკითხთა ფართო მასშტაბით განხილვა-მსჯელობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. ქუთაისში საბანკო კრებაზე, რომელიც ხშირად ათასზე მეტი მსმენელისაგან შედგებოდა, საზოგადოების წინაშე გამოდიოდნენ და ქვეყნის ავ-კარგზე, იმდროინდელი ეროვნული საკითხების ირგვლივ მსჯელობდნენ. ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოჩენილი წარმომადგენლები. ამიტომ იყო,

4. ნ. ნიკოლაძე, ჩვენი საზოგადო საქმე, ჟურნ. „მოამბე“, 1894, №2, გვ. 115-116.
 5. ვაზ. „დროება“, 1881, №89, 1 მაისი, გვ. 1-2.



რომ საადგილმამულო ბანკების საკითხმა ჩვენს საზოგადოებაში თითქმის სრულიად დაჩრდილა სხვა საკითხები, უფრო სწორედ, ყველა საკითხმა აქ მოიყარა თავი, რადგან ფართო საზოგადოებრივი მსჯელობა ეროვნულ ტკივილზე იმხანად არსად შეიძლებოდა გარდა ბანკებისა.⁶ ცნობილი მეცნიერი ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „ბანკს უყურებდნენ, როგორც დიდ ეროვნულ დაწესებულებას. იქ ანგარიშების შესახებ უფრო ნაკლებს ლაპარაკობდნენ, ვიდრე მორალზე. ბანკში სამსახური ითვლებოდა ერის სამსახურად“.⁷

ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გარშემო გამართულ მეტად მწვავე პოლემიკაში აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი აზრის ბუმბერაზები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილი, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი... და რიგითი წარმომადგენლები: მოსე ქიქოძე, ივანე მანსვეტაშვილი, ივანე პურადაშვილი, გიორგი ლოლუა და სხვები. ამ პოლემიკაში ჩაბმული იყო კიტა (ივანე) აბაშიძეც.

მან ქუთაისის საადგილმამულო ბანკს მიუძღვნა რამდენიმე პუბლიცისტური წერილი: „თავად-აზნაურობის ფული“, „ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება“, „თავადი აკაკი წერეთელი და ქუთაისის ბანკი“ და სხვა, რომლებშიც მტკიცედ დაუჭირა მხარი საქართველოს საზოგადოებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში საადგილმამულო ბანკის როლისა და დანიშნულების ილია ჭავჭავაძისეულ გაგებას. მისი აზრით, საქართველოში ერთადერთი საზოგადო საქმე, რომელსაც კონკრეტული, პრაქტიკული „კეთილი შედეგი მოჰყვა“, ერთადერთი საერო დაწესებულება, რომელსაც რეალური ძალა და ნიადაგი ჰქონდა, ბანკი იყო. ამიტომ მას გაფრთხილება და დაცვა ჭირდებოდა. კიტა აბაშიძეს ქუთაისის საადგილმამულო ბანკი დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების დედაბოძად მიაჩნდა და მკაცრად ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა იგი კერძო პირთა ვიწრო ჯგუფის სამსახურში ჩაეყენებინა.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა კ. აბაშიძის პუბლიცისტური წერილები: „თავად-აზნაურობის ფული“⁸ და „ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება“.⁹

6. ნ. შველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 219.
 7. უტრნ. „კავკასიონი“, 1924, №3-4, გვ. 200.
 8. გაზ. „ივერია“, 1899, №6, 10 იანვ., გვ. 2.
 9. იქვე, 1899, №40, 21 თებ., გვ. 1-4.



ცნობილია, რომ ბრძოლა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის ირგვლივ კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ბანკს სათავეში ჩაუდგნენ კალისტრატე ჩიკვაძე და მისი თანამოაზრეები (1889-1902წწ.). საქმე იქამდე მივიდა, რომ დადგა საკითხი, თავადაზნაურობას უკანვე წაეღო ის ფული, რაც მან ბანკის დასაარსებლად შეიტანა და მამსადაძმე, მისი არსებობაც უნდა შეწყვეტილიყო. ამით შემოფოთებულმა კიტა აბაშიძემ გაზეთ „ივერიაში“ (1899, №6) მოათავსა წერილი „თავად-აზნაურობის ფული“, რომელშიც, ვითარცა გამოცდილმა ფინანსისტმა, სულ კაპიკ-კაპიკ გამოიანგარიშა, ვის რა ჰქონდა შეტანილი ბანკში. ვინ რამდენს და როდის მიიღებდა, თუ თავადაზნაურობა ფულის უკან წაღებას მოინდომებდა. კ. აბაშიძე, როგორც მამულიშვილი და პატრიოტი, დასავლეთ საქართველოს არწმუნებდა, რომ ბანკი უდიდეს საზოგადოებრივ საქმეს აკეთებს და მას მხარდაჭერა სჭირდებაო. ქართველი პუბლიცისტი წერდა: ამგვარად, ზემოხსენებულიდან ჩანს, რომ არავითარ დიდ მსხვერპლს არ წარმოადგენს თავადაზნაურობის ცალკე წევრებისაგან ამ ფულების საზოგადო საჭიროებისათვის დატოვება, თვით უდიდესი წილის შემომტანს ოჯახს იმდენზედ ცოტა ფული შეჰხვდება დღეს, წევრთა გამრავლების გამო, რომ სამარცხვინო საქმე იქნებოდა მათგან ამათი უკან გატანა.

დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ იმთავითვე გამოიჩინა მეტად სანაქებო საზოგადოებრივი გრძნობა, როცა ეს ფული გადასდო საზოგადო საჭიროებისათვის — სწავლა-განათლების საქმისათვის.

ბედს და გარემოებას რომ არ ელაღატებინა და ხანდახან თავადაზნაურობა უფრო ღრმად ჩაჰკვირვებოდა საქმეებს, მაშინ ამ ფულს შეეძლო მეტად დიდი სარგებლობა მოეტანა. მაგრამ მრავლის ხელის შემშლელის გარემოების მიუხედავად, მსხვერპლი მაინც არ დაიკარგა ტყუილად და ნაყოფი გამოიღო. ამ მსხვერპლის წყალობით დღეს რამდენიმე ასი ყმაწვილი წერასა და კითხვას სწავლობს, რაიცა პატარა საქმე როდია. დღესდღეობით ბედმა კიდევ ერთხელ წიხლი დაგვკრა, კვლავ აგვირია გზა და კვალი, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს და სასოებას არ ვკარგავთ, რომ დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა დღეს, 20 წლის შემდეგ, კიდევ უფრო მეტს ერთგულებასა და თავგანწირულებას გამოიჩინოს საზოგადო საქმისათვის და მტკიცედ შეიგნებს იმ აზრს, რომ ცხოვრება და ისტორია დაუსჯულად არა სტოვებს იმ წოდებასა და იმ ადამიანს, რომელიც დღიურს პირად ვარაშს აბატონებს საზოგადო საქმესა და საჭიროებაზედ.



რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოვიხმართ ეს ფულები, მე მგონია, რომ შესაძლებელია ათი იმდენი აზრი ითქმის, რაც კაცია, მაგრამ საქმის რიგინად გარდაწყვეტისათვის საჭიროა ამოირჩეს ჩვენში რამოდენიმე კაცი და მიენდოს იმის განსჯა, თუ როგორ მოახერხონ და ფულს რაც შეიძლება მეტი სარგებელი მოატანინონ და მოახმარონ იმ თავითვე დადგენილ საგანს — სწავლა-განათლების საქმეს.

ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ საერთო სურვილი და თავგანწირულება საზოგადო საქმისათვისა და რას მოხმარდეს ეგ წვლილი ფულისა და ან როგორ, ამის გარდაწყვეტა უფრო ადვილიც არის, თუმცა კარგად დაკვირვებასა თხოულობს".¹⁰

კიტა აბაშიძე მხურვალედ მოუწოდებდა რა დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობას, არ დაეყენებინა ბანკში შეტანილი ფულის უკან დაბრუნების საკითხი, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის 1899 წლის 28 თებერვლის კრებისადმი მიძღვნილ სტატიაში წერდა: «ამ კრებასა აქვს დიდი, თითქმის ისტორიული მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში. ამ კრებაზეც ეჭვი არ არის პირველ და უმთავრეს საგნად იქმნება წამოყენებული ჩვენი ფულის საქმე". იმერეთის თავად-აზნაურობა თავისი «ჰო"-თი და «არა"-თი მართო იმას კი არ გადასწყვეტს, ის ოთხასი ათასი მანეთი შეინახოს საშვილიშვილოდ, თუ გაფლანგოს. არა, ეს თავადაზნაურობა თავისი ისტორიულის ბედ-იღბლის გარდაწყვეტას მოჰკიდებს ხელს და ან ხეზედ ჩამოხრჩობას გარდაუწყვეტს თავისს თავს და ან სამარადისო საშვილიშვილო საქმეს გააკეთებს.

გამოვიტანოთ, «შეგჭამოთ" და «შეესვათ" ეს ფული, თუ დავტოვოთ საზოგადო საერო საგნისათვის? აი, საკითხი მარტივი და გარკვეული თავისის გარეგნობით.

თუ თავადაზნაურობა იმ ფულს დაიბრუნებს, ცოდვას ჩაიდენს ჯერ სამშობლოს და ერის და მერე ოჯახისა და წინაპრების წინაშე, რაკი მამათა ანდერძს უღალატებს და დაარღვევს; თუ თავად-აზნაურობამ ეს ფული გამოიტანა, რაღა თქმა უნდა, გადაჰყრის წარა-მარად და ამით თავისს დანიშნულებას და თავისს ადგილს ქარულ ერს შორის მოისპობს საუკუნოდ.

იქნებ ვისმეს ეჩვენოს, რომ ნახევარი მილიონი ფული არ ღირდეს ამდენ ლაპარაკად, ან ვერ წარმოიდგინოს, რომ შესაძლო იყოს ამ ფულის

10. იქვე, 1899, №6, 10 იანვ., გვ. 2.



უკუღმართად დახარჯვას აგეთი დიდი შედეგი მოჰყვეს ერში მთელს წოდების გამოსსლულა. მაგრამ ეს ასე გახლავთ სწორედ და ამიტომ: ისტორიული მდგომარეობა ჩვენი იმგვარად მოაწყო ბედმა, რომ ერთადერთი საზოგადო საქმე, რომელსაც რაიმე პრაქტიკული კეთილი შედეგი მოჰყვა, ჩვენი ბანკებია, არა გვაქვს ჩვენ სხვა ისეთი დაწესებულება, რომ ჩვენ საზოგადო საქმეებს განაგებდეს".¹¹

კიტა აბაშიძე ჩააგონებდა დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობას, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით მოჰკიდებოდა ბანკის შენარჩუნების, მისი გარდაქმნისა და გაუმჯობესების საქმეს. მას ღრმად სწამდა, რომ თუ კეთილი ნება, გამჭრიახობა და ყაირათიანობა იქნებოდა, ბანკი დიდ როლს შეასრულებდა საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისა და ეროვნული კულტურის დაცვა-განვითარების საქმეში. კიტა აბაშიძე თავის წერილს ამთავრებდა დიდი ქართველი მოაზროვნის ნიკო ნიკოლაძის სიტყვებით: "ბანკი ის დაწესებულებაა, რომელსაც იმედით შესჩერებია ყველაფერი, რაც კი კეთილი და სახეიროა ჩვენის ერისათვის, არ უნდა გავხადოთ ბაზრად ცბიერებისა და გარყვნილებისა. როგორც ერთ ღროს იერუსალიმის ტაძრიდგან განდევნილ იქმნენ ვაჭრები, რომელთაც გაეუბნათ სახლი ღვთისა გადაექციათ ვაჭრობის სახლად, ისე ესლა ჩვენც უნდა განვდევნოთ საერო საქმიდან ყველა ის, ვისაც შიგ ცბიერება, მატყუარობა, პირადი სარგებლობა და ხალხის გარყვნა შეაქვს. ეს უნდა გვქონდეს დედააზრად, მუდმივ საგნად, დაუვიწყარ მცნებად... ახალი წარმომადგენლობის წესიც ჩინებულად გამოგვადგება... ჩვენი ერის ეკონომიკური და ზნეობითი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თუ ამ წესის მოქმედების დროს მტკიცედ შევიბრძვით და მოვერევით ცბიერებასა და ეგოიზმს, თუ გულწრფელი ვიქნებით ერის სიკეთის ძიებაში, თუ ჩვენი გულის უძლიერესი გრძნობა ერის და ქვეყნის სიყვარული იქმნება".¹²

კიტა აბაშიძე ეთანხმებოდა ნიკო ნიკოლაძეს და თავისი, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საქმიანობით ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქუთაისის ბანკი მოწოდების სიმაღლეზე მდგარიყო — ეროვნული საქმე ეკეთებინა. იაკობ ფანცხავა იგონებდა: "1894 წლიდან იგი მსურვალე მონაწილეობას იღებს ქუთაისში საადგილმამულო ბანკის ყრილობებზე კალისტრატე ჩიკვაიძის წინააღმდეგ მოქმედი ინტელიგენციის წრეში და ამავე დროს "ივერიასა" და "მოამბეში" სწერს სხვადასხვა წერი-

11. იქვე, 1899, №40, 21 თებ., გვ. 1-4.
 12. ნ. ნიკოლაძე, დასახ. წერილი, გვ. 115-116.



ლებს და უმთავრესათ კრიტიკულ წერილებს. საზოგადო მოღვაწის ასპარეზზე იგი იყო ნამდვილი უშიშარი და ფიცხი რაინდი. როგორც რაინდი, ბრძოლის დროს დაუნდობელი და იერიშის იერიშზე მიმტანი. ხოლო ამავე დროს, როგორც რაინდი, ლმობიერი იყო, რადგან მოწინააღმდეგეს რომ დაძლეულს ნახავდა, ამის შემდეგ კიბა ამ მოწინააღმდეგეს კიდევ იბრალებდა და ცდილობდა, თავისი დახმარება აღმოეჩინა. ამის უამრავი ფაქტები მაქვს. ამით კი მტკიცდება, რომ კიბა ბუნებით ბოროტი და შურიანი არ იყო. მას მხოლოდ უაღრესათ საზოგადო საქმე აინტერესებდა".¹³

კიბა აბაშიძის შეხედულებანი საადგილმამულო ბანკის შესახებ მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის შემადგენელი ნაწილია.

Kakha Kebuladze
KITA ABASHIDZE ABOUT KUTAISI STATE
(KNOBE) BANK

A famous publicist statesman and politician Kita Abashidze (1870-1917) dedicated several critical articles to the Kutaisi Estate Bank considering its significant role in the life of west Georgias social economic and cultural life. He supportet the Ilia Charchavadze's way and approach to the Estate Bank role in the national-libeartion movement of the Georgian people.

ქუთაისის ისტორიის ინსტიტუტი

13. ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, საბ. №4169(19).



შემაჯავებელი

**სუფიური ელემენტები არაბი რომანტიკოსების
შემოქმედებაში**

ცალკეული არაბი რომანტიკოსი მწერლის ან პოეტის შემოქმედების მკვლევარ არაბ მეცნიერებს უყვართ ხოლმე მათი ფილოსოფიური შეხედულებების თუ მსოფლმხედველობის განხილვისას საუბარი ამ მწერლის თუ პოეტის ნააზრევის მიმართებაზე სუფიზთან. ზოგი მხოლოდ პარალელის გავლებით, ან სუფიური ელემენტების ძიებით, ან კიდევ რაღაც თანხვედრის გამოვლენით კმაყოფილდება, ზოგი მკვლევარი კი უფრო შორს მიდის და თუ მოცემული მწერლისთვის (პოეტისთვის) დამახასიათებელია შედარებით ღრმა ფილოსოფიური აზროვნება (მაგ. ჯებრანი), ადვილად მიაწერს მას სუფიზმის მიმდევრობას.

ამ მცირე მოცულობის სტატიაში მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ვრცლად საუბარი შუასაუკუნეების არაბული ფილოსოფიური მიმდინარეობის - სუფიზმის შესახებ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ სუფიზმი, რომელიც იშვა არაბულ სახალიფოში და ფართო გავრცელება ჰპოვა მთელს ისლამურ სამყაროში, მის «დედააზრის ღერძს, როგორც ამას წერს ე. ჯაველიძე, - სიყვარული წარმოადგენს. იგი კოსმიური ძალაა, კოსმოსის შექმნის პირველი მიზეზი, მისი ლოგოსი და ყოველგვარი მოძრაობის იმპულსი...; სუფიების გაგებით ადამიანი, არის გზაჯვარედინი, მისგან იწყება უკვე ევოლუციური განვითარება - ამალღება აბსოლუტური ჭეშმარიტებისკენ. ადამიანმა უნდა სრულყოს თავისი თავი. თანდათან, საფეხურებრივ უნდა ამალღდეს და დაუბრუნდეს თავის პირველ და უმაღლეს ყოფიერებას - აბსოლუტურ ჭეშმარიტებას...; მათი რწმენით, არაფერია ჭეშმარიტი გარდა ღმერთისა და იგი არის ყველაფერი...; რეალური სამყარო ჭეშმარიტად არარსებულა, ილუზიაა...; სუფიებისათვის რეალური სამყარო «დაბალი მშვენიერება» არის, მაგრამ ის აბსოლუტური მშვენიერებისაკენ მიმავალი გზის უცილობელი საფეხურია... მიწიერი სიყვარული არის ხიდი, რომე-



ლიც უნდა გაიაროს მან, ვინც ღვთიურ სიყვარულში ნეტარებას ეძიებს" (1, გვ. 105-108, 110-111).

აქედან გამომდინარე, სუფიებისთვის ადამიანი არის ღმერთის გამოჩენის საუკეთესო ფორმა, ღმერთის ასლი და ა.შ. ე.ი. სუფიზმის არსს შეადგენს ღმერთი, რომელიც ადამიანის სიყვარულის, სწრაფვის საგანია რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება არის მოსამზადებელი ეტაპი, გზა, სადაც იგი თავისი ამქვეყნიური ტკობისა და ნივთიერი სურვილების დათრგუნვით, საკუთარი თავის განწმენდისა და საკუთარი სიცოცხლის გაქრობის საშუალებით აღწევს თავის უმაღლეს მიზანს - შეერწყმის ღმერთს. აქვე შევნიშნავთ, რომ სუფიზმისათვის პანთეიზმიც არ არის უცხო.

სუფიური ელემენტები აბუ შადისთან (1892-1955), ან აბუ მაადისთან (1889-1957), ან კიდევ სხვა არაბ რომანტიკოსთან იმდენად ფრაგმენტული სახითაა წარმოდგენილი, რომ სერიოზული მსჯელობა თითქმის შეუძლებელია. და ისიც, რაც მათთან გვხვდება, შეიძლება სუფიზმიდან სრულებითაც არ მომდინარეობდეს. ამას არაბი მკვლევარებიც, როგორც ეტყობა, კარგად გრძნობენ და უბრალო პარალელების გავლებით იფარგლებიან (მაგ. ქამალ ნაშაათი). რა შეგვიძლია ვთქვათ? დასახელებულმა პოეტებმა, მსგავსად სხვა რომანტიკოსი პოეტებისა, მოახდინეს სიყვარულისა და ქალის იდეალიზაცია (ამას თავისი ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა), მიიჩნიეს ისინი მარადისობისა და ღვთაებრიობის სიმბოლოდ, ღმერთის სახის გამოვლინებად, უმაღლესი იდეალის - ღმერთის მიღწევის უმთავრეს გზად. აბუ შადისათვის ქალი და სიყვარული განუყოფელია, ერთი მეორეს გულისხმობს და ორივეში ღმერთის სახე ჩანს. იგი ლექსში „ჰიზნი“ ამბობს: „სიყვარული ღვთაებრივი სულიდანაა.“ (10, გვ. 331), ხოლო სხვაგან უმატებს: „განმისახიერებ (ივ. ქალი- მ.ქ.) მე მთელს ცხოვრებას (სიცოცხლეს) და დავინახე შენში ღმერთი...“ (10, გვ. 332). აბუ მაადი „ბარდნარში“ შესულ ლექსში „დარდის ღამე“ ამბობს: „მე სიყვარულით მივალწიე ჩემს სულს და სიყვარული შევიცან ღმერთი“ (4, გვ. 25). აბუ მაადი მშვენიერების საკითხსაც ეხება და მას, სიყვარულის მსგავსად, მიიჩნევს ღმერთისა და მარადისობის სიმბოლოდ. იგი ლექსში „სიყვარულის ტაძარი“ დივანიდან „გაზაფხულის მოჩვენებები“ წერს:

„არ მომკვდარა ის, ვინც შესწირა ცხოვრება თვისი სილამაზეს,

ჭეშმარიტად, სილამაზე არის ღვთაებრიობა და მარადიულობა" (3, გვ. 28). რადგან მისთვის მშვენიერება სიმბოლოა ღმერთისა, ამიტომ მოგვიწოდებს ვუხმოთ მშვენიერებას, მივენდოთ მშვენიერებას, ვეთაყვანოთ მშვენიერებას და ამ გზით ვეზიაროთ უმაღლეს მიზანს.

გარდა ამისა, ქამალ ნაშათისთვის აბუ შადის რომანტიკული ლტოლვა ბუნებისაკენ ღებულობს სუფიურ დატვირთვისაც.

არაბი მკვლევარები დასახელებულ პოეტებზე საუბრისას ამაზე უფრო შორს არც მიდიან.

განსხვავებულად გვაქვს საქმე ჯებრან ხალილ ჯებრანთან (1883-1931) დაკავშირებით. ზოგი არაბი მეცნიერი აცხადებს, რომ ჯებრანმა განიცადა სუფიზმის გავლენა. მაგრამ ისინი თითქმის არაფერს ამბობენ, თუ როგორ და რაში გამოიხატა ეს, თავს არიდებენ კონკრეტული მაგალითების მოყვანას. ადილ ნასარი უფრო შორს მიდის და მას სუფიზმის მიმდევრად აცხადებს (11. გვ. 117, 120).

რა შეგვიძლია ვთქვათ ამის შესახებ? თუ დავუშვებთ, რომ ჯებრანი მიმდევარია სუფიური მოძღვრებისა, მაშინ მისი ლექსების ციკლში „როცკისები“ და ლექსში „ზღვა“ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავტორი ტყით, სალამურიტა და ზღვით ბუნებას კი არ გამოხატავს, არამედ სიმბოლურად - ღმერთს. თუნდაც ჯებრანი ბუნებისკენ მოწოდებაში გულისხმობდეს მოწოდებას ღმერთისკენ, არ ნიშნავს, რომ ამას აკეთებდეს სუფიზმის გავლენით. როგორც ცნობილია, დასავლეთის რომანტიკოსების მოწოდება ბუნებისაკენ გაგებული იყო, როგორც მოწოდება, მიმართული თანამედროვე ცივილიზაციის, ცრუ კულტურის წინააღმდეგ და კიდევ - როგორც მოწოდება - დავუბრუნდეთ ჩვენს შემქმნელ მამა უფალს.

შეიძლება ითქვას, რომ ჯებრანის ლექსებიდან სუფიზმთან ყველაზე ახლოს დგას ოთხბეითიანი ლექსი „სუფი“:

„მადლობა ღმერთს, რომელიც არაა საკუთრება და არც სიმდიდრე, არც მეგობარი, არც შვილი და არც ნათესავი, დავდივართ მიწაზე, ვითარცა მოჩვენება, რომელსაც ვერავინ ვერ ხედავს გარდა

იმისა, ვის თვალეში მოჩვენება იფარება.
ჩვენ სული ვართ და თუ გვითხარით: „საოცარია!“



ვიტყვი: თქვენი მეუფე თქვენს სხეულში საოცრებაა" (9, გვ. 23). ერთ-ერთ ლექსში, სადაც გადმოცემულია საუბარი აჩრდილთან, ჯებრანი აჩრდილს ათქმევინებს:

«თქვა ფარულად: მე ვარ შენ და ნუ შეეკითხები ჩემს შესახებ მიწასა და ცას.

თუ გინდა მიცნო, უჭვრიტე სარკეს დილასა და საღამოს" (6, გვ. 609)

აქ აჩრდილის პასუხი («მე ვარ შენ») გვაგონებს სუფი ჰალაჯას შეკითხვაზე: «ვინ ხარ შენ?» ღმერთის პასუხს: «შენ!» (1, გვ. 113). ზოგჯერ ჯებრანთან ეხვდებით სუფიზმთან და პანთეიზმთან ახლო მდგომ აზრებს. მაგალითად, სუფიების ძირითადი იდეა - სიყვარული, რომელიც, ჯებრანის აზრით, ადამიანს მოეგვინება ღმერთის ნებით და მისი შთაგონებით, მიმართულია ადამიანებისადმი და საეჭვოა სხვა შესაძლებლობას უშვებდეს. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ «მოციქულში» არის ადგილი, სადაც სიყვარულის საბოლოო მიზანს შეადგენს- მიიყვანოს ადამიანი ღმერთთან (8, გვ. 23). «მიწის ღმერთებში» ღმერთმა ადამიანი შექმნა საკუთარი თავის მსგავსად, რათა მისი მეშვეობით ეჭვრიტა საკუთარი სრულყოფილებისათვის (5, გვ. 18). პროზად დაწერილ ლექსში «ღმერთი» კრებულიდან «შემლილი» ჯებრანი ადამიანის ცხოვრების (სიცოცხლის) მიზნად სახავეს არსებობის საიდუმლოებების გამოვლენას, ადამიანსა და ღმერთს შორის ერთიანობის დამყარებას, ღმერთთან იმ სახით შერწყმას, რომ ადამიანს შეეძლოს თქვას: «ო, ყოვლისმცოდნე, ბრძენო ღმერთო! მე შენი გუშინდელი დღე ვარ, შენ - ჩემი ხვალისდელი დღე. მე შენი ძარღვები ვარ მიწის სიბნელეში, შენ - ჩემი ყვავილები ციურ (ზეციურ) ნათებაში. ჩვენ ერთად ვიზრდებით მზის სხივთა ქვეშ» (7, გვ. 6). «მოციქულის ბაღში» ჯებრანი იზიარებს პანთეისტური იდეას - ღმერთის გაშლას მთელს ბუნებაში. ღმერთი განსახიერდება არა მარტო ადამიანში, არამედ ბუნებაში, რომ ყოველივე არსებული არის ღვთაებრივი არსის გამოვლენა, რომ «ის არის ყველაფერი ყველაფერში» (9, გვ. 481).

თქმულს დაუვმატებდით, რომ ჯებრანის ნაწარმოებთა ზოგიერთი გმირი უარს ამბობს საზოგადოებაში ცხოვრებაზე, განუდგება მას და არჩევს განმარტოებით ცხოვრებას. მაგრამ ეს არ ხდება ღმერთის სიყვარულით, რომ განმარტოებაში, ცხოვრებისეული სიამტკბილობის უარყოფაში



და ხორციელი მისწრაფებების დათრგუნვაში ჰპოვოს თავისი უმაღლესი იდეალი, არამედ ეს ხდება თანამედროვე საზოგადოებისადმი რომანტიკული პროტესტის ნიშნად.

ჯებრანმა მთელი თავისი ცხოვრების შეგნებული წლები აშშ-ში გაატარა, ხოლო ბეირუთის „სიბრძნის“ სკოლაში სწავლისას მისთვის ძნელი იყო დეტალურად გაცნობოდა არაბული ლიტერატურის ისტორიას და სუფიურ მიმდინარეობას, მისი დიდი წარმომადგენლების შემოქმედებას. მისი სტატიები ალ-ფარიდისა და ალ-ლაზალის შესახებ მკირე ზომისაა და ვერავითარ წარმოდგენას ვერ გვიქმნის ავტორის ცოდნაზე სხენებული სუფიების შესახებ. ემიგრაციაში კიდევ უფრო ძნელი იქნებოდა საჭირო სიღრმით გაცნობოდა სუფიზმს. ამასთანავე, მეტად საყურადღებოა ჯებრანის მეგობრისა და თანამოკალმის მ. ნუაიმეს ნაამბობი, საიდანაც ირკვევა, რომ მას (მ. ნუაიმეს) არ ჰქონდა სუფი ჰალაჯას ნაწარმოებები წაკითხული. აქვე იგი უმატებს, რომ ჩვენ (იგ, „არ-რაბიტა ალ-კალამიას“ წევრები - მ.ქ.) საერთოდ არაბულ ლიტერატურასა და ისტორიას ვეცნობოდით შემთხვევით ხელში ჩავარდნილი არაბული წიგნებითა და ნასიბ არიდას, როგორც არაბთა წარსულის ყველაზე უკეთ მცოდნის, ნაამბობით“ (9. გვ. 55).

მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ სუფიზმი, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობა, ჩამოყალიბდა და განვითარდა გარკვეულ ისტორიულ პირობებში, გარკვეული საზოგადოებრივი წყობილების დროს. ხოლო XX საუკუნის პირველი ნახევარი სულ სხვა ეპოქაა, ცხოვრების სულ სხვა პირობები, მოთხოვნილებები და პრობლემები დგას, სულ სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებთან გვაქვს საქმე. ამ დროს, თუმცა აღმოსავლურ სამყაროში ჯერ კიდევ არიან სუფიზმის მიმდევარი პოეტები, არა აღმოსავლურ გარემოში მცხოვრები მწერალი, მით უმეტეს ქრისტიანი, საეჭვოა იყოს სუფიზმის მიმდევარი. ჩვენ შეგვიძლია დაფუშვავთ, რომ ჯებრანს გარკვეული ზომით განეცადოს სუფიური ლიტერატურის სტილის ერთგვარი გავლენა, ზოგი რამ გადმოელო მისგან, ან კიდევ გაეკეთებინოს ეს მიბაძვით, მაგრამ მისი მსოფლმხედველობის სუფიურად, ხოლო თვითონ მისი სუფიად მიჩნევა გადაჭარბებულად გვეჩვენება.

Murman Kutelia

SUFIC ELEMENTS IN THE WORKS OF ARAB ROMANTICIST POETS (ABSTRACT)

In the works of Arab romanticist poets ABU SHAADI (1892-1955) and ABU MAADI (1889-1957) Sufic elements are very scarce and do not give us the possibility to talk about the influence of Sufism on their poetry.

In the case of Gibran Khalil Gibran (1883-1931) an Arab scholar Adil Nasar announces him as a follower of Sufism. In the poem "The Sufi" and in some of his prose ("The Prophet", "The God of Earth", "The God") we meet expressions that are close to Sufism and Pantheism. That is why we think that Gibran, to a certain extent, might have been influenced by Sufic literature and even in some cases copied their style, but to announce him as a Sufi in our opinion would be an exaggeration.

სემიოლოგიის კათედრა

მიხეილ ჟურდიანი

საერთო-ქართველური საზოგადოების სოციალური სტრუქტურისა და სამეურნეო ყოფის ზოგიერთი საკითხი ენობრივი მონაცემების მიხედვით

IV ხელოსანი (1 მკერავი)

0.1. ენათმეცნიერების ისტორიულ-შედარებითი მეთოდი იძლევა საშუალებას, ავადგინოთ არა მხოლოდ ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის არქეტიპები ისტორიულად დადასტურებულ ენებში პოენიერი სიტყვა-ფორმებისა, არამედ ფუძე-ენაზე მოლაპარაკე ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ის ფაქტები და რეალიები, რომლებიც აღნიშნულნი არიან რეკონსტრუირებადი ლინგვისტური მასალით.

0.2. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი სურათი საერთო-ქართველური საზოგადოების ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური ჯგუფისა, როგორსაც წარმოადგენდნენ ხელოსნები და, კერძოდ, მკერავები, ცხადია, ვერ აღადგენს მთელი სისრულით მათი საქმიანობის ყველა დეტალს, რადგან ამ საქმიანობის ამსახველი პროფესიული ლექსიკის ყველა ერთეულს ან არ მოუღწევია ჩვენამდე, ან ჯერ კიდევ გამოსავლენია.

1. მკერავის აღმნიშვნელი საერთო-ქართველური ტერმინები

1.1. მკერავის პროფესიის აღმნიშვნელი საერთო-ქართველური ტერმინების, ასეთი კი რამდენიმე უნდა ყოფილიყო, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, რეკონსტრუქცია, ამ ეტაპზე, სრული უეჭველობით ვერ ხერხდება.

2. მკერავის ხელსაწყო-იარაღების აღმნიშვნელი საერთო-ქართველური ტერმინები



2.1. ნემსი. ქართველური ენების შედარება საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ საერთო ქართველურ დონეზე მთავარი საკერავი იარაღის სახელწოდება: ს-ქ.: * ნემსი, (ქართ. ნემსი: ზან (ლაზ) ლემში<* ნემში<* ნამში);

2.2. სადგისი. საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება, აგრეთვე, მთავარი სახვრეტი იარაღის სახელწოდება: ს-ქ*. სადგისი (ქართ. სადგისი: ზან. ოდგიში);

2.3. თითისტარი. საერთო ქართველურ დონეზე აღდგება თითისტარის ერთ-ერთი სახელწოდება: ს-ქ*. ფხინი (ქართ. ფხინი „საქსოვი იარაღი“ ზან(ლაზ) ფხენი <*ფხინი).

3. საკერავი მასალის აღმნიშვნელი საერთო-ქართველური ტერმინები

3.1. ტყავი. საერთო - ქართველურ დონეზე აღდგება ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი საკერავი მასალის (როგორც ტანსაცმლის, ასევე ფეხსაცმლის და თავსაბურავისათვის) სახელწოდება: ს-ქ.*ტყაუი (ქართ. ტყავი: ზან. ტყოვი (შემორჩენილია ქართ. ენის გურულ დიალექტში): სვან. ტყოფ<*ტყაუ შდრ. მეტყუფე//მეტყუფე „გადატყაული“. უ<ა ბავისმიერის წინ).

3.1.1. ტყავი შეიძლებადა ყოფილიყო როგორც შინაური ცხოველების: ხარი (ს-ქ.* ჯარი), ძხროხა (ს-ქ*. ფური), ხბო (ს-ქ*. გენი), თხა (ს-ქ*. დაჯალი//*დაჯი), ცხვარი (ს-ქ*. ცხორი), ბატკანი (ს-ქ*. კრატი)... თუმცა არ არის გამორიცხული რომ ტყავის თავდაპირველი მნიშვნელობა ცხვრის ბეწვიანი ტყავი (საწმისი) ყოფილიყო.

3.1.2. ასევე გარეული ცხოველებისა: არჩვი (ს-ქ*. არჩემი), შველი (ს-ქ*. შუელი), დათვი (ს-ქ.* დას, თუი), მაჩვი (ს.ქ. * მაჩუი), კვერნა (ს.ქ.* კუერნა)...

3.2. მატყლი. საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება ერთ-ერთი უმთავრესი საქსოვი მასალის სახელწოდება: ს-ქ* მატყლი// მატყალი (ქართ.

მატყლი: სვან. მატყ|| მ^ატყ<მატყი: ზან. მონტყორი) - მატყლი ცხვრის
გაკრეჭილი (ნაპარსი) ბეწვის სახელწოდება უნდა ყოფილიყო იმთავითვე.

3.3. სელი|კანაფი. საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება უმთავრესი
მცენარეული საქსოვი მასალის სახელწოდება: ს-ქ*. სელი (*ს-ელ-ი) (ქართ.
სელი "კანაფი"; ზან (მეგრ) სუ "კანაფი").

4. საკერავი მასალის მომზადების აღმნიშვნელი საერთო-ქარ-
თველური ტერმინები

4.1. ტყავის დამუშავება.

4.1.1. ფხეკა. საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება ფხეკის აღმნიშვნე-
ლი ტერმინი: ს-ქ*. ხეკუა (ქართ (გურ) ხეკვა "გასუფთავება": სვან. ლხკუნე
"ფხეკვა": ზან. ხაკუა "ფხეკვა")

4.1.2. პარსვა. საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება ტერმინი, რომე-
ლიც აღნიშნავს როგორც ცოცხლის, ასევე ტყავის გაპარსვას, თმისგან
გაცლას: ს-ქ*. ხოკუა (ქართ. ხოკვა: ზან. ხოკუა "პარსვა").

4.1.3. ღლობა. საერთო ქართველურ დონეზე აღდგება ტერმინი, რომე-
ლიც ტყავის დამუშავების ერთ-ერთ სტადიას- მის წყალში დასარბილებლად
ჩადებას აღნიშნავს: ს-ქ*. დაღლობა||* დაღაბება (ქართ. დაღობა: ზან(ლაზ)
დოლობოფა||დოლოფინაფა "დაღობა" შღრ. (მეგრ) დოლიბარება).

4.1.4. შრობა. საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება ტერმინი, რომე-
ლიც ტყავის დამუშავების მომდევნო სტადიას წყალში (სითხეში) დამბალი
ტყავის გამრობას აღნიშნავს: ს-ქ*. შურობა||* შურება (ქართ. შრობა: ზან(მეგრ)
სქირაფა<* სქურაფა).

4.1.5. ხმობა. საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება ტერმინი, რომე-
ლიც ტყავის გამრობის კიდევ უფრო მაღალ ხარისხს შეესაბამება: ს-
ქ*. წამობა//წამება (ქართ. წმობა: ზან. ხუმაფა).

4.1.6. თელვა. საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება ტერმინი, რომე-
ლიც გამხმარი ტყავის ხელახალ, ამჯერად უკვე მშრალად დარბილებას
აღნიშნავს: ს-ქ*. თელუა (ქართ. თელვა: ზან. თალუა)

4.2. მატყლის დამუშავება



4.2.1. რეცხვა. ნაპარსი მატყლი ირეცხებოდა: ს-ქ*რეცხტა (ქართ. რეცხვა; ზან. რჩხუალა||*რაჩხუა. ეს ძირი არის სვანურშიც - ლირჩხენე "წყალში გაღვება"), საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება სარეცხის აღმნიშვნელი სიტყვაც: ს-ქ* სარეცხელი (ქართ. სარეცხელი «სარეცხი» ზან. ორჩხალი. id).

4.2.2 შრობა იხ. 4.1.4.

4.2.3. ძენძვა. გამშრალ მატყლს ხელით წეწდნენ, ძენძავდნენ: ს-ქ*.ძენძტა (ქართ. ძენძვა: ზან. ძანძუა)

4.2.4. პენტვა. აძენძილ მატყლს გაშლიდნენ და პენტავდნენ: ს-ქ*.პენტტა (ქართ. პენტვა: სვან. ლიპ-ენტე: ზან. პინტუა)

4.2.5. ვარცხნა. დაპენტილი მატყლი ივარცხნებოდა (იჩეჩებოდა). ს-ქ*ტარცხნტა (ქართ. ვარცხნა: ზან (მეგრ) რცხონუა<*ორცხონუა (ლაზ. ოცხონუ<*ორცხონუა: სვან ლიცხენე<*ლიორცხენე) საერთო ქართველურ დონეზე აღდგება სავარცხლის აღმნიშვნელი სიტყვაც: ს-ქ*სავარცხალი (ქართ. სავარცხელი: სვან. ლაცხნირ: ზან. ორცხონვი<*ორცხორი) არ არის გამორიცხული საერთო-ქართველურ დონეზე *სავარცხნალი ფორმის აღდგენა.

4.2.6. რთვა. საერთო-ქართველურ დონეზე ივარაუდება რთვის აღმნიშვნელი ტერმინის რეკონსტრუქცია: ს-ქ: ს,თტა (ქართ. რთვა<სთვა: სვა* შდტა შდრ. ჩერშდტა//ჩერშდა თითისტარი სიტყვასიტყვით: ცერრთვა, ცერსართავი. ჩვეულებრივ, ადარებენ: ქართ. რთვა<სთვა: სვან. ლი-ლთ-ე ახალ დაკავშირებას შეიძლება ხელი შეუშალოს ჩერშდტა//ჩერშდა<ჩერშდავ «ცერისთავი» გამოურიცხავობამ.

4.3. სელის (კანაფის) დამუშავება

4.3.1. ფხეკა იხ. 4.1.1.

4.3.2. ლბობა იხ. 4.1.3.

4.3.3. შრობა იხ. 4.1.4.

4.3.4. თელვა იხ. 4.1.6.



4.3.5. გრეხვა. საერთო - ქართველურ დონეზე აღდგება არაერთი ტერმინი სელის დამუშავების ერთ-ერთი სტადიის - მისი ძაფად გრეხვის აღსანიშნავად:

ა) ს-ქ*გრახუა||*გრეხუა (ქართ. გრეხა<* გრახვა: ზან. გირიხუა<*გროხუა||გირახუა<*გრახუა "გრეხვა")

ბ) ს-ქ*წმას, უა||*წმას,ნუა (ქართ. წმასნა: ზან. ჭიმოშუა "ხვევა", გრეხვა");

გ)ს-ქ*წრეხუა (ქართ. წრეხა" დაგრეხა": ზან. წირახუა "დაგრეხა")

4.3.6 რთვა იხ. 4.2.6

აქ ვწყვეტ საკერავი მასალის დამუშავებისა და ზოგადად კერვისათვის მოსამზადებელი სამუშაოების აღმნიშვნელ საერთო-ქართველური ლექსიკის შესახებ მსჯელობას, საკუთრივ კერვისა და სამოსის აღმნიშვნელ საერთო-ქართველურ ლექსიკას ნაშრომის მომდევნო ნაწილი მიეძღვნება.

Mikheil Kurdiani

SOME QUESTIONS IF SOCIAL STRUCTURE AND ECONOMIC BEING OF COMMON GEORGIAN SOCIETY ACCORDING TO THE LINGUAL DATA. (IV HANDICRAFTSMAN (1. TAILOR)

The common Georgian vocabulary based on the historical-comparative method is reconstructed in the research and it is connected with sewing, the profession of tailor and sewing material. Vocabulary used here deals with the preparation of sewing material from leather and wool on the one hand and flax on the other. This research is only a part of the monograph some chapters of which have already been printed and they are well-known to the scientific society.

ლიტერატურა:

1. Г.А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964
2. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ტ. III, ნაწ. I, ტანისამოსი, თბილისი, მეცნიერება, 1983
3. ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990
4. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.

ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა

ნიკო ჩხეიძე

ქალის როლის ინტეგრაციის წლებში საპროფესიონალური ბერძნულ ფილოსოფიაში (პლატონიდან სტოიკოსებამდე)

ამაღონობის პრობლემასთან დაკავშირებით ბერძნული ფილოსოფია საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაციას გვთავაზობს. ამაღონთა საკითხის თეორიულ პლანში, ფილოსოფიაში, ინტეგრაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ბერძენ მოაზროვნეთა თხზულებების განხილვა, რომელთაც აინტერესებთ სამართლიანობის თუ ჭეშმარიტების პოზიციიდან რამდენად გამართლებულია ის, რომ ქალს საზოგადოებაში მამაკაცის თანაბარი მდგომარეობა არ ეჭიროს. აქ, უთუოდ, გამოიყოფა პლატონი (ძვ. წ. ა. მე-5 ს), რომელიც გვთავაზობს ამაღონობის მოტივის საინტერესო ინტერპრეტაციას თავის ნაწარმოებში, უპირველეს ყოვლისა, დიალოგებში „სასწავლებელი“ და „კანონები“, მაგრამ თავდაპირველად რამდენიმე სიტყვით შევხებით პლატონთან საკუთრივ ამაღონების შესახებ არსებულ არც თუ ვრცელ ინფორმაციას.

დიალოგში „მენექსენოსი“ ფილოსოფოსი ხაზს უსვამს ამაღონთა მეომარულ ღირსებას და ამაღონთაგან განსხვავებით ელინ ქალთა უუნარობას, წინ აღუდგენ საკუთარი სამშობლოს მტრებს (კანონ. VII, 806). დიალოგში „აქსიოხოსი“ პლატონი ასახელებს ამაღონთა ძეგლს, რომელიც აღმართულ იქნა მეზობელ ქალთა დედოფლის, ანტიოპეს, საპატივცემულოდ. დიალოგში „კრატილოსი“ (კრატ. I, 392) ფილოსოფოსი ახსენებს იმ ადგილს, რომელსაც ამაღონ მირინას საპატივცემულოდ მირინა ეწოდა.

გაცილებით უფრო საინტერესოა პლატონთან არა თავისთავად ინფორმაცია ამაღონებზე, არამედ ამაღონობის მოტივის რეალიზაცია. ფილოსო-



ფოსი ხშირად მსჯელობს ქალისადმი დამოკიდებულების შესახებ. ჯანსაზღვრავს მის ბიოლოგიურ თუ სოციალურ მონაცემებსა და შესაძლებლობებს. ცდილობს, მიუჩინოს ქალს კუთვნილი ადგილი იდეალურ სახელმწიფოში და ინტიმურ ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენ აღნიშნული საკითხები გვაინტერესებს არა იმდენად პლატონის ზოგადად ქალისადმი მიმართების გასარკვევად, რამდენადაც ამ მიმართებაში პლატონის მიერ ჩადებული ამადონური მომენტების წარმოსაჩენად. ამისათვის locus classicus არის დიალოგი „სახელმწიფო“, სადაც ბერძენი ფილოსოფოსი გეტავაზობს იდეალური სახელმწიფოს თეორიულ მოდელს, აყენებს უზენაესი სამართიანობის პრინციპების შესაბამისად სახელმწიფოს ორგანიზაციის საკითხს და ამგვარი სამართიანობის ერთ-ერთ პრინციპად მიაჩნია - მოიხსნას ყველა დაპირისპირება სახელმწიფოში, მათ შორის, დაპირისპირება ქალსა და მამაკაცს შორის. ამ დაპირისპირების მოხსნა პლატონთან რეალიზდება შემდეგ არგუმენტაციითა საფუძველზე: 1) ქალი ისეთივე არსებაა წარმოშობით, როგორც მამაკაცი 2) ქალს ისევე შესწევს უნარი შეასრულოს სახელმწიფოში ესა თუ ის ფუნქცია, როგორც მამაკაცს. მთავარია, ვინ როგორ შეძლებს ამა თუ იმ საქმიანობის დაუფლებას და არა ის, ვინ ქალია და ვინ მამაკაცი. ერთადერთი დაპირისპირება, რომლის არსებობასაც უშვებს პლატონი, არის ქალსა და მამაკაცს შორის არსებული ბიოლოგიური განსხვავება, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სახელმწიფოში ფუნქციების განაწილებასთან.

ხსნის რა დაპირისპირებას ქალსა და კაცს შორის, პლატონი ათანაბრებს მათ ფუნქციებს იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი: ქალსა და მამაკაცს საშუალება ექნებათ, ერთნაირად შეასრულონ სახელმწიფოს დამცველ მეომართა ფუნქციები (452, 456). „მაშ, მივცეთ ქალებს სახელმწიფოს დაცვის საშუალება“, - ასკვნის პლატონი, - „დე, ივარჯიშონ მათ მამაკაცებთან ერთად. ვერც ერთი მამაკაცი ვერ გაბედავს დასცინოს ქალს, რომელიც სამშობლოს დაცვის მაღალი იდეალისთვის

ემზადება. თავისი სიცილით ასეთი მამაკაცი მხოლოდ საკუთარ მოუძმეობაზე ფებლობას ნათელყოფს" (457b).

პლატონი იდეალური სახელმწიფოს მისეულ მოდელში ქადაგებს აგრეთვე ერთიანობის პრინციპის განხორციელებას. ამ შემთხვევაში ფილოსოფოსი ეყრდნობა შემდეგ არგუმენტაციას: მეომარ ქალებსა და მამაკაცებს ექნებათ ერთნაირი აღზრდა მუსიურ ხელოვნებაში, ვარჯიშსა და სამხედრო საქმეში, გაუჩნდებათ, შესაბამისად საერთო ინტერესები. «რა შეიძლება იყოს სახელმწიფოსათვის უფრო დიდი ბოროტება, ვიდრე მისი ერთიანობის დაკარგვა და მრავალ ნაწილად დაშლა? შეიძლება იყოს იმაზე მეტი სიკეთე, რაც ხელს უწყობს მის გამთლიანებას?... გრძნობათა ყველანაირი სხვადასხვაობა ანგრევს სახელმწიფოს ერთიანობას. ეს კი მაშინ ხდება, როცა სახელმწიფოში ერთნი ამბობენ: «ეს ჩემია», ან «ეს არ არის ჩემი» - მეორენი გაიძახიან (462a-b, v-462c).

ამგვარად, პლატონის ამ დიალოგში წარმოდგენილია იდეალურ სახელმწიფოში როლი იდეალური ქალისა, რომელიც მამაკაცის თანასწორუფლებიანია. სწორედ ეს არის, მისი აზრით, იდეალურ სახელმწიფოში ორი ძირითადი პრინციპის, სამართლიანობის და ერთიანობის, განხორციელების გარანტი.

დიალოგში «კანონები» კვლავ ვხვდებით ამაძონკის მოტივის რეალიზაციას, აყენებს რა ავტორი ისევ საკითხს ქალთა და მამაკაცთა ყოფითი და სამხედრო თანაბარუფლებიანობის შესახებ. პლატონი ამ დიალოგში უფრო შორის მიდის და ქალს მიანიჭა უფლება აკონტროლოს არა მარტო სხვა ქალთა, არამედ მამაკაცთა ცხოვრებაც, დააწესა რა მისთვის ზედამხედველის თანამდებობა. ქალ-ზედამხედველებს ევალებოდათ თვალყური ედევნებინათ ქალთა და მამაკაცთა ქცევებისათვის. დაუმორჩილებლობის დროს ქალ-ზედამხედველები უფლებამოსილნი იყვნენ მიემართათ უმკაცრესი ზომებისადმი (784)abcd)

არისტოტელესთან ჩვენთვის საინტერესო საკითხი არ არის ესოდენ ვრცლად წარმოდგენილი, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ მის ერთ



საინტერესო მსჯელობას „ნიკომაქეს ეთიკაში“, შეიძლება ითქვას რომ არსებითად, თავის მასწავლებელს, პლატონს, უჭერდა მხარს. ამ აზრის მნიშვნელობა რომ უფრო ნათლად აღვიქვათ თავისი ეპოქის კონტექსტში, ჩვენ მოვიტანთ იმის მაგალითს, თუ როგორ უყურებდა მისი თანამედროვე ზოგიერთი ბერძენი მოაზროვნე გათხოვილი ქალის ფუნქციასა და როლს საზოგადოებაში. დემოსთენე ამბობს: „ჰეტერები ჩვენი სიამოვნებისათვის გვყავს, საყვარლები - ყოველდღიური ზრუნვისათვის სხეულზე, ხოლო ცოლები იმისათვის, რომ კანონიერი შვილები გავვიჩინონ და სახლის საიმედო მცველები იყვნენ“.

ამის შემდეგ საინტერესოა არისტოტელეს მიერ ზემოთ ნახსენები აზრის წარმოდგენა: „ადამიანები მხოლოდ ბავშვების გაჩენისათვის არ არიან ერთად, არამედ იმ საქმეთა გამო, რომლებიც ცხოვრებას ეხება, რადგან ამგვარად საქმიანობა ნაწილდება. ისინი კაცებისათვის და ქალებისათვის სხვადასხვაა. ასე, რომ ისინი ერთმანეთს ეხმარებიან და სთავაზობენ თავიანთ სამსახურს იმაში, რაც მათთვის არის განკუთვნილი“. როგორც ცნობილია, ეს პოზიცია შემდგომ სხვადასხვა ფილოსოფიური მიმართულების მოაზროვნეთა შორის უფრო და უფრო მეტ მხარდაჭერას პოულობს, რის საილუსტრაციოდ არა ერთი ისტორიკოსის აზრი შეიძლება მოვიტანოთ.

ქალის აქტიური გამოსვლა ასპარეზზე აისახა გვიან კლასიკურ და ელინისტურ ფილოსოფიაშიც. სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობანი ცდილობდნენ თავიანთი სიტყვა ეთქვათ ქალის როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თითქმის ყველა მიმართულებაში (ეპიკურეიზმი, კინიზმი, სტოიციზმი, ნეოპიტაგორეიზმი და სხვა). გამოითქვა აზრი, რომ ქალი თავისუფალი უნდა იყოს ოჯახური მარწუხებიდან და ამის საწინააღმდეგო - ქალი უნდა იყოს სიმბოლო ოჯახის ერთიანობის და სიძლიერის. ელინისტურ ფილოსოფიაში გაჩნდა ტექსტები, რომელთა ძირითადი პათოსი ცხოვრების წესების შესახებ სახელმწიფოს აზრების გამოთქმაშია და



რომელთაც მიაწერენ სხვადასხვა ცნობილ ქალებს. მაგალითად, თეანო (პითაგორას ცოლი ან ასული) წერდა ქორწინების და განქორწინების საკითხზე. მელისას დაუწერია ქალთა მოვალეობაზე, განსაკუთრებით კი იმ აუცილებლობაზე, რომ ქალი უნდა მოერიდოს ფუფუნებით ცხოვრებას. პითაგორას მოწაფედ თვლიდნენ პლატონის დედას, პერიქტიონეს, რომლის სახელითაც მრავალი ფილოსოფიური თხზულება უნდა ყოფილიყო ცნობილი ელინისტურ ეპოქაში. იგი წერს, როგორი უნდა იყოს ჰარმონიული ქალი, ეს კი მიუთითებს ქალის როლის გაზრდაზე. მისი ხედავ არის ნეოპითაგორული ან სტოიკური. დიოგენე ლაერტიოსი ამბობს: „დიოგენე სინოპელს უთქვამს, რომ ქალები უნდა იყვნენ საერთო და იგი უარყოფდა კანონიერ ქორწინებას. ვინც ვის დაიყოლიებს, მასთან იცხოვრებსო“.

როგორც ვნახეთ, ელინისტური ეპოქის ფილოსოფოსებს განსხვავებული აზრი ჰქონდათ ქალის თავისუფლებისა და ადგილის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თანაც, ემანსიპაციის პროცესი საკმაოდ წინ იყო წასული.

ვეფიქრობთ, ანტიკურ ფილოსოფიაში თეორიულ მსჯელობას ქალის ადგილის შესახებ საზოგადოებაში გარკვეული იმპულსი მისცა იმან, რაც ფაქტების სახით დაგროვდა როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულ-მითოგრაფიულ ლიტერატურაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში. შეიძლება ითქვას, რომ არსებითად, ძვ. წ. მე-4 საუკუნეში დაწყებული სერიოზული ფილოსოფიური მსჯელობა ამ საკითხზე მთავრდება იმ აზრისათვის უპირატესობის მიცემით, რომ ქალი და მამაკაცი, მართალია, ბიოლოგიურად განსხვავებული არიან ერთმანეთისაგან, საზოგადოებაში მათი თანასწორუფლებიანობა უნდა იყოს დაცული და ისინი უფრო ერთმანეთის პარტნიორები უნდა იყვნენ, ვიდრე ერთმანეთთან ურთიერთდაქვემდებარების პრინციპით დაკავშირებული სუბიექტები.



ABOUT THE INTERPRETATION OF A WOMAN'S ROLE IN ANCIENT PHYLOSOPHY

(From Plato to Stoics)

Resume

A serious theoretical discussion about a woman's role in the society began in the 4th c.b.a. In the works of the phylosiphers was marked out an idea, that though a woman and a man are differ biologically, in the society they must be equal and partners.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Arthur M.B. Early Greece: the Origins of the Western Attitude Toward Women, WAW, 1993.
2. Platon, Werke, Bd 1., Bd2, HRsg, H. Hofmann, L. Bodin... Wissenschaftliche Buchgesellschaft Dormstadt, 1990
3. The Poetics, Aristotle, with an English translation by W. Hamilton, Fyfe, LCL (1927), 1965.
4. Wender D., Plato, Misoginist, Phaedophile and Feminist, WAW, 1996.
5. Inesleff H., The Pythagorean texts of the Hellenistic period, Abo: Abo Akademi, 1965

საზღვარგარეთული ლიტერატურის
ისტორიის კათედრა



სერბო ჭიუჭილი

ვასილ ბარნოვის ისტორიული მოთხრობების
შანრული თავისებურებანი

უახლესი ქართული პროზის დიდოსტატმა ვასილ ბარნოვმა საქართველოს წარსულის ასახვას 13 რომანი და 14 მოთხრობა მიუძღვნა. აქვე უნდა შევნიშნო, რომ მისი ერთ-ერთი ბოლო თხზულება «სამწუხრო ღიმი» დღემდე მიჩნეულია მემუარულ ნაწარმოებად, ფაქტიურად კი წარმოადგენს მწერლის ბავშვობისა და ყრმობის წლების მხატვრულ გადმოცემას მინიატურებით, მოთხრობებით, ნოველებით, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ისტორიული ჟანრის სტილშია გადაწყვეტილი.

ტრადიციულად, ისტორიულ-მხატვრულად ითვლება ის ნაწარმოები, რომელიც ასახავს კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს. მაგალითად, ქრისტიანობას დამკვიდრების საქართველოში (ვ. ბარნოვის «არმაზის მსხვერვა»), ისტორიული პიროვნების ცხოვრებას (ვ. ბარნოვის «გიორგი სააკაძე»), და ა.შ.

ვ. ბარნოვის ბელეტრისტულ თხზულებთაგან გამოვყოფ რამდენიმე მოთხრობას, რომელიც უშუალოდ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს ან მოვლენას არ ასახავს, მაგრამ არსებით ისტორიულია, რადგან წარმოგვიდგენს ისტორიულ გარემოს, წარსულის სურათებს, ჩვენი წინაპრების ადათ-წესებს, ზნეობის მაგალითებს, ქართული სულის სიმტკიცეს, ეროვნულ ენერგიას, პერსპექტივას და ა.შ. ასეთად მიმაჩნია მოთხრობები: «სურათები»: (ხევსურების ცხოვრებიდან), «მოგვთა კალო», «დედის ხელი», «ქალი კახელი», «საარაკო განძი», «ნაძენარის დევი»...

განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

«სურათები» (ხევსურების ცხოვრებიდან) მწერლს პირველი გამოქვეყნებული ნაწარმოებია. დაიბეჭდა 1878 წელს, «დროებაში» (№220-227). რა არის ამ უსიუჟეტო მოთხრობაში ისტორიული? პირველ ყოვლისა, XIX საუკუნის ხევსურეთი და ხევსურთა ყოფა. ისტორიული ფხოვი (ფშავ-ხევსურეთი) და



ფხოველნი ოდითგანვე ეგზოტიკურ სამყაროდ გაიაზრებოდა. ეს მცოდნე-რიცხოვანი, მაგრამ გულადი და პურადი ნაწილი ქართველი ხალხისა, ყოველთვის გამოირჩეოდა სიმამაცით, რაინდობით, ქვეყნისა და მეფისადმი ერთგულებით. ცნობილია, რომ ისტორიული ფხოვი პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტატუსით საქართველოს სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. ფხოველები ბარს იცავდნენ პირიქეთიდან გადმოსული მოთარეშე ბანდებისაგან. ხევსურთა რაზმები მეფე ერეკლეს ყველაზე საიმედო ძალა იყო ასპინძის ომში (1770 წ.) და კრწანისის ველზე დატრიალებულ ტრაგედიაში (1795 წ.). ხევსურები, როგორც მთიულთა სხვა ტომები, ვერ ეგუებოდნენ საქართველოში რუსული მართვა-გამგეობის წესსა და წყობილებას. მათი უმრავლესობა კარგახნით დაემშვიდობა ბარს, თავიანთ ციხე-კოშკებში ჩაიკეტნენ მიუვალ, უგზო მთებსა და ღრანტეებში... როცა ძალამ აღმართი ახნა, მათგან ისევე მოითხოვეს ხარაჯა, როგორც ქიზიყელი ან იმერელი გლეხისაგან ითხოვდნენ, მათი ფარი და ხმალი აღარავის ჭირდებოდა... და კარგახანს ცხოვრობდნენ როგორც სამუზეუმო ექსპონატები - თითქმის პრეისტორიულ გარემოში შეინარჩუნეს ისტორიული წესი ცხოვრებისა, ტრადიციები, ხასიათის სიმტკიცე.

სწორედ ეს დაინახა ხევსურთა სოფელში სტუმრად ჩასულმა მწერალმა. გზისპირას, საძოვარზე საქონელი შენიშნა. იქვე, ახლოს, ხის ქვეშ ახალგაზრდა ლამაზი ქალიშვილი იდგა, "ხელს აცოდვილებდა, წინდასა ქსოვდა" (1. I-13).¹ ეს მასპინძლის ასულია, ნათელა ჰქვია. გაუკვირდა მწერალს, ქალი რომ პირუტყვს ედგა და თან ხელსაქმობდა. მეგზურმა განუმარტა: "აქ მდიდრებიც და ღარიბებიც ასე იქცევიან. სირცხვილად მიაჩნიათ შინ უსაქმოდ ჯდომა... თუ ექნებათ რამე ამოსაჩხლართი, ეგრე მინდორში გააკეთებენ, როცა მოიცლიან; ტანისამოსს ეგენი საზოგადოდ ზამთარში ჰკერავენ და ქსოვენ. ნეტავ გიჩვენა ზამთარში თითო-თითო ქალი რომ ჩასჯდომია ქსელს და ერთგულად ჰბეჭდავს! ამათ ტანისამოსზე არ მისდით ფული". (1. I. 15). მწერალი მხატვარ-მოდელიორის თვალითა და

¹ დამოწმებული ლიტერატურის სია თან ერთვის. ფრჩხილებში. პირველი ციფრი აღნიშნავს ავტორს, მომდევნო - ტომს (თუ აქვს ტომები), მესამე ციფრი მიუთითებს გვერდს.

სიზუსტით ხატავს ნათელას ხევსურულ კაბას, მკერდზე მოქანავე მძიმე ფუნჯს, ასულის პორტრეტს.

—უსათუოდ ერთპირი ხალხი ცხოვრობს აქ, თორემ ქალის მინდორში მარტო სიარული?..

—ჰო, აქ სულ ერთი ჩვეულების ხალხია და თავდაცული: თუ ვინმე გაბედავს რაიმეს, მალე იგემებს ხანჯლის ცივ რკინას. აი, მაგ ქალს თავს ევლება ერთი ყოჩალი ბიჭი, მაგასაც მგონი უყვარს, მაგრამ, რადგან დედ-მამას არ სურს, ხელიც ვერ უხლია" (იქვე).

მწერალი ეთნოგრაფის სიზუსტით ხატავს ხევსურთა ყოფას: სადგომის მწვანედ შებოლილ ჭერზე "ბუნჯგალ-ბუნჯგალ" ჩამოგრძელებულ მჭვარტლს, "მთელ-მთელ ცხვრის ღუმებს... ხარისებზე გაწყობილ ფიწლებს, ორთითებს... კერის პირას მოფუსფუსე ხანში შესულ დიასახლისს, რომლის "მრავალგზის დაკონკებული შალის ტანისამოსი სიჭუჭყისაგან იყო შეღესილი" (1, 1, 20) გაიშალა ტაბლა. "ზედ ეწყო სმიადები, ქადები, ყველი, ორი წიწანა (პატარა ჯამი ხისა) რძე, რომელშიაც ყვითლად მოჩანდა გამდნარი ერბო... დიასახლისმა ამოყარა ცეცხლზე ნაკიდ ქვაბიდან ხინკალი და მოგვართვა.

—მიირთვი, დავითო, მიირთვი; რახელ ხინკალ გაუკეთებავს ჩემ დიაცს!..

—მართლა კარგი საჭმელი ყოფილა, როდი ვიცოდი!

—ესა? ეს ხევსურების საჭმელ ას, — მითხრა და მომაწოდა არყით სავსე ყანწი (1.1.21).

მომხიბვლელადაა გადმოცემული ხევსურთა ჯირითი, სადილობა, ფანდურზე დაკვრა და კაფიაობა, ცეკვა, კიდევ სხვა მრავალი დეტალი, რომლებშიც გამოსჭვივის ტრადიციის სიძველე, გარემოსა და ყოფის სიმკაცრე, ადამიანთა სულიერი სიწმინდე და ხასიათის სიმტკიცე.

მოთხრობას აგვირგვინებს ნათელას მოტაცების ეპიზოდი: ღამეა. «ღობის იქით გამოჩნდა რაღაც შავად. დაუახლოვდა სამრეკლოს კარებს და ჩაჯდა. გავიგონეთ კარის რახუნი. რახუნი კიდევ გაისმა. კიდევ... კარმა მცირე ჭრიალი მოიღო.

- ვინ ხარ, რაი ხარ მანდ? - გაისმა ნელი ხმა.
- მე ვარ, გაგანაი ვარ, - დაიძახა გარედან.
- დაგწყიოს იალსარმ. ეშმაი ხარ, რა გი აქ?
- მე ვარვ, გაგაი ვარ, გაგაი არ გახსოვსა?

- ჰოი! რაი გი აქ, წეედ. მოგკლამენ, - სთქვა თრთოლვით ქალმა.
- არიქა, მედ აქ ბატარა ხანს!
- არა, შენი ჭირიმ, ვერ მოვალ, ჩაგვხოცენ!
- არავენ ას აქა, მამადურამ არ გითხრა ძოლან?

ბიჭი შიგ დერეფანში შევიდა. გაისმა კარის ჭრიალი. გამოვიდა ქალი. ორი შავი ჩრდილი შეეწებენ ერთმანეთს, კოცნის ნელმა ხმამ ძლივს მოაღწია ჩვენამდე" (1.1.26).

სულ ხუთიოდე წუთი დასჭირდა ბიჭს, რომ სამოთხის კარი შეეღო - ქალი მოეტაცა... ატყდა ძაღლების ყეფა, თოფის სროლაც. გვიანდა იყო. სიყვარულმა შიში არ იცის, სიყვარულისთვის არ არსებობს დაბრკოლება, მით უფრო, თუ ის წრფელია და ორმხრივი, როგორც ვ. ბარნოვი იტყოდა - "ზეცით ნაკურთხი". ეს მოთხრობა ისტორიულია იმიტაც, რომ ამ თხზულებით შემოვიდა ქართულ მწერლობაში ხევისურეთისა და ხევისურთა თემა. ვაჟა-ფშაველამ "წერილი ხევისურეთიდან" ერთი წლის შემდეგ, 1879 წელს გამოაქვეყნა "დროებაში" (№11), ხოლო მისი პირველი ორიგინალური მოთხრობა "სურათი ფშაველის ცხოვრებიდან" 1881 წელს გამოქვეყნდა (ამავე წელს "დროებაში" დაიბეჭდა ალექსანდრე ყაზბეგის პირველი მოთხრობა "ციცკა". ასე რომ გვიანდელი განმანათლებლობის სამმა კორიფემ თითქმის ერთდროულად შეამოადეს ქართული მწერლობის კარები).

ასეთივე ტიპის ისტორიულ მოთხრობად მიმაჩნია ქართული პროზის ერთ-ერთი შედევრი "დედის ხელი" (დაწერილია 1929 წელს). აქაც ხევისურთა ცხოვრებაა ასახული, მაგრამ სულ სხვა ასპექტში. "სურათებში" ხევისურთა თემა ნატურალისტ-ეთნოგრაფი მხატვრის თვალითაა დანახული და გადაწყვეტილი, "დედის ხელი" კი რომანტიკოსის დაწერილია. "სურათებში" გამორიცხულია რაიმეს იდეალიზაცია, "დედის ხელში" კი ყველაფერი იდეალიზირებულია... სახელდობრ; იდეალიზებულია ქართული, ეროვნული სული - გაცხადებული ქართულ-ხევისურულ ყოფაში, ქართველი დედის ზნეობაში, ქართველი ვაჟკაცის რაინდულ ბუნებაში...

მწერლის იდეალია მანგიურ ბალიაურის პატრიარქალური ოჯახი: "გამთავნებული ოჯახი დოვლათით სავსე. ოთხი ვაჟკაცი ცოლშვილიანი. დედამა ისევ ცოცხალი. მრავლად ჰყვანდათ ცხვარი, ძროხა, ხარი, ცხენები. მარილის ქვები კედლად აგებული. კერის თავზე შაშხად ფეშხოები, ცხვრის ღუმელები ხარისხობზედ. საკიდელზე მარად დიდი ქვაბი საჭმლის სახარშად;

ხან-ხან სიბის ფიცარი მაჭკატელებისა თუ სხვა ცომეულობის მოსაწვავ-გამოსაცხოზად. ცეცხლთან მიფიცებულ კეცებით ხმიადები; ხავიწიქალები. გოდრები, კოდები, საცალოები სვილით, ასლით, ფეტვით თუ სხვა მარცვლეულობით; ერობო-ყველით თავმობმული კასრები თუ ქილები, რძით მოპილთავებული ხონები არაქანის წასახდელად. შინ ხდიდნენ არაყს, სწურავდნენ ლუდს. სასმელით სავსე ქინთები თუ გოზაურები... ლასტებს იქით საქონლის მიდგომ-მოდგომისა თუ ცოხნის ხმაური. ბევრი იყო სოფელ ღულში გაკეთებული ოჯახი, მანგიურის კერისთანა - ვერც ერთი. ირეოდნენ ქალნი თუ ვაჟნი, მოზრდილები თუ მოზარდები. უცხო თვალს სტუმრეულობა ეგონებოდა. დააკვირდებოდა, ჰნახავდა - განსაზღვრულ საქმეს აკეთებდა ყველა, მისდამი მიჩემებულ სიკეთეს.

ცხვარს დაჰკლავდნენ სადილად. ღიასახლისს მარჯვედ უნდა გაერიგებინა, რომ ჰყოფნოდა ჯალაბს და სტუმარს. გაუკვირდებოდათ: უცხო არ შესწრებოდათ ჭამა-სმის დროს. ტაბლა ისე არ ალაგდებოდა, ფანდურს არ ესიამოვნებინა ჭამად შეყრილნი. იტყოდნენ საგმიროს, საარშიყოს, გონის გასაწვრთნელს... ხანდახან შუშპარიც, ზოგი ხლტებოდა, ფრინავდა, მერცხალივითა სხლტებოდა; სხვა... ჰო; თამაშობა შუშპარია, თორემ ბრაციბრუცი თხამაც იცის". (I.X.78).

ფანდურზე კი ამღერებდნენ:

ნეტავ რა გიქნავ ჭაბუკო, სახელ რა მოგიტანია?
მტერი რომ მოჰკალ ვაჟკაცი, ხელი როს მოგიტანია?
სტუმარო, სტუმრისა მზესა, უსტუმროდ არა ლხინია!
უსტუმროდ პური, სასმელი, მწარე არს, არა ტკბილია!
კაი ყმა ხმალსა ჩაჰხედავს - ნეტავ გამიჭრის თუ არა,
ცუდი ყმა ქალის უბესა - ნეტავ შემისვევს თუ არა!" (იქვე)

ამ და მომდევნო პასაჟების მიხედვით ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი ძლიერების საყრდენებია სიბრძნე, სიკეთე და მშვენიერება (ანტიკური ფილოსოფიის ცნობილი ტრიადა). ბალიაურთა სახლობას ბრძენი პაპა მანგიური უძღვება. ოჯახის ყოველ წევრს თავისი მოზომილი საკეთებელი აქვს: ბრძენი - მართავს, მეურნე - საქმიანობს, მეომარი - იბრძვის, მგალობელი - გალობს და ა.შ. ურთიერთსიყვარული, სიკეთე და სათნოება აკვნიდანვე, დედის რძესთან ერთად ვანდება ამ პატარა სახელმწიფოს ყოველი წევრის არსებაში, მათი მშვენიერი გარეგნობა კი ღვთისა



და ბუნებისაგან ნაბოძები, თვით ბუნების ანარეკლი, თანდასწრედ აღიქმება.

ოთხ ძმას ჰყავს ერთი და - თვალნათულა გულთამზე.

სოფელში არის მეორე განთქმული ოჯახიც - უშიშას სახლობა. მამა ქისტებმა მოუკლეს. დედისერთას ერთი სურვილი სწავდა - მალე გაზრდილიყო და მამის სისხლი აეღო. ეს დღეც დადგა: «აიღო სისხლი, შეეტყუა ქისტთა სოფელს, მოკლა დუშმანი. გამოიქცა. მას აქეთ იყო, მოსაკლავად სდევნიდნენ მას. თვითონაც იმის ფიქრში იყო, ბევრი წაემძღვანებინა შავეთში. დახელოვნდა ბრძოლაში. ველარ მოუხერხებინა მტერს მისი მოსწრობა, დამორჩილება... მეტად ძლიერი იყო, მარჯვე, მოქნილი, ფოლადის ნახეთქს ედრებოდა ლალად აღზრდილი" (1.IX.10,11)

უშიშა პოტენციური პაპა მანგიურია: «პირველი ვაჟკაცი ხევსურეთში - უძინებელი მტერი ქისტების" (იქვე).

უშიშას შეჰყვარებია გულთამზე, გულთამზესაც გული შევარდნია ვაჟკაცზე.

ჟამიდან-ჟამად შემოუვლის ხევსურეთის საზღვრებს, დალაშქრავს ქისტებს. მოერეკება მათ ცხვარ-ძროხას; თავადაც მდიდრდება, სოფელსაც უნაწილებს, ამიტომაც იქცა «კაი ყმად», სათაყვანო რაინდად.

ქისტეთი და მთელი პირიქეთი მისთვის ხატაეთია...

ერთ ბრძოლაში ქისტების განთქმული ფალაუანი - ცაბანი მოჰკლა, ხელიც მოჰკვეთა და დიდძალი პირუტყვიც გამოირეკა, პირდაპირ მანგიურის კარმიდამოს მიადგა, ითხოვა: ეს ჯოგი ცოტახნით თქვენსას შეურიეთო. უარი ვერ ჰკადრეს. სუფრაც გაუშალეს. ეშხში შესულს გულისნადებიც დაცდა. უთხრეს: ჩვენი წესით ვერ არ შეიძლება დამოყვრება, კაცნი უნდა ამოგერჩივნა, მოგეგზავნა... ასე უეცრივ ქალის თხოვნა... თუ სხვა იყო, ჩვენგან უარის მეტი არ გეთქმოდა და რა... მაგრამ შენ... ხევსურეთის სიამაყე ხარ, თავისებურად იცი დუშმანთან ბრძოლა, მოყვრობაც თავისებური გცოდნია; სოფელი შენსკენ არის. შენთან ერთად შევთხოვთ მანგიურს, მოგცქეს ცოლად გულთამზე" (1.IX.21).

მანგიურმა სინარულით მიიღო სიძედ.

ქალს დაეკითხნენ. «სირცხვილით გაიწურა ქალი, ხმა ველარ ამოიღო, ტკბილად ატირდა სინარულით აღტაცებული - მაისის წვიმა თუ ეპკურა ვარდს ახლად გახსნილს. ქორწილად გარდაიქმნა ნადიმი, მზეჭაბუკი

შეუერთდა მზექალს; სასიხარულო ამბავი იყო ეს. წინდი საუკეესო ჯილბაგის განგრძობისა". (1.IX.22).

ორი წელიწადი ისე გავიდა, ბაღლი არ ჩანდა. ეს იყო ორი დიდი ოჯახის სადარდელი. მესამე წელს ვაჟი შეეძინათ, გიორგი დაარქვეს. გახარებულმა კვლავ შემოიარა ხევსურეთის საზღვრები, მტრები დაიფრინა, მოკეთებებს მოეფერა. ბედნიერი იყო. ხარობდა გამთავნებული ოჯახით. გაუღიმიებდა ცოლს, იტყოდა გულში - "ქალი კი არა, ნათელის ქულაა, ჩემთვის ციდან გამოგზავნილი". (1.IX.31).

თემის ყრილობაზე ხევსურთა ლაშქრის მოთავედ აირჩიეს. ქვეყნად ამაზე მეტი დიდება რა უნდა ყოფილიყო ქართველი რაინდისათვის.

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა!“ (აკაკი).

ბარში შავი ჭირი გაჩნდა... ხევსურთაც მოსწვდა. უშიშას კერასაც მოადგა. ვერ მოასწრეს გახიზნვა. „ააჩნდა უშიშას ჟამი. ხუწუწი რამ ამოუვიდა იღლიაში. გაიზარდა ძირდიდასავით, აელვარდა.

- თავი! ტყვია თუ ჩამჩა თავში.
- არ გჭირს ნატყვიარი, ბრძოლაც არ გქონია მტერთან.

გაიბრძოლა უკანასკნელად.

- მომართვით ტანსაცმელი და იარაღი!

მოუტანა. უშველა ჩაცმა. აასხა იარაღი. დახურა ჩაფხუტი.

- ფარი რად არ მომიტანე!

მოართო. ამოიღო ვაჟკაცმა დაშნა, დააბჯინა წვერით ტახტს. დაეყრდნო ზედ. ბრძოლებზე უბნობდა, ომებზედ, ჩაეკეცა მუხლები. დააწვინა ქალმა სარეცელზედ. ვაჟკაცურად დაღია ვაჟკაცმა სული.

ანატორის ქვევით დიდი მღვიმე კლდეში. ნაპრალები, გვირაბები, ხვრელები. შესავალთან ჩასჩქედდა წყალი. აკლდამად იყო გარდაქმნილი გამოქვაბული. შეიტანეს შიგ. დასვენეს დაბრუნდნენ დაბნელებულნი" (1.IX.34).

სოფელი იხიზნებოდა. ურჩიეს გულთამხეს - გაჰყოლოდა მათ. არ ინება:

„სად წამოვალ ან რისთვის? ჩემი კაცი აქ მეგულემა. ვერ მოვშორდები!

... ადამიანს იმედი უცდიაგებს ბოლომდისინ.

- იქნებ იკმაროს სულთამხუთავმა, ეს ბაღლი მაინც არ ჩამიკლას ბერავ უბეში! არ დაინდო შავმა ჭირმა აღარც ისინი. ააჩნდა ბაღლს ავადობა. ბნელი წყლული მის დედასაც ამოუვიდა, შავმა სენმა დარია

ხელი. აუნათდა ქალს ძნელი ჰაზრი: ჩაიწყო სმიადები, ჩაიცვა საუკეთესო, მოიკაზმა - აილო აკვანი.

- სად მიგყავს, ბედშაო, ბაღლი?
- თავის მამასთან, მის გვერდით ვიქნებით.

შევიდა აკლდამაში. უშიშას გვერდზე გაშალა ფარდაგი. დადგა აკვანი. მიუჯდა გვერდზედ. დასტიროდა. ბაღლს მანც უვლიდა. ძუძუს აწოვებდა. უხმოდლა ტიროდა ბავშვი. მომაკვდავმა დედამ ველარ შესძლო ძუძუს მიცემა. გადახვია აკვანში ხელი თავის პატარას, ზედ დაალოა მომაკვდავ შვილს ნათელი სული.

ბუნებამ თუ შეიბრალა უკანასკნელ წუთში ტანჯული დედა: მის მარჯვენას თეთრი ცრემლი თურმე აპკურა, იმისთვის მოხდა, რომ ხრწნილება გულთამხეს აღარ შეეხო.

- კვლავ თუ მოსჩანს აკლდამაში მადლიანი ხელის ნასახი?! (1.IX.35).

ეს რიტორიკული კითხვა დიდმა მწერალმა შემთხვევით ან ლამაზი ფინალისათვის როდი დასვა. «დედის ხელი» დაწერილია 1929 წელს. ამ წლებში იმდენად სტიქიური იყო ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების წესის კრიტიკა, რომ საქმე ოჯახის უარყოფამდე მივიდა. ამაზე წერდნენ, კამათობდნენ, დვამდნენ სპექტაკლებს; საბჭოეთის დედაქალაქში წითელ მოედანზე გამართულ დემონსტრაციაზე კომკავშირულ გოგონათა თითქმის შიშველმა კოლონებმა ჩაიარეს ლოზუნგებით: ძირს სირცხვილი!

ზოგმა თავგამორეკილმა იდეოლოგმა საქართველოშიც «კომუნა» და «კომუნისტური საზოგადოება» სრულ სექსუალურ თავისუფლებად, ქალი-სა და მამაკაცის უფლებათა აბსოლუტურ გათანაბრებად გაიგო, ტრადიციული ქართული ოჯახი მეშინაურ ბუდედ, ზნეობრივი ქალი ჩამორჩენილ პროვინციელად გამოაცხადა.

ამას კი ბევრი ტრაგიკული შემთხვევა მოჰყვა.

ამ უზნეობასა და გაუგონარ მკრეხელობას დაუპირისპირდა დიდი მწერალი. მან ამ მოთხრობაში გააცოცხლა წარსულის ერთი უბრალო ოჯახის სიღიადე, ცხოვრების სილამაზე, ზნეობისა და ერთგულების განსაცვიფრებელი მაგალითი - სიკვდილზე გამარჯვება!

სწორედ ეს არის ეროვნული სულის ისტორია.

ისტორიული ჟანრის ნაწარმოებად მიმანია მწერლს ბოლო მოთხრობა «საარაკო განძი»; (დათარიღებულია 1934 წლის 20 აგვისტოთი; იმავე წლის 4 ნოემბერს ვასილი გარდაიცვალა).

ეს მოთხრობა დადასტურება იმისა, რომ ისტორიული ჟანრის თხრობა ცნობიერად თუ არაცნობიერად უთუოდ უკავშირდება მიმავალს - ეს ნაწარმოები ერთგვარი წინასწარხილვაა იმისა, რაც დღევანდელ საქართველოში ხდება. თავისი დროის საქართველოს ვ. ბარნოვი ისევე დაპყრობილ ქვეყნად თვლიდა, მაგრამ საქართველოს ისტორიის კარგ მცოდნეს შინაგანი რწმენა ჰქონდა იმისა, რომ ამქვეყნად უცვლელი არაფერია და როგორც ყველა წინა დამპყრობელი იმპერია დაიმსხვრა და დაიშალა, ჩრდილოეთის წითელი იმპერიაც დაიშლებოდა და საქართველოს მიეცემოდა სამშუალება კვლავ ქვეყლიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ერი მზად უნდა ყოფილიყო ამ ბედნიერ დღისათვის. მრავალსაუკუნოვანი უუფლებობითა და ბორკილებით დამცირებულ ხალხს არ უნდა შეშინებოდა მარტოობის, არ უნდა გასჩენოდა ფიქრი - რით ვიარსებოთ? რა გავაჩნია? ამ მოთხრობის მიზანი სწორედ ის იყო, რომ ქართველი ხალხი დაერწმუნებინა ამგვარი შიშის უსაფუძვლობაში, რომ მისი ქვეყანა, იყო მფლობელი საარაკო განძისა, რომელიც თავისუფლებას განამტკიცებდა ეკონომიკურად, რომ თვითონ საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით შეძლებდა თანაბარი ხმით ჩაბმულიყო მსოფლიოს დიდ და პატარა ქვეყნებთან საერთო ფერხულში... მაგრამ ეს განძი დაფარული უნდა ყოფილიყო იმ დრომდე, სანამ ქართველი ერი თავისი ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი არ გახდებოდა.

მოთხრობის დასაწყისში მწერალი მოკრძალებით მიგვანიშნებს „ბარნოვიანთ გვარის დამსახურებაზე ერის წინაშე. „გვარი ბ... - წერს მწერალი - იმთავითვე ორ ნაკადად იყოფოდა: ერთი თავს იღებდა საღმთო საქმეს, მეორე ხმლით ემსახურებოდა სამშობლოს" (1.IX.285). ეს „ბ..." რომ ბარნაველად უნდა წავეკითხოთ ამაზე მიგვანიშნებს მისი ავტობიოგრაფიული ოჯახიდან, ერთი რომ მღვდლად მიდიოდა, მეორე ხმაღს ემსახურებოდა" (1X.353).

მწერალი მოგვითხრობს, რომ ერთ-ერთმა ბარნაველმა მხედარმა, მელიტონმა, „დიდი სიმარჯვე გამოიჩინა, როდესაც ბრძოლაში ალექსანდრე ბატონიშვილი გადაარჩინა სიკვდილს. აღარ მოიშორა ისკანდარმა (ასე უწოდებდნენ ალექსანდრეს) ის არც ომების ჟამს, არც ჩვეულებრივ ცხოვრებაში. სპარსეთში ბრძოლების დროს მოხვდა ინდოეთის საზღვრებთან. გადავიდა იქით, მოეწონა ის სამოთხე მხარე და იქ დასახლდა, აღარც

მიესვლებოდა მელიტონს საქართველოში: ისკანდარის თავი ძვირად შეფასებული, მელიტონის მკვლელისათვისაც დიდი დათქმული (I.IX.285).

ინდოეთს გადახვეწილი მელიტონი მდიდარ ოჯახს ჩაესიდა და დიდძალი მონების პატრონი გახდა. ბრძენ და გულთან ქართველს მამულზე ფიქრი იქაც არ ასვენებდა. თავდაპირველად თვალწარმტაცი სავაჭროთი დატვირთული ქარავანი გამოგზავნა სამშობლოში. მერე კი საქართველოში მომავალი ცოლის ძმას, ინდოელ ფიდაროს აბანოზის ხისაგან დამზადებული ძვირფასი ტაგრუცი გამოატანა... როცა ყუთი გახსნეს, მასში ძვირფასი ეტრატები აღმოჩნდა. ცხრავე ისე იყო მოხაზული წერილი სახეებით, რომ საკვირველებად ჩათვლებოდა" (I.IX. 287).

„აღმოსავლეთიდან მოსული მოგვი“ - ფიდარო მასპინძლებს განუმარტავდა ამ იღუმალ ეტრატთა მნიშვნელობას. ყოველ მათგანში დაკონკრეტებულია ადგილსამყოფელი და მნიშვნელობა იმ ეროვნული განძისა, რომელიც გაუჩინარებულია და მხოლოდ მამინ უნდა გამოაჩინონ, როცა საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდება.

რას თვლის მწერალი საარაკო განძად!

პირველ ყოვლისა, ადამიანებს, სულიერ სიმდიდრეთა შემოქმედ ქართველობას, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც „ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულალტკინებულსა“ (2. II. 23). მწერალს ასეთად მიაჩნია ისკანდარი (ალექსანდრე ბატონიშვილი), რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის იდეას; რისთვისაც სამშობლოდან განიდევნა; მელიტონ ბარნაველი, ისკანდარის თანამებრძოლი, მასავით დევნილი, მაგრამ მაინც ნიადაგ მამულის კეთილდღეობაზე მზრუნველი, დედა გუქა. ეგრისში, დაფნას დედათა მონასტრის წინამძღვარი, იმ იღუმალი ტაგრუცის პირველი ადრესატი; ზურაბი. განსწავლული მამულიშვილი; და, ბოლოს, ფიდარო, საქართველოსთან დამოყვრებული ინდოელი, მელიტონის თანამოაზრე, ბრძენი და მისანი.

საყურადღებო დეტალი: მწერალმა სიმბოლური მთავარი გმირი, მელიტონი არა დასავლეთში (ევროპაში), საიდანაც იმას გამოგზავნიდა, რაც დიდმა სულხან-საბამ ჩამოიტანა; არა ჩრდილოეთში, სადაც გატანჯულმა ქართველმა ამოიკვნესა: „დავწყველეთ, ვინც კი მოვიდა პირველად რუსთა



მხარესა"; არამედ ზღაპრულ აღმოსავლეთში, ირან-ინდოეთში მოახდინა რა,² ინდოელმა წაიძრო თითიდან ბეჭედი და მიართვა დიასახლისს. საშინლად ბრწყინავდა. პირველყოფილი ცეცხლი დღესაც ხელუხლებლად იგზნებოდა შიგ.

- თვალი მოგჭრათ ამ ნივთმა! ინებეთ!..
- თქვენი გახლავთ ჩემს სახსოვრად... მადანია ულეველ მაგ თვალისა.
- გვიჩვენე!
- წავიდეთ! მივაგნებ, ვიცი ადგილის აღწერილობა...

... უდაბურ ტყეში, მთის ნაპრალიდან ცოტა წყალი ჟონავდა. ერთი კალო ადგილი ეჭირა ნიაღვრისაგან გამომზღვრეულ აღმასიან ღორღს, კლდე დაშლილიყო, ჩამოგორებულიყო. აქეთ-იქით ეყარა ნამსხვრევები.

განცვიფრდა ზურაბი, გადაირია აღელვებული.

- წავილოთ!
- არ შეიძლება. სიხარბე ძალას მოიტანს მნახველზე ისე, რომ ეს სიმშენიერე სისხლმადინებელი გახდება, როცა თავი ხელთ გექნება, როცა გადავრჩებით საშინელებას ომისას, მაშინ ვნახოთ, ესლა დაათვალიერე, კარვად, დაიხსომე!

გამოვბრუნდით, მოგვესმა ხმა.

- იარეთ! არ მოწვენილა ჟამი.

გადმოვდგით ნაბიჯი. ივრიალა ფრიალო კლდემ, მიწამ დაფარა თვალთაგან სიმდიდრე". (1.IX.288) II - ეტრატით მიადგენენ ფირუზის თვლების საბადოს. ფიდაროს აზრით, ფირუზის ის რაოდენობა, რაც თვალით სჩანდა, „შექჰმნის ერთს წელიწადს ერთს ქალაქს... ჩაჰყო ზურაბმა თათი. ხარბად მოკრიბა თავის დიდ მუჭაში. აიძღვრა წყაროც, მდინარეც, მოისმა ბუყბუყი.

- ბედისწერა ღირსეულს შესძენის ამ სიმდიდრეს და განა მარტო ამას! დავიდართ. შავი ნისლი წამოგვადგა. დაგვფარა ჩვენც, სიმდიდრეც. ნისლი რომ გადაყარა ნიავემა, აღარ იყო არც წყარო, არც ფირუზის რიყე,

² აზიისადმი გარკვეული სიმბათია აშკარად იგრძნობა ვ. ბარნოვის შემოქმედებაში. ვფიქრობ, ეს, ძირითადად, იმავ მიზეზით იყო გამოწვეული, რაზედაც 80-იან წლებში ზრიგოლ ორბელიანი ერთ-ერთ წერილში შესჩიოდა ნიკო ჭავჭავაძეს: „ის დალოცვილი (სპარსი, არაბი, მონღოლი) მოვიდოდა, დაგვაქცევდა და მიდიოდა... ეს კი (რუსი), მოდის, გვაქცევს და... აქვე რჩება, აღარ მიდის...“

არც ის ალაგი, რომ დაებრუნებულყავით, ვეღარც კი ვიპოვიდით სა-
ძებარს.

- მოვძებნო!
- არა, ესლა მოთმინება, გამჭრიახობა და შრომა უდრეკი, რომ ეს სიმდიდრე ზღაპრად არ გაჰქრეს: თვით დიდ ბედისწერამ თვალი არ მოგვაშოროს და არ მისცეს იგი დავიწყების ღვარს!

მივიდიოდით თავდახრილნი.

- მითხარ, რაც ვნახეთ, სინამდვილეა თუ ზღაპრის ნალექი?
- იქნება, შენ... შენ და მე ზღაპრის ნაწვრეთები ვართ მიმამოძრავნი!

არა, არა!

უცვლელი ბედისწერისაგან ეგ სიმართლე-ზღაპარი დამზადებულია საქართველოსათვის... გადისსნება ჟამი და განიფთდება ზღაპარი ზესინამდვილე". (I.IX.289).

III - ეტრატმა ოქროს საბადოებთან მიიყვანა განძის მემკვიდრენი. ოქროს "ზოდები ისეა ჩაჭერილი, რომ თითქოს მთელი მთა, მთელი გული მთისა ერთი მთლიანი ხაზინაა ამ აუწერელი სიმდიდრისა.

- ღმერთო ჩემო! განა შესაძლოა ქვეყანაზე მაგისთანა სიუხვე ქონებისა?

- შესაძლოა და სინამდვილეც!..
- წავიდეთ!
- წა!

მოისმა ქარის ხმა: - მოთმინება! ახლოა ჟამი საბედისწერო!" (I.IX.290).

IV - ეტრატით - ეს არის უვრცესი და უმდიდრესი ტყის მასივები, ფიჭვი, ნაძვი, ღაფნა...

V - ეტრატით - საარაკო განძია "ცხვარი მრავლისაგან მრავალი... უხვი საზრდო შემოქმედისაგან მოცემული" (I.IX.291).

VI - ეტრატით უდიდესი განძია შავი ზღვა. "ეს ზღვა ააყვავებს ჩვენს ქვეყანას.

- ზღვაა?
- ხო, შავი. ძალიან ღრმაა. სიღრმის გამო მუქად მოსჩანს. შიგადაშიგ კუბრის შადრევნები სჩქეტს. (I.IX. 291).

VII - ეტრატზე: "შავზღვას აღმოსავლეთიდან მკლავს უწვდის ზღვა გურგანისა (კასპიისა, ს.ჭ.). მათი ხელები ერთდებიან კორტონთან (ლიხის

მთა ს.ჭ.), რომელიც გადააბამდა და გადააბამს ძველ ქვეყნებს ახლებთან დიდმნიშვნელოვან ქვეყნებს ერთ-ერთთან.

როდესაც მცირე აზია ბოროტობს და სისხლისღვრაში არის, ეს საევაჭრო გზა ერთადერთი უშიშარი კვალია დიდი სოვდაგრობისა.

ამ საევაჭრო გზის რტოები: მტკვარი, რიონის ხეობა, არეზის ხევი. ეს გზა გამაგრებული იყო ციხე-ქარავასლებით: ცხრაკარი, დარუბანდი, დარიალი" (I.IX.299). VIII - ეტრატი ამ ორი ზღვის კიდეც ერთ ურთიერდამაკავშირებელ საარაკო განძზე მიგვანიშნებს - ეს არის ნავთობი: "შავი ზღვა და გურგანისა ხმელეთზე რომ უწვდიან ხელს მიწის ქვეშ ძმურად გადახვეულნი არიან ნავთის ოკეანეთი. საცა ბარს დაჰკრავ საქართველოს მიწას, ამოჩქაფუნდება ამ ქვესკნელიდან სიუხვე ნავთისა (იქვე).

IX - ეტრატზე კიდეც მოსჩანს განსაცვიფრებელი სიმრავლე უღვეველი თამბალითისა, (ძღვენისა. ს.ჭ.) არა მარტო ნივთიერი სიმდიდრისა, სულიერისაც.

- ისინიც ესევე გაქვთ გარჩეული, როგორც სხვები!
- არა, დავიწყეთ, აღარ გვცალია. მიძიმე ჟამმა გაგვფანტა ქვეყანაზე... ბედნიერ კვალზე ვიარე, რომ გიპოვე შენ, მისი ნამდვილი მემკვიდრე და პატრონი... წავიდეთ ესლა!

ბუნდი ხმა:

- შრომა განუწყვეტელი!
- თქვენი ერის მომავალი დიდი ბედისწერის ხელით მოხატული" (I.IX.293).

დიდი მწერლები იმით არიან დიდნი, რომ უტყუარი ინტუიცია აქვთ და ზოგჯერ გასაოცარი სიზუსტით წინასწარმეტყველებენ იმას, რაც უნდა მოხდეს ათეული წლების შემდეგ. როგორც აღვნიშნეთ, «საარაკო განძი» 1934 წელს დაიწერა. ეს მოთხრობა რომ იმ პერიოდში დაბეჭდილიყო, ავტორი 37 წლის რეპრესიებს ვერ აცდებოდა ვერც ცოცხალი, ვერც გარდაცვლილი. დღეს კი ეს მოთხრობა ისე გამოიყურება, თითქოს იგი დაიწერა ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა დაიწყო წითელი იმპერიის მსხვერვა და ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ შესძლო საქართველოსათვის დაებრუნებინა ნანატრი თავისუფლება... დღეს უკვე რეალობა ხდება «აბრეშუმის გზის» აღდგენა, შავი და კასპიის ზღვების ვეებერთელა პოტენციალის ამოქმედება, თითქოს პრაქტიკულად იწყება იმ



ცხრა ეტრატზე დაქარაგმებული საარაკო განძის ეროვნული იდეალების შესაბამისად ათვისება და ამოქმედება.

ეს მოთხრობა იმით კი არ არის ისტორიული, რომ მასში ალექსანდრე ბატონიშვილი იხსენიება. ისტორიულია მოთხრობაში დასმული პრობლემა: შეძლებს თუ არა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ქცევას... და თუ მიაღწია ამ საუკუნოვანი ოცნების აღსრულებას, აქვს თუ არა პერსპექტივა იარსებოს ისე, რომ არ დასჭირდეს რომელიმე იმპერიის მარადიული ძიძობა!

დიდი მწერლის პასუხი დადებითია; ამას აუცილებლად ადასტურებს დღევანდელი დღეც.

Sergo Cheishvili

**THE GENRE PACULIARITIES OF HISTORICAL STORIES
BY VASIL BARNOV**

“The Mournful Smile” of the Georgian grand master Vasil Barnov is still regarded as a memoir work. In fact, it is the artistical transmission of the writer’s childhood in miniatures and short stories, many of which are written in historical genre. In the works, there are described the scenes of the past, customs of our ancestors, examples of morality. Georgian spiritual power, national energy and many others. Such are: “Pictures”, “The Threshing Floor of the Magis”, “Fabulous Treasure” etc. For instance, in “The Threshing Floor of the Magis” there are predicted setting in motion the huge potential of the Black and the Caspian Seas, the reestablishment of the “silk road” Connecting Asia and Europe and many others.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ვასილ ბარნოვი, თხზულებანი 10 ტომად. 1061-1963 წწ. თბილისი.
2. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი 10 ტომად 1955 წ. თბილისი.

ლიტერატურის თეორიის და ფოლკლორის კათედრა

შორენა ხალური

რამდენიმე უნივერსალ ფრანგული ენის ფამილარული რეგისტრის მიმართვის ფორმაზე

მიმართვის ფორმები შეიძლება განვიხილოთ ადამიანებს შორის სამეტყველო ურთიერთობების რიტუალებად, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი შეიძლება განვითარდნენ, შეიცვალონ ფორმა და შინაარსი. მიმართვის ფორმების არჩევანს ძალიან ხშირად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შეტყობინების შინაარსს, რადგან სწორედ ისინი გვაძლევენ საშუალებას განვსაზღვროთ დამოკიდებულება თანამოსაუბრის მიმართ და მათვე შეუძლიათ მოახდინონ გარკვეული გავლენა ამ ურთიერთდამოკიდებულებების განვითარებაზე.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოიყოფა მიმართვის ფორმათა სამი ჯგუფი:

მიმართვის 1) ნაცვალსახელური, 2) ზმნური და 3) სახელური ფორმები, იმ სიტყვების დამატებით, რომლებიც სინტაქსურად დამოკიდებულია მათზე (ბრაუნი 1988, გვ. 7).

განვიხილოთ მიმართვის ნაცვალსახელები ფრანგულ ენაში.

როგორც ცნობილია, ფრანგულში არის tu ნაცვალსახელი ფამილარული ურთიერთობებისათვის და vous დისტანციურისათვის. გამოვიყენებთ ბრაუნისა და გილმენისეულ აღნიშვნებს, შენობით მიმართვისათვის - T და თქვენობით მიმართვისათვის - V. თავაზიანი მიმართვის ძირითად ნაცვალსახელად მიჩნეულია vous , ხოლო tu , როგორც აღვნიშნეთ, ფამილარული მიმართვისას გამოიყენება.

ფრანგულ ენაში T არის თითქმის ზოგადი ოჯახურ ურთიერთობებში, თუმცა ზოგიერთ დიდგვაროვანთა ან პროვინციულ ოჯახებში გვხვდება შეილებების მიერ მშობლებისადმი V-ს გამოყენების შემთხვევები. ეს ხდება ძირითადად საზ-ში და განსაკუთრებით მნიშვნელოვან ოფიციალურ ვითარებაში. ამ დროს V-თი შეიძლება ერთმანეთს მიმართონ თვით მეუღ-



ლევბაც კი. ამის ცნობილ მაგალითად მიჩნეულია გენერალი და მისი მეუღლე.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაცვალსახელებს შესაბამისი რეფლექსები უჩნდება ზმნაში tu -ს გამოყენებისას ზმნაც მეორე პირშია (მხ. რ.), vous -ს გამოყენებისას ზმნაც მრ.რ-ის მე-2 პირში არის.

Tu-ს გარდა ფამილარულ მეტყველებაში ხშირია on განუსაზღვრელი ნაცვალსახელის გამოყენება. On ცვლის ნებისმიერ სხვა სუბიექტის როლში მყოფ პირის ნაცვალსახელს, რაც ანიჭებს გამონათქვამს სხვადასხვა ექსპრესიულ ნიუანსს.

პირველი პირის ნაცვლად გამოყენებული On შეიძლება მოკრძალებას გამოხატავდეს. მაგ. En publiant ce livre, on voudrait faire **un** livre utile. . თუმცა ფამილარულ მეტყველებაში მას ეს ნიუანსი შეიძლება არ ჰქონდეს.

« Et mon Dieu... Je ne me dîgonflerai pas. On est un homme que diable ! » (Mithois, M. « Les Folis du samedi soir ») On=je(fam)

« Alors ? On mange en ville ce soir ?— Je n'ai pas a te dire **on** je vais ! »
On=tu

მხ. რ-ის მე-2 პირში გამოყენებული On შეიძლება გამოყენებული იქნეს ბავშვურ მეტყველებაში კინობითის ფორმით: On voudrait bien des bons, n'est-ce pas ?

« Regarde-moi ce crîtin ! On met son clignotant a gauche et on tourne a droite ! » (Bazin, H. « Aunom du fils ») On=il

მესამე პირში გამოყენებული On ერიდება ზუსტი სუბიექტის დასახელებას.

« --Alors, petite, qu'il dit, comme ça, comme ça on va se coucher ?

--Qui ça « on » ? demanda-t-elle.

--Et bien, toi bien sûr, répondit Gabriel tombant dans la piuge... »

On=elle
« On arrive, gars. On arrive. On=nous

« --Alors, monsieur Barrey, on taquine le goujon ?—Oui, et il ne mord guire ! » On=vous

« Ces touristes, quels veaux ! On prend un guidé, et on regarde parler pendant deux heures aulieu de jeter un coup d'œil sur les tableaux » On=ils

On -ის გამოყენებისას ზმნა ყოველთვის მხოლოდითი რიცხვის მე-3 პირშია, მაგრამ ზედსართავი დაირთავს მრავლობითის ნიშანს: On est ravi(s)

როცა მდებრობითი სქესის წარმომადგენლებზეა საუბარი, On -ის გამოყენებისას მდებრობითი იჩენს თავს: On est bien heureuse, ce matin.

ნომინალური ეტიმოლოგიის გამო on -ს შეიძლება ახოდეს განსაზღვრული არტიკლი დაკვირვებულ მეტყველებაში წინა ხმოვანთან ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად: si l'on procède de cette façon (არიგე, გაღე, გალმიში, 1986, გვ. 498)

On -ის გამოყენების ამგვარი გაფართოება არის სასაუბრო ფრანგულის დამახასიათებელი ნიშანი.

ფამილარულ და დიალექტურ მეტყველებაში ხშირია შემთხვევები, როცა პიროვნებას მიმართავენ მესამე პირში. მაგალითად:

La charcutière me dit : « eh bien, elle a bonne mine aujourd'hui »

Elle= vous

დიალექტურ მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს ნაცვალსახელები s'izing(ue)=moi, toi, lui ; z'izing(o), t'izique, t'izigue=toi.

« --Dis voir, s'izingue, t'as bien fait ton service militaire ? » (Chabrol, J-P.

« Un homme de trop »)

« --Dis, mon minet, t'es un peu faible du cortex, t'izique ? » (Vian, B.

« T'izitre »)

რაც შეეხება მიმართვის ზმნურ ფორმებს, როგორც ფ. ბრაუნი აღნიშნავს, «მიმართვის ზმნური ფორმები წარმოადგენენ ზმნებს, რომლებითაც გამოხატულია თანამოუბარი, მაგალითად, სამიმოხვრო სუფიქსების საშუალებით... მაგრამ იმ ენებში, ი სადაც სუბიექტის ნაცვალსახელის ხმარება არ არის სავალდებულო, ზმნა შეიძლება ერთადერთი აღმნიშვნელი იყოს თანამოუბრისა» (ბრაუნი 1988, გვ. 8).

ფრანგულ ენაში მიმართვის ზმნურ ფორმებად შეიძლება განვიხილოთ ბრძანებითი კილოს ფორმები: მხოლოდითი რიცხვის მე-2 პირი და მრავლობითი რიცხვის 1-ლი და მე-2 პირები.

« --Entre, Leila, la porte est ouverte ! (Pennac, D. « La fine carabine »)

« --Mange ta soupe, grogna la mire, elle est d'ja toute « refroidie » (Pergaucd, L. « La guerr des boutons »)

« --A ce soir, Coco..., dit Bejardy ;Et sois bien sage... » (Modiano, P. « La jeunesse »

მიმართვის ფორმათა მესამე ვკგუფი, როგორც აღვნიშნეთ, არის სახელური ფორმები. მიმართვის სახელები არის ის არსებითები და ზედსართავები, რომლებიც აღნიშნავენ თანამოუბარს ან მოიხსენიებენ მათ რომელიმე სხვა სახით" (ბრაუნი 1988, გვ. 9).

ბერტო და ბუვი ამ ფორმებს ლექსიკურს უწოდებენ და მიუთითებენ, რომ ისინი მოიცავენ იზოლირებულ ლექსემებს (Monsieur, Docteur, Martin, Prřsident, Paul) ან ნომინალურ სინტაგმებს (Mon vieux, cher ami, Monsieur le Prřsident) (ბერტო და ლაროშ-ბუვი 1982, გვ. 8).

ფამილარულ მეტყველებაში ძალზე გავრცელებულია აფექტიური მიმართვის ფორმები: სასიყვარულო, ალერსობითი, მეგობრული.

საინტერესოა ოჯახის წევრებისადმი მიმართული აფექტიური ფორმები; დედას შეიძლება ვუწოდოთ Maman, ma petite maman, maminouche მამას - —Papa, petit pape, mon petit papa. ბებიას —Bonne-maman, mammie (mamie), мймй, мймиге b ბაბუას —Bon-papa, papй, рйрй, рйриге მას - petit-frige, frйrot, frangin დას -soerette, petite sъur, frangine დედას tantine, tata, tatie ბიძას — tonton.

განსაკუთრებით საინტერესო სურათს გვაძლევს ბავშვისადმი მიმართვისას გამოყენებული არსებითები და ზედსართავები :mon enfent, mon petit (ma petite), mon garzon, ma fille, ma fillette, ma fille, mon grand (ma grande), mon gros, mon mignon (ma mignonne), рйtiot, mon tout petit (ma toute petite), ma gosse, mon tris cher... (ma tris chige...); ამას გარდა, mon trйsor, mon coco (ma cocotte), mon loulou (ma louloute), mon chou (ma choute), mon pot de miel ზმირია საალერსო სიტყვებად ცხოველების ან ფრინველების სახელების გამოყენება :mon canard, mon canard en sucre, mon (petit) lapin, mon poussin, mon chaton, ma puce, ma puce chйrie, mon puceron, mon poisson d'or...

ალერსობით სიტყვებად შეიძლება მივიჩნიოთ: mon amour, mon chйri (ma chйrie), mon cher (ma chige), mon Pierre adcoгй, ma Louise adcoгйe, ma belle, ma bonne, ma bobonne, ma joie, mon tris cher Franzois, ma tris chige Isabelle, mon trйsor, mon chou (ma choute), mon coco (ma cocotte), ma cocotte en sucre, mon loulou (ma louloute), mon sъur, mon pot de miel, mon raton (ma



ratonne), ma zizette ; აქაც სშირია ფრინველებისა და ცხოველების სახელების გამოყენება საალერსო სიტყვებად : mon poulet, ma poule, ma poulette, mon canard, mon poussin, ma puce, ma petite puce, mon minou, ma minette, mon minet, mon chat, mon chaton, ma minouchette, mon loup, mon petit loup, mon lapin, mon petit lapin, mon gros lapin, mon nounours, ma biche, ma biquette.

მეგობრულ მიმართებად, რომლებიც ამავე დროს შეიძლება ალერსობითიც იყოს, შეიძლება ჩაითვალოს: mon bonhomme, petit bonhomme, pauvre petit bonhomme, mon cochon, mon colon, mon con, jeune homme, mec, petit mec, mon pote, mon vieux (ეს მიმართვა განსაკუთრებით სშირად გამოიყენება, "შე ძველო", "ბებერო" mon pauvre vieux, mon pauvre vieux, ma vieille, mon cadet, mon gars, gamin, vieux frere, l'ami, camarade. უნდა აღინიშნოს, რომ მდებრობითის ფორმა vieille იხმარება აგრეთვე მამაკაცისადმი მიმართვისას:

« On s'empresse autour de lui, mais, non, ma vieille, mon chou, mon grand gosse, t'as pas bou gñ, frais comme une rose » (Aragon, L. « Les beaux quartiers »)

საფრანგეთში ძალზე გავრცელებული მოვლენაა საკუთარი სახელებისა და ზოგჯერ გვარების გაკნინობითება შემოკლების გზით, ამას ხსნიან სასაუბრო მეტყველების აჩქარებული რიტმით (მორენი, ტეტერევნიკოვა 1970, გვ. 58) შემოკლება ხდება აპოკოპეს საშუალებით, ე.ი. სიტყვის ბოლო ფონემის ან მარცვლის მოკვეციტ, ან აფერეზისით, სიტყვის თავში ფონემის ან ფონემათა ჯგუფის ჩამოშორებით. აფერეზისით მიღებული შემოკლებანი უფრო იშვიათია ფრანგულ ენაში. რაც შეეხება ბევრია; მაგ. Liliane-Lili, Lucille-Luc, Marie-Lucille-Marie-Luc, Marie-Noni-Marie-No, Benjamin-Ben an Benj, Caroline-Caro, Alexandre-Alex, Philippe-Phil, Maxime-Max, Lйonard an Lйonord-Lйo, Frйdйric-Fred, Victoria-Vic და სხვ.

შესაძლებელია სახელი შემოკლდეს ან შეიცვალოს სხვა ხმოვნის ან სუფიქსის დართვით: Jacques-Jacquot, Michel-Micho, Catherine-Cathy, Jean-Jeanot (-ot (-ot კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსი სასაუბრო მეტყველებაში), Madeleine-Mado an Madou, Philippe-Philou, Nina-Ninette, Clara-Clarinette, Jeanne-Jeannette და სხვ.

აფერეზისით მიღებული საკუთარი სახელებია: Antoine-Toine, Amandine-Mandine; Emmanuel-Manu აქ ორივეა გამოყენებული აფერეზისი და აპოკოპეც.

გვხვდება, როგორც აღვნიშნეთ, გვარების შემოკლებანი; მაგ. Malossine-Malo, Drifter-Drif, Vinciguerra-Vinci, Stojilkovicz-Stojil, Saint-Ехурйгу-Saint-Ex...

ზოგიერთ სახელს კნინობითი თავისებურად ეწარმოება, მაგ. Gaston-Tounet, Cristophe-Cricri .

მიმართვის ფორმების განხილვისას მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, რომ არსებობს «სინტაქსურად ბმული ფორმები (წინადადების ინტეგრირებული წევრები) და სინტაქსურად თავისუფალი ფორმები (წინადადების კონსტრუქციის «გარეთ» მდებარე ფორმები, რომლებიც წინ უსწრებს, მოსდევს ან ჩართულია წინადადებაში) (ბრაუნი 1988, გვ. 11) უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ენაში ნაცვალსახელური და ზმნური ფორმები ძირითადად ბმულია, ხოლო სახელური - თავისუფალი.

ფრანგულ ენაში ბმული ნაცვალსახელური ფორმებია: je, tu, il elle, nous, vous, ils, elles (იგულისხმება ქვემდებარის როლში მყოფი ნაცვალსახელები); თავისუფალი კი — moi, toi, lui, elle, nous, vous, eux, elles, soi.

თავისუფალი ფორმები ზმნისაგან შეიძლება გამოცალკეებული იყოს სასვენი ნიშნით ან წინდებულთ; მაგ. Lui, il fait sa mйdecine. Elles parlent de lui.

ძველ გრამატიკებში ბმული ფორმები განხილულია, როგორც უმახვილო (ატონური), თავისუფალი კი - მახვილიანი. თანამედროვე ფრანგულში, ბმული ფორმები შეიძლება იყვნენ მახვილიანი donne-le leur როგორც არქაიზმი je არის მახვილიანი და განცალკეებული ტრადიციულ ფორმულაში je sousigneй(e) თავისუფალი ფორმები შეიძლება შეიცვალოს საკუთარი სახელებით:

როგორც აღვნიშნეთ, მიმართვის სახელური ფორმები თავისუფალია. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

---Clara ?Comment va le petit ?

---Allф, mon tout petit, за va ?

---Alors, йcoute-moi bien, bonhomme



ერთ-ერთ ნაშრომში ზ. კიკვიძე (კიკვიძე 2000, გვ. 76) მიმოიხილავს მიმართვის სოციოლინგვისტურ წესებს, კერძო კი, ალტერნაციისა და თანაპოვნეობისას. ეს ორი ტერმინი (ინგ. alternation and co-occurrence) პირველად შემოგვთავაზე ს. ერვინ-ტრიპმა (ერვინ-ტრიპი 1969; 1972) ფრანგული და გერმანული მიმართვის განხილვისას პ. ბერტო და დ. ლაროშ-ბუვი გამოყოფენ, აგრეთვე, კონგრუენციის წესს. (ბერტო და ლაროშ-ბუვი 1982, გვ. 9).

როგორც ზ. კიკვიძე აღნიშნავს, «ალტერნაციის წესები აკონტროლებს ენობრივ ერთეულთა, ენათა, ენის არსებობის ფორმათა შერჩევას მოლაპარაკის საერთო რეპერტუარიდან, ე.ი. აქ საქმე გვაქვს პარადიგმატულ წესებთან. პარადიგმატული ურთიერთობები ახასიათებს ნებისმიერი დაჯგუფების ან ფენის აგებულებას, რომლებიც გამოიყოფა ენაში მათი წევრების ფორმალური თუ სემანტიკური პრინციპის მიხედვით, და რომლებიც ამავდროს ერთმანეთს უპირისპირდებიან ერთ-ერთი ნიშნის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში გვაქვს ურთიერთობები in absentia „ი. პარადიგმატული. ერთ-ერთი წევრის პოვნეირება გამორიცხავს სინტაგმატურ ჯაჭვში მეორის პოვნეირებას, მაგრამ უშვებს მათს ურთიერთჩანაცვლებას. (კიკვიძე, 200, გვ. 76).

მიმართვის ფორმების მონაცვლეობა დამოკიდებულია ორ თანამოსაუბრეს შორის დამყარებულ ურთიერთობაზე და იმ გარემოზე, რომელშიც ისინი იმყოფებიან, მაგრ. ერთსა და იმავე პიროვნებას შეიძლება მიემართოთ სახელით—Caroline, კნინობითით - — Caro , სინაზის გამომხატველი ზოგადი ტერმინით —chérie,, განსაკუთრებული ტერმინით —mon lapin,ma biche,ma puce(ma petite puce)...

რაც შეეხება თანაპოვნეობის წესებს, ზ. კიკვიძე აღნიშნავს, რომ ისინი «სინტაგმატური ხასიათისაა. ისინი არეგულირებენ ფორმათა შეთანხმებულ შერჩევას (in praesentia)), რისი საშუალებითაც სამეტყველო ჯაჭვში მარდება ერთ-ერთი ალტერნაციული რგოლი" (კიკვიძე 2000, გვ. 76).

ბუნებრივია, ლექსიკური და სინტაქსური ფორმები შესაბამისი იქნება იმ პიროვნების მიმართვის ფორმასთან, რომელსაც V-თი ან T-თი მიმართავენ; ცხადია, მიმართვისას Monsieur le Ministre, V მიმართვის ფორმასთან გვაქვს საქმე, ხოლო სახელით მიმართვას შესაძლებელია მიმართვის T ფორმა მოჰყვეს. მაგ.



Veillez m'excuser, Monsieur le Ministre და Amar, je te remercie

ბერტო და ლაროშ-ბუვი აღნიშნავენ, რომ კონგრუენციის წესები სოციოლინგვისტურია. მოსაუბრე გააკეთებს მიმართვის ფორმების არჩევანს, რომელიც შესაბამისი იქნება თანამოსაუბრისა და კომუნიკაციის სიტუაციისა. (ბერტო და ლაროშ-ბუვი, 1982, გვ. 9).

ფამილარულ სიტუაციაში ორი თანამოსაუბრე თუკი სახელით მიმართავენ ერთმანეთს, ოფიციალურ ვითარებაში ისინი გამოიყენებენ თანამდებობის აღმნიშვნელ წოდებებს, ყოველ შემთხვევაში, "თქვენობით" მიმართვა თითქმის გარდაუვალი ხდება. ამის გაკეთება მოუწევს, უფრო მეტად, ნაკლები სტატუსის მქონე პიროვნებას. მაგ. Alain, tu piges pas, mon vieux ? აქ არაოფიციალური სიტუაციაა და მიმართვაც შესაბამისი, ხოლო წინადადებაში Vous ne comprenez pas, Monsieur le Ministre? ოფიციალური სიტუაცია და მიმართვის ფორმაა. უეჭველია, რომ ამ შემთხვევაში ლექსიკა და სინტაქსი შეესაბამებიან სიტუაციასა და იმ მიმართვის ფორმას რომლის არჩევანიც მან გამოიწვია. ასე რომ, მიმართვის ფორმათა ურთიერთდამოკიდებულება ლინგვისტურია და ამავე დროს სოციოლინგვისტურიც. რადგან მიმართვა ერთსა და იმავე პიროვნებასთან ხდება, ოღონდ სხვადასხვა სიტუაციაში.

ბრაუნი და გილმენი 1968—Brown, R. and Gilmen, A. The Pronouns of Power and Solidarity. Readings in Sociology of Language. ed by J.A. Fishman, The Hague, Paris. p.263.

ბრაუნი 1988—Braun, F. Terms of Address. Problems of Pattern and Usage in Various Languages and Cultures. Berlin, New-York, Amsterdam, p.7.

ბერტო და ლაროშ-ბუვი 1962—Bertaux, P. et Laroche-Bouvy, D. « Quelques remarques sur les termes d'adresse en français et en allemand »--Contrastes—Revue de l'association pour le développement des études contrastives, No 45.

დიუნეტონი 1998—Duneton, C. Le guide du français familier, Seuil.

ერვინ-ტრიპი 1969—Ervin-Tripp, S. Sociolinguistics. In : Advances in Experimental Social Psychology, vol.4. ed by L. Berkowitz. New-York.

ერვინ-ტრიპი 1972—On Sociolinguistic Rules : Alternation and co-occurrence. In : Directions in Sociolinguistics : The Ethnography of

Communication, ed. by J.J.Gumperz & D.Hymes. New-York. also
in : Sociolinguistics. ed. by J.B.Pride & J.Holmes (1972) Harmondsworth

კიკვიძე 2000 - კიკვიძე, მრავლობითი თუ თავაზიანი ფორმა: გრამატიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა, ენთამეცნიერების საკითხები, 3, 2000.

მორენი და ტეტერევენკოვა 1970 — Морен, М.К. И Тетеревникова, Н.Н. Стилистика современного французского языка, Москва. стр. 58.

Shorena Khaduri

SOME NOTES ON THE FRENCH FORMS OF ADDRESS OF THE FAMILAR REGISTER

Summary

The paper is an attempt to analyze forms of address in the French language from the sociolinguistic standpoint.

The author assumes the following division of the forms of address : pronominal, verb, and nominal terms of address. There is a strong emphasis on free and bound forms, also, on the sociolinguistic rules, those of alternation, co-occurrence, and congruence, in order to manifest the interrelationships between various linguistic and social factors.

In western countries, and in France among them, there is the on-going process of familiarization caused by the less hierarchic and less static society, and the formation of the egalitarian ideology. Honorifics, of course, maintain their specific usage, though familiar forms of address have enlarged their domains.

ლიტერატურა

არიფე,გადე,გალმიში 1986—Arrivé,M. Gadet,F. Galmiche,M. La grammaire d'aujourd'hui, guide alphabétique de linguistique française,Paris.p.500.

ბრაუნი და გილმენი 1968—Brown,R. and Gilmen,A. The Pronouns of Power and Solidari ty. Readings in Sociology of Language. ed by J.A.Fishman, The Hague, Paris.p.263.

ბრაუნი 1988—Braun,F.Terms of Address.Problems of Pattern and Usage in Various Languages and Cultures.Berlin,New-York,Amsterdam,p.7.

ბერტო და ლაროშ-ბუვი 1962—Bertaux,P.et Laroche-Bouvy,D. « Quelques remarques sur les termes d'adresse en français et en allemand »--Contrastes—Revue de l'association pour le développement des études contrastives,No 45.

დუნეტონი 1998—Duneton,C.Le guide du français familier,Seuil.

იჯერი 1990—Ager,D.Sociolinguistics and contemporary french. Cambridge, p.214.

ერვინ-ტრიპი 1969—Ervin-Tripp,S.Sociolinguistics.In :Advances in Experimental Social Psychology, vol.4.ed by L.Berkowitz.New-York.

ერვინ-ტრიპი 1972—On Sociolinguistic Rules :Alternation and co-occurrence. In :Directions in Sociolinguistics :The Ethnography of Communication, ed.by J.J.Gumperz &D.Hymes.New-York.also in : Sociolinguistics .ed.by J.B.Pride & J.Holmes (1972) Harmondsworth.

კიკვიძე 2000—კიკვიძე,ზ. « მრავლობითი თუ თავაზიანი ფორმა ზრამატიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა ».ენათმეცნიერების საკითხები,3.2000.

მარზისი 1974—Marzys,Z. « Norme et usage en français contemporain », dans Le français dans le monde, No 108,p.6.

მორენი და ტეტერევნიკოვა 1970—Морен,М.К. и Тетеревникова, Н.Н.Стилистика современного французского языка, Москва.стр.58.

როსი 1976—Ross,J. « L'étude des variétés et l'enseignement de la langue », dans Le français dans le monde,No 121,p.17.

რულე 1974—Roulet,E. « Pour une meilleure connaissance des français à enseigner », dans Le français dans le monde,No 100,p.24.

სტურდი და კოლე-ჰასანი 1969—Stourdze,C. et Collet-Hassan,M. Les niveaux de langue, dans Le français dans le monde, p.65.

ჯოსი 1962—Joos,M. The Five Clocks,International Journal of American Linguistics, 28 :5.

ფრანგული ენის კათედრა



გელა ხარშილაძე

ვაჟა-ფშაველა ქუთაისში

ვაჟა-ფშაველა ქუთაისში ორჯერ მიიწვიეს, პირველად 1910 წელს ილიას სალამოზე, რომლის შესახებაც იმავე წლის „სახალხო გაზეთში“ (№141) ასეთი ცნობაა მოთავსებული: „დღეს, 26 ოქტომბერს, ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა ქუთაისში მიემგზავრება, სადაც მიწვეულია 27 ოქტომბერს ილიას სალამოში მონაწილეობის მისაღებად“.

ვაჟა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ქუთაისში, მაგრამ უფრო წარმატებული იყო მისი ქუთაისში ყოფნა 1913 წლს თებერვალში. დ. კლდიაშვილი იგონებს: „ქუთაისში ყოველ წლობით იმართებოდა სალამო ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს. ერთხელ სალამოს გამმართველმა კომიტეტმა გადასწყვიტა სალამოს მონაწილეთა შორის მოეწვია ვაჟაც და ამით საზოგადოებას გაეცნო იგი. საკითხი დაისვა-რა რიგად მოქცეულიყო კომიტეტი, რადგან ვაჟას რიგიანი ჩონა-ახალუხი არა აქვსო და ჩამოფლეთილი როგორ დავანახოთ საზოგადოებასო. გადაწყდა, ასი მანეთი გაგზავნოდა ვაჟას, რომ შეეკერა ახალი ჩონა-ახალუხი და ისე ჩამოსულიყო.“

დანიშნულ დღეს ვაჟა ეწვია ქუთაისს და გამოწყობილი მივიდა პეტრე ყიფიანთან.

- ძალიან გამოჩისტულხარ, ვაჟას ჭირიმე! ესლა კი ვაჩვენებთ შენს თავს ქუთაისს! - მისებური ხარხარით შეხვდა პეტრე ყიფიანი ვაჟას. ვაჟა კი ოდნავ იღიმებოდა.“ (1)

ქუთაისში მიწვევა მწერალს ძალიან გახარებია. აი, რას ამბობს ს. ფაშალიშვილი თავის წიგნში - „შეხვედრები დაუფიწყარ ადამიანებთან“ - „ვაჟამ დაუფარავი აღტაცებით მითხრა: მაშ, მივდივართ, ბალოო, იმერეთსა. ეტყობა გადნა ლიხზე ჩამოწოლილი ზავი. მან დაუძახა თედო და მისა რაზიკაშვილებს, თედოს უფროს ქალიშვილს პეტრე ყიფიანის წერილი გადასცა და უთხრა:

- წაუკითხე, გოგოვ, ამ ფშაველებსა!
ვაჟას სიხარული მათაც გადაეღოთ. იქვე გადაწყდა, რომ ვაჟა თავისი ძმის თედოს ახალუხს ჩაიცვამდა, მისას ნაბადს წამოიღებდა და თედოს ქალიშვილის თანამგზავრად წამოიყვანდა.



შორაპანთან ვაჟას მიუხსენდით გვერდით. მას ოთხად მოკეცილ ლექსად დაწვებული, რამდენიმე სტრიქონი წაშლილი იყო, ხოლო ორი სტრიქონი მოთავებული.

- სწერ, ძია? მე კი მეგონა გეძინა! - უთხრა გულქანმა.

- არა, არა, რა დამაძინებს? იცი, სად მივდივართ? იმერეთს! იმერეთის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო" - ლექსით უნდა მივესალმო, აჰა, ნახეთ! და მოგვაწოდა ქალაღდი. თვითონ ფანჯარასთან მივიდა და იქიდან გვიყურებდა" (2) ლექსსაც შევახსენებთ:

„ერთხანად ჩემო მძრახაო,
 ლიხს აქეთურო დედაო!
 ვხედავთ, რომ შამრიგებხარ-
 მით შენთან სალამს ვბედავო.
 ფარ-ხმალო საქართველოსავ,
 სხვაცა გბაძავდეს ნეტაო!
 ის მომწონს, თავის ქვეყნისა
 კარებს რო მაგრა ჰკუტაო...
 ვნება ნუ ასცდეს, საენებლად
 ვინაც შენ გაგიმეტაო“.

„დედას“ უწოდებს ვაჟა იმერეთს. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მარტო აქედან ჩანს მისი უსაზღვრო პატივისცემა და მოწიწება საქართველოს ამ თვალწარმტაცი კუთხისადმი.

ქუთაისი თავდაპირველად შესაფერისად არ აფასებდა ვაჟას ნიჭს. არ აფასებდა იმიტომ, რომ არ იცნობდა შემოქმედს, როცა გაიცნო, დააფასა კიდევ და არამარტო დააფასა, არამედ მოეფერა და ღირსეული პატივიც მიაგო მას.

სალამო გაიმართა 1913 წლის 20 თებერვალს ქალაქის თეატრში. მის შესახებ ლ. ბზვანელი წერდა „სახალხო გაზეთში“: „რვის ნახევარზე მივედი თეატრის კარებთან, ერთი საათის განმავლობაში შეიკრიბა ხალხი. ყველამ დაიჭირა თავისი ადგილი თეატრის დარბაზში; აიხადა ფარდა, პირველად გამოჩნდნენ სცენაზე ქუთათური მწერლები, რომლებმაც წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები, იმღერა მომღერალმა აკოფაშვილმაც. ყველა გაფაციცებით შესჩერებოდა სცენას და ელოდა მთის მგოსნის გამოსვლას; გამოჩნდა თუ არა ვაჟა-ფშაველა, ჩვეულებრივ ჩოხა-ახალუხით, ასტყდა დაუსრულებელი ტამის ცემა; როდესაც დაწყნარდა საზოგადოება, მგოსანმა წაიკითხა რამდენიმე თავისი ნაწარმოები.“



ლექსები ისეთი მოხდენილი დეკლამაციით და გრძნობით იყო წაკითხული, რომ დიდი ალტაცება გამოიწვია საზოგადოებაში. მგოსანი ტამისცემით ოთხჯერ-ხუთჯერ გამოიწვიეს და ათქმევინეს სხვადასხვა ლექსი. ქანდარიდან მოსწავლე ახალგაზრდობამ მიაძახა: „დაჭრილი არწივი“, რომელიც მგოსანმა წაიკითხა მეტად მოხდენილად და მგრძნობიერად და ბოლოს, მგოსანი ვაჟა-ფშაველა კიდევ გამოჩნდა სცენაზე და წაიკითხა რამდენიმე ლექსი. დასასრულ წაიკითხა იქვე დაწერილი ახალი ლექსი „იმერეთს“, საღამო დამთავრდა თორმეტი საათის ნახევარზე.

საღამოს დამთავრების შემდეგ საზოგადოება ტამისცემას დიდხანს განაგრძობდა და არ დაიშალა, სანამ ვაჟა-ფშაველა ნაბდით და ყაბალახით არ გამოჩნდა კიდევ ერთხელ სცენაზე“. (3)

დ. თომაშვილი ვაჟას ქუთაისში ყოფნის შესახებ აღნიშნავს: „ვაჟა თავისი გრძელი ჩოხით, განუყრელი სატყვერით და ჩამოტყაული თვალით თეატრში გამოვიდა. თეატრი სავსე იყო, ხალხს ვერ იტყვდა, საღამო გაიმართა. პოეტებმა თავ-თავისი ლექსები წარმოთქვეს ...ვაჟამ წაიკითხა: „როს ვუკვირდები თავის თავს“, „გოგოთურ და აფშინა“ ზეპირად და სხვ. საღამო დასრულდა. ფარდა ჩამოეშვა, ხალხი, განსაკუთრებით ქანდარა, ვაჟას გამოსვლას მოითხოვდა. ფარდა ასწიეს. ვაჟა გამოვიდა სცენაზე. ქუდის მოხდით ხალხს დაემშვიდობა და გავიდა.

იმ ღამეს ვაჟას პატარა სუფრა გაეუშაღეთ, - სუფრა არა მთის კალთაზე, ან ამწვანებულ მდელოზე, არამედ რესტორან „მედვედში“... თამადამ თოფილე ხურსკივაძემ, - მშვენიერი სიტყვით მიმართა ვაჟას, სიტყვა ასე დაამთავრა: მადლობელი ვართ, ვაჟა, იმ დიდი ღვაწლისათვის, რომლითაც შენ ქართული ლიტერატურა გაამდიდრე და დაამშვენეო.

ვაჟამ მოისმინა. თითქო არ ეამა მისადმი სამართლიანად მიძღვნილი სიტყვა და უპასუხა: მაპატიეთ, იმერლებმა ცოტა გადაჭარბება იცით - კაცს სწყუროდეს, წყურვილი მოიკლას, ამისათვის რა მადლობის ღირსიაო? მეც, არც მეტი არც ნაკლები, მწყურია და წყურვილს ვიკლავ, მადლობა რად მეკუთვნის? მემღერება და ვმღერიოო!..

იმ დღეს პოეტი იქვე რესტორანში დავაბინავეთ“. (4)

გაზეთი „თემი“ ამ საღამოს შესახებ წერდა: „20 თებერვალს გამართულმა სალიტერატურო საღამომ საერთოდ მკრთალად ჩაიარა. მისი გამოცოცხლების მიზეზი გახდა მხოლოდ ვაჟა-ფშაველა. მისმა დარბაისლურმა, მკაფიო და ბუნებრივმა ლექსების კითხვამ დიდი ალტაცება და თანაგრძნობა გამოიწვია ჩვენი მგოსნისადმი. მის სცენაზე ნახვას მრავალნი

ნატრობდნენ ქუთაისში. განსაკუთრებით აღტაცებით შეხვდა მას ახალგაზრდობა. საზოგადოებამ მრავალჯერ გამოიწვია, აღტაცებით შეხვდა მას ახალგაზრდობა. საზოგადოებამ მრავალჯერ გამოიწვია სიმპატიური პოეტი სცენაზე ლექსების წასაკითხად". (5)

ქუთაისში ყოფნისას, ს. ყუბანიეშვილის ცნობით «ვაჟა გააცვენეს მოწაფეებსაც. ამ მიზნით, ქართული გიმნაზიის დირექტორმა ი. ოცხელმა ის გიმნაზიაში წაიყვანა და კლასებში გაკვეთილზე შეჰყავდა მოწაფეებთან. დაბრუნებისას ნაცნობ-მეგობრებმა ვაჟა მიაცილეს სადგურამდის და გამოისტუმრეს თბილისში».

გავისხენოთ, «მწყურია და წყურვილს ვიკლავ მადლობა რად მეკუთვნი-სო" - უთხრა მწერალმა ქუთაისს და ქუთაისლებს. მადლობა შეიძლება არა, მაგრამ მათი სიყვარული კი ნამდვილად სჭრდებოდა ვაჟას, სჭირდებოდა და მიიღო კიდევ ჩვენი ქალაქისაგან და იმის მკვიდრთაგან - სიყვარული დიდი და გამორჩეული, ისეთი, რომელმაც სამშობლოსათვის ერთხელ და სამუდამოდ შეწირული გული გაუთბო პოეტს.

Gela Kharshiladze VAJA-PHAVELA IN KUTAISI (resume)

Vaja-Pshavela was twice invited in Kutaisi (in 1910; 1913) to take part in the celebration of the anniversary of Ilia Chavchavadze. The writer was received by the society of the city with great respect, but It is to notice especialy the visit of Vaja-Pshavela in 1913 D. Kldiashvili and the newspaper "Temi" give us the informations about this visit of the great writer in Kutaisi.

ლიტერატურა:

1. დ. კლდიაშვილი, თხზ., ტ. II, თბ., 1953, გვ. 333.
2. ს. ფაშალიშვილი, შეხვედრები დაუვიწყარ ადამიანებთან, თბ., 1961, გვ. 89-90.
3. ლ. ბზვანელი, ვაჟა-ფშაველა ქუთაისში, «სახალხო გაზეთი», 1913, №836.
4. დ. თობაშვილი, ვაჟა-ფშაველა - პატარა მოგონება - ნახული და გოგონი; გაზ. «სტალინელი», 1935წ. №248.
5. ს. ყუბანიეშვილი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, თბ., 1961, გვ. 299.

ქუთაისის ისტორიის ინსტიტუტი



ნათია ჯიქია

პაოლო იაშვილის უცნობი ფსევდონიმი

(„განდეგილი“, „გ“)

„ცისფერყანწელთა“ იდეური ხელმძღვანელის პაოლო იაშვილის კალამს ეკუთვნის არცთუ მცირე პუბლიცისტური მემკვიდრეობა. იგი წერდა ფსევდონიმებით: „არიელი“, „ასტამური“, „ასტამურ შერვაშიძე“, „რუბიკონელი“, „ელენე დარიანი“, კრიპტონიმებით: „პ.ი.“, „რ“, „ელ-ლი“. ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა მისი რამდენიმე ხელნაწერი სტატია, რომელიც ხელმოწერილია ფსევდონიმით: „განდეგილი“ ან შეკვეცილი ფორმით „გ“.

გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში პაოლო იაშვილის ფონდში 26740/-4 მოიპოვება პოეტის 5 ხელნაწერი, ისინი რეგისტრირებულია შემდეგი თანმიმდევრობით: 1. „სტატია მუსიკალურ კომედიაზე „შემოდგომის აზნაურები“, 2. „ქალთა დღის შესახებ“, 3. „დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების შესახებ“, 4. „ჩვენი პარტია“ (ქუთაისის პარტიული კრება), 5. „პატარა წერილი“. მათში განხილულია საქართველოს საშინაო პოლიტიკის, თეატრალური ხელოვნების, საერთაშორისო ცხოვრების თუ გამომცემლობის საგულისხმო ასპექტები. ისინი ხასიათდება ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, კერძოდ, გვხვდება: კორესპონდენცია, წერილი-მიმართვა, რეცენზია, ქრონიკა.

წერილებში გამჟღავნებულია ავტორისეული „მე“, ჩანს მისი ანალიტიკური ხედვა, ყოველივე ეს მეტყველებს პოეტის ჟურნალისტურ აღლოსა და მაღალ ერუდიციაზე. ამასთანავე, მკითხველისვის თვალსაჩინოა მისი პოლიტიკური ორიენტაცია.



სავარაუდოა, წერილები დაბეჭდილიყო პერიოდიკაში, თუმც ამის არსებობის შესახებ არაფერს გვაუწყებენ, მათ არც „დატა“ უზით. არსებობს ერთი უმნიშვნელო დეტალი, რომელიც ადასტურებს მათი გამოქვეყნების პრეცედენტს, კერძოდ, წერილს „ქუთაისის პარტიული კრება“ სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს მკაფიოდ სიტყვა „ციცერო“, რაც, ჩვენი აზრით, შრიფტის სახეობას გულისხმობს. შესაძლოა, იგი პაოლომ ასოთამწყობისთვის დასაბეჭდ მასალას მიაწერა, რადგან კალიგრაფია ემთხვევა.

„პატარა წერილი“ ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხებს ეხება, მასში საუბარია სათანადო კრებულის გამოცემაზე, მის შესახებ: „გაზეთ „კვალის“ რედაქციაზე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე, ექვთიმე ხელაძეზე. ხელნაწერი მე-19 საუკუნის ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთი ეპიზოდია, ამასთანავე წერილის ავტორი გამომცემელთა კრების წევრად მოიხსენიებს თავს. თუ ეპოქის მიხედვით ვიმსჯელებთ, პაოლო ამ დროისათვის ასაკით ყრმა იყო, ხოლო წერილის ავტორის ამკარა საქმიანი ტონი და ავტორიტეტულობა ერთგვარ შეუსაბამობას ქმნის. მაშ, ისმის კითხვა? - ვინ არის რეალურად წერილის ავტორი? - პასუხი ნათელია, - ის, ვინც ხელს აწერს, მაშასადამე „განდევილი“. არსებობს ერთი ვერსია, რომლის მიხედვითაც წერილი მანდილოსანს ეკუთვნის, კერძოდ, ამ ფსევდონიმით მე-19 საუკუნის ლიტერატურულ და ჟურნალისტურ სარბიელზე წერდა დომენიკა ერისთავი.¹ ადვილი შესაძლებელია, მუზეუმის თანამშრომლები ამ მარტივ ჭეშმარიტებას - ფსევდონომის იდენტიურობას, შეცდომაში შეეყვანა. არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც განასხვავებს წერილს პაოლო იაშვილის სხვა

¹ გაზ. „საშობლო“, 1915, 37 გვ.2



ცნობილი პუბლიკაციებისაგან, ეს გახლავთ წერის სტილი და მანერა.

სხვა ზემოთხამოთვლილი წერილები 20-30-იანი წლების მატიახეა, სათაურით ჩვენი პარტია (ქუთაისის პარტიული კრება) პაოლო იძლევა ერთგვარ თემატურ ანგარიშს ნაციონალისტურ-დემოკრატიული პარტიის პრეზენტაციისა, რომელიც ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში შედგა. წერილი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის წლების ერთგვარი ქრონიკა. ამ მასალის საშუალებით ცოცხლდება მე-20 საუუნის საქართველოს ისტორიული რეალობა პოლიტიკური ფიგურებით, მძაფრი პოლიტიკური ბრძოლით. მასში მოიხსენიება საქართველოს პარლამენტის წევრები: გ. ვეშაპელი, დ. ვაჩნაძე. ავტორი აფიქსირებს კრების მსვლელობისას მომხდარ ფაქტებს, ცნობილი ხდება შიდა პარტიული განხეთქილების არსებობა. ხელმძღვანელობა ქმნის კომისიას სიტუაციის დასარეგულირებლად, ირონიულა წერილის სათაური "ჩვენი პარტია", რომელიც ქართული პოლიტიკური კურსის არამდგრადობაზე მიუთითებს.

ხელნაწერთა შორის არსებობს «სტატია მუსიკალურ კომედიაზე "შემოდგომის აზნაურები", თუმც ეს მასალა თავისი მოცულობით და უანრობრივად რეცენზიას მოგვაგონებს. მისი წაკითხვისას რჩება ისეთი წარმოდგენა, რომ იგი სპექტაკლის წარმოდგენიდან მცირე ინტერვალში შეითხზა, შესაძლოა, ექსპრომტად. საწერ მასალად რუსთაველის თეატრის დერიქტორის ბლანკიანი ფურცელია აღებული, მას ბეჭედი უზის და დაუსრულებელი ციფრი 193... (თარიღის აღმნიშვნელი). რეცენზია ხასიათით არაორდინალურია, რადგან მასში მხოლოდ დადებითზეა ყურადღება გამახვილებული. რეჟისორის და სცენარისტის შემოქმედებითი გადაწყვეტა გამართლებულადაა მიჩნეული, მსახიობთა და ანსამბლის წევრთა პროფე-



სიონალიზმი მაღალ დონეზეა შეფასებული, მუსიკალური და მხატვრული გაფორმება დახასიათებულია, როგორც სპექტაკლის წარმატების საწინდარი, მოვლენის ცალმხრივი გაშუქება ავტორის არაობიექტურობაზე მეტყველებს.

წერილი "ქალთა დღის შესახებ" ავტორის ორატორული გამოსვლის წერილობითი ვარიანტია. ამასე მიუთითებს ხელნაწერის პათეტიკური სტილი, იგი შინაარსით მოწოდებითაა და - აგიტაციური გამოსვლის ადეკვაური. მისი დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი პირველწყაროა აუდიტორიისათვის, მან აცნობა საზოგადოებას რუსეთის დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებით არჩევნებში ქალებისთვის ხმის უფლების მინიჭება. ჟურნალისტური თეორიის თანახმად, ორატორული გამოსვლა პუბლიცისტიკის ჩანასახია. წერილი ამგვარად იწყება: "ბედნიერი ვარ, რომ ქალთა საერთო კრებას პირველად მე ვაუწყე ქალთა მონობის ჯაჭვის გაწყვეტის ამბავი. . . მოგილოცავთ ამ დიდ აქტს სამართლიანობისას, ბატონებო". წერილის მიზანი ამ ისტორიული მნიშვნელობის აქტის ინტერპრეტაციაა. იგი თავისი არსით ეპოქალურია. ხელნაწერი მთავრდება სამწერტილით, ტექსტი დაუსრულებელია, დაწერილია ფანქრით, ფართო ასოებით და გაშლილი კალიგრაფიით, თაბახი ყავლგასულია, წერილის მოცულობაა 2 თაბახი.

პარტიულ თემატიკაზეა შექმნილი სტატია, რომლის სათაური პირობითია და საქარველოს სხვადასხვა კუთხეში დამფუძნებელი კრების დამატებით არჩევნებს ეხება. წერილის ეპიგრაფად აკაკი წერეთლის ლექსის ერთ-ერთი სტროფია მოყვანილი. რიტორიკული ფიგურა კონსტანტინე დადმქელიანია. იგი მე-19 საუკუნეში ცხოვრობდა და ისტორიაში შეთქმულის სახელით შევიდა. მან სიცოცხლეს გამოასალმა რუსი გენერა-



ლი გაგარინი, რისთვისაც შეიპყრეს და გაასამართლეს. ამ პიროვნების გმირულ წარსულს პოეტი მოაგონებს მკითხველებს თავის ლექსში „საკუთარ თავს“ (1934 წ.) შედარებისათვის მოვიყვანთ ციტატას:

„რად იყო დასატანჯავი
დიდი წოდების პატრონი,
რისთვის გააპო ხანჯალით
რუსეთის გუბერნატორი“.

დადეშქელიანი თავგანწირული სიკვდილი ავტორის მიერ შეფასებულია, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტიზმის მაგალითი და ამის სათანადოდ გასიგრძელებასა და შეგნებას სთხოვს იგი თავის მკითხველს. მოუწოდებს მათ სწორი არჩევანი გააკეთონ. წერილი თავისი შინაგანი ბუნებით არის ავტობიოგრაფიული. პაოლოსთვის წერილის მთავარი გმირი არის თავისუფლების სიმბოლო და მისი გახსენება საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში გახლავთ ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი. ავტორი გამოდის ეროვნული სოლიდარობის, ეროვნული თანხმობის სურვილით. წერილში გამოყენებულია ეპიზოდური კონსტანტინე დადეშქელიანის ეპისტოლედა. მასში მკვეთრად აისახა ავტორის პროტესტული ბუნება და ოპოზიციური დამოკიდებულება სოციალისტური მიმართულების პარტიისადმი. მაგალითად, წერილში იგი მათ მოიხსენიებს, როგორც „მოსოციალისტე ქონდრის კაცუნებს“.

კონსტანტინე დადეშქელიანის პორტრეტის წინ წამოწევით, მისი ტრაგიკული აღსასრულისა და გმირული წარსულის გახსენებით პუბლიცისტმა კიდევ უფრო გააცხოველა ქართული ცნობიერების ყველაზე დიდი ფენომენი - ბრძოლა თავისუფლებისათვის

Natia Jikia
PAUL IASHVILI'S UNKNOWN PSEUDONYM
("GANDEGILI" , "G")

Abstract

The mentioned article refers the some interesting aspects of Journalistic affairs of the outstanding Georgian figure - Paul Iashvili. We discovered his 5 manuskripts in the personal fond of the journalist in Tbilisi literatural Museum.

We decipher the pseudonym - "Gandegili", which was unknown before. According to the special sources, this nickname was used by the well-known women journalist Dominica Eristavi, who was an active public person in the 19 century and in the beginning of 20-c. There is given some interesting ways of identification off the pseudonyms and scientific research to find out the real authors of the manuscript in our article.

ჟურნალისტიკის კათედრა.



ზახტანზ აბალობელი

ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი და სუინბერნის „ლექსები და ბალადები“ (პირველი სერია)

ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენში“ ნათლად ჩანს, რომ დიდი ამერიკელი მწერალი სუინბერნის შემოქმედების თაყვანისმცემელია, ალტაცებულია მისი პოეზიით და ამავე დროს კარგად იცნობს იმდროინდელ კრიტიკულ ლიტერატურას სუინბერნის რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე შემოქმედების შესახებ (1,48). ქვემოთ შევეცდებით ამ დებულების დასაბუთებას:

სუინბერნის ლექსების კრებული „ლექსები და ბალადები“ (პირველი სერია) სამშობლოში გამოქვეყნების შემდეგ სულ მალე შეერთებულ შტატებშიც გამოიცა, სადაც დიდი გამოსმაურება ჰქონდა, თუმცა არა ისეთი სენსაციური როგორც ინგლისში. სუინბერნის ერთ-ერთი მკვლევარი პენი ალნიშნაყს: „ჩაილდ ჰაროლდის ორი წიგნის გამოსვლიდან დღემდე ინგლისურ პოეზიას არ ახსოვს ისეთი სენსაცია, როგორც „პოემებისა და ბალადების“ პირველი კრებულის გამოქვეყნებამ გამოიწვია“ (6,351).

მიუხედავად ასეთი წარმატებისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ვიქტორიანული ოფიციალური კრიტიკის უარყოფითი, თითქმის მტრული პოზიცია სუინბერნის მიმართ. კლაიდ ჰაიდერი ამ მტრობას ბაირონთან მტრობის ანალოგიად მიიჩნევს: „ისევე როგორც ბაირონის შემთხვევაში, სუინბერნის მიმართ მტრობაც გამოწვეული იყო მის მიერვე საყოველთაოდ აღიარებული სოციალური ნორმების უგულვებელყოფით, მორალური და რელიგიური გრძნობების უპატივცემულობით. ბაირონის მსგავსად, პოეტის პირადული თვისებები და ქცევები, რომელზეც ლეგენდები დადიოდა, იქცა იმ გამაღიზიანებლად, რაც საყოველთაო გაკიცხვის საგანი გახდა. ამ ჭორებმა და მასზე შეთხზულმა პორტრეტულმა დახასიათებებმა ზიანი მიაყენეს პოეტის რეპუტაციას ინგლისსა და შეერთებულ შტატებში“ (5,XIV).

მაგრამ ვიქტორიანული საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა იმთავითვე დადებითად შეაფასა სუინბერნის პოეტურ ასპარეზზე გამოსვლა,

მას დამფასებელიც ბევრი გამოუჩნდა არა მარტო სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მისი ლექსები იბეჭდებოდა საფრანგეთში, იტალიაში და აშშ-ში, სადაც მას აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობილი პოეტები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ ჯეკ ლონდონის მიერ „მარტინ იდენში“ დაფიქსირებული პოზიცია სუინბერნის პოეზიის მიმართ, აუცილებლად მიგვაჩნია გავაანალიზოთ ის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, რაც საზოგადოებასა და შემოქმედებით ელიტას გაუჩნდა მისი ლექსების კრებულის მიმართ.

სუინბერნის პოეზია თავიდანვე ძნელი აღსაქმელი იყო არა მარტო უბრალო მკითხველისათვის, არამედ თვით სპეციალისტებისათვისაც. სუინბერნს ბრალს დებდნენ ჭარბსიტყვაობასა და აბსტრაქტულობაში. უფრო მეტიც, მისი სტილის თავისებურებებით გამოწვეულმა აღქმის სირთულემ ზოგიერთს შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ იგი მხოლოდ „მომღერალი“ და არა „მოაზროვნე“ პოეტია.

ჩიუს მიაჩნია, რომ სუინბერნმა თავისი მრავალსიტყვაობით გადალახა ლექსის მანამდე არსებული სტრუქტურული ზღუდეები, შექმნა ახალი ლექსთწყობის ნიმუშები, რომლებიც ტრადიციულად შედარებით უფრო მოა. იგი აღნიშნავს, რომ „... თუ მისი გრძელი ლექსებიდან ამოვიღებთ ნებისმიერ სტროფს ან სტროფების ჯგუფს, ამით ლექსის საერთო გრძობად აღქმით მხარეს არაფერი დააკლდება“ (3,1444).

მართლაც, ხშირად სუინბერნის ლექსის სტრიქონები ერთმანეთს მისდევენ არა აზრის შინაგანი ლოგიკის ძალით, არამედ მხოლოდ ლექსის მუსიკალურ დინებას დაქვემდებარებულნი. მომდევნო სტრიქონში, ასევე ხშირად ვერ ვხედავთ წინა სტრიქონში მოცემული შინაარსის გაშლას, განვითარებას, გაღრმავებას. ამიტომ ზოგ შემთხვევაში შესაძლებელიც კია სუინბერნის სტროფთა ცალკეული სტრიქონების გადასმა-გადმოსმა ისე, რომ ამით ლექსის მთლიანი სტრუქტურა არ დაირღვეს. პოეტის წერის ამ თვისებაზე მიუთითებს პოლარდი და აღნიშნავს: „მას არასოდეს ავიწყდება საკუთარი განცხადება იმის თაობაზე, რომ პოეტის პირველი და ერთადერთი მოვალეობაა სიმღერა და ამ თვალსაზრისით მისი ლირიკული ლექსების მელოდია თავისთავად წარმოადგენს მათ შინაარსს“ (7,257).



სუინბერნის სტილის ამ თავისებურებას თავის დროზე ყურადღებამაქცია ტომას ელიოტმაც, რომელიც აღნიშნავს, რომ „სუინბერნის აზრი და ბგერა ერთ მთლიანს წარმოადგენს... იგი იყენებს ჩვეულებრივ სიტყვას, რადგან მისი ემოციები არასოდესაა განსაკუთრებული. არც წარმოსახვას-თანაა უშუალო კავშირში, არ არის ფოკუსირებული. მისი ემოცია გაძლიერებულია არა ინტენსიფიკაციით, არამედ - ექსპანსიით ... სუინბერნის ნებისმიერი ლექსის ანალიზის დროს აღმოაჩენ, რომ მასში საგანი არ არსებობს, არის მხოლოდ სიტყვა. მხოლოდ ისეთ გენიოს კაცს, როგორც სუინბერნია, შეუძლია სიტყვებთან ასეთი გამორჩეული და მჭიდრო ურთიერთობა. ჰქონდეს“ (4,157-158).

სწორედ სუინბერნის „ჭარბსიტყვაობაში“, მისი სტილის ამ თავისებურებაში იყო დაფარული ყველა ის პროსოდიული სიახლე, რომელმაც განსაზღვრა საუკუნის მიწურულში ინგლისური პოეზიის განვითარება.

ჩვენის აზრით, „მარტინ იდენში“ რუთისა და მარტინის პირველი შეხვედრის სცენა, სადაც ისინი სუინბერნის ლექსების კრებულის შესახებ „ლექსები და ბალადები“-საუბრობენ ჯეკ ლონდონის მიერ იმდროინდელ ლიტერატურულ კრიტიკაში ამ კრებულზე არსებული მოსაზრებებისა და საკუთარი დამოკიდებულების ილუსტრაციას წარმოადგენს.

ჩვენი დებულების დასამტკიცებლად მოვიყვანთ რუთისა და მარტინის დიალოგს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით:

„- თქვენ ამბობდით, ეს სუინბერნი იმიტომ ვერ გახდა დიდი პოეტი, რომ ...

- ჰო... გმადლობთ, მიუგო ქალმა, სუინბერნი დიდი პოეტი ვერ გახდა, მართალი თუ გინდა, იმიტომ, რომ... ტლანქია. რამდენი ლექსი აქვს ისეთი, წაკითხვაც რომ არ შეიძლება. ნამდვილი პოეტის ყოველი სტრიქონი მომხბობლავი სიმართლით არის გამსჭვალული, და რაც კი ადამიანს ამალღებული და კეთილშობილური მოეპოვება, იმას ეხმაურება ხოლმე. ერთ სტრიქონსაც ვერ ამოიღებ დიდი პოეტის შემოქმედებიდან, ეს იქნებოდა უდიდესი დანაკლისი მთელი მსოფლიოსათვის.

- მე კი ძალიან კარგი მომეჩვენა, - გაუბედავად თქვა ჭაბუკმა, - თუმცა სულ ერთი-ორი ლექსი წავიკითხე. ვერ წარმომიდგენია, ასეთი... ასეთი საშინელი თუ იყო. ალბათ სხვა წიგნები აქვს ასეთი.



- მაგ წიგნიდანაც თქვენ რომ კითხულობდით, რამდენიც გინდათ ამოიღებთ და მანც არაფერი დააკლდება, - მტკიცედ და გადაჭრით განაცხადა ქალმა.

- ეტყობა, მე არ შემხვდა ის ლექსები, - უპასუხა ჭაბუკმა, - რაც მე წავიკითხე, დიდებული იყო. ნათელი და ბრწყინვალე, გული გამინათა და გამახალისა, თითქოს მზე ყოფილიყოს ან შუქურა“ (2,13).

ამკარაა, რომ ჯექ ლონდონმა თავის მხატვრულ ნაწარმოებში გამოიყენა იმ დროს ლიტერატურულ კრიტიკაში სუინბერნის ლექსების კრებულზე „ლექსები და ბალადები“ არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები თავისი გმირების, ორი სხვადასხვა სოციალური ფენისა და განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე, რუთისა და მარტინის ასევე ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათების შესაქმნელად.

სუინბერნმა თავისი პირველი ლექსების კრებულით „ლექსები და ბალადები“ გაილაშქრა ვიქტორიანული კონსერვატიზმის წინააღმდეგ და მოჩვენებითი კეთილდღეობის ნიღაბი ჩამოხსნა ვიქტორიანულ საზოგადოებას. როგორც რუსი მკვლევარი ნ.ი. დიაკონოვა აღნიშნავს: „ყველაფერი, რაც ჭეშმარიტ ხელოვნებასთან არის დაკავშირებული, გარკვეულწილად კრიტიკულად იყო განწყობილი ოფიციალური იდეოლოგიისა და ბრიტანეთის მეშჩანთა ფართო მასების მიმართ...“ (8,6).

სწორედ იმის გამო, რომ რუთი მეშჩანთა ამ ფართო მასების წარმომადგენელი იყო მან ვერ შესძლო ჭეშმარიტი ხელოვნებისა და სიყვარულის დაფასება. რომანის მთავარი გმირის მარტინ იდენის ცნობიერებასა და სულიერ სამყაროში სიყვარული და სუინბერნის „ლექსები და ბალადები“ ერთდროულად შემოდის და რუთისა და მარტინის ურთიერთობებშიც ამ ლექსების ფონზე ვითარდება.

ჯექ ლონდონმა თავისი გმირების რთულ და საინტერესო ხასიათებს კიდევ უფრო მეტი მხატვრული დამაჯერებლობა შესძინა მარტინისა და რუთის ურთიერთობებში სუინბერნის პოეზიის შემოყვანით. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „მარტინ იდენი“ ჯექ ლონდონის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებად ითვლება, მან მარტინის მეშვეობით თავისი დადებითი შეფასება გამოხატა სუინბერნის ლექსების კრებულის მიმართ.

1. ამაღლობელი ვახტანგ, ჯექ ლონდონი „მარტინ იდენის“ ფინალის ინტერპრეტაციის საკითხისათვის სუინბერნის პოეზიასთან მიმართებაში, „შრომები“ ტ. შ (35) ქსუ-ს გამომცემლობა, 1999
2. ლონდონი ჯექ, მარტინ იდენი, თხზულებანი 5 ტომად, ტ. 5. თბილისი, 1918
3. Chew S. G. The Nineteenth Century and after 1789-1939. A Literary History of England/Ed. by Baugh A. C. vol, IV Appleton - A Century Crofts, 194.
4. Eliot T. S. Swinburne As Poet. British Victorian Literature. Recent Revaluation/Ed. by Shiv K. Kumar - New York Univ. Press, 1969
5. Hyder C. K.. Swinburne. The Critical Heritage, 1970
6. Payn W. M. A. C. Swinburne / The Greater English Poets of the Nineteenth Century - N. Y: Librarian Press, 1967
7. The Victorians / Ed. by A. Pollard - L. Sphere Books LTD, 1970
8. Дьяконова Н. Я. Стивенсон и английская литература XIX века — Л. Изд-во ЛГУ, 1984.

Vakhtang Amaglobeli

JACK LONDON'S "MARTIN EDEN" AND SWINBURNE'S "POEMS AND BALLADS" (FIRST SERIES)

Jack London's "Martin Eden" is a clear evidence of the fact that great American writer admires Swinburne's creativity, worships his poetry and at the same time is well familiar with the critical writings about Swinburne's complex and controversial works.

It is beyond doubt that in his novel Jack London had used controversies existing on Swinburne's "Poems and Balades" in the literary criticism of that time in order to create figures of Martin and Ruth - people of two different social backgrounds, outlooks and complicated characters.

Jack London had added much artistic value to these two interesting characters by using Swinburne's poetry. If we take into consideration that "Martin Eden" is Jack London's autobiographical novel, we can assume that by depicting Martin's character he had expressed his positive attitude to the collection of Swinburne's poems.

საზღვარგარეთული ლიტერატურის
ისტორიის კათედრა

გურაბ არჩვაძე	
ღავით ბატონიშვილი - მონტენეგრიის „კანონთა გონის“ კომენტატორი.	3
ნოვალი პარტიანა	
ტირმინ უისტიკაურის წარმოშობის შესახებ.	11
ევგენი ბლიაძე	
ალექსანდრე ამილახერის წერილები.	13
შალვა ბაბუხიძე	
„ვეფხისტყაოსანის“ კვლევის გოგიერთი საკითხისათვის.	19
გურამ ბაბუნი	
„გაბიანე ქართლისაის“ ერთი ცნობის (ბაბრატ მეფე „ღაიჭირა ღინარ ღელოვანი თვისად“) ბაუბისათვის.	23
გურამ ბაბუნი	
მეფე ბაბრატ მესამის ფრესკული გამოსახულებისა და ნეკროპოლის საკითხისათვის.	29
გოდერძი ვაჭრიკი	
ილია ჭავჭავაძე საქართველოში მიწების გამოქვნის შესახებ.	33
ეკა თხილაძე	
გაგეთი „იმერეთი“ და საგოგალოებრივი აგრი.	39
ლოქტორი კათალინ შნაილერი (ბერმანი)	
უკლური ქალური აგროვნება (ქრისტა ვოლფი: „მეღა. ხმეზი“).	43
ინგა კიკვიძე	
ტიქტის სტატუსის პრობლემა ლინგვისტიკის ბანვიტარების გოგადი ტენდენციის ფონზე.	65
ბაია კოლუაშვილი	
ღრამის თეორიის გოგიერთი საკითხი კოლრიჯის ესთეტიკურ ნააგრევეში.	71
მარინე კუხალაშვილი	
ნეგა-სურვილის გამოგხატველი ნაწილაკების გამოყენების ვიტარება ისტორიულად.	79

ლილია კრავჩენკო	
წინდებულებანი კონსტრუქციის („PREP+S“) სინტაქსური უწყობიანობის სათაურად გამოყენებისას.	85
ოვარ ლანჩავა	
ქუთაისის სასიმაგრო სისტემა აღრე შუა საუკუნეებში.	91
მარიამ ლორთქიფანიძე	
ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ბაერტიანება.	97
მელა ლორთქიფანიძე	
მიმართებითი გელსართავი სახელი ურანგულ ენაში ქართულთან შეპირისპირებით.	107
თამარ მამარლაშვილი	
მიმღეობის საკითხი კველ ქართულ ბრამატიკებში.	117
მგია მენაბლე	
„აგსურდის“ ღაქლევის პრობლემისათვის აღბერ კამიუს რომანში „შავი ჭირი“.	125
ბიორგი მჭედლიძე	
ივანე ჯავახიშვილი რუსეთის მიერ საქართველოს უაქტობრივი ღაყრობის შესახებ.	133
ავთანდილ ნიკოლეიშვილი	
იპოლიტე ვართაგავა როგორც კრიტიკოსი.	149
ნორა ნიკოლაძე	
ხალხური წეს-ჩვეულებისა ღა რიტუალების ასახვა ღავით კლდიაშვილის შემოქმედებაში.	161
ნორა ნიკოლაძე, ღელა ჩოგოვაძე	
მცირე ფოლკლორული ქანრები ღავით კლდიაშვილის ნაწარმოებებში.	169
ვერა ოცხელი	
ვეილ გოლას რომან „მიწის“ ბენეფისის საკითხისათვის.	175
ნელი სიჭინავა	
ბვარის აღმნიშვნელი ბერმინების ბანვითარება რუსულ ენაში.	183
კახაბერ სურგულაძე	
კეისარიზმი.	187

ტარიელ ფუტკარაძე	
ჟიტ და იქც ბგერები ქართულში.	193
ბრიტოლ ქობალიანი	
იაკოვ-ტინცაძის ფსევდონიმები.	205
კახაბერ ქვეშაძე	
კიტა აბაშიძე ქუთაისის სააღვნიშნავო (სათავაღვნიშნავო)	
ბანკის შესახებ.	209
მურმან ქუთელია	
სუფიური ელემენტები არაბი რომანტიკოსების	
შემოქმედებაში.	217
მიხეილ ქურდიანი	
საერთო-ქართველური საგოგალოების სოციალური	
სტრუქტურისა და სამეურნეო ყოფის გოგვიერთი საკითხი	
ენობრივი მონაცემების მიხედვით.	223
ნინო ჩხლაძე	
ქალის როლის ინტერპრეტაციის გოგვიერთი საკითხისათვის	
ბერძნულ ფილოსოფიაში (პლატონიდან სტოიკოსებამდე).	229
სერგო ჩუიშვილი	
ვასილ ბარნოვის ისტორიული მოთხრობების ქანრული	
თავისებურებანი.	235
შორენა ხალური	
რამდენიმე შენიშვნა ფრანგული ენის ფაგილარული რეგისტრის	
მიმართვის ფორმებზე.	249
გელა ხარშილაძე	
ვაჟა-ფშაველა ქუთაისში.	259
ნათია ჩიქია	
პაოლო იაშვილის უსნოგი ფსევდონიმი.	263
ვახტანგ ავალოვალი	
ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი“ და სუინაბერნის	
„ლეჩხები და ბალაღები“ (პირველი სერია).	269

წიგნი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა ქუთაისის აკაკი წერეთლის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში

გამომცემლობის დირექტორი

ზალვა პირთაძე

კორექტორი

თამარ მამარლაშვილი

თბურათორები:

ნანა ბაბაღაძე

ირმა ნასარიძე

უორენა ხუნდაძე

ნაბეჭდი ფორმა 17,5.
ქაღალდის ზომა 64X80. 1/16

გადაეცა წარმოებას 29. 10. 2001 წ.